# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 5 (355) ◆ 4 – 10 თებერვალი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ვერ შევიგნია, რომ ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სპეცსამსახურები

გვ.3



– გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა ანტიტერორისტული კომიტეტი, რომელიც ყველა სახელმწიფოში აგროვებს მასალებს ტერორისტთა დაფინანსების წყაროების გამოსავლენად. კომიტეტში უკვე არსებობს ინფორმაცია ქვეყნებზე, საბანკო ანგარიშის ნომრებით, გვარებით. საუბედუროდ, ამ სიაში საქართველოცაა...

– ჯორჯ ბუშს, ტონი ბლერს, ჟაკ შირაკს და გერჰარდ შრედერს უნდა ვუმადლოდეთ, რომლებმაც დაიყოლიეს პუტინი და რუსეთმა ხელი მოაწერა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას.

უპრეცედენტო მოვლენა: გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხზე გამსვლელი სხდომის ჩატარებას გეგმავს... საქართველოში. არის სარეზერვო ვარიანტიც...

## სკანდალური ინტერვიუ თემურ ხაჩიშვილთან



გია ჭანტურიას მკვლელობა კვირაიას მოწყობილია, თუმცა თავის დროზე ეს ფაქტი მე დავმალე.

რომ არ დამემალა, რა უნდა მექნა, პრესკონფერენცია ჩამეტარებინა? ეს კვირაიამ ჩემი თანდასწრებით აღიარა და არსებობს მისი საუბრის ჩანაწერი.

გვ.5

**„გიორგი სანაია ხელისუფლების მიერ არის მოკლული“**

**ამოიწევა ყველა სიბინძურე და ამ ხალხს მოუწევს პასუხისგება**

## ვინ ყიდის წყნეთს?



**„ყალბი სამთავრობო დადგენილებით მომატყუეს და ტყის ფართობების გაცემაზე ხელი მომაწერინეს“...**

„ვმაკლერობდი... ამ საქმით 7 წელი ვიყავი დაკავებული. ყველა ბუჩქი და ხე ვიცი წყნეთში და როცა მიწის ნაკვეთის მყიდველი გამოჩნდებოდა, მე ვაჩვენებდი, ფულსაც მე ვიღებდი და უფროსთან ანგარიშსაც მე ვასწორებდი. ხშირად ისე გამიყიდია ნაკვეთი, ნამდვილი მფლობელი არც კი მინახავს. ფულს მომცემდნენ, მე კი ნაკვეთის საბუთს ვიძლეოდი. ამ ხნის მანძილზე პირადად მე, 35 მიწის ნაკვეთი მაინც მექნება გაყიდული.“ გვ.6,11

**რას ნიშნავს ნაკვეთი № 00? – ასეთი ნომერი საგანგებოდაა გამოგონილი რათა შემდეგ სადაც მოესურვებათ, იქ გასცენ ნაკვეთები**

## უნდა დაისაჯოს პირველი „დიდი ღლავი“...



მინისტრს თუ ნებისმიერ მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც ვერ დაასაბუთებს თავისი ქონების კანონიერებას – გაუშვებენ ციხეში, ქონებას ჩამოართმევენ, ანუ მხოლოდ მისი თანამდებობიდან გადადგომა-გათავისუფლებით არ ამოიწურება საქმე.

ამ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტი გამოვა საკმაოდ სერიოზული ინიციატივით. გვ.3,8

## ხუმრობა ხომ არ არის, ევროპის ბაზარზე „რივერდანსი“ შეავიწროო... გვ.4

**რას უხდიან ფრანგები „ერისიონელებს“...**




ყველას, ვინც ამ სტატიას წაიკითხავს, გთხოვთ – ნურაფერს შეატყობინებთ მარსელ მარსოს!

ქალაქში ჭორი გავრცელდა, კლიპის ერთ-ერთი „მთავარი სახე“ ფრანგიაო.

## ტყვეობიდან გამოქცეული პარტიზანის ნაამბობი... გვ.11



ქართველების რიგებში ყოფნა შემთხვევითობას მივაწერე – „ფულს მიხდიდნენ და რა ვიცოდი, თუ სიმართლე აფხაზების მხარეზე იყო-მეთქი“. ბოლომდე არ მენდობოდნენ, მაგრამ სარდაფიდან გამომიშვეს და ყაზარმაში მეძინა სხვებთან ერთად. ახალი წელი რომ დგებოდა, ყველანი დათვრნენ და დრო ვიხელთე – იმათ ძილში 8 პატიმარი გამოვიპარეთ. სურსათი ბლომად წამოვიღეთ და 9 დღე სულ ტყეტყე ვიარეთ.

ვერსია

## ბორჯომის ბოთლი ისე შემოსცხო სახეში, რომ მხოლოდ ყელიღა შერჩა ხელში

გოჩა ბობოხიას არც შემოსვლისას, არც ცემის, არც იატაკზე დაცემის დროს ხმა არ ამოუღია, არც დაუკვნესია. იგი ოდნავ ამოძრავებდა ხელ-ფეხს. თვალებიც ოდნავ ჰქონდა გახელილი. მკვდარი არ იყო. ამის შემდეგ ესროლეს ავტომატიდან...

უცხოეთიდან დაბრუნებულ შულაიას თავი სამშვიდობოს ეგონა და ალბათ ფიქრობდა, სამი წლის შემდეგ ვიღას ემახსოვრება ხარაიშვილის მკვლელობის საქმეო... იგი თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე დააკავეს.

დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. გვ.10


Computron

IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba

99 $ -დან

კომპლექტი

კომპიუტერები

მის: ქ. თბილისი, ზოროსმანის ქ. №23

☎ 94-28-33


## რაგბი: საქართველო-ჰოლანდია 88:0

გვ.2


გამოვიდა!

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

ფილოქსერა

სიცილი ჯანმრთელობაა!


**თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## პრეზიდენტი რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. გაერო და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ამ რეზოლუციით კიდევ ერთხელ აფიქსირებენ და ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპს და აფხაზეთსაც განიხილავენ, როგორც საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, უშიშროების საბჭომ მოიწონა დოკუმენტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შესახებ. უშიშროების საბჭომ მოითხოვა კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გაყვანა და რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება 31 ივნისამდე. რაც შეეხება პარლამენტისა და ენგურთან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნას, რომ რუსმა სამშვიდობოებმა დატოვონ აფხაზეთი, პრეზიდენტმა დასვა საკითხი რეფერენდუმის გამართვის თაობაზე, სადაც მთელი მოსახლეობა დააფიქსირებს თავის პოზიციას. ამ ინიციატივამ აღაშფოთა პოლიტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, პრეზიდენტი ვეღარ იღებს გადაწყვეტილებებს და რეფერენდუმებითღა ცდილობს ქვეყნის მართვასო...

## იმერლებმა იმერეთს მიხედეთო(!)

ალავერდში გამართული შეხვედრისას, პანკისის ხეობაში ვითარების მოწესრიგებაზე პასუხისმგებლობა თანაბრად აიღეს საკუთარ თავზე „ავლანელებმა“, ახმეტის მოსახლეობამ, ქისტებმა და ჩეჩნებმა, რომლებიც პოლიციასთან ერთად გეგმავენ მოქმედებას. ამ შეხვედრის შემდეგ ალავერდში ჩავიდა სახალხო ლაშქრის ლიდერი ლუკა რამაზაშვილი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ავლანელთა კავშირის წევრებთან. შედეგად „ავლანელებმა“ ალავერდში შეწყვიტეს აქცია. ლუკა რამაზაშვილი აცხადებს, რომ კახეთში ავლანელთა კავშირის აქციით სიტუაცია იძაბება და პროვოკაციების საშიშროება იქმნება. ავლანელთა კავშირის ლიდერმა კახნიაურმა კი გაშიფრა რამაზაშვილთან შეხვედრა-მოლაპარაკების დეტალები და განაცხადა, რამაზაშვილმა ულტიმატუმის ტონით მოგვთხოვა „ავლანელებს“ კახეთიდან წასვლაო. ნუგზარ კახნიაურის თქმით, რამაზაშვილი გაიძახოდა — კახეთი ჩემია, აქ მე ვარ, თქვენ არაფერი გესაქმებათ. ვინც იმერელი ხართ, იმერეთს მიხედეთ, წადით, თორემ ხალხს თითო ტომარა ფქვილს დავურიგებ, მოვლენ და ქვებით ჩაგქოლავენო და ა.შ. ერთი სიტყვით, „ავლანელებმა“ გუდა-ნაბადი აიკრეს და დატოვეს „რამაზაშვილის კახეთი“(!). კახნიაურმა ეჭვი გამოთქვა, რამაზაშვილი ვიღაცის დავალებას ასრულებდა, როცა კახეთის დატოვებას გვთხოვდაო! რამაზაშვილმა კი კატეგორიულად უარყო მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები და განაცხადა, რომ ჩემსა და კახნიაურს შორის კაცური ლაპარაკის გარდა არაფერი არ ყოფილაო.

## სად უნდა წასულიყო გადამდგარი გუბერნატორი...

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გიგლა ბარამიძე თანამდებობიდან გადადგა, მისი განცხადება პრეზიდენტმა უმალ დააკმაყოფილა. გუბერნატორი სკანდალურად წავიდა პოსტიდან. კერძოდ, ნასვამმა გიგლა ბარამიძემ ახალციხის გამგებელს, კახა წერეთელს იარაღის ტარით „დაუჩეჩქვა“ თავი. გავრცელებული ინფორმაციით, კონფლიქტის მიზეზი ადგილობრივი პოლიციის უფროსი გახდა, რომელიც წერეთელმა პოსტიდან მოხსნა. შევარდნაძის თქმით, ბარამიძე კარგად მუშაობდა, მაგრამ ამ საქციელით ყველაფერი წყალში ჩაყარა. პრეზიდენტმა ახალ გუბერნატორად თემურ მოსიაშვილი დანიშნა, რომელიც წლების მანძილზე კანცელარიაში დსთ-ის საქმეთა ბიუროს შეფი იყო.

თავად გიგლა ბარამიძე აცხადებს, რომ მის გადადგომას პოლიტიკური მოტივი უდევს. მიშა სააკაშვილმა კი ბრძანა, ამ ინციდენტის შემდეგ თანამდებობიდან გადამდგარი გუბერნატორი შინ კი არ უნდა წასულიყო, არამედ ციხეშიო...

## სახელმწიფო მინისტრი კმაყოფილია

პარლამენტმა მეორე და მესამე მოსმენით დაამტკიცა 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი (მომხრე 135, წინააღმდეგი — 20), აკაკი ასათიანისა და მიშა სააკაშვილის ფრაქციების გარდა. მანამდე კი პარლამენტში დიდი დავა გაჩაღდა, რომლის დროსაც ფრაქციები ერთმანეთს ენერგიულად „ამხელდნენ“ საბიუჯეტო ვაჭრობასა და მთავრობასთან გარიგებაში, მძაფრად აკრიტიკებდნენ ბიუჯეტს, თუმცა კენჭისყრამ, როგორც ვთქვით, ტრიუმფით ჩაიარა და კმაყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა მინისტრთან ერთად დატოვა პარლამენტის დარბაზი. ავთანდილ ჯორბენაძემ აუწყა ხალხის რჩეულთ, რომ „მაშინ, როცა ზედიზედ 7-8 წლის მანძილზე არ სრულდებოდა იანვრის თვის ბიუჯეტი, 2002 წლის იანვრის საბიუჯეტო გეგმა შესრულდა და ყოველგვარი პოლიტიკური თამაშის გარეშე ჩემს კოლეგებთან ერთად სუფთა სინდისითა და სუფთა ხელებით ვარ წარმოდგენილი თქვენ წინაშე“.

## ელიავას ბაზრობა „აჯანყდა“

ელიავას ბაზრობაზე მდგარი მოვაჭრეები აჯანყდნენ და სანაპირო ქუჩა გადაკეტეს. ამბოხის მიზეზი ბაზრობის ადმინისტრაციის მიერ მათთვის გადასახადის 100%-ით გაზრდა გახდა(!). მოვაჭრეები დაბეგვრის პირვანდელი რეჟიმის აღდგენას მოითხოვდნენ. ბაზრობის ადმინისტრაციამ მოვაჭრეებს გადასახადები მას შემდეგ გაუზარდა, როცა პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საგადასახადო კოდექსში, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ცვლილებები ინდივიდუალური მოვაჭრეებისთვის ბეგვრის მატებას არ ითვალისწინებს. გადასახადების მატება მხოლოდ ბაზრობების დირექციებს ეხებოდა. ელიავას ბაზრობის დირექციაც ადგა და მოვაჭრეებს გაუზარდა გადასახადები მაშინ, როცა სხვა ბაზრობებზე მსგავსი არაფერი მომხდარა. საგადასახადო სამსახური ელიავას ბაზრობის დირექციის ამ ქმედებას თვითნებობად მიიჩნევს. მოვაჭრეები კი სამუშაო ადგილებზე დაბრუნებას არ აპირებენ მანამ, სანამ დირექცია არ გააუქმებს უკანონო გადაწყვეტილებას!

## შემთხვევა საგუშაგოზე

უბედური შემთხვევა მოხდა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისთან მდგარ შინაგანი ჯარის საგუშაგოზე. ტყიბულის ბატალიონის ჯარისკაცმა, 28 წლის დავით თოდუამ იმავე ბატალიონის ჯარისკაცი, 27 წლის გიორგი ცაგურია მოკლა. თვითმხილველთა მტკიცებით, თოდუას ტყვია შემთხვევით გაუვარდა. თოდუა კახეთის სამხარეო სამხედრო პროკურატურაში მოათავსეს...

## გამოვლენილია „შაგალისტი“ დეპუტატები

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უდისციპლინო დეპუტატების სია გამოაქვეყნა. ამ მხრივ რეკორდი მოხსნა ხალხის რჩეულმა უმდიდრესმა დეპუტატმა და სიგარეტის იმპორტის მაგნატმა ზაზა ოქუაშვილმა, რომელსაც 37 სხდომიდან 35 აქვს გაცდენილი(!). მას არც მეუღლე, დეპუტატი ნატო ჩხეიძე ჩამორჩა, რომელმაც „საპატიო“ მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გასულის ვინაობა კი მართლაც სენსაციური აღმოჩნდა — ღრმად პატივცემული კაკო ასათიანი! შემდგომ ადგილებზეც ცნობილი და მეტ-ნაკლებად აქტიური დეპუტატები მოდიან, ათეულში კი მოხვდნენ ლევან გაჩეჩილაძე და ზურაბ ჟვანია. ახლა მათ „მკაცრი საფინანსო“ სასჯელი ემუქრებათ, ანუ ხელფასებიდან საჯარიმო თანხების დაქვითვა. გავრცელდა ხმა, რომ რამდენიმე დეპუტატმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა და სანქციების წინააღმდეგ გაილაშქრა, თუმცა ამაოდ — საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე მათ დანდობას არ აპირებს!

## საშიშ დამნაშავეებს ეძებენ

რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან ორი პატიმარი გაიქცა. გამთენიისას გელა ცერცვაძე და პაატა დოლაბერიძე კოლონიის ადმინისტრაციის შენობის კედელში გაჭრილი ხვრელიდან გაძვრნენ. ორივე პატიმარი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეა. გელა ცერცვაძეს ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის 15 წელი ჰქონდა მისჯილი, პაატა დოლაბერიძეს კი — ჯგუფური ბანდიტიზმისათვის 11 წელი. გაქცეულებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეძებენ!

## სასახლეში... საკანალიზაციო ოფისი გაიხსნება

ზუგდიდის დადიანების ისტორიული სასახლისა და მასში განთავსებული მუზეუმის შესახებ „კვირის პალიტრის“ მკითხველს არაერთგზის მოვუთხრობდით დღეს ამ უდიდესი ეროვნული ძეგლის შენობაში... საკანალიზაციო სამსახურის „ოფისის“ გახსნას აპირებენ(!). ამ ინფორმაციამ ფეხზე დააყენა ზუგდიდის საზოგადოება და სასამართლოში ჩივილსაც აპირებენ. დადიანთა საგვარეულოს საზოგადოებამ დახმარებით მიმართა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს(!). როგორც ჩანს, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, სასახლეში დაცული ნაპოლეონის ნიღბის, უძველესი ქართული ხელნაწერების, ფერწერული ტილოებისა და უამრავი ისტორიული ექსპონატის გვერდით, თუნდაც მცირე ხნით, „დაივანებს“ სამამულო საკანალიზაციო სისტემის ერთ-ერთი ადგილობრივი ოფისი.

## აშშ-მ 4 მილიონი დაგვიმატა

აშშ-ის მთავრობამ ზამთარში საქართველოს მოსახლეობის გათბობით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილ 5 მილიონ დოლარს კიდევ 4 მილიონი დაუმატა. ამ 9 მილიონი დოლარით საქართველოს მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენებისა და სოციალურად მნიშვნელოვანი დაწესებულებებისთვის 2001 წლის დეკემბერსა და 2002 წლის პირველ სამ თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური იქნება გადახდილი. შედეგად, თითქმის 180 ათასი ოჯახი და 116 ათასი კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი ისარგებლებს ამ დახმარებით. ეს დახმარება ასევე გაეწევა 300-მდე სამშობიაროს, ბავშვთა სახლებს, საავადმყოფოს, სკოლასა და საბავშვო ბაღს! იმავდროულად, გავრცელდა სასიხარულო ინფორმაციაც, რომ „საქგაზი“ აღარ შეუწყვეტს თბილისს გაზის მიწოდებას. „საქგაზი“ დედაქალაქის მერიიდან 1,5 მილიონ ლარს მიიღებს (სულ „თბილგაზის“ დავალიანება 6,5 მილიონი ლარია). დეკემბრის დარჩენილ დავალიანებას კი „საქგაზს“ „თბილგაზი“ ამოღებული თანხებით დაუფარავს.

## ეს ერთი და სხვა მრავალი...

სპორტის სხვა სახეობებშიც ისე რომ მიგვდიოდეს საქმე ქართველებს, როგორც რაგბიში, რაღა გვიჭირს. კვირას, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა ლიგის მატჩში ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით 88:0(!) მოუგო. მომავალ შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ 16 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიის ნაკრებთან გამართავენ, 3 მარტს კი თბილისში რუსეთის ეროვნულ გუნდს ვუმასპინძლებთ.

## სავალუტო ფონდი რეკომენდაციებს იძლევა

თბილისში მორიგი სამუშაო ვიზიტით ჩამოსული საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციას საქართველოს მთავრობამ 2001 წლის გარღვეული ბიუჯეტის ანგარიში დაახვედრა, სამაგიეროდ, 2002 წლის იანვრის გეგმის შესრულება უპატაკა. სავალუტო ფონდის მისია ახლა 2001 წლის ისედაც სეკვესტრირებული ბიუჯეტის გარღვევის მიზეზების შესწავლითა და 2002 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრების განხილვითაა დაკავებული, რის შემდეგაც წარმოადგენს მემორანდუმს, რომლითაც ცნობილი გახდება, გამოგვიყოფს თუ არა სავალუტო ფონდი მორიგ ტრანშს მიმდინარე წელს. ამასთან, მისიის ხელმძღვანელის, დევიდ ოუენის განცხადებით, საქართველოს მთავრობას ფონდმა რეკომენდაცია მისცა თამბაქოსა და სხვა ადგილობრივ წარმოებებზე გადასახადების გაზრდის, ასევე ჯართისა და ხეტყის ექსპორტზე დაწესებული მორატორიუმის გაუქმებისა და მათი დაბეგვრის რეჟიმის გამკაცრების თაობაზე. დევიდ ოუენმა ასევე კატეგორიულად მოსთხოვა მთავრობას ენერგეტიკაში დაგროვილი ვალების მომსახურების გრაფიკის შექმნა და ლიცენზიის შესახებ კანონის მიღება. მეტიც, საქართველოს სავალუტო ფონდის პროგრამის გაგრძელების აუცილებელ წინა პირობად ოუენმა საბაჟო და სახაზინო სამსახურების რეფორმირებაც დაასახელა!.

## №2 პოლიტიკური მოვლენა

აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ეს ვიზიტი აზერბაიჯანულმა პრესამ ახალი წლის დასაწყისის №2 პოლიტიკურ მოვლენად მონათლა. №1 მოვლენად კი მოსკოვში გამართული პუტინ-ალიევის უმაღლესი დონის შეხვედრა დაასახელეს. აზერბაიჯანული პრესა ნინო ბურჯანაძის მიერ ბაქოში გაკეთებული განცხადებებიდან განსაკუთრებით გამოყოფდა მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის შექმნის აუცილებლობის შესახებ დაფიქსირებულ საქართველოს პოზიციას. იმავდროულად, ოფიციალური ბაქო არაეფექტურს უწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობას კავკასიის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში და აკრიტიკებს ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაზე მომუშავე ე.წ. მინსკის ჯგუფის პროსომხურ პოზიციას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბაქომ ძირითადი აქცენტი მოსკოვზე გადაიტანა და რუსეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებაც გააფორმა ალიევის ვიზიტისას. მეტიც, რუსული ნავთობკომპანია „ლუკოილი“ ბაქო-ჯეიჰანის პროექტს მიუერთდა, ხოლო ბაქომ მოსკოვს 10 წლის იჯარით გადასცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული უმძლავრესი რადიოლოკაციური სადგური, რითაც რუსეთს საშუალება ექნება გააკონტროლოს სამხრეთი ნახევარსფეროს საჰაერო სივრცე.

## თეთრეულით ვაჭრობაც შავი ბიზნესია

2002 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვისას პარლამენტართა ერთმა ნაწილმა ბიუჯეტის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად იმპორტული საქონლის განბაჟების მკაცრი ადმინისტრირება დაასახელა. ითქვა, რომ თურმე საქართველოში იმპორტული თეთრეული საერთოდ არ შემოდის(!, კერძოდ, ბოლო სამი წლის მანძილზე საბაჟოებზე იმპორტული თეთრეულის, უწინარესად... საცვლების არც ერთი სახეობა არ დაბეგრილა(!). მეორე დღესვე საბაჟო დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2001 წელს თეთრეულის იმპორტიდან 291 ათასი დოლარი, პიჯაკებისა და შარვლების იმპორტისაგან ერთი მილიონ 80 ათასი დოლარი, სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილების იმპორტიდან კი 6,1 მილიონი დოლარი შემოვიდა. ამასთან, განბაჟებულია 5 ათასზე მეტი ირანული წარმოების გაზის გამათბობელი, საიდანაც 77429 დოლარია მიღებულიო...

## „მკვდარი სულები“ ქართულად

ლტოლვილთათვის განკუთვნილი დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი რომ არამიზნობრივად იხარჯება, ცნობილია, მაგრამ ამ სფეროში არსებული დარღვევები კვლავ მძიმე ტვირთად აწევს ბიუჯეტს. ბოლო წლებში შემწეობების გაცემასთან დაკავშირებული მაქინაციების, ე.წ. მკვდარი სულების გამო ბიუჯეტს 100 მილიონ ლარამდე დააკლდა, სამაგიეროდ, ბევრი ჩინოვნიკის სტომაქი ამოივსო! საფოსტო ბანკი აღნიშნულ შემწეობებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სიებით გასცემს, მაგრამ 2002 წელს ჩატარებული რევიზიის შემდეგ ამ სიაში 11 ათასი „მკვდარი სული“ იპოვეს(!). ამჟამად უკვე დასრულდა ლტოლვილთა კიდევ ერთი აღწერა და მოელიან, რომ 3-4 ათას „მკვდარ სულს“ კვლავაც აღმოაჩენენ. პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## საგანგებო კომისიის დასკვნით

მიმდინარე კვირიდან საქართველოში აიკრძალება ირანული და თურქული წარმოების გაზის გამათბობლების გაყიდვა. შესაბამის ბრძანებულებას პარლამენტიც განიხილავს. სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე კი სავაჭრო ქსელებიდან მოიხსნება ყველა ის გამათბობელი საშუალებაც, რომლებიც დღემდე მხუთავი აირით დაღუპულ ადამიანთა სიკვდილის მიზეზად იქცა. ეს საგანგებო სანქციები არ შეეხება მხოლოდ ჩეხური და ქართული წარმოების სერტიფიცირებულ გამათბობლებს. რაც შეეხება მოსახლეობის ხელთ არსებულ ირანულ გამათბობლებს, სპეციალისტები ურჩევენ მათ, რომ ეს გამათბობლები მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით მხოლოდ ერთ და ორსართულიან სახლებში გამოიყენონ.

## კონტროლის პალატის მეთოდმა გაამართლა

ქვეყანაში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უჩვეულო მეთოდი შეიმუშავა კონტროლის პალატამ — თავისი რეგიონული სამსახურები გააუქმა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტები შექმნა. როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა განაცხადა, ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია რეგიონალური სამსახურების დაბალეფექტური მუშაობით, რასაც განაპირობებს საქართველოში ღრმად ფესვგადგმული ნათესაობის, მეგობრობის ინსტიტუტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კონტროლის პალატის თანამშრომლებზეც. მოლაშვილის თქმით, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორიც, რომ რეგიონალურ სამსახურებზე ზემოქმედებას ახდენდნენ მხარის გუბერნატორებიც, რომლებიც ფარულად ეწინააღმდეგებოდნენ კონტროლის პალატის რეგიონული დეპარტამენტების შექმნას. მხოლოდ თემურ შაშიაშვილმა მიიჩნია ეს ნაბიჯი პროგრესულად, თუმცა შენიშვნები მასაც ჰქონდა. კონტროლის პალატის გადაწყვეტილების შედეგი უკვე სახეზეა — ზოგიერთ რაიონში ისეთი უხეში დარღვევებია აღმოჩენილი, რომლებზეც ადრე ყველა თვალს ხუჭავდა.

## ბუში ანგარიშით წარუდგა კონგრესს



პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე ჯორჯ ბუში პირველი ყოველწლიური ანგარიშით წარდგა კონგრესის წინაშე. მის მოხსენებას კონგრესმაც და პრესამაც ისტორიული უწოდა! 48-წუთიანი გამოსვლისას ჯორჯ ბუშს 77-ჯერ შეაწყვეტინეს სიტყვა და ოვაცია გაუმართეს, ხოლო როცა პრეზიდენტმა ბრძანა — ამერიკა არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც დღეს არისო — კონგრესმა ყიჟინა დასცა და ამერიკელთა წეს-ჩვეულების თანახმად, როგორც პატივისცემის გამოხატულება, კონგრესის დარბაზი სტვენამაც გააყრუა. პრეზიდენტმა ბუშმა დასრულებულად გამოაცხადა ომი ავღანეთში, თუმცა ისიც თქვა, რომ ტერორისტული აქტები კვლავაც გვემუქრება და აშშ მანამ არ მოისვენებს, სანამ ერთი ტერორისტული ბუდეც კი იარსებებს პლანეტაზეო. ბუშმა „ბოროტების ღერძი“ უწოდა ირანს, ერაყს და ჩრდილო კორეას და ავისმომასწავებლად მიანიშნა, ამიერიდან ამ ქვეყნების რეჟიმები აშშ-ის სამიზნე იქნებაო! ბუშის ეს განცხადება დაგმო ჩრდილო კორეის მთავრობამ, ხოლო ირანმა და ერაყმა დიპლომატიური არხებით დაიწყეს კონსულტაციები შესარიგებლად და აშშ-ის წინააღმდეგ საერთო ფრონტით მოქმედების „შესამუშავებლად“.

## მადლობა, რომ ყელს არ ჭრითო(!)

აშშ-ისა და პაკისტანის სპეცსამსახურები დღედაღამ ეძებენ პაკისტანში თალიბ ტერორისტთა მიერ გატაცებული „უოლ სთრით ჯორნელის“ კორესპონდენტ დენიელ პერლის. ტერორისტები ჟურნალისტის გათავისუფლების სანაცვლოდ, კუბაში გუანტანამოს ამერიკის სამხედრო ბაზაზე დატყვევებულ თალიბთა გათავისუფლებას მოითხოვენ და იმუქრებიან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დენიელ პერლის ყელს გამოჭრიან. პაკისტანის მთავრობა ჟურნალისტის გატაცებას ინდოეთს აბრალებს და აცხადებს, რომ პაკისტანის სპეცსამსახურებმა მოისმინეს ტერორისტთა სატელეფონო საუბარი ინდოეთის ოფიციალურ პირებთან. ამ ბრალდებას ინდოეთში ნაბოდვარი უწოდეს. თავად „უოლ სთრით ჯორნელის“ რედაქცია საგაზეთო წერილებით, პაკისტანის რადიოთი და ტელევიზიით ლამის ყოველ საათს მოუწოდებს ტერორისტებს, გაათავისუფლონ ჟურნალისტი, ხოლო ამ გამოცემის პასუხისმგებელმა მდივანმა და პერლის მეუღლემ ტერორისტებს მადლობაც კი გადაუხადა იმის გამო, რომ მათ ულტიმატუმის ვადა გააგრძელეს და პერლის ყელი არ გამოსჭრეს! პაკისტანიდან კი უცხოელი ჟურნალისტები გარბიან, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერორისტები მათზე ნადირობის დაწყებას აპირებენ.

# უპრეცედენტო მოვლენა:

# გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხზე გამსვლელი სხდომის ჩატარებას გეგმავს საქართველოში!

ამთავითვე ვიტყვი, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუცია, რომელშიც ათი წლის მანძილზე პირველად დაფიქსირდა და გამოიკვეთა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის კონტურები ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ბუნებრივია, არავის ჰგონია, რომ აფხაზეთის პრობლემა ხვალ-ზეგ გადაიჭრება საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ არც იმის უთქმელობა ვარგა, რომ რეზოლუცია მართლაც გვაძლევს დიდ შანსს, საერთაშორისო თანამეგობრობის და მათ შორის რუსეთის მონაწილეობით, დოკუმენტი ამუშავდეს და მასში ჩადებული პრინციპი — აფხაზეთი არის სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში — სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ მოლაპარაკებისას, კონკრეტული შედეგებით შეივსოს. რა თქმა უნდა, სოხუმის რეჟიმს ჯერჯერობით ამის გაგონებაც არ სურს, მაგრამ თუ საქართველომ სწორად წარმართა ძალისხმევა და საგარეო პოლიტიკა, უწინარესად რუსეთთან მიმართებაში და იმავდროულად შევინარჩუნეთ სტაბილურობა ქვეყანაშიც, თუ კონფლიქტი არ განახლდა აფხაზეთში, უკვე ყველა პირობა იქმნება საიმისოდ, რომ სეპარატისტებს ნებით თუ არა, ძალით შეაგნებინონ მათი პოზიციის უპერსპექტივობა და დასვან მოპალარაკების მაგიდასთან! ამ პროგნოზის გაკეთების უფლებას კი შემდეგი ინფორმაციები (მათ შორის ერთ-ერთი სენსაციურიც) მაძლევს, რომელიც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი გაეროს შტაბბინასთან, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ელჩებთან და პრეზიდენტთან დაახლოებული წყაროებისაგან. მრავლისმქთმელია ის ფაქტი, რომ უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციის მიღების მეორე დღესვე პრეზიდენტ შევარდნაძეს ეწვივნენ და დახურულ კარს მიღმა ესაუბრნენ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები, რომლებსაც ამ შეხვედრაზე არ მიუწვევიათ მეხუთე მეგობარი ქვეყნის — რუსეთის ელჩი! საუბრის დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ როგორც ვთქვი, სანდო წყაროების ცნობით, გაეროში სერიოზულად განიხილება ამ ორგანიზაციისთვის უპრეცედენტო საკითხი — გაეროს უშიშროების საბჭოს გამსვლელი სხდომის ჩატარება საქართველოში. ამ სხდომაზე, თუ ის მართლაც გაიმართა, უშიშროების საბჭო დასვამს ქართულ და აფხაზურ მხარეებს და აღნიშნული დოკუმენტის პრინციპების საფუძველზე წარიმართება მოლაპარაკება კონკრეტული შედეგის მიღწევამდე! ასეთი რამ, გაეროს არსებობის მანძილზე არ მომხდარა და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება გაეროს დაცემული პრესტიჟის აღსადგენად. გულდასაწყვეტია, რომ იმავე წყაროების ცნობით, უშიშროების საბჭოს გამსვლელი სხდომა საქართველოში შარშანაც იგეგმებოდა, მაგრამ გელაევის რაზმის რეიდმა, გაეროს შვეულმფრენის ჩამოგდებამ და სტატიის დასაწყისში აღნიშნული რეზოლუციის მიუღებლობამ ჩაშალა ეს გეგმა. რუსეთის ელჩმა გაეროში სერგეი ლავროვმა უშიშროების საბჭოს წინა სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, — საქართველო არის ქვეყანა, სადაც ტერორისტებს ჭრილობებს უშუშებენ, რათა კვლავ აქტიურად მიჰყონ ხელი ტერორიზმსო! საქართველოს იმიჯი შეირყა, რასაც დაემატა ჩვენთვის უკიდურესად საზიანო ინფორმაციის გახმაურება, როგორც შევიტყვეთ, გაეროში აშშ-ის მისიამ საქართველოს წარმომადგენლობას გააცნო ინფორმაცია, რომლის თანახმად, საქართველოში არსებობს არაბული ორგანიზაცია ჰუმანიტარული მისიის შირმით, რომლის მეშვეობით სოლიდური თანხა მოხვდა... ალქაიდას ერთ-ერთი წევრის ხელში(!). იმის გარდა, რომ რუსეთი და აშშ ინტენსიურად ცვლიან ინფორმაციებს ტერორიზმთან და ტერორისტებთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა ანტიტერორისტული კომიტეტი, რომელიც ყველა სახელმწიფოში აგროვებს ინფორმაციას, თუ როგორ იბრძვიან ამ ქვეყნების მთავრობები ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ კომიტეტის ერთ-ერთი მოთხოვნაა ტერორისტთა დაფინანსების წყაროების გამოვლენა. კომიტეტში უკვე არსებობს ანგარიშების ნომრები, გვარები, რომლებსაც აცნობენ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ზომების მისაღებად. საუბედუროდ, ამ სიაში საქართველოც ფიგურირებს, რაც, ბუნებრივია, პირდაპირ ურტყამს ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. გაეროში კი არაკეთილმოსურნეების მიერ საქართველო უკვე გასაღდა, როგორც ტერორისტების მფარველი ბუდე... აი, ამ ფონზე მიიღეს რეზოლუციაც და დაისახა სამომავლო გეგმაც, რომელსაც ხელს ისევ ჩვენ, ქართველები შევუშლით, თუ წამოვეგებით გადმოგდებულ ანკესებს აფხაზეთში, პანკისში თუ სხვაგან! და კიდევ: იმავე წყაროების ცნობით, ჯორჯ ბუშს, ჟაკ შირაკს, ტონი ბლერს და გერჰარდ შრედერს უნდა ვუმადლოდეთ, რომლებმაც დაიყოლიეს პუტინი და რუსეთმა ხელი მოაწერა რეზოლუციას. მეტიც, მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა წამოუდგენელი შრომა გასწია, და რუსეთი მოკავშირედ გაიხადა აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების საქმეში, რათა დიპლომატიური ზეწოლით წარიმართოს სამშვიდობო პროცესი და რუსეთმა დასავლეთის მხარდაჭერით შეასრულოს ეს მისია! ამერიკელებმა კი პირდაპირ სთხოვეს გაეროში საქართველოს წარმომადგენლობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავიყვანოთ რუსეთის სამშვიდობო ჯარები, რათა ამით საშუალება მივცეთ ამერიკელებს, მძლავრი ზეწოლა განახორციელონ რუსეთზე, მის მიერ ნაკისრი სამშვიდობო ვალდებულებების შესასრულებლად! რაც შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს გამსვლელი სხდომის ჩატარებას საქართველოში, მუშავდება სარეზერვო ვარიანტიც. თუ გაუთვალისწინებელი გარემოების გამო ეს სხდომა არ ჩატარდა, გაიმართება მეგობარი ქვეყნების ელჩების საგანგებო სხდომა თბილისში ქართულ-აფხაზური მხარეებისა და კოფი ანანის მონაწილეობით. ელჩები უფლებამოსილნი იქნებიან, ილაპარაკონ თავიანთი ქვეყნების პრეზიდენტების სახელით! ახლა, მართლაც რომ ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული. ვესაუბრები კავკასიის საკითხთა ექსპერტს **მამუკა არეშიძეს:**



— დავიწყოთ იმით, რომ მეც მაქვს ინფორმაცია ამის თაობაზე, სავარაუდოდ საქართველოს ერთ-ერთი ბანკის გავლით ფული წავიდა არაბეთის მიმართულებით და დიდი ალბათობით ალქაიდას ხელში მოხვდა. რაც შეეხება გელაევის რაზმის მოქმედებას, რამაც შელახა საქართველოს ავტორიტეტი, უნდა ითქვას, რომ გელაევის რაზმს მიერთებულ ქართველებს და გნებავთ ჩეჩნებს, თუ სხვა ეროვნების მებრძოლებს, დარწმუნებული ვარ, ამოძრავებდათ კეთილშობილური მიზანი — ბრძოლა აფხაზეთის დასაბრუნებლად! მაგრამ, როგორც წესი, ასეთი ვითარებით სარგებლობენ ხოლმე ის ადამიანებიც, რომლებიც სხვებს აკეთებინებენ საქმეს, მაგრამ არ უმხელენ ნამდვილ მიზანს! ასე რომ, შეგვიძლია პროვოკაციის კვალიფიკაცია მივცეთ შარშან აფხაზეთში მომხდარ ამბებს. ერთი რამ ვერ გაგვიცნობიერებია ქართველებს — ნებისმიერ ასეთ სიტუაციას ჩვენი მტერი იყენებს საქართველოს საწინააღმდეგოდ და საკუთარი ინტერესებისთვის. ამის მაგალითია ისიც, რაც დღეს ხდება ენგურზე და პანკისში და სადაც ყველა აფათურებს ხელს, ვისაც არ ეზარება. რა თქმა უნდა, ძირითადად კეთილშობილი და პატრიოტი ადამიანები მართავენ ამ აქციებს, მაგრამ აშკარაა, რომ ქვეყნის მტრების ინტერესებიც იკვეთება. საქართველოს ხელისუფლებაში და ხელისუფლების გარეთაც არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ან შეუგნებლად ასხამენ მტრის წისქვილზე წყალს ან მათივე დავალებით მოქმედებენ. ვერ ვხვდებით, რომ ვებრძვით „ქარის წისქვილებს“, ვერ შეგვიგნია, რომ ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სპეცსამსახურები, და არა მხოლოდ რუსეთისა, რომლებიც კონკრეტული დოქტრინითა და სტრატეგიული გეგმით მოქმედებენ. ჩვენ კი არც დოქტრინა, არც სტრატეგიული გეგმა არა გვაქვს და არც არასოდეს გვიფიქრია კონკრეტული გეგმის შექმნასა და ამ გეგმით მოქმედებაზე. ამასთან, ვერაფრით ვერ ვისწავლეთ სახელმწიფოებრივი მასშტაბით დიპლომატიური და საინფორმაციო ომების წარმოება და მოგება, თორემ კონკრეტული დიპლომატები საელჩოების, თუ ინდივიდუალურ დონეზე პატარ-პატარა ომებს კი იგებენ, რაც არაეფექტურია. სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმაში კი, რომელსაც მთელი ქართული დიპლომატია ერთიანი ფრონტით განახორციელებს, გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი მეტოქეების სავარაუდო სვლები, ვარიანტები და მათი საწინააღმდეგო კონტრღონისძიებები. ამაზე კი არავინ ფიქრობს, რადგან ქვეყანაში გამეფებულია საერთო ფრონტით უმოქმედობის ტენდენცია, იქნება ეს დიპლომატია, ეკონომიკა, სოციალური სფერო თუ სხვა. ხოლო იმაზე წუწუნი, რომ ათი წლის განმავლობაში თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოს ვერავინ ააშენებდაო, ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან თუ დიპლომატიური კორპუსი არ გვყავდა, გამოცდილი სპეცსამსახურების თანამშრომლები ხომ ნამდვილად არ გვაკლდნენ? ამ ხალხს დღევანდელ ჩვენს მოწინააღმდეგეებთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ან პენსიაზე არიან, ან გაყრილნი სპეცსამსახურებიდან უნდობლობის იარლიყითა და სხვა საბაბით, ბევრი კი იმიტომ მოისროლეს, რომ ადგილი გაეთავისუფლებინათ სხვისთვის. დრომ დაგვარწმუნა, — ამ ადამიანების გამოცდილების გამოუყენებლობა დანაშაულია.

**— თქვენი აზრით, რა კონკრეტულ ნაბიჯებს უნდა მიმართოს ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაც, რათა ქვეყანაში შენარჩუნდეს სტაბილურობა და დაიწყოს მართლაც რეალური სამშვიდობო პროცესი კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

— გარეშე და გარკვეული შიდაძალები ყველაფერს აკეთებენ საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად... მთავარი ამოცანაა ინტერესთა დაბალანსება, ანუ საქართველო იყოს ერთი მხრივ, რუსეთის ინტერესების სივრცეშიც და მეორე მხრივ, დასავლეთის გავლენის ქვეშ. ვერ დავაღწევთ თავს ვერასოდეს მათ ინტერესებსა და გავლენას, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა. მეტიც, ნატოს ჯარებიც რომ იდგეს აქ, რუსეთი მაინც არ აიღებს ხელს საქართველოში თავისი ინტერესების გატარებაზე. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი კუბა და იმავდროულად აშშ-ის სამხედრო ბაზა გუანტანამოზე. ამიტომ უნდა გვქონდეს პროგრამაში — საქართველო არის გარკვეული ქვეყნის ინტერესების სფეროში, მაგრამ უნდა გამოვკვეთოთ, — რა დოზით, რა ფორმით უნდა მოვხვდეთ ამ გავლენის სფეროში! ეს რომ გაგვეთვალისწინებინა 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველო არ დაქუცმაცდებოდა. იგივე პროცესია დღესაც. თუ დასჭირდა ჩვენს მოწინააღმდეგეს, საქართველოს დაშლას გააგრძელებს და ამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. რუსეთთან დაპირისპირება და თუნდაც ტრიბუნაზე მუშტების ბრახუნი, ხელს არ გვაძლევს. რუსეთთან ომი უნდა მოვიგოთ კულუარებში. რუსები უნდა დავარწმუნოთ, რომ არა ვართ სუსტი პარტნიორები. ამას კი დღეს ვერ მოვახერხებთ, რადგან საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე ფიქრში ათენ-აღამებს, არ არის საერთო იდეა! და კიდევ: მართალია, გამძაფრებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მაგრამ არც იაროვის და არც რუშაილოს ჩამოსვლა პუტინის პირადი ინიციატივით არ მომხდარა, ეს არის მოსკოვზე დასავლეთის მძლავრი ზეწოლის შედეგი. იმავდროულად, ასეთივე ზეწოლას განიცდის დასავლეთისგან საქართველოს ხელისუფლება. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც კომპეტენტური და დასაბუთებული პასუხები გააჩნია კონკრეტულ საკითხებზე, სიმართლეს ვერ ეუბნება ხალხს. გეტყვით ამის მიზეზს: საქართველოზე გაერო და დასავლეთი ახდენენ მცირე ზეწოლას, რათა გამოვიყვანოთ კოდორის ხეობიდან თავდაცვის სამინისტროს 300 ჯარისკაცი და იმავდროულად გვაძლევენ მტკიცე გარანტიას, რომ ხეობაში არაფერი მოხდება. ვთქვათ, დათანხმდა შევარდნაძე, გამოვიყვანეთ ჯარი და უცებ აფხაზებმა დაარტყეს კოდორის ხეობას და აიღეს. აი, ამ ფაქტს გამოიყენებენ შევარდნაძის გადასაყენებლად, რაც წყალს დაასხამს ჩვენი მტრის წისქვილზე. ამიტომ, ესეც გასათვალისწინებელია; მაგრამ მეორე მხრივ, თუ არ გამოვიყვანთ კოდორიდან ჯარს, ამას შეიძლება მოჰყვეს სამშვიდობო და დიპლომატიური პროცესის შეწყვეტა და დავრჩებით დასავლეთის დიპლომატიური ფარის გარეშე, ანუ ვდგავართ დილემის წინაშე და სასწრაფოდ მოსაძებნი გვაქვს გამოსავალი. გვჭირდება მტკიცე გარანტია, რომ კოდორიდან ჯარის გამოყვანის შემდეგ იქ უბედურება არ დატრიალდება. ასევე, დავუშვათ, გავიყვანეთ რუსეთის სამშვიდობო ძალები. ამას ავტომატურად მოჰყვება გაეროს მეთვალყურეთა მანდატის შეწყვეტაც, ანუ დარჩება აბსოლუტურად უკონტროლო სივრცე, სადაც იქნებიან რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები (და არა სამშვიდობო ძალები) და მოსკოვი გაეროდან დაწყებული ყველა საერთაშორისო დონეზე დაიწყებს მტკიცებას, რომ საქართველო არის ტერორისტების მფარველი ქვეყანა, რომ ჩეჩენი და არაბი ტერორისტები, რომლებმაც შარშან კინაღამ „აიღეს“ სოხუმი, კვლავ გამოჩნდნენ აფხაზეთში, რომ იქიდან სოჭამდე ერთი ხელის გაწვდენაა და ამიტომ ჩვენი სამხრეთის საზღვრის დასაცავად გვესაჭიროება ჯარი აფხაზეთშიო! ეს სცენარი დაწერილია და საჭიროა ნაპერწკალი მის განსახორციელებლად. ისმება კითხვა: რა ქნას საქართველომ, როგორ მოიქცეს? ეს კითხვა მით უფრო აქტუალურია, რომ სწორედ რუსეთის ფარული თანხმობით აშშ-ისა და დასავლეთის ჯარები განლაგდნენ უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში. რუსეთი ეხმარება ამერიკას ანტიტერორისტულ კამპანიაში და ამ ფონზე შეუძლებელია დასავლეთმა უგულვებელყოს რუსეთის ინტერესები. ვიმეორებ, დადგება რუსის ჯარი აფხაზეთში, იმავე გუდაუთაში, არაფერს გააკეთებს, არ იომებს, არც ქართველების გენოციდს მოაწყობს, უბრალოდ, „დაიცავს“ სოჭის მიმართულებას და ეს ჯარი უკვე აღარ იქნება სამშვიდობო ძალა, რომელზეც შეგვეძლება დიპლომატიური ზეწოლა. მეორე მხრივ, ენგურზე მდგარი სამშვიდობოები თავის ფუნქციას არ ასრულებენ და ხალხის აღშფოთებაც გასაგებია; მაგრამ არსებობს სახელმწიფოებრივი ინტერესები და ჩვენი საბოლოო მიზანი. ამიტომ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, როგორ ვიმოქმედოთ — იქნებ გავაგრძელოთ სამშვიდობო პროცესი, დავტოვოთ სამშვიდობოები და ვაიძულოთ ღალიძგის მიმართულებით გადაადგილება და ჩვენთვის ხელსაყრელ დროს სხვა ლოზუნგი წამოვწიოთ, სხვაგვარი ზეწოლა განვახორციელოთ. მესმის ლტოლვილებისა და მათი სამართლიანი მოთხოვნებისა, მაგრამ შეიძლება ისეთ ვითარებაში ჩავიგდოთ თავი, აღარც გაეროსთან და აღარც დასავლეთთან მისასვლელი პირი აღარ გვქონდეს! დღეს ერთი რამ არის ცხადი — დასავლეთს არ აძლევს ხელს რუსეთის სამშვიდობო ძალების წასვლა აფხაზეთიდან და ამას კატეგორიულად გვიცხადებს. არც ჩვენს ინტერესებშია, რომ სამშვიდობოები წავიდნენ. სხვა საკითხია, ვინ იქნებიან ამ სამშვიდობო ძალებში — რუსები, ამერიკელები თუ უზბეკები, მაგრამ უნდა შევიგნოთ — იქ სამშვიდობო ძალების ინსტიტუტი უნდა არსებობდეს. ხოლო ლტოლვილთა მოთხოვნების გათვალისწინებით და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროსა და დასავლეთის მხარდაჭერით უნდა დაიწყოს ღალიძგაზე სამშვიდობოების გადაყვანის თემით ვაჭრობა — კარგი გაგებით; აამოქმედოს მთელი თავისი დიპლომატიური არსენალი. საქართველოს ხელისუფლებას, პარლამენტს, პოზიციასაც და ოპოზიციასაც კი, მართებთ ერთიანი ფრონტით მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ შანსსაც დავკარგავთ, რაც ავად მოუბრუნდება დღევანდელ საქართველოსაც და მომავალ თაობასაც!

**თუ არ გამოვიყვანთ კოდორიდან ჯარს, ამას შეიძლება მოჰყვეს სამშვიდობო და დიპლომატიური პროცესის შეწყვეტა და დავრჩებით დასავლეთის დიპლომატიური ფარის გარეშე, ანუ ვდგავართ დილემის წინაშე და სასწრაფოდ მოსაძებნი გვაქვს გამოსავალი. გვჭირდება მტკიცე გარანტია, რომ კოდორიდან ჯარის გამოყვანის შემდეგ იქ უბედურება არ დატრიალდება.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# უნდა დაისაჯოს პირველი „დიდი ღლავი“... ანუ მაღალი თანამდებობის პირი

რამდენიმე წლის წინ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში პოლიტოლოგმა გიორგი გაჩეჩილაძემ საქართველოში მძვინვარე კორუფციის კატასტროფულ მასშტაბებზე საუბრისას ბრძანა, — „პარაზიტი... ჭამს, ხრავს სხეულს, კლავს მას და მასთან ერთად კვდება თვითონაც. აი, ამას ვერ ხვდება პარაზიტი თავისი სირეგვნით... კორუფცია და კორუმპირებულებიც არიან პარაზიტები ქართველი ერის სხეულში, რომელთაც მოკვეთის მეტი ვერაფერი უშველის“...

ზუსტი შეფასებაა, მაგრამ თუ პარაზიტის და მისი ქმედების გამართლება მაინც შეიძლება, რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს სახელისუფლებო შტოებში ჩაბუდებულ მრავალუჯრედიან ნაპატივებ გვამებს, რომლებიც მართლაც რომ რეგვნული სიჯიუტით ხრავენ სახელმწიფოს, ეროვნულ სხეულს და აზრადაც არ მოსდით, რომ ამ სხეულის კვდომასთან ერთად თვითონაც დაიღუპებიან?!.

7-8 თებერვალს გაიმართება მთავრობის გაფართოებული სხდომა, სადაც წარდგენილი იქნება ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შემუშავებული და დღემდე გასაიდუმლოებული პროექტი, რომელიც სამინისტროთა და დეპარტამენტების რაოდენობის მკვეთრად შემცირებას ითვალისწინებს და რის გამოც გასაუქმებლად განწირულ უწყებებში უკვე ნერვული დაძაბულობა სუფევს. სავარაუდოდ, მძაფრი განცხადებები გაკეთდება იმ სტრუქტურების მიმართ, რომლებიც თითსაც არ ძრავენ კორუფციასთან საბრძოლველად, მოელიან კონკრეტული გვარების დასახელებასაც, თუმცა მოჰყვება თუ არა ამჯერად მაინც კონკრეტული შედეგები სხდომას, ექსკლუზიურ ინტერვიუში ვესაუბრები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს მდივანს **მირიან გოგიაშვილს:**

— მთავრობის გაფართოებული სხდომა, ვფიქრობ, გარდამტეხი იქნება ქვეყნის ცხოვრებისთვის. დარწმუნებული ვარ, უკვე კონკრეტული შედეგებით წარსდგებიან სხდომაზე ძალოვანი სამინისტროები, რადგან ფაქტია, რომ რეალური ბრძოლა დაიწყო ნარკობიზნესისა და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ. უშიშროების სამინისტროში არსებული ე.წ. რეზერვის მოქმედი ოფიცრის ინსტიტუტი კანონის ფარგლებში მოექცა. მოგეხსენებათ, რომ ეს ე.წ. რეზერვის მოქმედი ოფიცრები ისხდნენ უწყებებში, დაწესებულებებში, ბანკებში და ხელს აფარებდნენ უკანონო საქმიანობას. ახლა ვითარება შეიცვალა და კანონის თანახმად, ორგანიზაციებში წარმოდგენილნი არიან უშიშროების ოფიცრები და არა უშუალოდ ამა თუ იმ საქმიანობაში ჩართული პიროვნებები, რომლებიც „კრიშები“ იყვნენ ამ საქმიანობებისა! მიუხედავად დაწყებული ანტიკორუფციული ღონისძიებებისა, ჩვენ პრეტენზიები გვექნება კონკრეტული სამინისტროების მიმართ, რადგან პოსტებიდან გათავისუფლებული ზოგიერთი პიროვნება სხვა თანამდებობაზე დაინიშნა, ერთი მათგანი კი საკმაოდ მნიშვნელოვან პოსტზეც გადაიყვანეს. ამგვარი ცვლილებები არანაირ შედეგს არ გვაძლევს, ამიტომ ანტიკორუფციული საბჭო შესთავაზებს მთავრობას ახალ ინსტიტუციონალურ მოწყობას, ახალ სტრუქტურებს, კადრების ოპტიმიზაციასა და ბიუროკრატიის მნიშვნელოვნად შემცირებას. მთავრობის ისეთი სტრუქტურა შეიქმნება, სადაც ეს მომენტები იქნება გათვალისწინებული და განისაზღვრება ინდივიდუალური პასუხისმგებელი თითოეულ საკითხზე. თუ, ვთქვათ, სახელმწიფოს დაქირავებული ჰყავს მენეჯერი ქონების მართვის სფეროში, მან უნდა მართოს სახელმწიფო ქონება, ხოლო სამინისტრომ განსაზღვროს პოლიტიკა. ამდენი სამინისტრო ქვეყანას არ სჭირდება. მთელი სიმძაფრით გვექნება საუბარი სამინისტროებისა და მათი შტატების ოპტიმიზაციაზე, რათა ხელფასები საარსებო მინიმუმამდე მაინც გავზარდოთ სახელმწიფო უწყებებში და 2003 წლის ბიუჯეტიც ამ პრინციპებზე ავაგოთ და ა.შ.

**— რომელი სამინისტროები გაუქმდება ან შეუერთდება სხვა სამინისტროებს?**

— პროგრამით გათვალისწინებულია 10-12 სამინისტროს არსებობა სახელმწიფოში. 18 სამინისტრო და 20 დეპარტამენტი მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას. კონკრეტულად რომელი სამინისტროები შეუერთდებიან სხვა სამინისტროებს, მალე გახდება მსჯელობის საგანი. მიხარია, რომ პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა აღგვითქვა...

**(გაგრძელება იხ. გვ.8)**



„კაცი, რომელმაც ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო“, — ასე წერდა დავით აღმაშენებლის შესახებ თანამედროვე მემატიანე, ახალშესვენებული მწერალი ლევან სანიკიძე. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან 16 წლიდან, ყრმობიდან მოყოლებული, ვიდრე 52 წლამდე, მთელი 36 წელიწადი საქართველოსთვის ბრძოლასა და ლოცვას შეალია დავით აღმაშენებელმა.

...მარტო „სამოციქულოს“ კითხვა ოცდაოთხგზის გაუსრულებია, მისი სალოცავი უფალი და საქართველო იყო, რომლის უძლეველობასა და აღშენებას უძღვნა მრავალ ბრძოლაში ჭრილობებისგან დაღლილი სხეული და სული უკვდავი...

ეპისკოპოსი ლეონიდე ამბობდა: „ერთხელ მტრებმა შიგ გულში სტყორცნეს ისარი, მაგრამ არ გასწირა უფალმა სათნო მონა თვისა და არა ევნო რა მას, რადგანაც ისარი მოხვდა მაცხოვრის იესოს ხატს, რომელსაც დავითი არასდროს არ იშორებდა მკერდიდან“. არც საღმრთო წერილის წიგნი განუშორებია და ასე, უფალს და უფლისმოყვარე მეფის ძლიერ ხელს მინდობილი ქვეყანა თავის ზეობას ზეიმობდა. „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე განეული“ საქართველო „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმმართველი ბრძენი მეფის სიცოცხლესა და მზეობას ავედრებდა უფალს. და არა მარტოოდენ ქალაქებისა და სოფლების აღშენებისთვის შეარქვა ხალხმა დავითს აღმაშენებელი...

დავით აღმაშენებელმა ქუთაისის ახლოს „ადგილსა ყოვლად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“ ააგო გელათის ტაძარი, რომელიც ტაძარი-პასტორიონიც იყო და სამეცნიერო აკადემიაც. თავადვე იყო მთავარი ხუროთმოძღვარიც, ამავდროულად, ტაძრის აგებისას არაერთგზის „უცდია“ თავი ქვისოსტატობაში და თლილი ქვებიც თავისივე ხელით აუტანია ხარაჩოებზე...

გელათს იყალთო დაემატა... გარდა ამისა, მან „აღაშენა რაოდენნი ეკლესიანი, რაოდენი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმინდა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარა ქრისტესა“.

სრულიად საქართველოს აღმშენებელმა სინას მთისთვისაც მოიცალა, სადაც „აღაშენა მონასტერი და წარცა ოქრო მრავალი ათეული“. აკი წერდა დავითის მემატიანე: „აღაშენა ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავის მთისა პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა“.

ქვეყნის ძლიერებისთვის თავშეწირულ მეფეს მუდმივ თან სდევდა ღვთის სიყვარული. მისი „გალობანი სინანულისანი“ მეფეთ მეფის აღსარებაა, რომლითაც იგი ზენაარის წინაშე წარსდგა, ზენაარისა, თავადვე რომ ასე მოიხსენიებს:

„რომლისაცა წინაშე
ქედ-დადრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების
და ენაი ყოველი
შენსა ხმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყვაო,
აღმსარებელსა მომხედენ...“

ხალხმა სიყვარულითვე უპასუხა ერის მამისა და პატრონის თავმოდრეკას, „მესიის მახვილად“ მოიხსენიებენ, უმთავრესი დროშაც „დავითიანად“ მონათლეს... ხოლო ქართულმა ეკლესიამ მეფეთ მეფე წმინდანად შერაცხა...

გელათის ტაძრის მთავარ შესასვლელთან განისვენებს წმინდა დავით აღმაშენებელი. ეს განსასვენებელიც ლეგენდის მშვენიერ საბურველში გახვია ერმა — მეფემ თავად დაიბარა, ტაძრის შესასვლელში დამმარხეთ, რომ ჩემმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო...

დავით აღმაშენებლის მკერდზე ყოველი ფეხის დადგმისას საუკუნეთა შემდგომ მოსული თაობები თითქოს საკუთარი ნაბიჯის სიმძიმეს წონიან, სამარადისო სიმშვიდე რომ არ დაურღვიონ წმინდა მეფეს.

8 თებერვალს ქართული ეკლესია და სრულიად საქართველო წმინდა კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

***სალომე შოშიტაშვილი***





**ბაბუა და შვილიშვილი ჭკუასელები რეცენზიებს არჩევენ**

*ხალხური შემოქმედების ანსამბლ „ერისიონზე“ ბევრი კარგი ითქვა და დაიწერა — ჩვენთანაც და ევროპა-ამერიკაშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ქართველებმა ჩვენთვის ისტორიულ „სენს“ მაინც არ ვუღალატეთ — როგორც კი აღტაცებისგან გამოწვეული ემოციები ჩაცხრა, მაშინვე სხვადასხვა ხასიათის ჭორმა, შენიშვნამ თუ პრეტენზიამ წამოყო თავი. რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი სალაპარაკოდაც არ ღირს, არათუ დასაწერად. მაგრამ ზოგიერთი კი იმსახურებს ყურადღებას. პირველი საკითხი გახმაურებულ კლიპში მონაწილეთა წარმოშობა გახლავთ (ქალაქში ჭორი გავრცელდა, კლიპის ერთ-ერთი „მთავარი სახე“ ფრანგიაო). როგორც ჩანს, მავანნი ისე შევიდნენ ეშხში, რომ ყველაფერი მთლად ფრანგების შემოქმედებად მიიჩნიეს — რეჟისურით დაწყებული და ცეკვა-სიმღერით დამთავრებული. ჭეშმარიტებაში გასარკვევად ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს, ბატონ* **ჯემალ ჭკუასელს** *მივაკითხეთ. — მომღერალსაც შეგახვედრებთ და ბავშვებსაც — თავად განსაჯე, სადაურები არიანო.*

*ვესაუბრებით* **გიული ცხადაძეს**, *კლიპში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს და სოლისტ მომღერალს:*

— **ბატონო გიული, პირველ რიგში, გთხოვთ, თქვენი ფრანგული წარმოშობის შესახებ მოგვითხროთ...**

— ქართველი ვარ, ან ფრანგისა რა მეტყობა და ან — ესპანელისა...

სხვათა შორის, ამ კლიპში გადასაღებად, ფოტოსურათების მიხედვით შეარჩიეს ხალხი — ქართული გარეგნობის გამო. მოგვიანებით, კლიპის რეჟისორს უთქვამს, გადაღებებზე ბავშვებიც მჭირდებაო. იმ პერიოდში როგორლაც, ჩემს ბიჭთან ერთად ვიყავი მოსული. ბატონმა ჯემალმა რომ შეხედა, ამას სიმღერაც ეცოდინებაო, ჩაილაპარაკა. ვამღერეთ გიორგი და რა ქოთანიც არის, ყვავილიც ის იზრდებაო — ჯემალმა თქვა. ასე მიიღეს ჩემი ბიჭი ანსამბლში.



— **კლიპის დასაწყისში, წიგნს და-ძმა ათვალიერებს, დასასრულ კი თქვენ შემოდიხართ...**

— „ძმა“ ჩემი ბიჭია, გიორგი. „და“ კი ბატონი ჯემალის შვილიშვილი, გიული გახლავთ. კონცერტიც ისე იწყება, როგორც კლიპი — სცენაზე გიული და გიორგი შემოდიან... ერთ-ერთ გამოსვლაში კი მამა-შვილი ერთად ვმღერით.

*კლიპის პატარა მონაწილეებსაც გავესაუბრეთ:*

**გიორგი ცხადაძე:** მე სამი წლიდან ხალხურ სიმღერებს ვმღერი...

— **ახლა რამდენი წლის ხარ?**

— 9 წლის.

— **და მარტო ხალხური მუსიკით ხარ გატაცებული, უცხოურს არ უსმენ?**

— როგორ არ ვუსმენ, მაგრამ ეს უფრო მომწონს...

**გიული ჭკუასელი** (13 წლისაა და 6 წლიდან ცეკვავს):

— სახლში, ჩემ გარშემო ყველა ხალხური შემოქმედებით არის დაკავებული... სხვანაირად არც შეიძლებოდა გამოსულიყო... და მეც ავცეკვდი...

*საუბარში ბატონი ჯემალი ჩაგვერთო*

— სხვათა შორის, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ კლიპშიც და კონცერტებშიც ორი თაობა ფიგურირებს — უფროსებთან ერთად პატარებიც ცეკვავენ და მღერიან...

ჩვენში ხშირად წუწუნებენ ხოლმე ევროპა-ამერიკის კულტურულ ექსპანსიაზე და გავლენაზე. ჩვენი კონცერტების შემდეგ გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ თურმე პირიქით, ქართული კულტურის ექსპანსიაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ — დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიო სწორედ ოჯახურ ურთიერთობებს და იმ ფასეულობებს არის დანატრებული, ჩვენში რომ საუკუნეებია არსებობს და ზოგიერთი მეტიჩარა, „ულტრათანამედროვე“ ქართველი ზურგს აქცევს, ვითომდა, „ევროპიელობის ხათრით“...

— **ბატონო ჯემალ, კიდევ ერთ „საჩოთირო“ საკითხზე მინდა, გვესაუბროთ — ანსამბლის წევრთა ანაზღაურებას რაც შეეხება...**

— ალბათ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ დასავლეთში შოუბიზნესი საკმაოდ სერიოზულ სფეროს განეკუთვნება, სადაც სასტიკი კონკურენციაა. მილიონობით დოლარზე რომ ვლაპარაკობთ, რატომღაც, ზოგიერთებს ეგონათ, რომ ეს ფული ფრანგებმა ჯემალ ჭკუასელს ჩაუდეს ჯიბეში. ვიმეორებ, ეს საკმაოდ სერიოზული ბიზნესია და ჩვენი ფრანგი ინვესტორებიც ყველაფერს კომერციულად უდგებიან, თქვენ ხუმრობა ხომ არ გგონიათ, ევროპის შოუბიზნესის ბაზარზე „რივერდანსი“ შეავიწროოო? ეს ხალხი მთელი 15 წელი მარტო ნიადაგს ამზადებდა. ჩვენ კი, ქართველები ელვის სისწრაფით „დაგვსვეს“ ამ ორბიტაზე... ნურავის ეგონება, რომ ამის შემდეგაც ხელჩაკიდებულს გვატარებენ — ჩვენ თვითონ უნდა გავიტანოთ თავი. ზემოთ ნახსენები მილიონები კი სწორედ ბაზრის ათვისებაში ჩაიდო, ინვესტიციების სახით. რაც შეეხება ანსამბლის წევრთა



**„ერისიონის“ მომღერალი სოლისტები — მამა-შვილი ცხადაძეები**

ანაზღაურებას, სხვებთან შედარებით, საკმაოდ სოლიდურია — ერთი კონცერტის მინიმალური ანაზღაურება 40 დოლარია. ტურნეს განმავლობაში კი, დღეში ერთი კონცერტი მაინც იმართება. ამას დაუმატეთ სამჯერადი კვება, უმაღლესი დონის სასტუმროში ცხოვრება, ტრანსპორტისა და გადაადგილების ხარჯები, კულტურული პროგრამა...

მე ბევრი ანსამბლი ვიცი, რომ შუა ტურნეში ლუკმაპურის გარეშე დარჩა და საქართველომდე ძლივს ჩამოაღწია. ბედმა გაგვიღიმა და დასავლეთის შოუბიზნესში ადგილის დამკვიდრებაში დაგვეხმარნენ. ახლა, მისი შენარჩუნებაა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და რთული საქმე, რომელსაც ჯამაგირზე წუწუნით და მხარ-თეძოზე წოლით ნამდვილაად ვერ მივაღწევთ...

P.S. *როგორც შევიტყვეთ, „ერისიონს“ გეგმიური კონცერტები 11 აპრილიდან ეწყება. მაგრამ იმის გამო, რომ პარიზში ბევრი მაყურებელი უბილეთოდ დარჩა, სხვა გამომსვლელები დარბაზის პროგრამიდან მოუხსნიათ და 5 მარტიდან ექსტერნად ჩაუსვამთ „ერისიონი“. კომენტარისთვის ისევ ბატონ ჯემალს დავუკავშირდით, რომელმაც ამ საკითხში წმინდა ქართული გულუბრყვილობა და დიდი თავმდაბლობა გამოიჩინა...*

— კი, მასე იყო ნამდვილად. ეგ კი არა, კუსტიუმებიც კი იქ დაგვატოვებინეს...

— **გავიგეთ, ამის გამო სხვა შემსრულებელთა კონცერტები მოუხსნიათ...**

— მართალია, მაგრამ მსოფლიო ესტრადის იმხელა სახელებზეა ლაპარაკი, ჩვენი მხრიდან ამის აფიშირება მთლად ღირსეული ნაბიჯი არ უნდა იყოს...

*ბევრი ხვეწნის შემდეგ ბატონ ჯემალს ერთი სახელი მაინც ვათქმევინეთ — ისინი საიდან გაიგებენ, ქართველებს კი გაგვიხარდება-მეთქი. ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავეს, ეწყინებათ, არ გამოვა მაგ საქმეო... ბოლოს და ბოლოს მაინც ამოთქვა — კაცო, მარსელ მარსოს მოუხსნეს ჩვენ გამო კონცერტები, ასაკოვანი კაცია, გული რატომ უნდა ვატკინოთო. ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინე, ორშაბათს დილით როგორ გადაშლიდა მარსელ მარსო მონმარტრის კაფეში, ფინჯან ყავაზე „კვირის პალიტრას“ და ახალ ამბებს წაიკითხავდა... მიუხედავად ყველაფრისა, ვუერთდებით ბატონი ჯემალის გულწრფელობას და მკითხველს მთელი სერიოზულობით ვთხოვთ — ნურაფერს შეატყობინებს მარსელ მარსოს!*

***დაჩი გრძელიშვილი***

# სკანდალური ინტერვიუ თემურ ხაჩიშვილთან

## სანაია ხელისუფლების მიერ არის მოკლული

კარგა ხანია საზოგადოებამ მიივიწყა 1995 წელს 29 აგვისტოს პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტი და ე.წ. „საუკუნის პროცესიც", სადაც საბრალდებო სკამზე ქვეყნის პირველი პირები აღმოჩნდნენ. დღეს მათი უმრავლესობა თავისუფალია, მათ შორის ჯაბა იოსელიანიც; თუმცა ზოგიერთი გამოძიების პროცესში „მეექვსე სართულის" მსხვერპლი გახდა, ზოგიერთი კი „კრიტში" იხდის სასჯელს. ყოფილი შს მინისტრი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე **თემურ ხაჩიშვილი** მეშვიდე წელია, რაც ე.წ. კარცერში ზის და აქამდე თავშეკავებული, დღეს სენსაციურ განცხადებებს აღარ ერიდება.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ გამოძიებას ჩვენება მიეცით ასლან აბაშიძის ტერაქტის ორგანიზების მცდელობასთან დაკავშირებით, რის გამოც „აღორძინების" ბლოკი ბათუმში თქვენს ეტაპირებას ითხოვდა. თუმცა რა განაცხადეთ ჩვენებაში, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. შეგიძლიათ ახლა მოგვიყვეთ?**

— 1995 წლის 2 სექტემბერს დამაკავეს. დაახლოებით 12 სექტემბერს შემხვდნენ შოთა კვირაია და ჯამლეთ ბაბილაშვილი და მითხრეს, — ვიცით, უდანაშაულო ხარ, მაგრამ იმიტომ დაგაკავეთ, აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობაში დაგვეხმაროოო. არ დავთანხმდი. შემდეგ გამომიცხადეს, — შენი გარეთ ყოფნა ხელს შეგვიშლისო... ამის მიზეზი იყო არა მხოლოდ აბაშიძის ტერაქტზე უარის თქმა, არამედ ისიც, რომ მე გავხსენი გია ჭანტურიას მკვლელობა და ამის გახმაურება არ აწყობდათ.

**— გია ჭანტურიას მკვლელობის გახსნასთან დაკავშირებით აქამდე არაფერი გითქვამთ, შეგიძლიათ მკვლელი დაასახელოთ?**

— მკვლელობა კვირაიას მოწყობილია, თუმცა თავის დროზე ეს ფაქტი მე დავმალე.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ კვირაიამ მითხრა, ჭანტურიას მკვლელობა მას თითქოს შევარდნაძემ დაავალა.

**— მარტო თქვენ განგიცხადათ?**

— სხვებიც ესწრებოდნენ. ამას მოჰყვა ის, რომ მე მას გავარტყი...

**— კვირაიამ ვის დაავალა ეს საქმე?**

— ვიცი, რომ მერე ის ხალხი დახოცეს... დაწვრილებით ლაპარაკი არც მინდა იმიტომ, რომ მერე ბათუმში აღარ გადამიყვანენ.

**— უკაცრავად, გინდათ თქვათ, რომ ის ხალხი, ვინც გია ჭანტურია მოკლა, ყველა მკვდარია? იქნებ გვარები დაგვისახელოთ?**

— ნაწილი დახოცეს, ნაწილი გაიქცა, ნაწილი ამ ხელისუფლებას ემსახურება. გვარები არ ვიცი. ვიცი ის, რომ ეს კვირაიამ ჩემი თანდასწრებით აღიარა და არსებობს მისი საუბრის ჩანაწერი.

**— რასაც ამბობთ, თუ სიმართლეა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დამალეთ ეს ფაქტი...**

— რა, უნდა მეთქვა, რომ შს მინისტრმა მოკლა ჭანტურია?! რომ არ დამემალა, რა უნდა მექნა, პრესკონფერენცია ჩამეტარებინა? ხუთი კაცი ჰყავს დახვრეტილი ზუგდიდში და დღესაც პასუხს არავინ სთხოვს... იმ დროს მე უშიშროების მინისტრის მოადგილე ვიყავი. წესით, სანქცია უნდა გაეცა ბაბილაშვილს. კვირაიას თავის დროზე სხვა დანაშაულობანიც აქვს ჩადენილი, მაგრამ ბაბილაშვილი კვირაიას მიმართ სანქციის გაცემაზე ყოველთვის უარს აცხადებდა.

**— რატომ?**

— ერთი ბანდის წევრები იყვნენ და იმიტომ. კვირაია უშიშროების საბჭოს წევრია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ხუთი კაცის დახვრეტის ამბავი არ იცის შევარდნაძემ? არ იცის დღევანდელმა პროკურატურამ?.. სამსახურიდანაც კი არ ათავისუფლებენ.

**— როდის გითხრათ კვირაიამ, რომ ჭანტურია მან მოაკვლევინა?**

— 1995 წლის ივლისში... საერთოდ, კვირაია საქართველოში მომხდარი ტერაქტების დროს ან საავადმყოფოში იწვა, ან უცხოეთში მიდიოდა. ვინც მაშინ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობაში მუშაობდა, ყველამ იცოდა, ყოველი ასეთი „მივლინების" დროს ვიღაც უნდა მოეკლათ...

**— თქვენს ჩვენებას დავუბრუნდეთ. თქვით, 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ დაგაკავეს იმიტომ, რომ ასლან აბაშიძის განადგურებაში დახმარებოდით. რა გეგმა შემოგთავაზეს, როგორ უნდა მოგეხდინათ ტერაქტი?**

— დეტალურად მითხრეს, მათ რა უნდა გაეკეთებინათ და მე რაში უნდა დავხმარებოდი. ახლა ეს რომ მოვყვე, საქმეს აღძრავენ და ბათუმში აღარ გადამიყვანენ. ისე, დამპირდნენ, თუ ამაში ხელს შევუწყობდი, რამდენიმე თვეში ან წელიწად-ნახევარში გამათავისუფლებდნენ.

**— თუ დაეხმარებოდით, მაშინ რატომღა უნდა მჯდარიყავით ციხეში თუნდაც რამდენიმე თვე?**

— სხვათა შორის, ვკითხე კიდეც — თუ ჩემი დახმარება გინდოდათ, მაშინ რატომღა დამაპატიმრეთ-მეთქი. სხვაგვარად შენ ვერავინ დაგელაპარაკებოდაო! როგორც გითხარით, მე განვუცხადე უარი, ის ფაქტები, რაზეც მიდიოდა საუბარი, შეძლებისდაგვარად დავაფიქსირე, თუმცა არ ვაკონკრეტებ. ყველაფერი ეს, ჩანაწერი იყო თუ მოწმეთა ბაზა, ნაწილობრივ უკვე აჭარის პროკურატურასა და უშიშროებას გადავეცი.



**— როგორც ვიცი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. უფრო მეტიც, ბათუმის ქალაქის სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ეს მტკიცებულებები და ოფიციალურად მოითხოვა თქვენი ეტაპირება.**

— უკვე მერვე თვეა, აჭიანურებენ ჩემს ეტაპირებას, რადგან იციან, რომ ფარდა აეხდება არა მარტო აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტს, არამედ სხვებსაც. ასევე უამრავ სიბინძურეს, რაც ამ ხალხს უკეთებია.

სხვათა შორის, ამ ყველაფრის გაგრძელებაა გიორგი სანაიას მკვლელობაც. იშორებდნენ ყველას, ვინც მათ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა.

**— გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას ფლობთ?**

— დიახ, მაგრამ ამას აჭარაში ვიტყვი.

**— მინიშნებით მაინც გვითხარით?**

— სანაია ხელისუფლების მიერ არის მოკლული.

**— მიზეზი?**

— მიზეზი იყო ის, რომ „დარდუბალამ" და „60 წუთმა" გააცოფა ეს ხელისუფლება. სანაია იმიტომ კი არ მოკლეს, რომ სანაია იყო, არამედ გახლდათ ის ერთადერთი კაცი, რომელიც „რუსთავი-2"-ის თანამშრომელთაგან მაშინ მარტო დარჩა.

**— დააზუსტეთ, თუ შეიძლება?**

— მას ცოლ-შვილი დასასვენებლად ჰყავდა გაგზავნილი და შინ მარტო გახლდათ, ხოლო ნიკა ტაბატაძე, ეროსი კიწმარიშვილი და აკაკი გოგიჩაიშვილი ოჯახებთან ერთად იყვნენ. რადგანაც სანაია იმ მომენტში იყო მარტო, იმიტომ მოკლეს ის.

**— რა გახდა იმის მიზეზი, რომ მაინცდამაინც იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო მკვლელობა? თქვენ ფიქრობთ, რომ სანაიას ცოლ-შვილი თბილისში რომ ჰყოლოდა, არ მოკლავდნენ?**

— უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ სანაიას, ტაბატაძეს, კიწმარიშვილსა და გოგიჩაიშვილს. იმ დროს ფიზიკურად ვინც მარტო დარჩა, მოკლეს ის.

**— იმასაც ხომ ვერ გვეტყვით, ხურცილავა ნამდვილად არის მკვლელობის აღმასრულებელი?**

— ეს უკვე არ ვიცი. ვიცი, ეს სიბინძურე რატომაც გაკეთდა. მე დღესაც ვფლობ გარკვეულ ინფორმაციას. ბევრი ჩემი თანამშრომელი დღესაც იქ მუშაობს. ყველას არ უნდა ამ სიბინძურეში გარევა, რადგან მთავრდება შევარდნაძის ეპოქა და დანაშაულობებზე პასუხს მოსთხოვენ. ამიტომ ზოგი აჭარაში გარბის ამბის მისატანად, ზოგი — ამერიკაში, ზოგი — რუსეთში, ზოგიც — მე მეუბნება. ასე რომ, არაფერი იმალება. ერთ ფაქტს გაგახსენებთ: დაიმალა გელაევის აფხაზეთში გადასვლა? ჯერ უარყვეს, ერთ თვეში კი შევარდნაძემ თავად დაფქვა, მაგრამ დაისაჯა ვინმე?

**— მოდით, ისევ თქვენს ბრალდებებს დავუბრუნდეთ. სასამართლო პროცესზე სიცრუის დეტექტორს ითხოვდით. გარდა ამისა, ისიც თქვით, დადგებოდა დრო, როცა თქვენი დაკავების მიზეზს გაამხელდით. დღეს რაც განუცხადეთ „კვირის პალიტრას", ამას გულისხმობდით?**

— მარტო ეს არ არის. ჭანტურიათი და აბაშიძეზე დაგეგმილი ტერაქტებით არ მთავრდება საქმე. ყველაფერი რომ გითხრათ, სიმართლეს ვერასოდეს დაადგენთ, ყველაფერი მიიჩქმალება.

**— მაშინ რას იტყოდით იმ აღიარებით ჩვენებაზე, რომელიც თქვენი დაკითხვის დროს ფარული კამერით იყო ჩაწერილი და სასამართლო პროცესზეც უჩვენეს?**

— ეს ჩვენება კიდევ ერთხელ არის იმის დასტური, რომ მე უკანონოდ ვზივარ. ამას ხომ კანონი კრძალავს. თქვენ როგორ ფიქრობთ, მე შს მინისტრი ვიყავი და არ მეცოდინებოდა, რომ თითოეული ჩემი სიტყვა ჩაწერილი იქნებოდა?! ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. ჩემი ოჯახის წევრები დააპატიმრეს. რა უნდა მექნა? ან უნდა დავთანხმებოდი ამ ჩვენებაზე, ან არა... მთელი სასამართლო პროცესი მე აქეთ ვამხელდი მათ. არც ვაპირებ ამ ღორებთან შერიგებას.

**— მაინტერესებს, როგორც ყოფილი შს მინისტრი, როგორ შეაფასებდით პანკისში განვითარებულ მოვლენებს?**

— პანკისის პრობლემა ჩვენმა ხელისუფლებამ შექმნა. ის კი არა, ხეობა გადასცა კიდეც იჩქერიის ხელისუფლებას.

**— ცოტა დაუჯერებელია თქვენი ნათქვამი. მაგრამ მაინც გკითხავთ, გარიგება რის სანაცვლოდ მოხდა?**

— საუბედუროდ, არაფრის სანაცვლოდ. რასაკვირველია, პანკისში მეტალურგიული ქარხნის მსგავსი ნარკოტიკების ქარხანა არ არის, მაგრამ წარმოების დონეზე რომ არის აყვანილი ნარკოტიკები, ეს ფაქტია. წელიწადში მილიარდი დოლარის ნარკოტიკი იყიდება, თანხის უმეტესი ნაწილი, ჩვენი მაღალჩინოსნების ჯიბეებში დალექვის შემდეგ, მიდის რუსეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკა, ისევე, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ შეგნებულად დაკარგა აფხაზეთი.



**— მაგრამ ტერიტორიების დაკარგვა პირველ რიგში შევარდნაძეს არ უნდა აძლევდეს ხელს, თუნდაც საკუთარი იმიჯის გამო... მუდმივად ხომ არ იქნება პრეზიდენტი?**

— შევარდნაძე გამოდის არა როგორც საქართველოს პრეზიდენტი, არამედ როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ფიგურა, რომელიც იბრძვის კავკასიიდან რუსეთის განსადევნად. თუმცა ამას ვერ ახერხებს და საბოლოოდ გამოვიდა ისე, რომ რუსები კი არა, ქართველები განიდევნენ საქართველოდან.

**— ამჟამად პანკისში ნარჩემაშვილი გარკვეულ ღონისძიებებს გეგმავს. როგორ ფიქრობთ, რითი დასრულდება ეს?**

— სამწუხაროდ, დასრულდება ისეთივე მიჩუმათებით, როგორც დამთავრდა გალი, ისევე, როგორც დამთავრდა ჩეჩნების გადაადგილებ-გადმოადგილება აფხაზეთში. პანკისში ისევ გაიყიდება ნარკოტიკები და ისევ ვერ გავაკონტროლებთ, როგორც ვერ კონტროლდება დღეს. მითხარით, ჟურნალისტები ახერხებთ პანკისში შესვლას? კი ბატონო, დუისის შესასვლელთან არის პოსტი. მერე?! ფიზიკურად ჟურნალისტებს არ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, ე.ი. იქ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. დამთავრდა, უკვე ყველაფერია ნათქვამი. აი, ეს არის დღევანდელი რეალობა.

> პანკისში მეტალურგიული ქარხნის მსგავსი ნარკოტიკების ქარხანა არ არის, მაგრამ წარმოების დონეზე რომ არის აყვანილი ნარკოტიკები, ეს ფაქტია. წელიწადში მილიარდი დოლარის ნარკოტიკი იყიდება, თანხის უმეტესი ნაწილი, ჩვენი მაღალჩინოსნების ჯიბეებში დალექვის შემდეგ, მიდის რუსეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკა, ისევე, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ შეგნებულად დაკარგა აფხაზეთი.

**— ბატონო თემურ, გავრცელდა ინფორმაცია — ბათუმში იმიტომ უნდა გადაყვანა, რომ გაქცევა მოახერხოსო...**

— რატომ უნდა გავიქცე? დღეს ხომ ვამბობ, რომ მზადდებოდა აბაშიძეზე ტერაქტი, კვირაიამ ჩაიდინა ჭანტურიას მკვლელობა... იქ მოხდება ყოველივე ამის იურიდიულად გაფორმება. ამას მოჰყვება მთელი იმ საქმის გადასინჯვა, რაც მათ შექმნეს და ამოიწევა ყველა სიბინძურე. და ამ ხალხს მოუწევს პასუხისგება. ასე რომ, არსად გაქცევას არ ვაპირებ. უფრო მეტიც, მე მოვითხოვე, რომ ჩემი საქმე შეისწავლოს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ.

# „ომი უნდათ?! მიიღებენ ომს!"



აქცია დელისის მეტროსთან

შაბათს, გვიან საღამოს, ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირმა დელისის მეტროსთან კარავი გაშალა. აღშფოთებული ძველი გვარდიელები თავიანთი თანამებრძოლის, **თამაზ დიაკვნიშვილის** უკანონო პატიმრობას აპროტესტებენ, ითხოვენ ბრალდებულის დაუყოვნებლივ უპირობო განთავისუფლებას.

თამაზ დიაკვნიშვილი გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ 31 იანვარს დააკავა. მას თავისუფლების აღკვეთა სამი თვით შეუფარდეს. მისი მეუღლის, **თინა მერებაშვილის** განცხადებით, დიაკვნიშვილი პოლიციაში აწამეს. მისი თანამებრძოლები მიიჩნევენ, რომ ნაომარ ბიჭებზე დღემდე გრძელდება რეპრესიები და იმუქრებიან — მთავრობის სახლთან გადავინაცვლებთ და კარვებს გავშლითო. აქციას ესწრებოდა ერთ-ერთი ყოფილი გვარდიელიც, რომელსაც, მისი თქმით, ვარკეთილის ახლოს შელაპარაკება მოუვიდა №149 სამარშრუტო ტაქსიში პოლიციელებთან, რომლებმაც „შენი გვარდიელი დედის" გინებით ცხვირ-პირი ჩაუმტვრიეს.

**გელა გელაშვილი:** „ერთხელ და სამუდამოდ პოლიციის დიქტატურას უნდა დაესვას წერტილი. მე არც თარგამაძისთვის მიომია, არც ნარჩემაშვილებისთვის და არც წამლის ჯიბეში ჩამდებებისათვის. თამაზ დიაკვნიშვილს ყურებზე და თითებზე დენი შეუერთეს აბსურდული ბრალდების გამო. დილით „ლიმონკას" აბრალებდნენ, საღამოს „ლიმონკის" ბრალდება გაქრა და ახლა მოპარული შიფერის ყიდვა წაუყენეს. ერთი მითხარით, როდის აქეთ არის, რომ შიფერები „ტეხასმოტრით" დადიან? ახლა ამათ ელოდე, როდის იპოვიან მტკიცებულებას, რომ გაათავისუფლონ! უნდათ ომი?! მიიღებენ ომს!.. კატეგორიულად მოვითხოვ, შეწყდეს რეპრესიები ნაომარ ხალხზე. ჩვენ არავისი გვეშინია."

თამაზ დიაკვნიშვილის მეუღლე: „ჩემი ქმარი შინ დააკავეს. როგორც შევიტყვე, ვინმე დათო ფოფხაძემ დაკარგა ახსნილი შიფერი. ეს შიფერი ვინც მოიპარა, ჩემს მეუღლეს მიჰყიდა. 17 ცალი 40 ლარად. 25 ლარი უკვე გადავიხადეთ, 15 ლარი ვალი გვქონდა. როდესაც ეს საქმე გახმაურდა, ქურდი გამყიდველი მოადგა ჩემს ქმარს და უთხრა: გინდა თუ არა, შიფერი ახსენიო. მე წინააღმდეგი წავედი, რადგან შიფერი ჩვენ ვიყიდეთ, ხომ არ მოგვიპარავს?! ამაზე ატყდა დავა და მივიდა პოლიციის ყურამდე. შემოცვივდა შეიარაღებული ხალხი ორდერის გარეშე და საშინელი გინებით. ახლა ჩემს მეუღლეს „ლიმონკასაც" აბრალებენ, ამ დროს არაფერი არ ჰქონია. თემქაზე ისეთ გადაკარგულ ადგილას ვცხოვრობთ, რომ ჩვენ გარდა, იქ მხოლოდ დათვები და ტურები დაძრწიან. ქურდი და მამაძაღლები რომ ვყოფილიყავით, რაღაცა ფიცრულს კი არ ჩავდგამდით!"

ყოფილი მებრძოლები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ძალადობა მას შემდეგ უფრო გააქტიურდა, რაც თვე-ნახევრის წინ საკონსულტაციო საბჭო შექმნეს, რომელმაც ოცამდე ვეტერან-მებრძოლთა ორგანიზაცია გააერთიანა.

**ალექსანდრე წიკლაური** (ყოფილი „თეთრი გიორგის" ბატალიონის წევრი, რომელმაც ღირსების ორდენი უკან დააბრუნა): დაახლოებით თვე-ნახევრის წინ საკონსულტაციო საბჭო შევქმენით, რომელმაც გააერთიანა ოცამდე ვეტერან-მებრძოლთა ორგანიზაცია. ამის შემდეგ ძალოვანმა სტრუქტურებმა დაიწყეს გარკვეული „სამუშაოების" ჩატარება ჩვენ მიმართ. სხვათა შორის, ომბუდსმენთანაც ვიყავით. პირველი აქციები დაემთხვა სერგეი გლადკევიჩის უკანონო დაპატიმრებას საზღვარზე, რომელსაც რუსებმა აბსურდული ბრალდებები წაუყენეს. სერგეი გლადკევიჩი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგ უსაფუძვლოდ გვიჭერენ, ჯიბეში გვიდებენ იარაღს, წამალს, საგინებელ-საფურთხებელი სოციალური ფენა გავხდით საქართველოში. ჩვენ ველარ ავიტანთ, რომ წელიწადში ორჯერ-სამჯერ ციხეში შეგვყარონ და ფულები მიგვატანინონ. ეს ფაქტიც ამის დადასტურებაა.

*„ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირი" აქციის დაშლას შეთანხმების მიღწევამდე არ აპირებს.*

***გვერდი მომზადა მარინა მამისაშვილმა***


**წყნეთში, შუაგულ ტყეში ბალავერი უკვე ჩაუსხამთ, ახლა ხეების გახმობას და კლიენტს უცდიან...**

# „ყალბი სამთავრობო დადგენილებით მომატყუეს და ტყის ფართობების გაცემაზე ხელი მომაწერინეს“...

# ვინ ყიდის წყნეთს?

*— საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ და დედაქალაქის მიწის მართვის სამსახურის უფროსმა მთავრობის და მერიის დადგენილება მაჩვენეს, რომლის საფუძველზე იძულებული გავხდი, თბილისის სატყეო მეურნეობის კუთვნილი, ბაგების ტყით დაფარული ტერიტორიების ნაწილი (8 ჰექტარი) დედაქალაქისათვის გადამეცა. როცა ბრძანება დავწერე და ბეჭედიც დავარტყი, მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვე, რომ დადგენილება ყალბი იყო და ჩემს მოსატყუებლად შექმნეს. ერთი ამბავი ავტეხე, მაგრამ ამ მაფიოზების ხელში რას მიაღწევ, — იხსენებს სამი წლის წინანდელ ამბავს აწ უკვე არარსებული თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი, სკანდალურად ცნობილი დირექტორი* **შოთა მეფარიძე...**

— უფრო მეტსაც გეტყვით, — აგრძელებს მეფარიძე, — თუ მეხსიერება არ მღალატობს, 2000 წელს ქალაქის მერი თანმხლებ რვა კაცთან ერთად ჩემთან, წყნეთში, ამოვიდა და მთხოვა, ხელი მომეწერა დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც, დედაქალაქს გადაეცემოდა რამდენიმე ათეული ჰექტარი ტყიანი მასივი. ვიცოდი, მთელი ტერიტორია ერთიანად გაიჩეხებოდა და საგარაკო ნაკვეთებად გაიყიდებოდა თბილისელ მილიონერებზე. სიტყვიერი თანხმობა მივეცი და სამადლოზე რესტორანშიც დავპატიჟე. რაკი დამითანხმა, მიპატიჟებაც მიიღო, რესტორანში წამომყვა, თან მადლობის ნიშნად ჰალსტუხი შეიხსნა და მაჩუქა. შუა ქეიფში შევაპარე, იქნებ იმ ტყიან მასივს გაანებო თავი, ეს ადგილი პრეზიდენტს ძალიან მოსწონს. გაჩეხილი რომ ნახოს, შავ დღეს დაგვაყენებს-მეთქი. შენ მაგაზე ნუ ინაღვლებო, იყო პასუხი. რა უნდა მექნა, რომ არ მიმეცა, თავისას მაინც გაინაღდებდნენ და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ოღონდ ტყიანი ფართობის გადაცემაზე ხელი ჩემს მოადგილეს მოვაწერინე. მოგვიანებით, წყნეთში სამი ჰექტარი ტყით დაფარული ტერიტორია გაჩეხეს და გამოთავისუფლებული მიწები საგარაკო ნაკვეთებად გაყიდეს.

— **მაშ, რატომ მოგხსნეს თანამდებობიდან, ავად იყო თუ კარგად, ხომ ცეკვავდით მათ დაკრულზე?**

— დიდ წინააღმდეგობას ვუწევდი მაფიოზებს. ახლა წყნეთის პარკი ამოიღეს თვალში. თუ ხელი არავინ შეუშალა, იქ ერთი ხეც აღარ დარჩება. ცდილობდნენ, წყნეთის პარკის ტერიტორია რეფორმების ფონდში შეეტანათ, ანუ 1995-1996 წლებში სახელმწიფომ მეტყევეებისათვის შექმნა რეფორმის ფონდი, რაც მათთვის მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გაცემას გულისხმობდა. მოგვიანებით ნაკვეთი მათ საკუთრებაში დარჩებოდა. არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ წყნეთის პარკზე არსებულ დოკუმენტაციაში მისი შექმნის და დაარსების თარიღი 1968 წლით გადაასწორეს, ვითომ პარკი რეფორმის ფონდში ამ დროიდან შედიოდა, მაგრამ ის აღარ გაახსენდათ, რომ ფონდი 1995 წელს დაფუძნდა. ეს მაქინაცია რომ გამოვააშკარავე, ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. შეიძლება ითქვას, რომ მაფიოზების გარიგების მსხვერპლი გავხდი.

— **ვინ არიან თქვენს წინააღმდეგ შეთქმულების ავტორები?**

— საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები, რომლებსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობები უჭირავთ: ესენი არიან ვანო ზოდელავა, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე, მისი მოადგილეები ჯიმი ჩარკვიანი და მერაბ დვალი. განსაკუთრებით გავამახვილებ ყურადღებას ჩარკვიანზე. 25 წელიწადია მოადგილის თანამდებობა უჭირავს და ამ ხნის მანძილზე სატყეო დეპარტამენტში მიწებით ვაჭრობისა და მექრთამეობის მეტი, არაფერი გაუკეთებია. ეგ მოადგილე კი არა, დეპარტამენტის „მოლარეა“. სწორედ ჩარკვიანმა დააინტერესა ამ „ბიზნესით“ ქალაქის მერი ვანო ზოდელავა. დააკავშირა და დაამეგობრა იგი სატყეო მეურნეობის თავკაცებთან და ერთობლივად ყიდიან გაჩეხილი ტყეების ტერიტორიას საგარაკო ნაკვეთებად. ამ საქმეში ყველა მონაწილეს თავ-თავისი ფუნქცია აქვს. თბილისის მერი ვანო ზოდელავა უკანონოდ მიტაცებული და უკანონოდ გაყიდული ნაკვეთების დაკანონებას უზრუნველყოფს საბუთებით. რა უფლება აქვს თუნდაც დედაქალაქის მერს, რომ წყნეთის ტყეს, რომელიც ტერიტორიულად გარდაბნის რაიონს ეკუთვნის, განკარგავდეს და, როგორც სურს, წალმა-უკუღმა ყიდდეს მიწებს. მაგ ხალხს წყნეთში მაკლერებიც ჰყავთ. ისინი ჩარკვიანის მეგობრები არიან. მათი მეშვეობით იღებენ ფულს და მერე ერთმანეთში ინაწილებენ...

**ვანო ზოდელავა**, დედაქალაქის მერი: — რასაც მეფარიძე ამბობს, აბსურდი და ცილისწამებაა. ვინც არის მეფარიძე, ყველას კარგად მოეხსენება. წყნეთში ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, რომელიც დადებითად დაახასიათებს. ათეული წლების მანძილზე ყიდდა წყნეთის ტყეებს... სამთავრობო დადგენილებით, წყნეთის ტყეები მერიას უნდა გადმოეცეს და მერწმუნეთ, ერთხელ და სამუდამოდ წესრიგი დამყარდება.

*საუბარს კვლავ შოთა მეფარიძე აგრძელებს:*

— მიშა სააკაშვილი ჩვეულებრივი სპეკულანტია. მან ბაგებში, მამამისის სახელზე შეიძინა 1600 კვმ მიწა და შემდეგ ათმაგად გაყიდა. ამის საბუთები მაქვს. ისე, იცოდეთ, რასაც ვამბობ, ყველაფრის დამტკიცება შემიძლია დოკუმენტებით. სააკაშვილი რომ გაიძახის, მეფარიძემ წყნეთის ტყეები გაყიდაო, კარგად გამოარკვიოს ვინ რა გაყიდა, გადახედოს საბუთებს და ერთ საბუთსაც თუ ნახავს, სადაც ჩემი ხელმოწერა იქნება ნაკვეთის გაყიდვაზე, პასუხს ვაგებ.

ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა **გიორგი არველაძემ** მეფარიძის მიერ სააკაშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებას, ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მიხეილ სააკაშვილის მამა ოჯახს მაშინ გაეყარა, როცა მიშა 3 წლის იყო. მამა-შვილს საერთო მეურნეობა არასოდეს ჰქონია. ისე, მამამისი საკმაოდ წარმატებული ექიმია და ალბათ არც აგარაკის ყიდვა გაუჭირდებოდა, მიშას მამამისი არასოდეს ეკითხებოდა, რა ეყიდა ან გაეყიდა.“

ისევ მეფარიძეს მოვუსმინოთ:

— **თქვენ ახლა განაწყენებული ბრძანდებით, რაკი თანამდებობიდან დაგითხოვეს და ალბათ ამიტომაც არავის ინდობთ...**

— რაც გითხარით, ყველაფერი სიმართლეა. სატყეო დეპარტამენტიდან ყოველდღე კაცს მიგზავნიან თხოვნით, არაფერი თქვაო, მაგრამ გაჩუმებას აღარ ვაპირებ. რამდენიმე წლის წინ, დაბა წყნეთს სახელმწიფო ტყის ფონდიდან გამოეყო 51 ჰექტარი მიწა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მას შემდეგ ამას სისტემატური ხასიათი მიეცა. სულ დაახლოებით 93 ჰექტარი გამოიყო დაბისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დაბა წყნეთში დაახლოებით 900 კომლი ცხოვრობს, მაშინ თითოეულ ოჯახს თითო ჰექტარი მაინც უნდა მიეღო. ახლა ის იკითხეთ, რამდენი აქვს თითოეულ ოჯახს მიღებული და ვის ხელში მოხვდა ამდენი ნაკვეთი და მიხვდებით, თუ რა ფული ჩაედინება მაფიოზების ჯიბეში...

როგორც წყნეთის გამგეობაში აგვიხსნეს, საგარაკო ნაკვეთების ფართი 600 კვმ-ის ტოლია. ყოველი ასეთი ნაკვეთი დაახლოებით 20-25 ათას ამერიკულ დოლარად იყიდება. ე.ი. თითოეული ჰექტრიდან თექვსმეტი ნაკვეთი გამოდის და 3-4 კაცის ჯიბეში, მხოლოდ საგარაკო ნაკვეთებად დაქუცმაცებული ერთი ჰექტრიდან, 300-350 ათასი დოლარი ხვდება. როგორც გავარკვიეთ, არსებული კანონმდებლობით, მიწის ფართობის


საკუთრების ფორმა კერძო საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია საგარაკო

მესაკუთრის განყოფილება

მესაკუთრე, მისამართი არტილაპ სირივკი

თბილისი პავლე ინგოროყვას №7

გამოყოფა დაბა წყნეთში მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაზე შეიძლება. ამიტომ ფორმდება ყალბი საბუთები, თითქოს რომელიმე კომლმა მიიღო ნაკვეთი, სინამდვილეში კი ის თბილისელებზე საგარაკო ნაკვეთად იყიდება მაკლერების მეშვეობით. ჩვენ შოთა მეფარიძის მიერ დასახელებულ წყნეთელი მაკლერების შეფს, **შოთა მათიაშვილს** დავუკავშირდით. საუბრის დასაწყისში მან გვითხრა: „მე ცხინვალის მთავარი მეტყევე ვიყავი სამაჩაბლოში. ცნობილი მოვლენების შემდეგ კი რამდენიმე წელი საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მუდმივი წარმომადგენელი გახლდით დაბა წყნეთში“.

— **სატყეო დეპარტამენტს ხუთიოდე კილომეტრით დაშორებულ დაბა წყნეთში წარმომადგენელი რაში სჭირდებოდა?..**

— ვმაკლერობდი... ამ საქმით 7 წელი ვიყავი დაკავებული. ყველა ბუჩქი და ხე ვიცი წყნეთში და როცა მიწის ნაკვეთის მყიდველი გამოჩნდებოდა, მე ვაჩვენებდი, ფულსაც მე ვიღებდი და უფროსთან ანგარიშსაც მე ვასწორებდი. ხშირად ისე გამიყიდია ნაკვეთი, ნამდვილი მფლობელი არც კი მინახავს. ფულს მომცემდნენ, მე კი ნაკვეთის საბუთს ვიძლეოდი. ამ ხნის მანძილზე პირადად მე, 35 მიწის ნაკვეთი მაინც მექნება გაყიდული.

— **საბუთს ვინ გაძლევდათ და ფული ვისთან მიგქონდათ?**

— საბუთსაც მეფარიძე მაძლევდა და ფულიც, რა თქმა უნდა, მასთან მიმქონდა. ერთი სიტყვით, საგარაკო ნაკვეთების გაყიდვის ასეთი ხერხი არსებობს: შოთა მეფარიძე შეარჩევდა კარგ ადგილებს საგარაკო ნაკვეთებისათვის, მერე მე მაჩვენებდა. ამ ნაკვეთებს თავის რომელიმე თანამშრომელზე გააფორმებდა. კანონით ამის უფლება ჰქონდა, ოღონდ მიწას მართლა თანამშრომელს კი არ აძლევდა, არამედ გასაყიდად სჭირდებოდა. ამ ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტი და მიწის სარეგისტრაციო მოწმობა შინ ჰქონდა შენახული. როცა კლიენტი გამოჩნდებოდა და საფასურს გადაიხდიდა, ფულს სახლში მივუტანდი, ის კი ნაკვეთის საბუთებს მომცემდა. მე საბუთებს ნაკვეთის პატრონს მივართმევდი და საქმე დამთავრებული იყო. ყოველი ასეთი ოპერაციიდან 300-400 დოლარი მრჩებოდა. მეტს ვერ მოგცემ, რადგან შენ რასაც გაძლევ, იმაზე მეტი


საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი

მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების

სარეგისტრაციო მოწმობა

არც მე მრჩება, დანარჩენი ფული ზემოთ, უფროსებთან მიმაქვსო, მეუბნებოდა.

— **როგორც გავიგე, ერთ საქმეზე თქვენ შორის შავ კატას გაურბენია...**

— კი, ასე იყო. 1998 წელს ერთმა მაკლერმა ჩემთან ორი კაცი მოიყვანა, რომლებსაც თავისი ახლობლისათვის საგარაკო ნაკვეთის ყიდვა უნდოდათ მე-18 კვარტალში (ასე უწოდებენ ტყის გარკვეულ ფართობს). მივედი შოთასთან და ვკითხე, თუ შეგიძლია ამ კვარტალში ნაკვეთის გაყიდვა-მეთქი. მითხრა, მყიდველის პასპორტი და ბედ 4000 დოლარი მომიტანეო. ასეც მოვიქეცი. სხვათა შორის, ეს ნაკვეთი სულ ტყიანი იყო. რომ მეგონა, დამთავრდა ეს საქმე-მეთქი, ამ დროს გამოჩნდა მეორე მყიდველი, რომელიც გაყიდული ნაკვეთის გვერდით მდებარე ფართობში 23.000 დოლარს იძლეოდა. მოვარიგე მეფარიძე და ახალი მყიდველი. ცოტა ხანში მან 600 კვმ-ის ნაცვლად, შემოღობა 1500 კვმ და თავის ნაკვეთში მოაქცია პირველი მყიდველის ნაკვეთის ნაწილიც. მეფარიძემ რომ ნახა, მეტი მიწა შემოღობაო, მასთან გამაგზავნა: მიდი, შენს მოყვანილ კაცთან, ან მოარღვიოს ღობე, ან ფული დაამატოსო. მართლაც, ახალმა მყიდველმა (გვარს არ დავასახელებ) 10 ათასი დოლარი მომცა. მეფარიძე გამიბრაზდა, ეს რას ეყოფაო. ამ დროს გამოჩნდა ძველიც, თავისი ნაკვეთი სხვისაში რომ დაინახა, ბევრი არ უფიქრია, ადგა და შემოღობილ ნაკვეთში 24 ხე მოჭრა და დანაკარგი აინაზღაურა. მე, როგორც მთავარმა მეტყევემ, შევადგინე აქტი, რომ ვიღაც მამაძაღლმა 2436 ლარის ზარალი მოგვაყენა. მეფარიძე ადგა და ჩემი შედგენილი აქტი გარდაბანში გააქანა. ატყდა ერთი ამბავი — მყიდველმა იჩივლა და საქმეც გასკდა. სხვა გზა არ იყო და, მეფარიძის თხოვნით, გამომძიებელთან მე დავიბრალე ყველაფერი. მოგვიანებით მოხერხდა და საქმე ჩაიფარცხა. ის კაცი უნაკვეთოდ დარჩა და ახლა მე მთხოვს გადახდილ ფულს. მეფარიძე კი არ მაძლევს. და ვართ ამ გაწამაწიაში. როცა ეს საქმე თავზე ავიღე, მეფარიძე დამპირდა, სანაცვლოდ მიწის ნაკვეთს მოგცემო, მაგრამ მომატყუა. ნაკვეთი მართლაც მომცა, მაგრამ არა სატყეოს ფონდიდან, არამედ გამგეობის მიწებიდან. ის ნაკვეთი კი გამგეობამ წამართვა.

— **ამბობთ, ნაკვეთებს მეფარიძე ყიდდა და ფულიც მასთან მიდიოდაო, მეფარიძე კი აცხადებს, რომ თქვენ დეპარტამენტის ოფიციალური მაკლერი ბრძანდებით და ფულიც დეპარტამენტში მიგქონდათ. რომელს დაგიჯეროთ?**

— ერთ რამეს გიამბობთ. ამას წინათ, როცა მეფარიძე საავადმყოფოდან გამოვიდა, მთხოვა — თუ დეპარტამენტის თავმჯდომარე გაბედავს და ჩემს განთავისუფლებაზე ბრძანებას დაწერს, შენ ხმა გაავრცელე, რომ ფული ჯაფარიძესთან მიგქონდაო. დავეთანხმე, მაგრამ ამას როგორ ვიკადრებდი. მე მიყვარს ტყე, მის გაჭრა-გაჩეხას არავის დავანებებ, სხვათა შორის, მე მაღალი რანგის პროფესიონალიც ვარ(!). დაბოლოს, ერთ საბუთსაც გაჩვენებთ. ეს არის თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორის შოთა მეფარიძის წერილი №70, დათარიღებულია 1999 წლის 13 სექტემბრით. წერილში აღნიშნულია, რომ „დაბა წყნეთის გამგეობის მიერ საკარმიდამოდ გაცემულია ნაკვეთი №22. აღნიშნული ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულია ფიჭვის ჯიშის კულტურები. თბილისის სატყეო მეურნეობა წინააღმდეგი არ არის, რათა ეს მიმდებარე ფართობი დაცვის მიზნით (?!) დამაგრებული იქნას აღნიშნული ნაკვეთის მფლობელზე და მიეცეს მას შემოღობვის უფლება“ (სტილი დაცულია).

ამ წერილს ხელს აწერს მეფარიძე, ეს წერილი კი იმას ნიშნავს, რომ №22 ნაკვეთის მფლობელს უკანონოდ გადასცეს 800 კვმ ტყიანი მიწის ფართობი სამუდამო მფლობელობაში, სადაც უკვე არც ერთი ხე აღარ არის. არადა, იქ 70 ფიჭვი იდგა. საინტერესოა, რამდენი გადაიხადა ამ წერილში „ტყის დამცველმა“?! თავის მხრივ, მეფარიძე ამ წერილზე თავის ხელმოწერას ყალბად მიიჩნევს.

შოთა მათიაშვილს არაფერი უთქვამს 1999 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებულ აქტზე, სადაც იგი თანახმაა, რომ 22-ე ნაკვეთის მფლობელს გადასცემოდა მიმდებარე ტერიტორია. წყნეთის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ლევან არეშიძემ** წყნეთში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ტყეების გაჩეხის შედეგად გამოთავისუფლებული ადგილების საგარაკო ნაკვეთებად გაყიდვის შესახებ შემდეგი განაცხადა: „საერთოდ, როგორც წესი, მიწის გამოყოფას, ანუ სატყეო ფონდიდან მიწების წყნეთის დაბისთვის გადაცემას ხელს აწერს 8 უწყების ხელმძღვანელი. მათ შორის, მაგალითად, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, გარემოს დაცვის სამინისტრო, ძეგლთა დაცვის, მიწის მართვის დეპარტამენტები, თბილისის მერია და კანცელარიის ჩინოვნიკები. სატყეო ფონდიდან მიწა რომ სავარგულის ან საკარმიდამო ფონდში გადავიდეს, ეს საკითხი სახელმწიფო მინისტრის დონეზე წყდება. მიუხედავად ამისა, ვერც ერთმა ზემოთ ჩამოთვლილმა ინსტანციამ ვერ აღმოაჩინა ან არ აღმოაჩინა დარღვევები საგარაკო ნაკვეთებით ვაჭრობის ე.წ. ბიზნესში. რატომღაც ვერავინ ამჩნევს, რომ მალე წყნეთში ფიჭვი აღარ დარჩება და იქაურ ტერიტორიას გაუდაბნოების საფრთხე ემუქრება. მაგალითად ავიღოთ მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, სადაც კვარტალის ნომრად დაფიქსირებულია — №00. ასეთი კვარტალი არ არსებობს. ასეთი ნომერი საგანგებოდაა გამოგონებული, რათა შემდეგ სადაც მოესურვებათ, იქ გასცენ ნაკვეთები.

— **თქვენ თუ გჯერათ, რომ მარტო ერთმა კაცმა გაანადგურა, გაყიდა და ჩაიჯიბა თბილისის შემოგარენში არსებული ტყეები ისე, რომ ზემოთ არ ჰყავდა მოწილეები?**

— ალბათ, ჰყავდა და თუ ვინ — ეს სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ. მას ახლაც აქვს 5 ჰექტარი მიწა მითვისებული სრულიად უკანონოდ, რომელსაც ხუთი ჭიშკარი აქვს შებმული სხვადასხვა მხრიდან და საგარაკო ნაკვეთებად გასაყიდად არის გამზადებული. არ იკითხავთ, როგორ დაითრია ეს ხუთი ჰექტარი? მეფარიძემ დააფუძნა შპს „გირჩა“, რომელსაც თბილისის სატყეო მეურნეობამ ხუთი ჰექტარი გადასცა არენდით, ანუ მეფარიძემ არენდით მისცა მიწა მეფარიძეს, რომელიც შემდეგ მიისაკუთრა. ერთ ფაქტსაც გეტყვით: მეფარიძემ მიისაკუთრა წყნეთში მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი აუზი და მისი მიმდებარე საცხოვრებელი ფართი მიწის ნაკვეთითურთ, რომელიც ნოტარიუსით დაუმოწმა და აჩუქა თავის მეუღლეს...

სანამ „კვირის პალიტრა“ ბატონ ლევან არეშიძეს გაესაუბრებოდა, რამდენიმე დღით ადრე წყნეთის გამგეობას, (როგორც ერთ-ერთი ბიზნესმენის წარმომადგენელი) ვეწვიეთ. გამგეობაში მხოლოდ რამდენიმე კაცი დაგვხვდა. ერთ-ერთმა თავი გამგეობის წევრად გაგვაცნო, თუმცა ვინაობა არ გაუმხელია. ჩვენ მას ნაკვეთის შეძენაში დახმარება ვთხოვეთ. მასაც უარი არ უთქვამს. ხშირტყიანი რამდენიმე ნაკვეთი გვაჩვენა. როცა ერთ-ერთი შევარჩიეთ, გამგეობის წევრმა 20 ათასი დოლარი დაგვიფასა, თანაც გვითხრა, მაკლერებთან ასეთ ნაკვეთს 25-30 ათასადაც ვერ იყიდითო. ბოლოს გაგვაფრთხილა, შენაძენის შესახებ არსად არაფერი წამოგცდეთ, რადგან აქედან მეფარიძე გვებრძვის, იქიდან კი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტიო. საბუთების გაფორმებას მესამე დღისთვის დაგვპირდა. ჩვენ მყიდველის საპასპორტო მონაცემები ჩავაწერინეთ და ბეს მიტანასაც დავპირდით. მესამე დღეს მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა მივიღეთ, სადაც მესაკუთრედ „არტილაპ სირივკი“ იყო დაფიქსირებული.

დასასრული იხ. გვ. 11

# „ГРУ ყველგან მუშაობს — კოდორშიც, თბილისშიც და პარლამენტშიც"

*რამდენიმე კვირის წინ ენგურის ხიდთან დაწყებული დევნილთა აქცია უკვე პიკს აღწევს და არ არის გამორიცხული, მისი გაგრძელება თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის წინ ვიხილოთ. როგორც ამბობენ, დედაქალაქში გადმონაცვლებული რუხის აქცია ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზრდება და ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის.*

*ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტი დევნილებს შეჰპირდა, — ენგურიდან რუს სამშვიდობოებს გავიყვანო. ამ განცხადებას პარლამენტმა სათანადო დასტური მისცა და მხარდაჭერაც აღუთქვა. მაგრამ დღეს შევარდნაძე უკვე ფრთხილობს, მაგრამ არ ფრთხილობენ აფხაზები... ისინი კოდორში რუსი სამშვიდობოების შეყვანას და იქიდან ქართული ჯარის გაყვანას ითხოვენ... როგორც ჩანს, პრობლემები ისევ ჩვენი ხელისუფლების ცოდვების გამო შეიქმნა.*

*აფხაზეთის ომის დროს უშიშროების მინისტრი, პარლამენტარი* **ირაკლი ბათიაშვილი** *კოდორის ხეობაში შექმნილ სიტუაციასა და რამდენიმე წლის წინანდელ იმ ვითარებაზე გვესაუბრება, როდესაც ჩვენთვის წამგებიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.*

— ამ პრობლემის თავიდათავი კი, 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულების დადებისას საქართველო არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იყო — სახელმწიფო და შევარდნაძე რუსეთის მარწუხებში იყვნენ მოქცეულნი. ამ დროს საქართველოს აიძულეს დსთ-ში შესვლა, შევარდნაძე კი აიძულეს საკვანძო თანამდებობებზე პრორუსული ორიენტაციის ხალხი დაენიშნა. მაშინ თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე იყო, უშიშროების — იგორ გიორგაძე, შს მინისტრი — შოთა კვირაია. მოლაპარაკებებში, ფაქტობრივად, ჯაბა იოსელიანი იყო პრეზიდენტის წარმომადგენელი, რომელიც ასევე პრორუსული ორიენტაციის ბრძანდებოდა, დღესაც არის და ამას არც მალავს. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს პოლიტიკას რუსები წარმართავდნენ. აფხაზებთან ყველა შეთანხმება რუსების მითითებით არის დადებული. ქართულმა მხარემ ისეთ პირობაზეც კი მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, ომში მონაწილე პირები აფხაზეთში ვერ დაბრუნდებოდნენ.

ამ სამარცხვინო შეთანხმების თანახმად, განისაზღვრა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზომები, რომელშიც მითითებულია, რომ კოდორის ხეობაში არ შეიძლება შეიარაღებული ძალების (არა მარტო სამხედრო ძალის) ყოლა. ამ შეთანხმების პირობები სეპარატისტებს რუსებმა შეახსენეს და ალბათ, მოსთხოვენ კიდეც დიტერ ბოდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

**— და თქვენ ამბობთ, რომ ამ შეთანხმებაზე მხედრიონის ლიდერს აქვს ხელი მოწერილი?**

— დიახ..

**— მაგრამ ჯაბა იოსელიანი ამბობს, ენგურის ხიდთან რუსი სამშვიდობოების ჩაყენებას არასოდეს დავეთანხმებოდიო.**

— დოკუმენტზე, რომელზეც იოსელიანის ხელმოწერაა, ჩაწერილია, რომ ენგურთან რუსები ჩადგებოდნენ. აფხაზების ერთადერთი მიზანია კოდორის ხეობის დაკავება. არძინბამ თქვა — Кодори это рак на теле Абхазии. რუსების ამოცანა ის არის, რომ წაგვართვან ეს ხეობა და იქ ისეთი პროცესები დაიწყება, რაც სოხუმის მეორედ დაცემის ტოლფასი იქნება. დღეს ჩვენ სავალალო ფაქტის წინაშე ვართ — ერთი მხრივ, კოდორის ხეობიდან ჯარის გაყვანას გვთხოვენ, რათა იქ სამშვიდობო ჯარი შევიდეს და სათანადო ოქმზე ხელი მოაწერინეს კიდეც მალხაზ კაკაბაძეს(!). მეორე მხრივ კი, პარლამენტი ითხოვს სამშვიდობო ჯარის კონფლიქტის ზონიდან გასვლას.

ეს არის ამ ხელისუფლების უპრინციპობის და ამორფული პოზიციის შედეგი.

**— ამასობაში პრეზიდენტი კი ხალხის ნების შესრულებას აყოვნებს... ისევ რუსულ გავლენაზე ხომ არ მიგვანიშნებს ეს ვითარება?**

— რა თქმა უნდა... რუსები არა მარტო მუშაობენ ჩვენს წინააღმდეგ, არამედ არც მალავენ, რომ აფხაზური მხარის გარანტს წარმოადგენენ...

პარლამენტის გადაწყვეტილებას სამშვიდობოების გაყვანაზე, თავად პრეზიდენტმა გაუკეთა პროვოცირება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ შევარდნაძეს არ სურდეს რეალური წარმატების მოპოვება აფხაზეთის საკითხში. თუ რაიმე „მკვეთრი გასროლის" გაკეთება უნდა შევარდნაძეს, ეს აფხაზეთთან დაკავშირებით იქნება, მაგრამ ეტყობა იგი ფრთხილობს რაღაც მიზეზების



ამ სამარცხვინო შეთანხმების თანახმად, განისაზღვრა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზომები, რომელშიც მითითებულია, რომ კოდორის ხეობაში არ შეიძლება შეიარაღებული ძალების (არა მარტო სამხედრო ძალის) ყოლა. ამ შეთანხმების პირობები სეპარატისტებს რუსებმა შეახსენეს და ალბათ, მოსთხოვენ კიდეც დიტერ ბოდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

გამო, თუმცა ამ მიზეზებზე საჯაროდ არაფერს ამბობს. კი ამბობს რუსეთის პრეზიდენტი, სამშვიდობოებს გავიყვანო, მაგრამ რა ქვეტექსტი აქვს ამას, არ ვიცით... მაგრამ, ვფიქრობ, ასეთ სიფრთხილეს აზრი არ აქვს, რადგან რუსეთი ყოველთვის დაგვემუქრება და ყოველთვის ვიქნებით იმ ქაოსში, როგორშიც დღეს ვართ. სჯობს მივიღოთ პრინციპული გადაწყვეტილება და მერე უფრო შესაძლებელი იქნება რუსეთთან მოლაპარაკება. მე პრინციპული პრეტენზია მაქვს ხელისუფლებასთან, რომელმაც დადო ზემოხსენებული ხელშეკრულება და დღეს კი ვერ შეძლო დიტერ ბოდენის დარწმუნება იმაში, რომ კოდორიდან არ შეიძლება ჯარის გაყვანა.

**— ამბობენ, ოქტომბერ-ნოემბრის აქციებმა შეაფერხა რუსების დახმარებით აფხაზეთის დაბრუნება... ამ პროცესებს კახა თარგამაძე აკონტროლებდაო...**

— რა არის ცუდი იმაში, თუ რუსები №1 პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებიან. მაგრამ არ ვიცი, რა შუაშია ამ პროცესებთან კახა თარგამაძე?! ზღაპარია, თითქოს თარგამაძე იყო მოლაპარაკებული რუსებთან და ისინი გვიბრუნებდნენ აფხაზეთს.

**— აბა, რას ნიშნავდა ჩეჩენი ბოევიკების გადაყვანა პანკისიდან?**

— უბრალოდ, ეს იყო ილუზია, რომ რაღაც ხდებოდა. ვიცოდი, რომ ჩატარდებოდა რამდენიმე პარტიზანული ოპერაცია და ამის იქით პროცესები არ განვითარდებოდა. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ქართველებმა და ჩეჩნებმა რამდენიმე ოპერაცია ჩაატარეს ერთად, მაშინ ძალზე დაბნეულები იყვნენ სეპარატისტები. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი მოწინააღმდეგე ძალების სპეცსამსახურებმა ეს ფაქტი გამოიყენეს პროვოცირებისთვის და განაცხადეს — კოდორის ხეობიდან დაიწყო ყველაფერიო. კოდორში ძალიან აქტიურად მუშაობს ГРУ. იქ წლების მანძილზე თავიანთი რეზიდენტიც ჰყავდათ რუსებს. ვიცნობ იმ კაცს, ნანახიც მყავს, მაგრამ არ მინდა მისი ვინაობა დავაკონკრეტო. აგენტურის ინფორმაციის წყალობით, ზუსტად იბომბებოდა ის ადგილები, სადაც პარტიზანული ფორმირებები იმყოფებოდნენ. ГРУ ყველგან მუშაობს — კოდორშიც, თბილისშიც და აქ, პარლამენტშიც.

არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა მოაწყონ პროვოკაცია კოდორის ხეობაში, მოკლან „გაეროს" მისიის წარმომადგენელი ან ვინმე გაიტაცონ და მერე „ტერორიზმის ბუდის" წინააღმდეგ დაიწყონ ერთობლივი ოპერაცია რუსებმა და აფხაზებმა.

ხალხს, რომელიც ენგურის ხიდთან დგას, კარგად ვიცნობ, — ისინი პატრიოტები არიან, ნამდვილი მეომრები, ავტორიტეტები. ისინი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევენ პოლიტიკურ სიტუაციას, ცდილობენ ანტისახელისუფლებო ხასიათი არ მიეცეს აქციას, მაგრამ იმასაც ამბობენ, — მეტს ვეღარ მოვითმენთო. თუ მათი მოთხოვნა არ შესრულდა, ისინი ანტისახელმწიფოებრივ და ანტიშევარდნაძისეულ გამოსვლებს აპირებენ...

*ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციის მიღმა სხვა ინტერესებს ხედავენ „აღორძინების" წარმომადგენლები.*

**სანდრო ბრეგაძე**, პარლამენტარი: — მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძე პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების საკითხში, როდესაც ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ აფხაზეთის საკითხის მოგვარების გასაღები რუსეთში დევს და რუსეთთან მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება ეს პრობლემა, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი აქცია სასიკეთოდ ვერ წაგვადგება. თავადაც კარგად ვიცი, თუ რა წვლილი შეიტანეს რუსებმა აფხაზეთის დაკარგვაში, მაგრამ მათთან ჩხუბით და ომით ეს საქმე არ მოგვარდება. რეალური კონტურები გამოისახა იმისა, რომ ასლან აბაშიძე შეძლებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას რუსეთის და დასავლეთის დახმარებით, მაგრამ ამას ვერ ეგუებიან ის ადამიანები, რომელთაც პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში თავიანთი თავი საქართველოს პირველ პირებად ჰყავდათ წარმოდგენილი. ქვეყნის პირველკაცობა მას ეკუთვნის, ვინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღუდგენს. ამის გაკეთება შეუძლია ასლან აბაშიძეს, თუ ხელი არ შეუშალეს ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი სკამისა და თავიანთი პრემიერ-მინისტრობის ან პარლამენტარობის გამო შეეგუებიან აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და პანკისის დაკარგვასაც კი.

**— თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, ენგურის აქცია მართვადია. კონკრეტულად, რომელი ძალები აქტიურობენ იქ?**

— აქცია იმართება და არა ერთი ძალის მიერ. ესენი არიან პარლამენტარები, კანცელარიის ვირთხები და პრეზიდენტის რწმუნებულებიც. ეს ხალხი დევნილების, პენსიონერების, მუშების მართვას ცდილობს, სურთ გავლენის ქვეშ მოაქციონ ინტელიგენცია, რათა შექმნან პლაცდარმი თავიანთი ხელისუფლებისთვის. მაშინ როცა ინტერესთა ასეთი კონფლიქტი ხდება, გარდაუვალია სამოქალაქო დაპირისპირება. ეს ადამიანები ხელისუფლების შენარჩუნებისთვის სამოქალაქო ომის პროვოცირებაზეც არ დაიხევენ უკან. ან რა უნდა ვილაპარაკო გუბერნატორზე, რომელიც ომს უცხადებს აფხაზეთს. სად აქვს იმერეთს იმდენი შეიარაღება, ან სად ჰყავს ჯარი, რომ აფხაზეთი დაიბრუნოს?

**— იმ ვითარებაში, როცა აფხაზები და გაერო კოდორიდან ჩვენი ჯარების გაყვანას ითხოვენ, მაინც ასლან აბაშიძის დიპლომატიური ნიჭის იმედი გაქვთ?**

— აფხაზებმა შეიძლება ქუთაისამდეც მოითხოვონ ტერიტორია, მაგრამ დავუჯეროთ? ჩვენც ისევე შეგვიძლია არ შევასრულოთ გაეროს რეზოლუცია, როგორც არ ასრულებენ აფხაზები. აფხაზეთის გასაღები არ დევს გაეროში... რუსეთი იმ შემთხვევაში დაგვიბრუნებს აფხაზეთს, როდესაც ხელისუფლების სათავეში სხვა ადამიანი იქნება. ანუ ისეთი, რომელსაც არ ახასიათებს სიტყვის გატეხა და რომელსაც რუსეთიც ენდობა და დასავლეთიც. თუ ასეთი ადამიანი მოვა ქვეყნის სათავეში, გარწმუნებთ, „კალაშნიკოვის" ლულები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისკენ არის მომართული, შებრუნდება. ეს იქნება რეალურად გაკეთებული საქმე და არა ის, რომ ერთ დღეს რუსეთი ლანძღო, მეორე დღეს — დასავლეთი და ორივე შემთხვევაში КГБ-ს ან „ЦРУ"-ს მითითება შეასრულო.

***იზო რიკაძე***

# რაზე მოილაპარაკეს რუშაილომ და ნარჩემაშვილმა?

გასულ კვირას პანკისში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბლოკპოსტებისა და მობილური ჯგუფების გააქტიურებამ, ჯერჯერობით, გადამწყვეტი შედეგი ვერ მოიტანა. უფრო მეტიც, კვირის ბოლოს სერიოზული დაპირისპირება მოხდა „ავღანელთა კავშირსა" და ლუკა რამაზაშვილის რაზმს შორის, რაც იმით დასრულდა, რომ კახელებმა „ავღანელები" „გამოყარეს". ამის მიზეზად კი „ავღანელთა კავშირის" მხრიდან სიტუაციის უფრო დაძაბვა დასახელდა. ამის პარალელურად საქართველოში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, რუშაილოს გამოჩენამ აშკარად დაგვანახვა, რომ პანკისის პრობლემა ხელოვნურად არის პოლიტიზებული და გარკვეულ პოლიტიკურ თამაშებზეა გათვლილი. დღეს საზოგადოებას თითქმის დაავიწყდა კიდეც, რომ აქციები მძევლების გათავისუფლების მოთხოვნით დაიწყო. მძევლები ისევ დატყვევებულნი არიან, მაგრამ ამჯერად უკვე ჩეჩენი ლტოლვილების გაყვანის საკითხი გამოდის წინა პლანზე.

ამ საკითხებზე ვესაუბრებით შს მინისტრს **კობა ნარჩემაშვილს:**

**— ბატონო კობა, კვირის მთავარ თემად ისევ პანკისი რჩება. ბლოკპოსტებთან ერთად, გასულ კვირას თქვენ მობილური ჯგუფების დამატებაც დაგჭირდათ. პანკისში კი სიტუაცია თითქოს უფრო დაიძაბა, რომ აღარაფერი ვთქვათ, უშიშროების თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მომხდარ სისხლიან ინციდენტზე, კვირის ბოლოს „ავღანელთა კავშირს" საკმაოდ სკანდალურად დაატოვებინეს კახეთი. გარდა ამისა, მძევლებიც ისევ ტყვეობაში არიან. ხომ არ ფიქრობთ, რომ გატარებული ღონისძიებების დროს შეცდომა დაუშვით?**

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, იქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იყოს სიწყნარე და წესრიგი. სიწყნარე და წესრიგი კი, სამწუხაროდ, ერთ დღეში არ მყარდება. როცა კაცს ეუბნები, უნდა დაგიჭიროო, საპასუხო ზომებს იღებს. გულახდილად გეტყვით, რომ ახლა პანკისის ხეობა და, კერძოდ, ახმეტის რაიონი ყველაზე მეტად იყო პოლიტიზებული. ასეთ სიტუაციაში დამნაშავეების წინააღმდეგ საბრძოლველად არახელსაყრელი პირობები იქმნება. რაც შეეხება ბერს და ხალილოვს, ამ საკითხებზე ვმუშაობთ და მჯერა, რომ ძალიან მალე შედეგს მივაღწევთ. ისე, მაინც მგონია, ჩვენთვის პანაცეა არ უნდა იყოს ბერი და ხალილოვი. ვფიქრობ, კომპლექსური მიმართულებები უნდა ავირჩიოთ და არა ერთი, კონკრეტული. რაც მთავარია, მძევლების თემა ჩვენთვის სავაჭრო არ არის, — ან ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას და გაათავისუფლებენ, ან არა და, ისე მოვიქცევით, როგორც ეპყრობიან ხოლმე დამნაშავეებს.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ დამნაშავეები უკვე დააკავეთ. ვინ არის ეს ხალხი — ადამიანების გამტაცებლები თუ ნარკობარონები?**

— წავიდა ის დრო, როცა სიბნელეში ხელის ცეცებით ვმოქმედებდით. ანუ არ ვიცოდით, სად რა გვეკეთებინა და რა ხდებოდა პანკისის ხეობაში. დიახ, დაკავებულები არიან კონკრეტული პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ადამიანების გატაცებაში. იქიდან გამომდინარე, რომ მათი თანამზრახველები ისევ არ არიან დაპატიმრებულნი, ამიტომ არ ვამხელთ მათ გვარებს. ამის დროც დადგება. ნარკობარონებს, გგონიათ, ხელს დავაფარებ? ამ კვირას თბილისში ორი ჩეჩენი ქალბატონი დავაკავეთ. ნარკობარონია, აბა, ვინ არის, როცა 600 გრამ ჰეროინს ასაღებს?

**— დაკითხვის შემდეგ თუ მიაკვლიეთ მათ, ვისგანაც მოჰქონდათ ნარკოტიკები?**

— ამის უფლება უკვე ჩვენ დაგვიტოვეთ.

**— სხვათა შორის, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადეთ, რომ პანკისის პრობლემის მოგვარებაში არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური ფაქტორებიც გიშლით ხელს. იქნებ დღეს დააკონკრეტოთ ამ სუბიექტურ ფაქტორებში რას გულისხმობდით?**

— კონკრეტული კადრის არასათანადო მომზადება, მისი მიკერძოებულობა, არაკეთილსინდისიერება. არ ვმალავ, რომ პოლიციაში იყო და არის ხალხი, რომლებიც ხელს ითბობდნენ ამ საქმით.

**— გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, ვლადიმირ რუშაილოს ჩამოსვლის მიზანი, ასე ვთქვათ, რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების განხილვა გახლდათ. მათ შორის უმთავრესი იყო პანკისის ხეობის პრობლემა. თქვენ მას შეხვდით. რა მოილაპარაკეთ?**

— ჩვენ ასე ვთქვათ, გვქონდა ოფიციალური შეხვედრა. საუბარი გვქონდა აფხაზეთისა და ჩეჩენი ლტოლვილების დაბრუნებაზე.

**— და რა გადაწყდა?**

— ეს მუშაობის საგანია... რუსეთის ფედერაციიდან შემოსულ ლტოლვილებს, რომლებიც თანხმობას განაცხადებენ, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუკი ეს მათი სურვილი იქნება. იმიტომ, რომ ძალიან გვიჭირს, ჩვენ ჩვენი ლტოლვილიც ძალიან ბევრი გვყავს.

**— გასაგებია, რომ ჩეჩენმა ლტოლვილებმა გარკვეული ხნის შემდეგ მართლაც უნდა დატოვონ საქართველო, მაგრამ როგორც ვიცი, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი დევნილები არიან ითუმ-ყალეს რაიონიდან (შატილთან ახლოს მდებარეობს). იქაურობა კი მიწასთან არის გასწორებული. სად უნდა დაბრუნდნენ?**



— ლაპარაკია იმაზე, რომ ისინი ოფიციალურად არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. რუსეთის ფედერაცია კი მარტო ჩეჩნეთი ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს, ამ თემაზე საუბარი ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავიწყოთ?

**— პანკისში სიტუაციის მოწესრიგების პასუხისმგებლობის საკითხი თქვენს თავზე აიღეთ. რისი იმედი გაქვთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ მარტო შსს ვერაფერს გახდება?**

— ამ პასუხისმგებლობას მე კანონი ისედაც მაკისრებს. ვერც უშიშროების სამინისტრო გაექცევა თავის წილ პასუხისმგებლობას. თუნდაც ეს მე არ მეთქვა, რა, ხალხს თვალში ნაცარს შეაყრი და ვერ დაინახავს, რაზე აგებ პასუხს და რაზე არა?

**— როგორ ახსნით სახალხო რაზმსა და ავღანელთა კავშირს შორის მომხდარ დაპირისპირებას?**

— მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, რომ რამაზაშვილსაც და კახნიაურსაც საქართველო უყვართ, დღეს მათ შორის მომხდარ გაურკვევლობას დროებითად მივიჩნევ. ისე, ჩვენ არ გვაქვს არც დასანაწილებელი საქართველო და არც ხალხი.

***მარინა მამისაშვილი***

# უნდა დაისაჯოს პირველი „დიდი ღლავი“... ანუ მაღალი თანამდებობის პირი

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

**— როგორია მინისტრების რეაქცია თავიანთი სამინისტროთა შესაძლო გაუქმების მიმართ...**

— როგორსაც მოველოდით — უარყოფითი. საზოგადოების სერიოზული მხარდაჭერა დაგვჭირდება იმიტომ, რომ მძაფრად დაგვიპირისპირდებიან გასაუქმებელ სტრუქტურათა ხელმძღვანელები და შესამცირებელი კადრები...

მაგალითად, შემოსავლების სამინისტროში ბევრი რამ გაკეთდა სასიკეთო, მაგრამ კიდევ ბევრია სამუშაო. ამ ეტაპზე ძალიან გაგვიჭირდება იმის დასაბუთება, შესაძლებელია თუ არა შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროების გაერთიანება, თუმცა საბოლოოდ, ისინი მაინც უნდა შეერწყან ერთმანეთს. ჩვენ ვმუშაობთ, რათა ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში შეიქმნას ბიზნესმენის საქმიანობისთვის შესაბამისი პირობები, ყოველი სამინისტრო თავისი ფუნქციისა და კომპეტენციის ჩარჩოში უნდა მოექცეს, რომლის იქითაც ცხვირს ვერ გაყოფს და არ დააბრკოლებს სხვას... მთელი სიმწვავით დავსვამთ საკითხს — უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე ბიზნესმენი თუ არა! ფაქტია, რომ მათ სამართავად აქვთ კომპანიები, რომლებიც ამ მოხელეებს ბიზნესში ითრევენ. ანუ რას აკეთებს ქონების მართვის სამინისტრო, გაუგებარია, რადგან სახელმწიფო კომპანიები დარგობრივ სამინისტროებს ექვემდებარებიან და სახელმწიფო მოხელეებიც, მინისტრები რეალური ბიზნესმენები არიან, რომლებიც მართავენ ამ კომპანიებს. ამიტომ სახელმწიფო კომპანიები და საწარმოები უნდა დაუბრუნდეს ქონების მართვის სამინისტროს და არგუმენტი, რომ ამ სამინისტროს გაუჭირდება ამის განხორციელება, არ ნიშნავს იმას, რომ ეს არ უნდა გავაკეთოთ. თუ გაუჭირდება, უნდა მივიდეს ისეთი კაცი, რომელიც მოახერხებს ამის გაკეთებას. მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტროს გაეპარა ისეთი შეცდომა „რელასთან“ დაკავშირებით, რაც სახელმწიფოს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელსაც სახელმწიფოსგან მინიჭებული ჰქონდა „რელასის“ მართვის ფუნქცია, ვერ განახორციელა იგი და „რელასის“ ვალები სხვა საწარმოს გადაეწერა, ანუ „რელასის“ ვალები დათმო ენერგეტიკის სამინისტრომ და შედეგად დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება. ამის გამო „რელასი“ შეიძლება ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში. ამიტომ, კატეგორიულად მოვითხოვთ, ენერგეტიკის მინისტრმა დაასახელოს ის პასუხისმგებელი პირი, ვინც ვალდებული იყო „რელასის“ საქმე აქამდე არ მიეყვანა. თუ ამას არ იტყვის, ცხადი გახდება, რომ „რელასის“ ჩავარდნა მისი ბრალია! თუ კვლავაც ასე გაგრძელდა სახელმწიფო საწარმოებში ვალების დაგროვება, დავკარგავთ საწარმოებს. „რელასი“ უკვე რეალურად იკარგება... არადა მსოფლიო ბანკთან მიღწეული შეთანხმებით, უნდა განხორციელებულიყო მისი გამსხვილება სხვა გამანაწილებლებთან გაერთიანებით და მომხდარიყო პრივატიზაცია, როგორც „თელასისა“. მსოფლიო ბანკს 52 მლნ დოლარიც აქვს გამოყოფილი ამ ენერგოსისტემის რეაბილიტაციისათვის, მაგრამ ეს საქმე ჩავარდება, თუ „რელასის“ გაკოტრებაში დამნაშავეები არ დაისჯებიან და არ დამტკიცდება, რომ „რელასის“ ვალების გადაწერა იყო უკანონო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „რელასის“ გარდა უამრავი მაგალითია იმისა, როცა სახელმწიფო არ არის ინსტიტუციონალურად სწორად ჩამოყალიბებული. სავალალო გადაწყვეტილებებს ვიღებთ, შემდეგ ერთმანეთზე გადაბრალების პროცესი იწყება და საბოლოოდ, დამნაშავე არავინ არის. კონტრაბანდაზე რამდენი სტრუქტურა აგებს პასუხს სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავე არავინაა, იმიტომ, რომ პასუხს სთხოვენ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებსაც, საბაჟო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტებსაც, საგანგებო ლეგიონსაც და სასაზღვრო ჯარსაც, კონკრეტული პასუხისმგებელი კი ქვეყანაში არავინაა! რეალურად კი, კონტრაბანდაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს უშიშროების სამინისტრო და ლეგიონი! საუბედუროდ, ქვეყანაში არის გაბერილი ბიუროკრატია, მინისტრებს სთხოვენ ბიზნესმენობას, ყველანაირი არგუმენტი მოჰყავთ ნებისმიერი დარღვევის გასამართლებლად და ა.შ.

> საუბედუროდ, ქვეყანაში არის გაბერილი ბიუროკრატია, მინისტრებს სთხოვენ ბიზნესმენობას, ყველანაირი არგუმენტი მოჰყავთ ნებისმიერი დარღვევის გასამართლებლად და ა.შ.



**— ბოლოს და ბოლოს, დაასახელებენ თუ არა კორუმპირებულ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებსაც პასუხისგებაში მისცემენ...**

— მთავრობის სხდომებზე სულხან მოლაშვილმა და მე არაერთხელ დავასახელეთ კონკრეტული გვარები, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვითარებას რადიკალურად ვერ ცვლის. ქვეყანაში არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ თავისთავად დასახელება, თუნდაც საშუალო თანამდებობის პირებისა, უკვე არის გაფრთხილება მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, რომ სახელმწიფო მუშაობს ამ თემებზე. მაღალი თანამდებობის პირის გვარს ჯერჯერობით იმიტომ ვერ ვასახელებთ, რომ შეიძლება ბოლომდე დამტკიცებული არ იყოს მისი უშუალო მონაწილეობა ამა თუ იმ კორუფციულ საქმეში. როდესაც ქვეყანაში იწყება სერიოზული ღონისძიებები დაუსჯელობის სინდრომის მოსახსნელად, როგორც წესი, უნდა დაისაჯოს პირველი „დიდი ღლავი“ ანუ მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულშია მხილებული, რაც შეაშინებს სხვებს და ჭკუაზე მაინც მოიყვანს. საჭიროა ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომ მთელი ქვეყანა დარწმუნდეს — ცნობილი კორუმპირებულნი დაისჯებიან! დღეს კი ყველაფერზე პასუხს სთხოვენ პრეზიდენტს და მართებულადაც. თუ ახლა მაინც არ ჩამოყალიბდა პასუხისმგებლობის სისტემა, მომავალშიც ყველა საქმე პრეზიდენტამდე მივა. არადა „ღლავების“ დაჭერა სამართალდამცავთა უშუალო მოვალეობაა! მაგრამ მთავრობაში მძვინვარებს ურთიერთგადაბრალების სინდრომიც, ვისაც უნდა და როგორც უნდა იმას გადააბრალებს გაფუჭებულ საქმეს.

**— სამწუხაროდ, ბევრი მთავრობის სხდომა გვახსოვს, რომლისგანაც საზოგადოება მოელოდა რაღაც განსაკუთრებულს, მართლაც გარდამტეხს, მაგრამ შემდეგ დაცინვის საგნად ქცეულა და პლენუმებისა და პოლიტბიუროს სხდომებისთვისაც შეუდარებიათ, არცთუ უსაფუძვლოდ. კონკრეტული შედეგები არა და არ ჩანს... მაგრამ სამაგიეროდ, ჩანს ის, რომ საქართველო ყალიბდება კლანურ-მაფიოზურ ქვეყნად...**

> მინისტრს თუ ნებისმიერ მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც ვერ დაასაბუთებს თავისი ქონების კანონიერებას — გაუშვებენ ციხეში, ქონებას ჩამოართმევენ. ანუ მხოლოდ მისი თანამდებობიდან გადადგომა-გათავისუფლებით არ ამოიწურება საქმე.

— მთავრობის სხდომის ფორმატი ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ ვიცი, რასაც ველოდები სამინისტროებისგან და საკუთარი თავისგან... რაც შეეხება კლანურ-მაფიოზურ სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივას, ბოლო დროს მართლაც ჩამესახა იმედი, რომ ეს არ მოხდება. ეს კითხვა რომ ექვსი თვის წინ დაგესვათ, დაგიდასტურებდით... ახლა კი სამინისტროების ოპტიმიზაცია იქნება საეტაპო რეფორმა ისევე, როგორც დეპუტატებისთვის იმუნიტეტის მოხსნა, ფულის „გარეცხვის“ საწინააღმდეგო მექანიზმების ამოქმედება და ა.შ. დღეს პოლიტიკური ნება მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებისა, უწინარესად შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებისა, არის ის, რომ კორუფციას რეალურად ვებრძოლოთ, თავად ამ უწყებებში მიმდინარეობს შიდასაკადრო წმენდა. ამას წინათ, ჩემი თანამშრომელი გააჩერეს ავტოინსპექტორებმა უსაფუძვლოდ და სულ ინტრიგანი უძახეს. მეორე დღეს ყველანი დაითხოვეს სამსახურიდან. ამ ფაქტების აფიშირებას არ ვახდენთ, რადგან არ მიგვაჩნია ჩვენი მუშაობის მთავარ თემად, მაგრამ პროცესი რომ მართლაც დაიწყო, იმედის მომცემია. გვინდა, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა უკვე თვითონვე დაიცვან მოსახლეობა მსგავსი გამოძალვისაგან. მართალია, დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონპროექტის პოლიტიზება მოხდა, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ კანონი გავიდეს. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტი გამოვა საკმაოდ სერიოზული ინიციატივით... მინისტრს თუ ნებისმიერ მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც ვერ დაასაბუთებს თავისი ქონების კანონიერებას — გაუშვებენ ციხეში, ქონებას ჩამოართმევენ, ანუ მხოლოდ მისი თანამდებობიდან გადადგომა-გათავისუფლებით არ ამოიწურება საქმე. მომხრე ვარ, რომ ყველა ყოფილმა თუ მოქმედმა თანამდებობის პირმა, ვინც კი დამოუკიდებელი საქართველოს რაიმე მოჰპარა და ჯიბე გაისქელა, აგოს პასუხი.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

---

სამხედრო თემაზე

# დაეხმარე, არ დაეხმარე, არმია მაინც სულს ღაფავს...



ეს პოსტულატი საუკეთესოდ ესადაგება ქართულ რეალობას — ითხოვს კრედიტებს ქვეყნის ხელისუფლება, ასევე ხელგაწვდილი ელოდება დახმარებებს ქართული არმიაც.

ყოველი ახალი ცნობა, ქართველი ჯარისკაცებისთვის მორიგი უცხოური დახმარების გაწევის შესახებ, ხშირად საზოგადოებას აღიზიანებს — ძნელია, მუდამ მათხოვრის პოზიციაში იმყოფებოდეს ჩვენი არმია, ისევე როგორც გულსაკლავი შესახედია თურქული „ბოთინკებით“, ბერძნული კომუფლირებული საველე ფორმით, რუსული ქუდითა და საბჭოთა ვარსკვლავით დამშვენებული ბალთიანი ქამრით შემოსილი ქართველი ჯარისკაცი, რომელიც დამტვრეულ სასადილოში ჩინური რკინის ჯამიდან ქართულ წყალწყალა ბორშჩს ხვრეპს.

მარტო ამ „აჯაფსანდალის“ ნახვა იძლევა იმის სრულ სურათს, თუ რომელი ქვეყანა რით ეხმარება ჩვენს სახელმწიფოსგან მივიწყებულ ჯარს.

არადა უცხოური „შემოწირულობები“ ერთადერთი საარსებო წყაროა არმიის არსებობისთვის. ამგვარ დახმარებებს თითქმის ყველა ქვეყნის არმია იღებდა თავის დროზე. იგივე თურქეთი, რომელსაც დღეს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი ჯარი ჰყავს, ამ 20-30 წლის წინ თავად იყო არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში და აშშ-იდან „იკვებებოდა“, მაგრამ დროთა განმავლობაში მიხედა თავის არმიას, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, პროგრესი ამ მხრივ ნამდვილად არ იგრძნობა, პირიქით, ვგონებ, სამხედრო ხელმძღვანელობა შეიძლება ერთგვარად გულს იმშვიდებს — არა უშავს, მშიერი და შიშველ-ტიტველი ჯარი არ დაგვრჩება, დასავლეთი უთუოდ გამოგვიწვდის ხელსო!

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იმ დასავლეთსაც ხომ მოსწყინდება უფსკერო კასრში ფულის ჩადება? ნურავის ეგონება, რომ პენტაგონში ვერ ხვდებოდნენ, ხშირად სად იკარგება ამერიკიდან ქართული არმიისთვის გამოგზავნილი სამხედრო ფორმების პარტიები, თურქეთის ნაჩუქარი საწვავი თუ სხვა დახმარებები. მათ საკმაოდ ობიექტური ოპერატიული ინფორმაცია აქვთ ქართული არმიის რეალური მდგომარეობის შესახებ.

დავუბრუნდეთ სტატიის მთავარ თემას — შარშან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2001 წელს პენტაგონთან ორმხრივი თანამშრომლობის სფეროში 4 პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა:

— სწრაფი რეაგირების ძალების განვითარება და ამ მიზნით ათი UH-1H ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენის (მათგან 4 — სათადარიგო ნაწილებისთვის) გადმოცემა;

— თავდაცვითი რეფორმა, რომელიც გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ და ფუნქციონალურ რეორგანიზაციას მოიცავს;

— მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის რეორგანიზაცია. მან შარშან დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და კოდიდან ვაზიანში გადმობარგდა. ბრიგადას დასავლეთის დახმარება არ მოჰკლებია, იგი NATO-ს სტანდარტის პირველი მსხვილი ქართული დანაყოფი უნდა გახდეს, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბრიგადის მდგომარეობა სახარბიელო იყოს. იქ საკმაო პრობლემები არსებობს (თუნდაც დეზერტირობის მხრივ), რაზეც ბრიგადის მეთაურების ხშირი ცვლაც მეტყველებს;

— სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის გაგრძელება.

ამერიკასთან სამხედრო თანამშრომლობის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამერიკელი ექსპერტების მიერ საქართველოს სამხედრო ძალების შერჩეული შენაერთების შეფასების პროცესის ჩატარება. ეს შეფასება ოქტომბრის ბოლოს განახორციელა აშშ-დან ჩამოსულმა დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მრჩეველი საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილი (ამის თაობაზე „კვირის პალიტრა“ თავის დროზე დაწვრილებით წერდა). მათი რეკომენდაციებით შეირჩა რამდენიმე სამხედრო შენაერთი, რომელთა აღჭურვასა და მომზადებას ამერიკული მხარე მთლიანად კისრულობს. ეტყობა, ამერიკელ სამხედროებს მოსწყინდათ საერთო დახმარებები, რომელსაც შესამჩნევად არ გაუუმჯობესებია ქართული არმიის მდგომარეობა. ამიტომაც პენტაგონი, კონკრეტულ ქართულ სამხედრო შენაერთებს მიზანმიმართულად გაუწევს „სპონსორობას“ და დახმარებების დეტალურ აუდიტსაც მოახდენს.

ისე, საინტერესოა, რაღა საჭირო იქნება თავდაცვის სამინისტროსა თუ გენერალური შტაბის ისედაც გაბერილი მმართველობის აპარატი, თუკი კონკრეტულ ქართულ დანაყოფებზე ოკეანისგაღმიდან იზრუნებენ?!

თურქეთის შარშანდელი დახმარებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაცია გახდა, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ გაიხსნა და მას შემდეგ პოლიტიკური თამაშის საფუძვლადაც იქცა. ამ აეროდრომის ამოქმედებამ ყველაზე მეტად სომხეთი გააღიზიანა. რუსეთის პრესამ სულ გაუტია და ისიც კი თქვა, — მარნეულის აეროდრომით აშშ-ის მძიმეწონიანი სტრატეგიული ბომბდამშენები ისარგებლებენ და თურქეთის საბრძოლო თვითმფრინავებიც დასხდებიანო.

შეიძლება შიშს დიდი თვალები აქვს, მაგრამ ჯერჯერობით მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან უსაფრთხო ფრენების წარმოება მხოლოდ დღისით და ისიც მარტივ მეტეოროლოგიურ პირობებში შეიძლება. არ გამართლდა ჩვენი იმედი, რომ თურქეთის მხარე აეროდრომზე TACAN-ის სისტემის სანავიგაციო აპარატურას დაამონტაჟებდა. ამისათვის შემდგომი გრანტის გამოყოფაა საჭირო. ისე, ის 500-ოდე ბეტონის ფილა, რომელიც აეროდრომზე გამოიცვალა, თავის დროზე საბჭოთა სამხედროებმა შემოიტანეს და 12 წელიწადზე მეტხანს ეწყო აეროდრომზე.

თურქებმა გადაწყვიტეს, რომ 2000 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი 4 მლნ დოლარის გრანტიდან 3,75 მლნ დოლარი მე-11 ბრიგადის მოდერნიზაციას მოახმარონ — მოამარაგონ ავტომანქანებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ამერიკელების შემხედვარე თურქმა სამხედროებმა ორი ცალი UH-1H „იროკეზი“ თავად უფეშქაშეს გურჯებს, თანაც ამერიკელებსაც დაასწრეს საჩუქრების ჩამოტანა.

თურქეთის სამხედროების მიერ საქართველოში „ფეხის გადგმა“ ათენს სულაც არ ეჭაშნიკება და ხელიც გამოიღო ქართული არმიის დასახმარებლად. ეს თანამშრომლობა ძირითადად სამხედრო-საზღვაო სფეროში, სამხედრო განათლებისა და ტელესაკომუნიკაციო სისტემების შექმნაში გამოიხატება. წლეულს საბერძნეთი მაღალჩინოსან ბერძენ ოფიცერს გამოგზავნის მრჩევლის სტატუსით საქართველოს საზღვაო თავდაცვით ძალებში. ბერძნულმა მხარემ იკისრა თავისივე ნაჩუქარი ორი კატარღის შეკეთებაც (საუბარია „ივერიასა“ და „მესტიაზე“). ფოთში გაიხსნა ბერძნული ენის შემსწავლელი კურსები, ხოლო საბერძნეთის სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნა ქართველი კურსანტების ახალი ჯგუფი.

სხვათა შორის, ბერძნულ მხარესთან მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმად ქართველ კურსანტებს ნებას დართავენ, ნახევარი წლით იმსახურონ ბერძნულ სამხედრო ხომალდებზე თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განსამტკიცებლად.

შარშან თავდაცვის სამინისტრო სხვა ქვეყნებთანაც აღრმავებდა თანამშრომლობას.

გერმანიამ ქართულ არმიას 120 ერთეული საავტომობილო ტექნიკა, რადიოსადგურები და დიდი რაოდენობით მშრალი საკვები გამოუგზავნა. დიდმა ბრიტანეთმა თავისი დახმარებები ორი პრიორიტეტული მიმართულებით განსაზღვრა — გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, რაც სამხედრო სპეციალისტების მომზადების დასავლური სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს და შეიარაღებულ ძალებში ინგლისური ენის შესწავლის გაუმჯობესება.

საფრანგეთის სამხედრო ატაშეს თბილისში ყოფნის შემდეგ გააქტიურდა სამხედრო დახმარებები... ფრანგებმა ქართულ არმიას გამოუგზავნეს საველე ფორმები და ძვირად ღირებული კომპიუტერული ტექნიკა, ხოლო საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებში ქართველი ოფიცრები გაიგზავნა.

აღსანიშნავია, რომ შარშან ბულგარეთმა საქართველოს საზღვაო თავდაცვით ძალებს 106K პროექტის ორი მცირე სადესანტო ხომალდი აჩუქა.

ჩინეთმა კი თავისი გემით ფოთში ქართულ არმიას ჩამოუტანა 187 500 დოლარის ღირებულების ჯამ-ჭურჭელი, ხოლო მოგვიანებით დამატებით 375 ათასი დოლარის დახმარება გამოუყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

საერთაშორისო დახმარებების ნუსხის გაგრძელება შორს წაგვიყვანს.

მთავარია, რომ ამ დახმარებებმა არ გააფუქსავატოს ქართული არმია და არც ქვეყნის ხელმძღვანელობას გაუჩინოს დამშვიდების იმედი — ჩემს არმიას საზღვარგარეთი არჩენსო.

არ უნდა დავივიწყოთ — უფასო ყველი მარტო სათაგურშია! რაც არ უნდა უანგარო იყოს ასეთი დახმარებები, ეროვნული არმია საკუთარმა სახელმწიფომ უნდა არჩინოს და შეინახოს, რათა მან ეს უკანასკნელი საჭიროების შემთხვევაში დაიცვას.

***ირაკლი ალადაშვილი***

# ყველა კმაყოფილია — გაეროც, რუსებიც, შევარდნაძეც, წაგებულნი კი კვლავ დევნილები რჩებიან




რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ და გაეროს სამხედრო დამკვირვებლები კიდევ ნახევარი წელი ალბათ „ძალიან ეცდებიან“ დევნილების დაბრუნებას.

გამართლდა ჩვენი გაზეთის ვარაუდი — 31 იანვარს ნიუ-იორკში, გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენებას და ქართულ მხარეს მოსთხოვა როგორც რუსი „ცისფერჩაფხუტიანებისთვის“ მანდატის ნახევარი წლით გაგრძელება, ისე ქართული არმიის რამდენიმე დანაყოფის კოდორის ხეობიდან (უფრო სწორად, დალის სვანეთიდან) გამოყვანა.

გაეროს გადაწყვეტილებაში არის სხვა საინტერესო მომენტიც — აფხაზეთი დაფიქსირებულია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი; თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან დე ფაქტო სეპარატისტული სოხუმი ამას დიდ ყურადღებას არ აქცევს.

საერთაშორისო დიპლომატებმა ოფიციალურ თბილისს მოსთხოვეს, — გადაწყვეტილება რუსეთის „სამშვიდობო ძალებისთვის“ მანდატის გაგრძელების შესახებ, 15 თებერვლამდე მიიღოს. გაეროში არცთუ ისე ორაზროვნად აცხადებენ — თუკი რუსებს არ გაუგრძელებთ მანდატს, მაშინ კონფლიქტის ზონას გაეროს სამხედრო დამკვირვებლებიც დატოვებენო.

მაგრამ გაეროს სანერვიულო არაფერი აქვს, თბილისი, რა თქმა უნდა, გაუგრძელებს მანდატს რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“, როგორც ეს დღემდე არაერთხელ გაუკეთებია. უბრალოდ, შეიძლება 15 თებერვლამდე ეს არ მოესწროს, რადგან დსთ-ის მეთაურთა მორიგი სამიტი 1 მარტს გაიმართება, სადაც ალბათ ოფიციალურად გაფორმდება კონფლიქტის ზონაში რუსეთის „სამშვიდობო ძალებისთვის“ მანდატის 31 ივნისამდე გაგრძელება.

თავიდან ოფიციალური თბილისი თითქოს ითხოვდა, მანდატის გაგრძელებას მხოლოდ მაშინ დავეთანხმებით, თუკი იგი გაფართოვდება და მდ. ღალიძგასაც მოიცავსო. მაგრამ, ყოველივე ეს ერთგვარ პოლიტიკურ ფანდს ჰგავს — სტატიის ავტორი, სამწუხაროდ, დარწმუნებულია, რომ რასაც საქართველოს ხელისუფლება ტელევიზიით თავის მოსახლეობას ჰპირდება, იმ საკითხს 1 მარტის სამიტზე ვერ დააყენებს და მას არც მიიღებენ.

უბრალოდ, ყველაფერი თავისი დინებით წავა — კმაყოფილი დარჩება გაერო, რომ აგრძელებს „სამშვიდობო პროცესს“ აფხაზეთში, კმაყოფილი იქნება რუსეთიც, რადგან შეინარჩუნებს არცთუ ისე პატარა სამხედრო კონტინგენტს დასავლეთ საქართველოში, მთლად უკმაყოფილო არც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება გვეყოლება — ის თავის დამსახურებად ჩათვლის მითურ წინსვლას აფხაზეთის საკითხში...

ერთადერთი კვლავ წაგებულ პოზიციაში ისევ ათასობით დევნილი დარჩება, რადგან რეალურად მათ აფხაზეთში დასაბრუნებლად არაფერი გაკეთებულა. ყოველივე ეს კვლავ განმეორდება ნახევარი წლის შემდეგ და ა.შ.

დალის სვანეთიდან თავდაცვის სამინისტროს დანაყოფების გამოყვანაში რაიმე ტრაგიკული ჯერ არ ჩანს, პრეზიდენტი შევარდნაძე აპირებს მათი შინაგანი ჯარებით შეცვლას. შინაგანი ჯარები გაეროში აღიქმება, როგორც პარამილიტარული ძალები და მათ იგივე აჟარაში ჩადგომაზე გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა დიდი ხმაური წესით არ უნდა ატეხონ.

საინტერესო სხვა რამე არის — თავის დროზე დალის ხეობაში ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ჩამოყალიბდა შინაგანი ჯარების ცალკეული ბატალიონი, რომელიც ამ ხუთიოდე წლის წინ დაშალეს. რა საჭირო იყო მისი ლიკვიდაცია, თუკი დღეს ხეობაში კვლავ ამ სამხედრო სტრუქტურის დანაყოფი უნდა ჩადგეს? ან კი შეძლებს შინაგანი ჯარი ორ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ „ცხელ“ რეგიონში — პანკისსა და კოდორში — ეფექტურად განახორციელოს დაკისრებული მოვალეობა?!

# აურზაური არაფრის, უფრო ზუსტად ჭექა-ქუხილის გამო

31 იანვარს პარლამენტში დიდი ალიაქოთი ატყდა, რომელიც, ბუნებრივია, მასმედიამაც აიტაცა — კოდორის ხეობა კვლავ დაბომბეს და კვლავ ჩრდილოეთის მხრიდან შემოფრენილმა ორმა თვითმფრინავმაო.

მაშინ, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკური „ჭიდაობა“ მიდის — კოდორის ხეობის ქართული სოფლებიდან გაიყვანე, არ გავიყვან ჯარსო — აქაურობის ისევ დაბომბვას შეიძლება ძალიან ბევრი რამ შეეცვალა.

ინფორმაცია, დაბომბვის თაობაზე, ხეობიდან ტელეფონის საშუალებით ადგილობრივმა მცხოვრებმა თბილისში პარლამენტის ერთ-ერთ წევრს მიაწოდა. მანაც არ დააყოვნა და ეს ამბავი საჯაროდ განაცხადა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობდნენ, — დეპუტატებს ვთხოვეთ, ჯერ გადავამოწმოთ ინფორმაციის სიზუსტე და მერე გავიტანოთ საჯაროდო.



სანამ კოდორის ხეობაში მობილური რადიოლოკატორი არ ამუშავდება, მანამდე დაბომბვები კიდევ დიდხანს მოგველანდება.

მაგრამ ასე არ მოხდა. მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ „რუსულმა თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს კოდორის ხეობა“, რასაც მოსახლეობის ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა, განსაკუთრებით სახალხო აქციების ადგილებში.

გადის ორიოდე საათი და უკვე თავდაცვის მინისტრი ოპერატიულად მართავს პრესკონფერენციას — არათუ დაბომბვები, არამედ საჰაერო სივრცის დარღვევასაც არ ჰქონია ადგილიო, — ოფიციალურად აცხადებს თევზაძე.

როგორც ხედავთ, ფიქსირდება საინტერესო სიტუაცია — ქართველებს, მათ შორის მაღალ ოფიციალურ პირებს, თავად ვერ გაურკვევიათ, დაიბომბა თუ არა კოდორის ხეობა და უკვე რუსულ თვითმფრინავებს აბრალებენო, — იტყვიან კრემლში.

ხვალ, ღმერთმა არ ჰქნას და, მართლაც რომ მოხდეს მორიგი საჰაერო შეტევა, ოფიციალური მოსკოვი პირველ რიგში კვლავ მოიტანს საქართველოს თავდაცვის მინისტრის რუსეთის მასმედიისთვის გაცემულ პასუხს — ადგილობრივ მცხოვრებლებს შეეშალათ და ჭექა-ქუხილი დაბომბვად მიიჩნიესო. თანაც რუსული ტელეარხები არც მიუთითებენ ინტერვიუს რეალურ თარიღს და მილიონობით ტელემაყურებელი ადვილად დარწმუნდება ქართველების სრულ არაპროფესიონალიზმში — მეხის გავარდნა ბომბის აფეთქება ჰგონიათო.

თავდაცვის მინისტრმა თავისი სიტყვების დასტურად დასავლეთ საქართველოში განთავსებული რადიოლოკაციური სადგურების მონაცემები მოიყვანა, რომლებსაც 31 იანვრის დილას საჰაერო სივრცის დარღვევა ჩრდილოეთის მხრიდან არ დაუფიქსირებიათ. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ვერც ფოთის და ვერც კოპიტნარის რადიოლოკატორი სრულად ვერ გააკონტროლებს, რა ხდება კოდორის ხეობის მიმართულებით — ჯერ ერთი, აქ ხშირად უწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება და მეორე, მთავარი — რადიოლოკატორი მხოლოდ პირდაპირ „ხედავს“. თუკი წინ მთებია, მათ უკან ერთგვარი „მკვდარი ზონა“ იქმნება, სადაც რადიოლოკატორის რადიოტალღები ველარ აღწევს. ამიტომაც, სამწუხაროდ, თბილისისთვის დღეისათვის უცნობია, რა ხდება კოდორის ხეობის თავზე, დაბალ სიმაღლეზე საჰაერო სივრცეში. ამის გამოსწორება უშუალოდ ხეობაში მობილური და კომპაქტური რადიოლოკატორის დამონტაჟებას თუ შეუძლია. მანამდე კი, მუდამ უნდა ველოდოთ, კიდევ ვინ შეატყობინებს პარლამენტარს თუ ჟურნალისტს, მორიგი დაბომბვის შესახებ — აურზაურიც აუცილებლად ატყდება. და ჩვენც დავემსგავსებით იმ ცრუპენტელას, რომელიც ძახილით — მგელი მგელიო, სოფელს აშინებდა და როცა მგელი მართლა გამოჩნდა, აღარავინ დაუჯერა.

არსენალი

# გაისროლე და... მოისროლე

## ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნების ისტორია

გასული საუკუნის ბოლოსთვის მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული გახდა ერთჯერადი ნივთების მოხმარება — ისადილებ პლასტმასის თეფშზე და ნაგავში მოისვრი, გარეცხვით თავს არ შეიწუხებ, გამოიყენებ ჩაის ნაყენის ერთჯერად პაკეტს და მასაც ზემოხსენებულ გზას გაუყენებ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საბრძოლო იარაღის კონსტრუქტორებმაც მიბაძეს სამოქალაქო კოლეგებს. არა,



გერმანული ერთჯერადი ყუმბარსატყორცნი „PANZERFAUST“. 1944 წ.

ერთჯერადი ტანკი თუ შვეულმფრენი ჯერ არავის შეუქმნია, მაგრამ ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები კი ფართოდ გავრცელდა.

ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის შემქმნელებად ფაშისტური გერმანიის ძალზე ჭკვიანი კონსტრუქტორები უნდა მივიჩნიოთ. 1942 წელს აშშ ლენდ-ლიზით იარაღს აწოდებდნენ საბჭოთა კავშირს. ამ იარაღის სახეობებს შორის იყო იმ დროისათვის ახალი ხილი — ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვი „ბაზუკა“. როგორც ომების დროს ხშირად ხდება, გერმანელებმა ნაალაფარის სახით რამდენიმე „ბაზუკა“ ჩაიგდეს ხელში და ცოტა ხანში მის საფუძველზე შექმნეს ერთჯერადი „პანცერფაუსტი“ (PANZERFAUST), რომელსაც საბჭოთა ჯარისკაცები „ფაუსტპატრონას“ ეძახდნენ. ამ, შედარებით მსუბუქი (3,5 კგ) ერთჯერადი კუმულატიური ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით გერმანელები ბერლინის ქუჩებში საბჭოთა T-34 ტიპის ტანკებს 100 მ-ის მანძილიდან თავისუფლად აფეთქებდნენ, რადგან „ფაუსტპატრონა“ 200 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს ხვრეტდა. საბჭოთა ტანკისტები იძულებულნი იყვნენ, ტანკების შუბლსა და ბორტებზე რკინის „ლეჟანკები“ დაედუღებინათ — „ფაუსტპატრონის“ კუმულატიური ქობინი საწოლის რკინის დეტალებთან შეხებისთანავე ფეთქდებოდა, კუმულატიური ჭავლი იფანტებოდა და ტანკის ჯავშანს ველარ ხვრეტდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები ცოტა ხნით დაივიწყეს — ზესახელმწიფოები ატომური იარაღის შექმნით იყვნენ დაკავებულნი და პატარა ჭურვებისთვის აღარ სცხელოდათ.

მაგრამ კორეის ომის დაწყებისთანავე და შემდგომ ვიეტნამის ჯუნგლებში ბრძოლისას ამერიკელები მიხვდნენ, რომ მსუბუქი და რაც მთავარია, ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების გარეშე იოლად ვერ გავიდოდნენ. ამიტომაც 1962 წელს აშშ-მა შეიარაღებაში მიიღო კომპაქტური ერთჯერადი რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი M72, მოგვიანებით, ანალოგიური იარაღი „მინიმანი“ შვედეთის არმიაშიც გამოჩნდა.

სწორედ ვიეტნამის ჯუნგლებში იგდო ხელთ საბჭოთა ГРУ-მ ამერიკული M72-ების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც სასწრაფოდ მოსკოვში გაიგზავნა. პირველი საბჭოთა ერთჯერადი ტანკსაწინააღმდო რეაქტიული ყუმბარსატყორცნი РПГ-18 „Муха“ 1972 წელს მიიღეს შეიარაღებაში და იგი ფაქტობრივად ამერიკული M72-ის ანალოგს წარმოადგენდა. „მუხა“ ორი ერთმანეთში ჩასმული მილისგან შედგება. გასროლის წინ ხდება მისი გაშლა. მთლიანად „მუხა“ 2,6 კგ-ს იწონის და მასში მოთავსებული რეაქტიული კუმულატიური ჭურვის გასროლა პირდაპირი დამიზნებით 135 მ-ის სიშორეზე შეიძლება. მისი ჯავშანგამტანობა არანაკლებ 150 მმ-ია, თანაც მიზანში $60^0$-იანი კუთხით მოხვედრის დროს.

იმის გამო, რომ „მუხის“ გასასროლად ჯარისკაცს რამდენიმე ოპერაციის შესრულება სჭირდებოდა (მილის უკანა სახურავის მოხსნა, მილების გაშლა, დამცველის ქვემოთ ჩაწევა), რასაც ბრძოლის დროს ასე საჭირო წამები მიჰქონდა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაუმჯობესებული ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების შექმნის შესახებ.

РПГ-22 „Нетто“ შეიარაღებაში 1980 წელს მიიღეს. მას არ სჭირდებოდა მილების გახსნა, თუმცა კონსტრუქტორებმა პატარა წამატებული მილი მაინც დაუტოვეს. 2,7 კგ-იანი „ნეტო“ 73 მმ კალიბრის რეაქტიულ ჭურვს 160 მ-ის სიშორეზე ისროდა და 200 მმ სისქის ჯავშანს ხვრეტდა. ამბობენ, ეს უცნაური სახელი მას ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის პატივსაცემად დაერქვა.



სურათი შესადარებლად: РПГ-18 „Муха“, РПГ-22 „Нетто“, РПГ-26 „Аглень“, РПГ-27 „Таволга“

შემდგომ ერთჯერად ყუმბარსატყორცნად იქცა РПГ-26 „Аглень“. იგი საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1985 წელს მიიღეს და თავისი „წინაპრებისაგან“ კონსტრუქციულად ბევრად უფრო გაუმჯობესებული გახლდათ. მინაპლასტიკისგან დამზადებული რაკეტის გასაშვები მილის ბოლოები რეზინის ხუფებით იყო დაფარული. მსროლელს მილების გაშლა ან ხუფების მოხსნა აღარ სჭირდებოდა. თანაც „მუხასგან“ განსხვავებით, თუკი ჯარისკაცი სროლას გადაიფიქრებდა, „აგლენს“ ისევ დამცველზე დააყენებდა. გაშლილი „მუხის“ დაკეცვა კი შეუძლებელი იყო. 77 სმ სიგრძის „აგლენი“ 73 მმ კალიბრის რეაქტიულ ჭურვს 170 მ-ზე ისროდა და 220 მმ სისქის ჯავშანს ხვრეტდა. რაკეტის საწყისი სიჩქარე გასროლის მომენტში 144 მ/წმ-ს აღწევდა. მთლიანად „აგლენი“ 2,9 კგ-ს იწონიდა.

80-იან წლებში მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ თავიანთი ტანკები დინამიკური დაცვის ელემენტებით აღჭურვა — მათზე კუმულატიური ჭურვის მოხვედრისას ფეთქდებოდა ამ ელემენტში მოთავსებული ტროტილი და აფეთქების ტალღა ფანტავდა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის მიმართულ კუმულატიურ ჭავლს. ამის გამო 1989 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა 105 მმ კალიბრის ერთჯერადი РПГ-27 „Таволга“, რომელსაც ტანდემურად (ერთმანეთის მიყოლებით) განთავსებული ორი კუმულატიური ქობინი ჰქონდა. პირველი, მცირე ზომის ქობინი, აფეთქებდა დინამიკური დაცვის ელემენტს. მეორე, ძირითადი კუმულატიური ქობინი კი უკვე უშუალოდ ტანკის ჯავშანს ხვრეტდა. 1,1 მ-ის სიგრძისა და 7,5 კგ მასის „ტავოლგა“ 150 მ-ის მანძილზე 350 მმ სისქის ჰომოგენურ ჯავშანს ხვრეტდა. მისი პირველი ქობინის კალიბრი 64 მმ იყო, ხოლო მეორე ძირითადისა — 105 მმ.

ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები მათი შედარებით სიიაფისა და სიმარტივის გამო ფართოდ გამოიყენება ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში. ასე იყო ავღანეთშიც და ასეა დღეს ჩეჩნეთშიც. აფხაზეთის ომშიც გამოჩნდნენ „ერთჯერადები“. სტატიის ავტორს ქართული დანაყოფების შეიარაღებაში ომის დროს ძირითადად „მუხები“ თუ უნახავს, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგეს „აგლენებიც“ ჰქონდა.

ყველაზე „შთამბეჭდავად“ РПГ-26 „Аглень“-ები 1998 წლის 9 თებერვალს გამოჩნდა, როდესაც კრწანისში საქართველოს პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟს ძირითადად ამ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები დაუშინეს თავდამსხმელებმა. ცნობილი რუსი პოლიტიკოსი ევგენი პრიმაკოვი ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში ირონიულად იცინოდა და არ სჯეროდა, რომ რუსული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები ვერ ააფეთქებდა შევარდნაძის გერმანულ შეჯავშნულ „მერსედესს“. ლიმუზინს ორი РПГ-26 კაპოტის წინა მარჯვენა მხარეს მოხვდა და მანქანის ძრავამ შეასრულა ერთგვარი, ტანკის დინამიკური დაცვის ელემენტის ფუნქცია. რაკეტის მიმართული კუმულატიური ჭავლი მანამდე გაიფანტა, სანამ შეჯავშნულ სალონამდე მიაღწევდა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ბორჯომის ბოთლი ისე შემოსცხო სახეში, რომ მხოლოდ ყელიღა შერჩა ხელში



ოთხმოცდაცამეტი წლის დამდეგს „შორსმჭვრეტელმა“ ქართველმა „მხედართმთავრებმა“ აფხაზეთიდან, სადაც ის-ის იყო ომი უნდა დაწყებულიყო, სამეგრელოში გადაისროლეს იმ დროს სტიქიურად შექმნილი საჯარისო შენაერთები, რომელთაც გენერალი გია უჩავა სარდლობდა. ამ შენაერთებს წესრიგი უნდა დაემყარებინათ ზუგდიდსა და წალენჯიხაში, სადაც ცოდვა გამხელილი სჯობს და, ამის საჭიროება კი იყო, მაგრამ იმ კონტინგენტით, რომელიც იქ შეიყვანეს, უჩავა კი არა, მამა ღმერთიც ვერ დაამყარებდა წესრიგს.

გაზაფხული შემოდიოდა საქართველოში, ავადსახსენებელი ოთხმოცდათორმეტის გაზაფხული. ბუნებასთან ერთად ზამთრის ბუნაგს შეფარებულმა შავმა სამყარომაც გაიღვიძა და სათარეშოდ უპირველესად საავტომობილო გზები აირჩია. იმ დღეს, ნაშუადღევს, წალენჯიხის გზაზე, გულივერ კვარაცხელიას ავტომანქანის წართმევა დაუპირა შარაგზის სამმა ყაჩაღმა, მისივე თანასოფლელებმა ბესიკ მიქავამ, გოჩა ბობოხიამ და თენგიზ ხარჩილავამ. გულივერმა იუკადრისა — რას მიბედავთ ჩემი მეზობლებიო და წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ... გოჩა ბობოხიამ დანა ჩაარტყა ბარძაყში და ვიღაც მადლიანს საავადმყოფოში რომ არ გაექანებინა, ალბათ ადგილზე დაიცლებოდა სისხლისგან. ეს ამბავი „წესრიგის დამცველებმა“ საღამო ხანს შეიტყვეს და ხარჩილავას ვერა, მაგრამ მიქავასა და ბობოხიას, თავიანთი ეზოების ჭიშკრებთან ჩაუსაფრდნენ და მალე ორივენი რაიონში წამოიყვანეს.

წალენჯიხის ცენტრში, ამ ამბის გამო თავშეყრილ ხალხთან ერთად, მათ დაბრუნებას ელოდებოდა ჩვენი წერილის გმირიც, ადრე აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის გამოსაფხიზლებლის ინსპექტორი, 33 წლის გიორგი შულაია, რომელსაც წამსვე გაუთავისუფლეს ადგილი მძღოლის გვერდით და მისივე ბრძანებით საავადმყოფოსკენ გასწიეს. იქ დაკავებულები დაჭრილისათვის უნდა წარედგინათ... ამოსაცნობად. მაგრამ შულაია საავადმყოფომდე ველარ ითმენდა, ჯერ დახოცვით ემუქრებოდა, შემდეგ ავტომატის კონდახით სცემდა ორივეს თავპირისა და მკერდის არეში, რასაც ბუნებრივია, მკვდრისა და ცოცხლის გინებაც ახლდა თან. საავადმყოფოსთან მისვლის შემდეგ მიქავამ კი მოახერხა დაჭრილის პალატამდე მილასლასება, მაგრამ გოჩა ბობოხია ორმა კაცმა ხელით მიათრია ავადმყოფის საწოლთან.

**მოწმე, იგივე დაზარალებული, გულივერ კვარაცხელია:** — იმ ოთახში, სადაც მე ვიწექი, ჯერ ბესიკ მიქავა შემოიყვანეს, რომელმაც აღიარა, რომ ის ერთი იმათგანი იყო, ვინც გზაზე გადამიდგა. ამის შემდეგ ორმა ავტომატიანმა ხელით შემოიყვანა გოჩა ბობოხია, რომელიც ფეხზე ვერ დგებოდა. ერთმა მათგანმა, მაღალმა, თეთრთმიანმა (სასამართლო განჩინების თანახმად, გიორგი შულაიამ) ხელი გაუშვა და ავტომატის კონდახი ჩაარტყა მუცელში, შემდეგ მეორემაც გაუშვა ხელი და გოჩა ბობოხია იატაკზე დავარდა, ჭაღარათმიანმა ამჯერად ფეხი ჩაარტყა მუცლის არეში. გოჩა ბობოხიას არც შემოსვლისას, არც ცემის, არც იატაკზე დაცემის დროს ხმა არ ამოუღია, არც დაუკვნესია. იგი ოდნავ ამოძრავებდა ხელფეხს. თვალებიც ოდნავ ჰქონდა გახელილი. მკვდარი არ იყო. ამის შემდეგ ესროლეს ავტომატიდან...

დიახ! შულაიას ავტომატიდან ნასროლმა ტყვიამ საბოლოოდ მოუსწრაფა სიცოცხლე ცემისაგან სიკვდილის პირას მისულ გოჩა ბობოხიას.

**ამონარიდი ბესიკ მიქავას ჩვენებიდან:** — ამის შემდეგ შულაიამ მე შემიყვანა იმავე პალატაში — წამოდი, შენც უნდა მოგკლაო. მიმაყენა კედელთან და მომიშვირა ავტომატი, მაგრამ ამ დროს სხვა გვარდიელებიც შემოვიდნენ და სროლის უფლება არ მისცეს, თუმცა იმდენი მცემეს, რომ გონი დავკარგე.

**თერაპიული განყოფილების ექთანი ინეზა ზარქუა:** — გულივერ კვარაცხელია იხვეწებოდა: გოჩა ჩემი სოფლელია და ნუ მოკლავთო...

ჭაღარათმიანი საოპერაციოში მედპერსონალს არ უშვებდა.

**საოპერაციოს მედდა ნათელა ძაძამია:** — მე ვნახე იატაკზე გაშხლართული გოჩა ბობოხია, მინდოდა შესვლა, მაგრამ არ შემიშვეს — აქ დაკითხვა-დაპირისპირება მიდის და საჭირო არა ხარო.

**ამონარიდი სასამართლოს განჩინებიდან:** — გია შულაიას რომ გაადვილებოდა გოჩა ბობოხიას ცემა, ეს უკანასკნელი ხელით ეჭირა „ბაჩოს“, იმავე სერგო გაბედავას, შულაიას სოხუმელ მეგობარსა და შემდგომშიც მის თანამოაზრეს მსგავს საქმეებში. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გულივერ კვარაცხელია სთხოვდა შულაიას და „ბაჩოს“, არ მოეკლათ გოჩა ბობოხია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შულაიას აშკარად განზრახული ჰქონდა ბობოხიას მოკვლა.

— აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, შერვაშიძის თავმჯდომარეობით, ზემოთ აღნიშნული განჩინებით დამატებით გამოძიებას მოითხოვდა ამასთან დაკავშირებით. ეს რომ მომხდარიყო, შესაძლოა დანაშაულისთვის მიეცათ არა გაუფრთხილებლობით მკვლელობის (რომელსაც შეეხო საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 2 ივნისის ამნისტია და ბოროტმოქმედი სასჯელისაგან გაათავისუფლეს), არამედ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია. დაუსჯელობამ გათამამება იცის და შედეგმაც არ დააყოვნა. ორი წლის შემდეგ დაახლოებით იგივე განმეორდა, ოღონდ ამჯერად უფრო გავრცობილი დეტექტიური სცენარით.

## ადამიანზე ნადირობა თბილისშიც გრძელდება

ლტოლვილის სტატუსით თბილისში ჩამოსახლებული გიორგი შულაია გვერდიდან არ იცილებდა თავის განუყრელ მეგობარს, სერგო გაბედავას, ჩვენთვის უკვე ნაცნობ „ბაჩოს“. აქვე, თბილისში, ამ ორმა ძმაკაცმა, მესამე სოხუმელ მეგობარს დავით ხარაიშვილს დიღმის მასივში მანქანით წაყვანა სთხოვეს გენერალ გია უჩავასთან. გენერალს ავტომანქანა „მერსედესი“ შეუძენია შულაია-გაბედავას საერთო მეგობრისაგან, ბესიკ მამუკელაშვილისაგან ათი ათას დოლარად, მაგრამ რაკი მამუკელაშვილი კახეთში მოუკლავთ, გიორგი შულაიას უნდა აეღო ეს ფული გია უჩავასაგან. სტუმრებს გია უჩავა შინ არ დახვდათ და გადაწყვიტეს, დალოდებოდნენ. ამასთან, დრო რომ ტყუილად არ დაეკარგათ, მანქანაში არყის სმით ირთობდნენ თავს. გენერალი უჩავა არ ჩანდა. ამასობაში, ეზოში, სადაც სამეული იდგა მანქანით, ვიღაცამ თავისი მანქანის მობრუნება დააპირა, მაგრამ სიბნელეში ვერ შენიშნა და უკუსვლის დროს მათი მანქანა დააზიანა. შექეიფიანებულმა შულაიამ თავისი „მაკაროვი“ იძრო, „დამნაშავე“ მძღოლი ძალით გადმოათრია მანქანიდან და ფეხებთან დაუცალა პისტოლეტი, ამასთან, უშვერი სიტყვებით აგინებდა და პისტოლეტის ტარს ურტყამდა ლევან გველესიანს, რომელიც თურმე იხვეწებოდა — მანქანას ხვალვე გაგიკეთებთ, რისთვის მკლავთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გველესიანის მეუღლე კივილით ითხოვდა შველას — ქმარს მიკლავენო. ამგვარ ქმედებას მართლმსაჯულებაში ეწოდება ბოროტი ხულიგნობა ცინიზმით. ცოლ-ქმარს არავინ მიშველებია, ისევ თავისიანებმა დააწყნარეს გავეშებული შულაია. უჩავა კი არსად ჩანდა. არყის სმა გაგრძელდა. საუბარი დავით ხარაიშვილის ძმას შეეხო, რომელსაც შულაიამ დედა შეაგინა, მაგან ყაჩაღობაში თანამონაწილეები ჩაუშვაო. ამის გამგონე ხარაიშვილმა, არც აცია, არც აცხელა — როგორ თუ შენ დედაჩემს აგინებო და ბორჯომის ბოთლი ისე შემოსცხო სახეში, მხოლოდ ყელიღა შერჩა ხელში. შულაიამ შუშის ნამსხვრევებით დაკაწრული სახე ჩამოიწმინდა, ერთბაშად მოწყვიტა მანქანა ადგილიდან, დიღმის ხიდთან სანაპიროზე, მოფარებულ ადგილას ჩაუხვია, ძირს გადმოვიდა და ვიდრე ირგვლივ შემოუვლიდა, ჯერ მანქანის წინა ფრთას ესროლა, შემდეგ დათო ხარაიშვილს მიეჭრა დედის გინებით, გადმოდიო, მაგრამ როცა ნახა, ეს უკანასკნელი გადასვლას არ აპირებდა, გულმკერდის არეში დაახალა ტყვია. ხარაიშვილი ტკივილისაგან ერთბაშად მოიხარა წელში, მერე ნელ-ნელა გადმოვიდა მანქანიდან და ჩაიკეცა. ამის დამნახავმა, აქამდე ჩუმად მყოფმა სერგო გაბედავამ იგრძნო, რომ მისმა მეგობარმა შორს შეტოპა და ახლა უკვე იკადრა ხმის ამოღება — რას შვრები ბიჭო, კლავო, თუმცა უკვე გვიან იყო. ხარაიშვილი საავადმყოფოში კი მიიყვანეს, მაგრამ დაჭრილი მალევე გარდაიცვალა. ეს მოხდა 1994 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე. წალენჯიხის ამბიდან ჯერ ორი წელიც არ იყო გასული. მეორე დღეს, თორმეტ საათზე მიუყვანა მანქანა გიორგი შულაიამ გარდაცვლილის ოჯახს. ზამთრის ამ თოვლჭყაპიან დღეს მანქანის შიგნით და გარეთ ასე საგულდაგულოდ გარეცხვა ცუდად ენიშნათ ხარაიშვილებს. მკვლელს კვალის დაფარვა უცდია, მაგრამ უშედეგოდ, მანქანის დასაჯდომებსა და იატაკის საფენებზე კვლავაც გარკვევით ჩანდა ადამიანის სისხლის კვალი. შულაია არც პანაშვიდებზე გამოჩენილა და არც გასვენებას დასწრებია. ორი დღე გააჩერეს პოლიციაში და „მტკიცებულებების არარსებობის“ გამო გაუშვეს. მანაც უმალვე დატოვა საქართველო და მიიმალა. თუმცა მკვლელობის ფაქტზე აღძრული საქმის ირგვლივ მტკიცებულებები მაინც შეგროვდა და როცა უცხოეთიდან დაბრუნებულ შულაიას თავი სამშვიდობოს ეგონა და ალბათ ფიქრობდა, სამი წლის შემდეგ ვიღას ემახსოვრება ხარაიშვილის მკვლელობის საქმეო, თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე დააკავეს. დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. მართალია, მისი ბრალდების მოტივი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება იყო, მაგრამ ხუთი წელი და ექვსი თვე საკმარისია საიმისოდაც, ბრალი მკვლელობის ნაწილშიც რომ წარედგინათ და ასეც მოხდა. მაგრამ შულაია ყველაფერს უარყოფდა და აცხადებდა — როცა დიღმის მასივიდან დიდუბის მიმართულებით მივდიოდით, ხიდთან გადაგვიდგა გვარდიისფორმიანი ავტომატშემართული ხალხი და მანქანის გაჩერება მოგვთხოვეს. მე ხარაიშვილს ვურჩიე, მანქანა არ გაეჩერებინა, მაგრამ მაინც გააჩერა, გადმოვიდა და ფორმიანებს გამოელაპარაკა — ჩვენც თანამშრომლები ვართ, ბიჭებოო — მათ კი ესროლეს. გაბედავას დახმარებით დაჭრილი მანქანაში ჩავსვით და საავადმყოფოში წავიყვანეთო. შულაიამ კატეგორიულად უარყო, რომ ამ დროისათვის „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტს ატარებდა — მე იარაღი სოხუმში ჩავაბარე, როცა იქიდან წამოვედიო, თუმცა ლევან გველესიანმა დაპირისპირებისას პირდაპირ მიახალა — იარაღი შენზე ნაკლებად არ ვიცი და იმ ღამეს ხელში „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი გქონდაო. „მაკაროვის“ ტყვიის მასრაა ნაპოვნი შემთხვევის ადგილზე დათვალიერებების დროსაც. ახლა შულაიას ინტერესების დამცველი, ადვოკატი თინათინ ტომარაძე აცხადებს, რომ ეს მასრა შემთხვევის ადგილზე თვითონ შულაიამ იპოვა დათვალიერების დროსო და იმაზე ამახვილებს ყურადღებას, ჩემი კლიენტი რომ მკვლელი იყოს, ამას ხომ არ გააკეთებდაო. გამოძიება და სასამართლო კი თვლის, რომ აღნიშნულ მასრას შულაია თუ ვერ იპოვიდა, ამას გააკეთებდნენ სხვები, ამისთვის ტარდებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამასთან, მასრას გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ის იარაღიც არსებობს, რომლითაც მასრა დაცალეს. იარაღი კი შულაიამ გადამალა. ამის შესახებ დაკითხვისას სამგზის განაცხადა მკვლელობის თვითმხილველმა სერგო გაბედავამ, რომელმაც ამდენჯერვე ზუსტად გაიმეორა ჩვენ მიერ ზემოაღწერილი სურათი იმის შესახებ, თუ როგორ მოკლა გიორგი შულაიამ დავით ხარაიშვილი. თუმცა შიგადაშიგ გაბედავა საპირისპირო ჩვენებებსაც იძლევა და აცხადებს, რომ ე.წ. აღიარებებს იგი გამოძიების ზეწოლით იძლეოდა, მაგრამ ერთი ასეთი განცხადების დროს, როცა გარდაცვლილის ბიძამ, ბატონმა სერგო იაკობიძემ სახელოში მოქაჩა — აბა, თვალებში შემომხედე და ისე ილაპარაკეო, ეტყობა, ამ კაცში მინავლულმა სინდისმა გაიღვიძა და მომხდარი ფაქტის უარყოფა ველარ გაბედა.

> **როგორ თუ შენ დედაჩემს აგინებო და ბორჯომის ბოთლი ისე შემოსცხო სახეში, მხოლოდ ყელიღა შერჩა ხელში. შულაიამ შუშის ნამსხვრევებით დაკაწრული სახე ჩამოიწმინდა, ერთბაშად მოწყვიტა მანქანა ადგილიდან, დიღმის ხიდთან სანაპიროზე, მოფარებულ ადგილას ჩაუხვია, ძირს გადმოვიდა და ვიდრე ირგვლივ შემოუვლიდა, ჯერ მანქანის წინა ფრთას ესროლა, შემდეგ დათო ხარაიშვილს მიეჭრა დედის გინებით, გადმოდიო, მაგრამ როცა ნახა, ეს უკანასკნელი გადასვლას არ აპირებდა, გულმკერდის არეში დაახალა ტყვია.**

> **გოჩა ბობოხიას არც შემოსვლისას, არც ცემის, არც იატაკზე დაცემის დროს ხმა არ ამოუღია, არც დაუკვნესია. იგი ოდნავ ამოძრავებდა ხელ-ფეხს. თვალებიც ოდნავ ჰქონდა გახელილი. მკვდარი არ იყო. ამის შემდეგ ესროლეს ავტომატიდან...**

**სერგო იაკობიძე, მოკლულის ბიძა:** — მე და ჩემი რძალი, დათოს მეუღლე, იპოდრომთან, ჩემი საცხოვრებელი სახლის წინ შევხვდით სერგო გაბედავას, რომელმაც სიტყვასიტყვით ამიწერა შულაიას მიერ ჩემი დისშვილის მოკვლის ეპიზოდი და ისიც მითხრა, სიმართლე ესაა, მაგრამ მე გიას ვერ დავუპირისპირდები, მისგან მოსალოდნელი შურისძიების მეშინიაო.

## გაჭიანურებული პროცესი და საკანონმდებლო ვაკუუმი

დაზარალებული მხარის თხოვნით, ამ წერილის ავტორი რამდენჯერმე გახლდათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოში, სადაც დიდი ხნის წინ უნდა დასრულებულიყო აღნიშნული პროცესი. სასამართლო კოლეგიას მოსასმენი დარჩა მხოლოდ ბრალდებულის მხარის, ანუ შულაიას ადვოკატის დაცვითი სიტყვა, რის შემდეგაც სასამართლო განაჩენს გამოიტანს, მაგრამ...

— **ქალბატონო თინათინ, როგორც დაზარალებული მხარე აცხადებს და მას სახელმწიფო ბრალმდებელიც ეთანხმება, სასამართლო თქვენი მიზეზით ჭიანურდება. რით ახსნით ამას?**

**თინათინ ტომარაძე, ადვოკატი:** (სტილი დაცულია) მე მოუმზადებელი პროცესზე ვერ გამოვდივარ იმიტომ, რომ საკმაოდ სქელკანიანი საქმეა. ხუთი ტომია... პროკურორს, რატომღაც მოსწონს თერთმეტი წელი... თერთმეტ წელს ითხოვს იმ დროს, როცა ყალბი მოწმეები იყო, იგივე თერთმეტ წელს ითხოვს დღესაც პროკურორი, ასე ვთქვათ, როდესაც აღარ არსებობს ის მოწმეები და გაიშიფრა, რომ თურმე ყალბი მოწმეა და განჩინებით არის ამოღებული უკვე ის მოწმეები, ესე იგი პროკურატურისათვის არაფერი არ იცვლება — მაგრამ გამომიყვეს ეს ეპიზოდი და ხუთი წელი და ექვსი თვე მომისაჯეს.

— **გაჭიანურება ვისი ბრალია, ექსპერტიზის თუ...**

— ახალი გარემოებები შეიქმნა მაშინ, როცა მე, ესე იგი შულაიას, ჩვენ ამ შემთხვევაში ერთნი ვართ. მოსჯილი გვაქვს ხუთი წელი და ექვსი თვე, თურმე აღმოჩნდა, რომ დღეს მასრა მოიტანა გამოძიებამ და აღმოჩნდა, რომ ეს მასრა ცხრა წლის წინ იყო ცნობილი და მხოლოდ დღეს წარმოადგინა...

იცით რა, ოთხი წელია და სამი თვე, ეს საქმე შვილივით მყავს ნალოლიავები და მე ამაზე უფლება არა მაქვს ასე ხელაღებით... ამას მით უმეტეს, დაემთხვა ჩემი ავადმყოფობა, სახლის დაწვა, მოხუცი დედა პატარა ოთახში გამიცივდა და ცუდად გახდა და თავზე ვედექი, დამეწვა შულაიას მასალებიც და მე უფრო მეტი დრო მჭირდება მათ აღსადგენად...

საქმეში მართლაც ფიგურირებს შემდგომში გამქრალი მოწმე, ვინმე აბრამიშვილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ თავისი თვალით იგივე ნახა, რაც სერგო გაბედავამ, ანუ დეტალურად აღწერდა 11 თებერვლის ღამით დიღმის ხიდთან მომხდარ ტრაგედიას. როგორც წერილის ავტორმა გაარკვია, აღნიშნული პიროვნება (თუ ასეთი არსებობს), პოლიციამ წარუდგინა პროკურატურას და აუცილებლად მოითხოვს პასუხს, თუ სად გაქრა იგი. თუმცა გვეეჭვება, სასამართლო განაჩენზე ამ გარემოებამ იმოქმედოს, რადგან როგორც პროცესის პროკურორი ვაჟა ბირკაია აცხადებს, საქმეში საკმარისი მტკიცებულებებია.

**ვაჟა ბირკაია, სახელმწიფო ბრალმდებელი:** — ეს საქმე დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა, შულაიას დაცვა რომ არ აჭიანურებდეს. თინათინ ტომარაძის გამოუცხადებლობის გამო ოცდაერთჯერ გადაიდო სასამართლო სხდომა. მათ შორის ჩვიდმეტ შემთხვევაში მიზეზი უცნობია. ამავე დროს, გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ იმ დღეებში ის რამდენჯერმე ნახეს ხან უზენაეს სასამართლოში, ხანაც მეხუთე იზოლატორში. გარდა ამისა, ზოგჯერ ისეთ შუამდგომლობას აყენებს, რომელიც მხოლოდ დროის გასაყვანადაა გამიზნული.

სხვათა შორის, საქმეში არსებობს გამომძიებლის არაერთი წერილი, რომლითაც ტომარაძეს, ხანაც მის ხელმძღვანელს სთხოვენ, ადვოკატი დაესწროს საგამოძიებო მოქმედებებს. ბოლოს და ბოლოს, გამოძიება იქამდეც კი მივიდა, რომ 1996 წლის 27 ივლისს ხელწერილიც კი ჩამოართვეს შულაიას მეუღლეს, ან ტომარაძე გამოცხადდეს, ან სახაზინო ადვოკატს დაგინიშნავთო, მაგრამ ამაოდ.

**გენო ბეჟვაია, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე:** — ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება გადავადდა იმის გამო, რომ საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით ადვოკატი დღემდე ვერ ახერხებდა დაცვითი სიტყვის მომზადებას. ამის გამო დავნიშნეთ მეორე ადვოკატი სახაზინო წესით, მაგრამ ახალმა ადვოკატმა მოინდომა ერთობლივი სიტყვის წარმოდგენა ძველ ადვოკატთან ერთად იმ აზრით, რომ ძველი უფრო კარგადაა ჩახედული განსახილველ საკითხში.

აი, ახლაც მაცნობეს, რომ ადვოკატის დედა ავად გამხდარა, მისივე თქმით, მოხუცი ქალი აგონიაშია... რამდენად ობიექტურია მისი არგუმენტები, ამას სასამართლო შეაფასებს.

მტყუან-მართლის გარკვევა სასამართლოს საქმეა. ჩვენ უფრო ის გვაფიქრებს, მოკლულის სოხუმიდან ლტოლვილი დედის ანაბარად დარჩენილი ორი მცირეწლოვანი ბავშვი ოცდაორ ლარსა და ოც თეთრს რომ იღებს მარჩენალი მამის დაკარგვის გამო და იმის იმედითღა არიან, რომ სასამართლო მატერიალურ და მორალურ ზარალზეც იმსჯელებს, თორემ ამ საგაზეთო სტატიას სულაც არა აქვს ვინმეს კომპეტენციაში ჩარევის პრეტენზია. ამას მხოლოდ ვერსიის რუბრიკით ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენს მასალას, საბრალდებო დასკვნა და გამოძიების სხვა დოკუმენტები უდევს საფუძვლად.

***ვაჟა გავაშელი***

# ვინ ყიდის წყნეთს?

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

მკითხველს „მესაკუთრის“ უკუღმა წაკითხვას ვურჩევთ. ბე — 3000 დოლარი, რა თქმა უნდა, არ გვქონდა. არადა, სარეგისტრაციო მოწმობის ხელში ჩაგდება გვინდოდა. ამიტომ ვითომ ფულის წამოსაღებად თბილისში წამოვედით, თან „გამყიდველიც“ ვიახლეთ და იმდენი მოვახერხეთ, რომ მოწმობის დაქსეროქსებაც შევძელით. სხვათა შორის, ეს ამბავი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესაც ვუამბეთ და გამგეობის წევრი გარეგნულადაც დავუხასიათეთ, მაგრამ არეშიძემ ასეთი თანამშრომელი ვერ გაიხსენა და გვითხრა: ალბათ ვიღაც თაღლით მაკლერს გადაეყარეთ, რომელმაც თავი გამგეობის წევრად შემოგასაღათო. ჩვენ არეშიძის ამ მოსაზრებას არ გამოვრიცხავთ. გარდა ამისა, სატყეო დეპარტამენტის კანცელარიიდან გვაცნობეს, რომ „არტილაპ სირივკიზე“ გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობა საერთოდ არ გაცემულა და მათი აზრით, დოკუმენტი ნაყალბევია.

სტატია სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებსაც არ მოვუსმენდით.

*პირველად კომენტარი თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ* ***ჯიმი ჩარკვიანს*** *ვთხოვეთ.*

— **თქვენ შოთა მეფარიძე მაფიოზს გიწოდებთ, ამბობს, ჩარკვიანსა და ზოდელავას დანაშაულებრივი კავშირი აქვთო...**

— ხანდაზმული კაცია, ამასთან, განაწყენებულიც, თანამდებობის გარეშე რომ დარჩა. ამიტომ არ უნდა ავყვეთ.

— **და მაინც, რას იტყვით?**

— ყველაფერი, რასაც იგი ამბობს, მისი ფანტაზიის ნაყოფია. სჯობს იმ საქმეს მოუაროს, უშიშროებას რომ დასცინცლა 50 ათასი ლარი და ჩაიჯიბა.

— **დააკონკრეტეთ...**

— 1995 წელს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა თბილისის სატყეო მეურნეობის შენობა. სანაცვლოდ, უშიშროებას უნდა გამოეყო სახსრები 250 ათასი ლარის ოდენობით თბილისის სატყეო მეურნეობის ახალი შენობის ასაშენებლად. ეს არ მოხდა, მაგრამ გაირკვა, რომ მეფარიძეს მიუღია უშიშროებისგან 15 ათასი დოლარი და ამდენივე ლარი, რომელიც ჩაიჯიბა. ამაზე მეტი რა უნდა გითხრათ...

*ბატონ ჯიმი ჩარკვიანზე ენაწყლიანი დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი* ***გივი ჯაფარიძე*** *აღმოჩნდა:*

> **„ვმაკლერობდი... ამ საქმით 7 წელი ვიყავი დაკავებული. ყველა ბუჩქი და ხე ვიცი წყნეთში და როცა მიწის ნაკვეთის მყიდველი გამოჩნდებოდა, მე ვაჩვენებდი, ფულსაც მე ვიღებდი და უფროსთან ანგარიშსაც მე ვასწორებდი. ხშირად ისე გამიყიდია ნაკვეთი, ნამდვილი მფლობელი არც კი მინახავს. ფულს მომცემდნენ, მე კი ნაკვეთის საბუთს ვიძლეოდი. ამ ხნის მანძილზე პირადად მე, 35 მიწის ნაკვეთი მაინც მექნება გაყიდული.“**

— მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ასევე მისდამი დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობები ტყის ფონდისათვის ნაკვეთებს საერთოდ არ გამოყოფენ. საამისოდ საჭიროა საგანგებო სამთავრობო დადგენილება, რომლის პროექტსაც ამზადებენ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვა შესაბამისი უწყებები ერთობლივი დასკვნის საფუძველზე: ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ძირითადი დოკუმენტი არის რაიონის ან ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება. ამიტომ ჩვენი დადანაშაულება ფართობების უკანონოდ გამოყოფაში, მით უმეტეს, მიწების გაყიდვაში, სრულიად უსაფუძვლოა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტყის ფონდის ფართობებიდან ნაკვეთების გამოყოფაზე არსებობს შესაბამისი სამთავრობო დადგენილება, ხოლო მის შესრულებაზე კონტროლს მოქმედი კანონმდებლობით ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები, რომლებსაც ეს მიწები გამოეყო და მათ განაწილებაზე პასუხისმგებლები ისინი არიან.

სხვათა შორის, არსებობს 1995 წლის პრეზიდენტის №45 ბრძანებულება, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობების განაწილება, ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა და გაცემა დავალებული ჰქონდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს დაქვემდებარებულ ორგანიზაციას „საქქალაქაგროსერვისს“. ამ ორგანიზაციის, ასევე გარდაბნის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიწების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მიწების რეგისტრაციაში უხეში დარღვევებია აღმოჩენილი. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, რაც კონტროლის პალატის აქტშიც არის დაფიქსირებული. და კიდევ, ჩვენმა დეპარტამენტმა თხოვნით მიმართა ქვემო ქართლის მიწის მართვის რეგიონალურ სამსახურს, ასევე გარდაბნის მიწის მართვის სამმართველოს, რომ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის გარეშე არ მოეხდინათ ტყის ფონდის მიწებიდან გამოყოფილი ფართობების კერძო მფლობელებზე გაფორმება-რეგისტრაცია, მისი კანონიერების შესწავლამდე. მიუხედავად ამისა, დღემდე გრძელდება გარდაბნის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს და დეპარტამენტის მიერ კერძო პირებზე მიწების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უკანონოდ გაცემა.

— **მეფარიძე აცხადებს, რომ თქვენ სხვადასხვა ხერხით აიძულებდით მას, ტყის ფონდიდან ფართობები თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტისათვის გადაეცა. სანაცვლოდ ამ გაყიდული ნაკვეთებიდან მეფარიძე თანხის მესამედს მიიღებდა.**

— ეს არასწორი ინფორმაციაა. მერწმუნეთ, მეფარიძე იმდენად ჯიუტი კაცია, მე რომც მეთხოვა, თუ არ უნდოდა, ხელს არაფერზე მოაწერდა. არადა, არსებობს მისი ხელმოწერაც. რაც შეეხება თბილისის სატყეო მეურნეობის განცხადებას, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ყალბი დადგენილებების შედგენისა და გაყიდვა-ვაჭრობის თაობაზე, იგი არის აბსურდული, ცილისმწამებლური და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული...

როგორც სტატიაში მოყვანილ რესპონდენტთა კომენტარიდან ჩანს, თითოეული ცალ-ცალკე მართალია.

მოპოვებული დოკუმენტებიდან და ამ ბიზნესში ჩახედულ პირებთან საუბრისას სატყეო ფონდიდან სააგარაკო ნაკვეთების გამოყოფის და შემდგომ მათი რეალიზაციის მექანიზმიც გამოიკვეთა. ერთი კონკრეტული მაგალითი: უშიშროების სამინისტრო 1995 წელს, ხოლო თბილისის მერიის ვაკის გამგეობა 1997 წელს, თხოვნით მიმართავენ სახელმწიფო კომისიას, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი თავმჯდომარეობს, თავიანთი თანამშრომლებისათვის წყნეთის სატყეო უბნიდან სააგარაკო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. სახელმწიფო კომისია ავალებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მან შეარჩიოს მიწის ფართობები. თავის მხრივ, დეპარტამენტი დავალებას გადაულოცავს სატყეო მეურნეობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, — თბილისის სატყეო მეურნეობას, ოღონდ პრესტიჟული დაწესებულების მოთხოვნას თავის, ე.ი. სატყეო მეურნეობის თანამშრომლებისათვის ნაკვეთების გამოყოფის მოთხოვნასაც უმატებს. სატყეო მეურნეობა არჩევს გამოსაყოფ ფართობს, რომელიც მთლიანად ტყით არის დაფარული, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტში შერჩეულ ფართობს „ველობს“, „ბუჩქნარს“ ან „ტყით დაუფარავს“ უწოდებს, რათა სახელმწიფო კომისიას დადებითი გადაწყვეტილების მიღება გაუიოლოს. სახელმწიფო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება (17.08.95 №496 და 24.03.97 №16/30), რომლის თანახმად უშიშროებას, ვაკის გამგეობას, მოქალაქეთა კავშირს თანამშრომლებისათვის გადაეცათ 2 ჰექტარი ტყის ფართობი, თავისი წილი, ასევე 2 ჰექტარი, სატყეო დეპარტამენტმაც მიიღო. თუმცა საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე და წყნეთის გამგეობის ხელმძღვანელები თანამდებობებზე მათი მოსვლის შემდეგ მიწების გაყიდვის ამ პრაქტიკას კატეგორიულად უარყოფენ.

ამასობაში კი წყნეთის ტყე, და არა მარტო წყნეთისა, იჩეხება და მის ადგილზე სასახლეები შენდება, რომლებიც მალე ალბათ მათ მფლობელებს აღარ გამოადგებათ, რადგან თუ ასე გაგრძელდა, წყნეთში ერთი ხეც არ დარჩება და უდაბნოში აგარაკი ვის რაში სჭირდება?!

დასასრულ, ერთი ცნობა-ინფორმაციაც. საქართველოს მთავრობის 2001 წლის 19 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, თბილისის ყოფილი სატყეო მეურნეობის წყნეთისა და ბაგების სატყეო უბნების ფართობები ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით გადაეცემა თბილისის მერიას(?).

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ტყვეობიდან გამოქცეული პარტიზანის ნაამბობი...

## რისთვის ჩამოდიან სამშობლოში?..



***ჩემს რესპონდენტს ბევრი მიზეზი აქვს, ინკოგნიტოდ რომ დარჩეს... ნამდვილი სახელით და გვარით არც იცნობს ბევრი. პარტიზანია, მებრძოლი, პატრიოტი, უბრალოდ ჯარისკაცი, რომელსაც არ სჭირდება სახელი... 8 თვეა მშობლიურ ქალაქში არ ჩამოსულა, ახლაც იძულებით მოუხდა დაბრუნება. დაახლოებით ერთი თვის წინ მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს...***

— სასწაული მოახდინეს ქირურგებმა. მუცელში მქონდა ტყვია, ბევრი სისხლი დავკარგე. საიქიოში მოგზაურობაც მოვასწარი — ოპერაციის დროს 8 წლის წინ გარდაცვლილი მამა მადგა თავზე და მიმეორებდა: „არ მოკვდები, ჯერ ომი არ მოგიგია, სოხუმი საქართველოს უნდა დაუბრუნო!“...

— **დიდი ხანია იბრძვით?**

— რაც თავი მახსოვს, სულ ჯარისკაცი ვარ. 1986 წელს დავბრუნდი „რუსის ჯარიდან“. დედა რუსი მყავს. დრო რომ აირია, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ იარაღს მოჰკიდა ხელი. ვერ გეტყვით, რომელი სამხედრო შენაერთის წევრი გავხდი ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ათასი რამე გვბრალდება და ბეწვზე გადავურჩი თავის დროზე დაპატიმრებას. თუ შეიძლება ასეთი ბედნიერებაც არსებობდეს, შეცდომით მკვდრების სიაში მომახვედრეს (ორი დღე არ გამოვცხადდით ნაწილში მე და ჩემი ერთი მეგობარი, „ნადირობამ“ გაგვიტაცა და დაღუპულებად ჩაგვთვალეს). მეორე მიზეზი კი ის შეურაცხყოფაა, რაც ჩვენმა სარდლობამ მოგვაყენა ომის დროს, უპატრონოდ და უიარაღოდ, მითითების გარეშე დაგვყარეს ცეცხლის ხაზზე და თავად თავს უშველეს... ბოლომდე არ დაგვიტოვებია სოხუმი. შეგვეძლო ხალხით დატვირთულ უკრაინულ გემს გავყოლოდით, რომელმაც ბოლო რეისი შეასრულა, მაგრამ დავრჩით — კიდევ გვქონდა რაღაცის იმედი... როცა მივხვდით, რომ ჩვენც „გაგვყიდეს“ და აფხაზეთიც, გვიანი იყო, ტყვედ აგვიყვანეს და 1994- წლამდე უგზო-უკვლოდ დაკარგული ვიყავი. ჩემებმა არ იცოდნენ, მართლა დავიღუპე თუ ტყვედ ჩავვარდი...

— **ტყვეობაში როგორ გექცეოდნენ?**

— თავიდან ძალიან ცუდად. სარდაფში ვიყავით ჩაკეტილები და ყოველდღე დახვრეტას ველოდით. გვეუბნებოდნენ, რომ მიცვალებულებში უნდოდათ ჩვენი გაცვლა და ქართული მხარე იყო რატომღაც უარზე. მე რუსულად უნაკლოდ და უაქცენტოდ ვლაპარაკობ. გვარი მკითხეს და რატომღაც მივხვდი, რომ ტყუილი უნდა მეთქვა, საბუთები თან არ მქონდა და ვერ შემამოწმებდნენ: საველიევი ვარ-მეთქი!.. აფხაზებთან ერთად რუსებიც იყვნენ და დაინტერესდნენ ჩემი წარმომავლობით. დედაჩემის ნათესაობა სტავროპოლის მხარიდანაა, ბავშვობაში ხშირად დავდიოდი იქით და ამიტომ არ გამჭირვებია „მშობლიური“ სოფლის აღწერა. ქართველების რიგებში ყოფნა შემთხვევითობას მივაწერე — „ფულს მიხდიდნენ და რა ვიცოდი, თუ სიმართლე აფხაზების მხარეზე იყო-მეთქი“. ბოლომდე არ მენდობოდნენ, მაგრამ სარდაფიდან გამომიშვეს და ყაზარმაში მეძინა სხვებთან ერთად. ახალი წელი რომ დგებოდა, ყველანი დათვრნენ და დრო ვიხელთე — იმათ ძილში 8 პატიმარი გამოვიპარეთ. სურსათი ბლომად წამოვიღეთ და 9 დღე სულ ტყე-ტყე ვიარეთ.

— **სად გახვედით?!.**

— სამეგრელოდან სვანეთში, იქიდან კი რაჭაში ჩავედით, ერთ-ერთი პატიმრის დედულეთში. მის ახლობლებს შავები ეცვათ და გლოვობდნენ. ისეთი წივილ-კივილი ატყდა, რომ დაინახეს, საიქიოდან მობრუნებული ეგონათ მართლა... თან გადაგვყვნენ, დაგვბანეს, გაგვათბეს, დაგვასაჩუქრეს. რამდენიმე ბიჭი ქუთაისში და თბილისში წავიდა სიტუაციის გასაგებად... მეორე დღესვე ჩამოვიდნენ ნათესავები, ისეთი ამბავი იყო, ახლაც მეტირება გახსენებისას... ჩემი უფროსი ძმაც ჩამოვიდა და მტერს, იმან ამბავი ჩამომიტანა — როცა სამხედრო ნაწილიდან შეუტყობინებიათ, რომ მკვდარი ვიყავი, ჩემს ცოლს დაუტაცნია ბავშვისთვის ხელი და ვორონეჟში წასულა, იქაური რუსი იყო. მერე კი გერმანელზე გათხოვდა და მის შესახებ აღარაფერი იცოდნენ. ქალი ჯანდაბას, მაგრამ შვილიც დამეკარგა. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ ჩემი თანამებრძოლები დამნაშავეებად გამოაცხადეს და ციხეებშიც გამოამწყვდიეს, ჩემი გვარიც მოუხსენიებიათ ყაჩაღთა და მაროდიორთა სიაში... სისხლი ამიდუღდა, მაგრამ ვისთვის და რისთვის მომეთხოვა პასუხი უსამართლობით სავსე ქვეყანაში?! ჯერ მეც რუსეთში გაქცევა გადავწყვიტე, მაგრამ მერე გადავიფიქრე და დავრჩი... პარტიზანებს შევუერთდი!

— **ამბობენ, რომ აკაკი ელიავას მებრძოლთა რიგებშიც ირიცხებოდით?**

— ძალიან ცოტა ხანს დავრჩი მათთან, არა მგონია ბევრს ვახსოვდე. აკაკისთან საერთო მეგობარმა მიმიყვანა, არ იყო ცხონებული ცუდი პიროვნება, მაგრამ მე მაინც ვერ მივიღე მისი შეხედულებები, მშვიდობიანად დავშორდი და კოდორის ხეობაში გადავინაცვლე, იქ თავიდან 15-კაციანი რაზმი ჩამოვაყალიბეთ, მერე ასამდე გაიზარდა ჩვენი რაოდენობა. სამწუხაროდ, მსხვერპლიც იყო, ბევრი კარგი ბიჭი დავკარგეთ — ბევრიც ამტკიცონ რუსებმა — „სამშვიდობო მისიით ვართო!“ — იარაღი უჭირავთ და დაუზოგავად ესვრიან ქართველებს, მიზეზი არ ელევათ შარის მოსადებად...

— **თქვენ მოგიკლავთ?**

— რა თქმა უნდა... მტერი მტერია... ვერ დავაკონკრეტებ, ვერც თუნდაც წარმატებულ სამხედრო ოპერაციებზე გეტყვით, არ გვინდა აღმოგვაჩინონ.

— **ვინ?**

— აფხაზებმა და... თუნდაც ქართველებმა!

— **ქართველთა საწინააღმდეგო რა გაქვთ?**

— ვერ ვენდობით. ჩვენ ისეთი რამ ვიცით, რაც ბევრ რამეს ახდის ფარდას აფხაზეთის ომთან დაკავშირებით. ამ „ცოდნას“ კი არ გვაპატიებენ და „ზედმეტი“ რომ არ წამოგვცდეს, თავიდან მოგვიშორებენ...

— **სათქმელი ხომ უნდა ითქვას?!**

— ვიტყვით კიდეც!

— **როდის?**

— როცა მთავრობა შეიცვლება და მოვა ის, ვისაც მართლა ენდომება აფხაზეთის დაბრუნება. სისულელეა იმაზე ოცნება, რომ სოხუმს უბრძოლველად დაგვიბრუნებს ვინმე. ომი ომია და მას ბოლომდე უნდა მიყვანა, თორემ მერწმუნეთ, აფხაზეთსაც არ დასჯერდებიან მალე და სამეგრელოზეც გაილაშქრებენ...

— **ისევ აპირებთ ბრძოლას?**

— მთავარია ფეხზე დავდგე და რა დამაკავებს — ბევრი რამისთვის უნდა ვიძიო შური!

— **ექიმებს არ შეეძლოთ თქვენი გაცემა?**

— იმათთან მიმიყვანეს, ვინც კაცობას არ ყიდის! მეც ამიტომ ვერ ვასახელებ მათ გვარებს, თორემ საქვეყნოდ ეკუთვნით მადლობა და დიდება, მართლაც მკვდარი მომაბრუნეს, საცერივით ვიყავი დაცხრილული.

— **სოხუმში ქართველები არიან?!**

— რომ ვერც წარმოიდგენთ — ისე ბევრი.

— **აფხაზები არ ერჩიან?!**

— ორი დღის შემდეგ ერთი ნაცნობი ქალი მოვა ჩემთან. ის ქართველია და ერთი დღითაც არ უფიქრია სოხუმის და სახლ-კარის დატოვება. თავად დაელაპარაკე და მოგიყვება, როგორ ცხოვრობენ ქართველები სოხუმში...

***ვემშვიდობები ჯარისკაცს, მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ორი დღის შემდეგ კი მისი დახმარებით მართლაც შევხვდი სოხუმელ ქართველ ქალს...***

### „სოხუმში ქართველები ასობით ვართ და არც გვიფიქრია სადმე წასვლა!“

***1993 წლის 27 სექტემბერს მისი სახლიც იწვოდა. ყველანი გარბოდნენ, ქალაქში პანიკა იყო.***

***ე-ს გასაქცევი არსად ჰქონდა. ორი კვირის წინ ქმარი მოუკლეს და ორი წლის წინ დაღუპული ერთადერთი შვილის — 14 წლის ეკას გვერდით დაასაფლავა. ე-სთვის სულერთი იყო, მოკლავდნენ თუ ცოცხალი დარჩებოდა.***

— ჩვენს მეზობლად აფხაზი აშხვაცავები ცხოვრობდნენ. გაუყოფელი ჭირი და ლხინი გვქონდა, ქმარიც მათ დამამარხვინეს, თავისი ხელით შეჭედა გრიგოლმა კუბო.

— **დაგმალეს?**

— რა მჭირდა დასამალი, არც ვუძებნივარ ვინმეს.

— **აბა რისთვის გარბოდა ხალხი?**

— პანიკა იყო, შიში... ალბათ საფუძველიც იყო ამისათვის. ბევრი ქართული ოჯახის წევრი იბრძოდა და ხოცავდა აფხაზებს. დღემდეა მათზე ძებნა გამოცხადებული..

საერთოდ, ეს ომი იმითაცაა საშინელი, რომ ხალხს მართლა სატანამ აურია გული და გონება. ერთი მუჭა პროვოკატორების უნამუსობის და ამბიციების მსხვერპლნი გავხდით.

— **მე ვიცი, რომ პათოლოგიური სიძულვილი ჰქონდათ ქართველების და ყველას ხოცავდნენ განურჩევლად თუ ვინმე სოხუმში დარჩენას გაბედავდა....**

— არც აგრეა საქმე. იყვნენ ჩემთანაც მოსულები, ჩაწერეს ჩემი მონაცემები და წავიდნენ...

— **მე ვიცი, რომ დედამთილი გყავდათ აფხაზი და ამანაც ხომ არ ითამაშა რაიმე როლი?**

— გამორიცხვით ვერც მაგას გამოვრიცხავ, მაგრამ იქ არიან ქართველები, რომლებსაც არავინ ჰყავთ აფხაზი. მე მგონი ჩვენ იმიტომაც არ შეგვხებიან, რომ... ვაღიარეთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა!

— **როგორ თუ აღიარეთ, ვინ მოგცათ ამისი უფლება?**

— რა უფლებაზეა ლაპარაკი ან საკამათო რა იყო. 27 სექტემბერს, სოხუმი აფხაზებს „გადაულოცა“ ხელისუფლებამ და თავს გაქცევით უშველა. თავიანთი წაწყმედილი სულები არჩიეს ამდენი ხალხის ბედ-იღბალს. მე ქართველი ვარ და მეამაყება კიდეც, მაგრამ, თუ მართალი ხარ, უნდა იბრძოლო ბოლომდე ყველა საშუალებით, არ მეთანხმებით? გალში საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება და მაინც პროვოკატორებითაა სავსე იქაურობა, ძარცვაც მეტია, ყაჩაღობაც. პარტიზანები არეგულირებენ ცოტათი სიტუაციას, თორემ უბედურება დატრიალდებოდა.

— **უკვე ვიცი, რომ პარტიზანებთან გაქვთ კავშირი და ისინი თქვენს სახლში ხშირად პოულობენ თავშესაფარს...**

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი!

— **აფხაზებმა რომ გაიგონ პარტიზანებს რომ მასპინძლობთ ხოლმე?**

— გითხარით, რომ ამაზე არ ვილაპარაკებ!

— **ასეთი რაღაცნაირი გამომწვევი და გამაღიზიანებელი ტონალობა არა მგონია მოეწონოს ათასობით დევნილ ქართველს, მშობლიურ სახლებში დაბრუნების უფლებას რომ არ აძლევენ.**

— მაგრამ რატომ გარბოდნენ? ამ გაქცევით გადაწყვიტეს თავიანთი ბედი. დარჩენილიყვნენ და ებრძოლათ.

— **კი მაგრამ მათ შვილებს, შვილიშვილებს კლავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ... რატომ არ მპასუხობთ?**

— არ მაქვს პასუხი.

— **ზოგჯერ მაინც არ გგონიათ, რომ რაღაცას თუ ვიღაცას უღალატეთ და... აღარც ხართ ქართველი?**

— თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ.

— **მაპატიეთ! თქვენი წყენინება არ მინდოდა.**

— მე ქართველი ვარ! (იმეორებს ჯიუტად)

— **ენგურზე ადვილად გადმოდიხართ?**

— არის ხოლმე დაბრკოლებები, მაგრამ... ფულს ვიხდი!

— **რისთვის ჩამოდიხართ ხოლმე?!**

— რისთვის ჩამოდიან სამშობლოში?! — მიბრუნებს კითხვას...

***ცნობისთვის: ე. თ-ძე დაიბადა ბაღდათის რაიონში. გათხოვდა სოხუმში (დეტალებს არ ვაკონკრეტებთ — ი.ჯ.). დღემდე ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე და როგორც ამბობს, იბრძვის როგორც შეუძლია, თუმცა... ცხოვრობს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ აღიარა „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“...***

***ინგა ჯაყელი***

# ბიბლიური წარღვნა და იდუმალი შავი ზღვა

## (იქნებ კიდევ უფრო დიდი ისტორია გვაქვს?..)



14 საპატიო წოდების მფლობელი რობერტ ბალარდი

შავი ზღვის უძველესი სახელწოდებაც კი საიდუმლოებითაა მოცული. ხეთები მას „ცალპის ზღვას" უწოდებდნენ, იდუმალებით მოცული ქვეყნის, ცალპას მიხედვით, რომელიც ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით ამ ზღვის პირას მდებარეობდა ქრისტეს შობამდე 16 საუკუნის წინ. იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც პროტოქართველური ტომების განსახლების არეალი ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალპას ქვეყანაც ჩვენი წინაპრებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. აქედან გამომდინარე, აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ერის ისტორიის უძველესი პერიოდისათვის შავი ზღვის სამხრეთ ნაწილში ზღვის ფსკერზე ნებისმიერ ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენას.

ბერძნებისათვის თავიდან „პონტოს აქსინოს" (არასტუმართმოყვარე ზღვა), ხოლო მოგვიანებით „პონტოს ევქსინოს" (სტუმართმოყვარე ზღვა), ანტიკურ სამყაროში ყველაზე იდუმალ ზღვად ითვლებოდა. ეპითეტები: „ულრმესი", „ბნელი" კიდევ მეტ მისტიკას მატებდა მას. უძველესი ლეგენდები, მითები და გადმოცემები მოგვითხრობენ დიდი კატასტროფების, წარღვნებისა და წარღვნამდელი მოსახლეობის შესახებ. ამ ლეგენდების მეცნიერული შემოწმება ბოლო წლებამდე შეუძლებელი იყო — არ არსებობდა მყარი გეოლოგიური, კლიმატოლოგიური თუ არქეოლოგიური მასალა, რომელიც საშუალებას მისცემდა თანამედროვე მეცნიერებს, დაედასტურებინათ ან უარეყოთ ლეგენდებში გადმოცემული ამბები.

ზღვებისა და ოკეანეების „ინდიანა ჯონსად" წოდებულმა ამერიკელმა ოკეანოგრაფმა და წყალქვეშა არქეოლოგმა რობერტ ბალარდმა 1985 წელს ატლანტის ოკეანის ფსკერზე ლეგენდარული „ტიტანიკის" აღმოჩენით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი: „ბავშვობაში ვოცნებობდი კაპიტან ნემოს დავმსგავსებოდი", — უთქვამს ერთხელ მას. რობერტ ბალარდი აშშ-ის სამხედრო ფლოტის რეზერვის ოფიცერია. 14 საპატიო წოდება და ექვსი სამხედრო ჯილდო აქვს და 30 წელია დიდი წარმატებით ემსახურება ოკეანოგრაფიასა და წყალქვეშა არქეოლოგიას. „ტიტანიკის" გარდა, მისი აღმოჩენილია მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაძირული ლეგენდარული გერმანული სამხედრო ხომალდი „ბისმარკი", ამერიკული ავიამზიდი „იორკთაუნი", სამგზავრო ლაინერი „ლუზიტანია" და გუადალკანალის დაკარგული ფლოტი. 1999 წელს ბალარდმა დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, იმ თეორიის დასამტკიცებლად, რომლის მიხედვით ნოეს კიდობანთან დაკავშირებულ ბიბლიურ წარღვნას ნამდვილად ჰქონდა ადგილი შავი ზღვის ტერიტორიაზე.

ყველაფერი დაიწყო ამერიკელი გეოლოგების უილიამ რაიანისა და უოლტერ პიტმანის მიერ 1997 წელს დაწერილი წიგნით „ნოეს წარღვნა". წიგნის ავტორები ბიბლიურ წარღვნას უკავშირებენ 7500 წლის წინ შავ ზღვაში მომხდარ კატასტროფას, რომელმაც, მათი ვარაუდით, საფუძველი დაუდო ბიბლიაში აღწერილ ამბებს. მათ მიერ შავ და ხმელთაშუა ზღვებში ჩატარებულმა კომპლექსურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მასშტაბურ კატასტროფას რეალურად ჰქონდა ადგილი. ამერიკელი გეოლოგების მიერ აღდგენილი სურათი ასე გამოიყურება:

ძვ. წ. 6200 წელს შავი ზღვის ადგილას მდებარეობდა უზარმაზარი მტკნარი ტბა, რომელიც შედარებით მცირე იყო, ვიდრე მისი დღევანდელი მლაშე მემკვიდრე. იგი ხმელთაშუა ზღვიდან გამოყოფილი იყო ბუნებრივი ბარიერით იქ, სადაც დღევანდელი ბოსფორის სრუტეა. ოთხი საუკუნის განმავლობაში გრილმა და მშრალმა კლიმატმა, ტბის გარშემო არსებულმა ნოყიერმა მიწებმა ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას (და შეიძლება უცნობი ცივილიზაციის დაბადებასაც — კ.ტ.). დაახლოებით ძვ.წ. 5800 წელს დაიწყო სწრაფი დათბობა, რასაც მოჰყვა დიდი წვიმები. გამყინვარების ეპოქიდან ხმელთაშუა ზღვის დონე ისედაც ყოველთვის მატულობდა. და აი, ერთბაშად, ზღვა არღვევს დღევანდელ ბოსფორის სრუტესთან არსებულ ბუნებრივ ბარიერს და ნიაგარის ჩანჩქერზე 200-ჯერ მეტი სისწრაფით, 150 მეტრის სიმაღლიდან ეშვება მტკნარ ტბაში. სულ რამდენიმე დღეში წარმოიქმნა ღრმა და მლაშე შავი ზღვა.

ამ თეორიას უკვე მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. რობერტ ბალარდის კომენტარი ასეთია: „ძნელია ირწმუნო, რომ ეს დაკავშირებულია ბიბლიურ ლეგენდასთან, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ ასეთი წარღვნა ნამდვილად მოხდა და რომ კატასტროფის ადგილზე ხალხი ცხოვრობდა. ეს იყო წარღვნათა წარღვნა".

უნიკალურმა კატასტროფამ უნიკალური გარემო შექმნა ახალ, თითქმის ჩაკეტილ მლაშე ზღვაში. შავი ზღვის სიღრმეები თავისებური, ხელუხლებელი კაფსულებია. 200 მეტრის სიღრმის ქვემოთ არის დედამიწაზე ყველაზე დიდი ანოქსიკური (უჟანგბადო) წყლის სივრცე. გასაოცარია გარემოს ასეთი თვისება. ბრიტანული გაზეთი „თაიმსი" წერს, რომ შავი ზღვა სამოთხეა წყალქვეშა არქეოლოგიისათვის. ამ უნიკალურ გარემოში მცენარეულობა, ქსოვილი თუ სხვა ორგანული მასალები არ ლპება და არ ქრება. რამდენიმე ათასწლეულის წინ ჩაძირული გემები უნაკლოდაა შენახული. 1999 წელს ბალარდის ექსპედიციამ აქ აღმოაჩინა 1500 წლის წინ ჩაძირული გემი, რომელიც „განსაცვიფრებლად კარგად იყო შენახული და ერთი კვირის წინ ჩაძირულს ჰგავდა".

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იდეალურად იქნება შენახული შავი ზღვის უჟანგბადო სიღრმეში რომელიმე ჩაძირული დასახლება თუ ქალაქი (ვთქვათ, ჩვენთვის ყველაზე სანატრელი აიეტისა და მედეას აია). საჭიროა მხოლოდ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და მეცნიერის შემართება იმისათვის, რომ ცივილიზაციის ისტორიაში ახალი, აქამდე სრულიად უცნობი ფურცლები გადაიშალოს.



*ანტიკურ სამყაროში ყველაზე იდუმალი პონტოს ზღვა...*

1999 წელს, თურქეთის ქალაქ სინოპის ჩრდილოეთით, შავ ზღვაში, 170 მეტრის სიღრმეზე ბალარდის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა უძველესი ჩაძირული მტკნარი ტბის სანაპირო ზოლი — ეს ფაქტი მხარს უჭერს რაიანისა და პიტმანის თეორიას. კვლევის ადგილიდან ამოღებული ნიჟარებისა და დანალექი ქანების რადიოკარბონულმა დათარიღებამ და პალეონტოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ მასიური დატბორვა მომხდარა 7500 წლის წინ. დანალექ ქანებში ნაპოვნია ობსიდიანის ნატეხი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ისრის პირებისა და სხვა იარაღების წარმოებისათვის. სწორედ ამ ნაპოვნმა დაარწმუნა ბალარდი გაეგრძელებინა კვლევა უძველეს დასახლებათა კვალის ძებნაში.

2000 წელს, იმავე რეგიონში, 100 მეტრის სიღრმეზე მან აღმოაჩინა დიდი კატასტროფის შედეგად დატბორილი უძველესი სტრუქტურის ნაშთი. ეს არის ერთი მთლიანი, ხის შენობის ნარჩენები. ნაპოვნია ქვის იარაღები, სავარაუდოდ — ნაჯახები და კერამიკული ჭურჭლის საწყობი, აგრეთვე — სწორად დაწყობილი ქვის 30 ბლოკი. არქეოლოგების აზრით, ეს არის პირველი მყარი დადასტურება შავი ზღვის რაიონში წარღვნამდელი მოსახლეობის არსებობისა. ეს აღმოჩენა თავიდან გადაწერს ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ისტორიას.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კატასტროფას გადარჩენილი ადამიანები ალბათ გადაინაცვლებდნენ მთიან ადგილებში და არ დაკარგავდნენ თავიანთ კულტურას, ენას, ტრადიციებს. ზოგიერთი მეცნიერი თეორიულად უშვებს ფაქტს, რომ ამ კატასტროფის დროს ეგვიპტურსა და მესოპოტამიურ ცივილიზაციებზე ადრინდელი ცივილიზაცია დაიღუპა, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ წარღვნას გადარჩენილმა ხალხმა დაუდო სათავე სხვა ცივილიზაციებს. რობერტ ბალარდი დარწმუნებულია თეორიის სისწორეში: „უკვე არ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ კატასტროფა ნამდვილად მოხდა და რომ იქ ხალხი ცხოვრობდა. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ იყო ეს ხალხი". ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოებაც (National Geographik Societi), რომელიც მხარს უჭერს ბალარდის კვლევას, ასევე დარწმუნებულია თეორიის სისწორეში და სამომავლოდ დიდ აღმოჩენებს მოელის.

საინტერესოა ბალარდის დამოკიდებულება ნამარხებისადმი: „არქეოლოგიური გათხრა დესტრუქციული პროცესია", — ამბობს იგი. „შლიმანმა გათხრების დროს უდიდესი ზიანი მიაყენა ტროას. ჩვენ არ ვაპირებთ აღმოჩენილი ადგილის გათხრას. რაც ვიპოვეთ, ყველაფერს ხელუხლებლად დავტოვებთ და მხოლოდ იმ ნიმუშებს ავიღებთ, რომლებიც დათარიღებაში დაგვეხმარება. ოკეანეები და ზღვები იდეალური და უსაფრთხო ადგილებია ძველი ცივილიზაციის ნაშთების შესანახად" (საინტერესოა ის ფაქტი, რომ შლიმანი რუსეთისაგან ითხოვდა ნებართვას ფაზისის მოძებნაზე, მაგრამ უარი მიიღო — კ.ტ.).

გასულ წელს ბალარდმა განაცხადა, რომ ყოველ ზაფხულს მოაწყობს ექსპედიციას უნიკალურ შავ ზღვაში. „ეს აღმოჩენის დასაწყისია და არა დასასრული", — თქვა მან.

2001 წლის სექტემბერში, ამერიკულ-ბულგარული ექსპედიცია შეუდგა დაკარგული ცივილიზაციის ახალი კვალის ძებნას შავი ზღვის ფსკერზე. მიუხედავად იმისა, რომ ბალარდი არ მონაწილეობს ამ ექსპედიციაში, მუდმივი სატელიტური კავშირი აქვს მასთან. ბულგარეთის მხრიდან ექსპედიციაში მონაწილეობს პროფესორი პეტკო დიმიტროვი, რომელმაც 1972 წელს ვარნასთან ახლოს ზღვის ფსკერზე აღმოაჩინა ნეოლითის ხანის ნეკროპოლი, ხოლო 1985 წელს მანვე, ნაპირიდან 40 კილომეტრის მოშორებით, ზღვის ფსკერზე იპოვა უძველესი ქვის ფილა, რომელსაც „ნოეს ფილა" უწოდა. ნუთუ შავ ზღვასაც აქვს თავისი „ატლანტისი"?

ეროვნული გეოგრაფიის საზოგადოებამ 21-ე საუკუნე „აღმოჩენების ეპოქად" გამოაცხადა. უკვე მომხდარმა გასაოცარმა აღმოჩენებმა საფიქრებელში ჩააგდო მეცნიერები. ჩინეთში ნაპოვნია 100-მდე უძველესი პირამიდა, რომელთაგან უდიდესი 300 მეტრის სიმაღლისაა. იაპონიის ნაპირებთან, ზღვის ფსკერზე აღმოჩნდა უზარმაზარი შენობის ნანგრევები. დღევანდელი თურქმენეთისა და უზბეკეთის ტერიტორიაზე ნაპოვნია კვალი აქამდე სრულიად უცნობი ცივილიზაციისა, რომელიც ყვაოდა ქრისტემდე 2500 წელს. მონღოლეთში აღმოჩენილი ნაგებობათა კომპლექსი იდუმალებითაა მოცული.

სახელგანთქმულ ნორვეგიელ მეცნიერს ტურ ჰეიერდალს კავკასიის მთებში ძველ გერმანელთა ლეგენდარული ღმერთების ქალაქის, ასგარდის პოვნა განუზრახავს. 2000 წლის 9 სექტემბერს საქართველოში ყოფნისას მკვლევარმა აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორია მოიცავს პასუხებს უამრავ ისტორიულ საიდუმლოებაზე.

ნორმალური ქვეყანა ნორმალური მთავრობით დიდად მოწადინებული იქნებოდა, რომ რობერტ ბალარდისა და ტურ ჰეიერდალის მსგავს მეცნიერებს მის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევები ჩაეტარებინათ. თუმცა იქნებ ვინმეს არც კი სურდეს, რომ რომელიმე პატარა ერს კიდევ უფრო დიდი ისტორია აღმოაჩნდეს! — ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია.

***უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა კახა ტაძრელმა***


ნოეს კიდობანი

## რას გვეტყვი, მამაო?

**— საინფორმაციო საშუალებები იმდენ უზნეობას აფრქვევენ ჩვენი ნორჩი თაობის თავზე, რომ ძალიან მაშინებს. ქრისტიანული მორალის დამკვიდრების რა საშუალებები შეიძლება შენარჩუნდეს, როგორ მოვიქცეთ, რომ გადაგვირჩეს თაობა?**

— ერიდეთ და სხვებსაც აუკრძალეთ ბავშვების თანდასწრებით ყოველგვარ მკვლელობებსა და თვითმკვლელობებზე საუბარი; არიდეთ ყაჩაღობებსა და ძარცვა-გლეჯაზე ინფორმაციებს; ნუ განუმარტავთ, თუ როგორი მომწამლავი ნივთიერებანი არსებობს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია წამიერად სიცოცხლესთან გამოთხოვება.

ხოლო თუ შეამჩნევთ რაიმე მანკიერებას ან ზნეობრივ გადაცდომებს, მათ გამოსასწორებლად, გამუდმებული თვალყურისა და მზრუნველობის გარდა, საუკეთესო გზა გახლავთ ბავშვის ეკლესიური ცხოვრება — ხშირი აღსარება და წმინდა ზიარება.

**— აქვს თუ არა უფლება სასულიერო პირს შეაჩვენოს ადამიანი?**

— მოციქულები შეაჩვენებდნენ ხოლმე ურწმუნოებს (ათეისტებს). აგრეთვე იმათაც, ვისაც ცრუღმერთები სწამთ იესო ქრისტეს მაგიერ. ეს უფლება გადაცემული აქვთ ხუცებსა და ეპისკოპოსებსაც: „ვისაც არ უყვარს უფალი იესო ქრისტე, იყოს შეჩვენებული!" ( კორინთელთა 16,22).

**— რა განეკუთვნება სულიწმინდის მადლის წყალობას?**

— სულიწმინდის მეოხებით ადამიანს ენიჭება მადლი: სიბრძნისა, გონებისა, რჩევისა, ძალისა, შემოქმედებისა, კეთილზნეობისა, უფლის სიყვარულისა.

**— „გიყვარდეს მტერი შენი" უმთავრესი დებულებაა ახალ აღთქმაში. პრაქტიკულად რაგვარად უნდა იქნეს იგი განხორციელებული?**

— მტრისადმი სიყვარულს ჩვენ ვავლენთ, იმით რომ 1. ვპატიობთ მათ წრფელი გულით; 2. ვეხმარებით გაჭირვებაში; 3. ვლოცულობთ მათთვის.

**— რატომ არის, რომ ორი მცნება — უფლისადმი სიყვარულისა და მოყვასის სიყვარულისა, ითვლება უდიდეს და ძირითად მცნებებად?**

— ეს ორი მცნება იმიტომ ითვლება უდიდესად და უმთავრესად, რომ მათი დახმარებით განხორციელდება უფლის ყველა დანარჩენი მცნება. პავლე მოციქული შეგვაგონებს: „წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ" ( კორ. 13,2);

**— დღეს ხშირად გაიგონებთ ტერმინს — „სექტას". საინფორმაციო საშუალებებიც იტყობინებიან, რომ „სექტები მომრავლდნენო". როგორ განმარტავს ამ ტერმინს მართლმადიდებლური სარწმუნოება?**

— სექტა — ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რომელიმე ცრუსწავლების საფუძველზე გამოეყო ერთიან დედაეკლესიას და ცალკე დააარსა რელიგიური საზოგადოება. ამ საზოგადოებას თვით მისი წევრები ეკლესიას უწოდებენ, მაგრამ ყოველგვარი წესისა და კანონის დარღვევით, რადგან იგი დაარსებულია ცრუსწავლების საფუძველზე და არ წარმოადგენს ქრისტეს ეკლესიას.

**— რას ნიშნავს სიტყვა „ამინ"?**

— სიტყვა „ამინ" ნიშნავს — „დიახ; ჭეშმარიტად; დაე, აგრე იყოს"; ეს სიტყვა არის ჩვენი წრფელი სურვილის გამოხატულება, რათა ღმერთმა შეისმინოს ჩვენი თხოვნა.

**— როგორ უყურებს მართლმადიდებლური სარწმუნოება ერთი ერისა და ხალხის მიერ სხვათა ეკლესიურად დამორჩილებას და სხვის ეკლესიაში თავისი ენის გაბატონებას?**

— როდესაც ერთი ერი მეორეს თავს ახვევს ეკლესიაში საკუთარ ენას, მათი მხრიდან ეს ნიშნავს: 1. ქედმაღლობას და სხვათა დამცირებას; 2. ზიანის მოტანას რელიგიური მრწამსისათვის, რადგან უცხო და გაუგებარი ენის ხმარება ღვთისმსახურებაში ერთმორწმუნე ერში აკნინებს რელიგიურ ცხოვრებას.

**— თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, სად და როდის წარმოიშვა პირველად ტერმინი „ქრისტიანი"?**

— „ქრისტიანი" — ნიშნავს ქრისტეს მიმდევარს. ეს ტერმინი წარმოიშვა მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდში და პირველად ქალაქ ანტიოქიაში უწოდეს თავის თავს ქრისტეს სწავლების აღმსარებლებმა — „ქრისტიანები" (საქ. მოც. 11, 26).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლამდიდებლური წიგნები და საკითხავები***

# პრეზიდენტი თავის მდივანზე ნაკლებს იღებს




საქართველოს მოსახლეობის აღწერისას ადგილობრივმა სტატისტიკოსებმა ფრიად უხერხული ფაქტი დააფიქსირეს — თურმე საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი სულ რაღაც საცოდავი 400 ლარი (ანუ 200 დოლარზე ნაკლები!) ყოფილა. ეს ამბავი პრეზიდენტის მიერ ანკეტის შევსების მერე გაირკვა. თავმდაბალი შევარდნაძე აბა, როგორ გაამახვილებდა ამაზე ყურადღებას! სამაგიეროდ, ამ ფაქტმა ფრიად აღაშფოთა პარლამენტარები და გამალებით შეუდგნენ ამ შეცდომის გამოსწორებას. პარლამენტის სხდომაზე ფრაქცია „ტრადიციონალისტის" ერთ-ერთმა ლიდერმა ალეკო შალამბერიძემ განაცხადა, — „სირცხვილია ქვეყნის პრეზიდენტს" ასეთი ხელფასი ჰქონდესო. ამის თქმა იყო და, სასწრაფოდ გადაეცა კანონმდებლებს განსახილველად საკითხი შევარდნაძისთვის ხელფასის გაზრდის შესახებ. როგორც ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტს მალე გასაწითლებელი აღარაფერი ექნება: ყოველთვიურად მისი ხელფასი 20 ათასი ლარი (10 ათას დოლარამდე) გახდება. მაგრამ თურმე ნუ იტყვით და, „ტრადიციონალისტებს" სხვა სიურპრიზიც ჰქონიათ მომზადებული — მათ შეიტანეს წინადადება საპრეზიდენტო ფონდის მკვეთრად შემცირების შესახებ, რომელიც ამჟამად 9 მლნ ლარს შეადგენს.

შედარებისთვის: შარშანდელი სამხედრო ბიუჯეტი 42 მლნ ლარი იყო. ასე რომ, დეპუტატები ედუარდ შევარდნაძეს ხელფასის გვარიანად მომატებას კი დაჰპირდნენ, მაგრამ კვანტიც მარჯვედ გამოჰკრეს — 9 მილიონიანი პრეზიდენტის ფონდს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, მხოლოდ 2 მლნ ლარი დარჩება. პარლამენტარებმა არც ფონდის სავარაუდო ხარჯების დაანგარიშება დაიზარეს. მაგ., 240 ათასი ლარი სახელმწიფოს მეთაურის ხელფასს მოხმარდება, 414,7 ათასი — პრეზიდენტის მომსახურებას, 700 ათასამდე ლარი ბატონი ედუარდის ნაყოფიერი მივლინებების ხარჯებს დაფარავს. თუმცა პრეზიდენტის ფონდს განზრახული აქვს ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და არქიტექტურაზე ზრუნვა — საამისოდ გამოყოფილია 117,3 ათასი ლარი. შევარდნაძეს არც განათლება ავიწყდება და განსაკუთრებულად ნიჭიერ სტუდენტებსა და მოსწავლეებს „პრეზიდენტის სტიპენდიებით" გაახარებს საგანგებოდ მათთვის შემონახული 220 ათასი ლარიდან. ასე რომ, ფონდის სავარაუდო 2 მილიონიდან არც ისე ბევრი დარჩა — სულ რაღაც 198 ათასი ლარი. და აი, კანონმდებლებმა კვლავ პრეზიდენტის და თანამოქალაქეთა ზნეობრივ სიმრთელეზე იფიქრეს და გადაწყვიტეს, დარჩენილი თანხა პრეზიდენტის ფონდის ბიბლიოთეკის შევსებას მოახმარონ.

პრეზიდენტის ფონდის გვარიანი სეკვესტრი რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურებისადმი ზრუნვითაც არის განპირობებული. ამიტომაც, შევარდნაძისთვის ჩამორთმეული 7 მლნ ლარი მოხმარდება სამხედროებს, მზვერავებს და მესაზღვრეებს. თავდაცვის სამინისტრო მიიღებს 3 მლნ 43 ათას ლარს, უშიშროება — 2 მლნ 784 ათასს, ხოლო მილიონზე ცოტა მეტი ერგება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს.

როგორც რესპუბლიკის პარლამენტის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, თუმცა მორიგ სხდომაზე ტრადიციონალისტების წინადადება დეტალურად არ განხილულა, დეპუტატებს ისე მოეწონათ ეს აზრი, რომ მოწინააღმდეგე თითქმის არ გამოჩენილა. ახლა ბატონ ედუარდს მორიგ დარტყმას უმზადებს მშვიდობიანობის დამრღვევი „ეროვნულ ძალთა გაერთიანება". როგორც გაერთიანების ლიდერი ზვიად ძიძიგური იტყობინება, მისმა მომხრეებმა დაიწყეს 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება პარლამენტისა და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნით. ოპოზიციონერთა აზრით, უამისოდ საქართველო კრიზისიდან ვერ გამოვა.

„ეროვნულ ძალთა გაერთიანება", რომელშიც საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრეები შედიან, დიდი ხანია ითხოვს შევარდნაძის გადადგომას. საინტერესოა, რომ მათ შეუერთდა ფრაქცია „ახალი ნაციონალური მოძრაობა". იგი ჩამოაყალიბა საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილიც არ არის წინააღმდეგი, რომ შევარდნაძემ ვადამდე დატოვოს თანამდებობა. იგი ამბობს, პრეზიდენტი, როგორც პიროვნება იმდენად დასუსტდა, რომ მთავრობას „ურთიერთსაპირისპირო იმპულსებს" უგზავნისო. სააკაშვილი ვარაუდობს, რომ ასეთი საქციელის მიზეზი პრეზიდენტის ასაკია. რაც მთავარია, ხალხი დაღალა მოუგვარებელმა პრობლემებმაო. ამიტომ მოსალოდნელი რეპრესიებისა და შემდგომი დევნის თავიდან ასაცილებლად შევარდნაძეს სთავაზობენ, გაიზიაროს რუსეთის გამოცდილება. თუნდაც გადაწყვეტილება პრეზიდენტისა და მისი ოჯახისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიღების შესახებ.

***უტრო რუ***

# თბილისი ფრთხილად ვაქრობს...

**რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ რუშაილო თბილისს ეწვია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი მშვიდობისმყოფელების მანდატის შეცვლის შესაძლებლობის განსახილველად.**

საქართველოს ეროვნული უშიშროების მდივანმა ნუგზარ საჯაიამ და რუშაილომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე. შეხვედრის შემდეგ რუშაილომ განაცხადა, — მოკლე ხანში პანკისის ხეობაში „ერთობლივ ღონისძიებებს" ჩავატარებთო. მაგრამ ქართული მხარე უარყოფს ერთობლივი ძალისმიერი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობასაც კი. ხეობაში ჯერჯერობით გაიგზავნება მხოლოდ რუსეთის მაშველთა ჯგუფი.

— არ გამოვრიცხავ, რომ პანკისის ხეობაში დევნილთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ჩეჩნეთის ომში მონაწილეობდნენ, — სენსაციური განცხადება გააკეთა ნუგზარ საჯაიამ და დასძინა, — ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ რუსეთის სპეცსამსახურებთანო.

შსს-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა (ეს უწყება ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციების პასუხისმგებელია) პაატა გომელაურმა „იზვესტიას" განუცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები დიდი ხანია თანამშრომლობენ, მაგრამ ერთობლივ ოპერაციებზე ლაპარაკიც არ არის. მისი მონაცემებით, პანკისის ხეობაში ჯერ მხოლოდ რუსეთის მაშველთა კორპუსის წარმომადგენლები ჩავლენ პანკისის ხეობაში ჩასახლებული 7 ათასი ჩეჩენი ლტოლვილის სამშობლოში დასაბრუნებლად. რუშაილოს თბილისში ყოფნის პერიოდში სოხუმს ეწვია რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, გოსდუმის დეპუტატი ალექსანდრ შაბანოვი. ის და აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი სოკრატ ჯინჯოლია შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს. ამას შეუძლებელია არ გამოეწვია თბილისის უკმაყოფილება. სანამ წვრილფეხა ჩინოსნები ქოთქოთებდნენ და მოსკოვს კილავდნენ, ბრძენი პოლიტიკოსი შევარდნაძე ცდილობდა პარიტეტის შენარჩუნებას. რუშაილოსთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, — რუსეთი, როგორც უახლოესი მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე, შეუცვლელია საქართველოსთვის, მაგრამ ერთი მეგობრის გულისთვის თბილისი სხვა მეგობართან, კერძოდ, აშშ-თან ურთიერთობას ვერ გააფუჭებსო.

საინტერესოა, რომ მიუხედავად შინაპოლიტიკური დაძაბულობისა, ვაშინგტონი საქართველოს არ ივიწყებს. ჯორჯ ბუშმა საქართველოში ამერიკის ახალ ელჩად დაასახელა რიჩარდ მაილზი, რომელიც აქამდე სოფიაში იყო ელჩად, მანამდე კი — ბელგრადში. 1996 წლამდე მუშაობდა მოსკოვში ელჩის მოადგილედ, შემდეგ აზერბაიჯანში იყო ელჩად, ხოლო ბერლინში ამერიკის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო პოლიტიკურ ბიუროში მაილზი მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპის, იუგოსლავიისა და სსრკ-ის პრობლემატიკასა და რეგიონალურ სამხედრო საკითხებზე.

ამერიკული დიპლომატიური მისიის ახალი წარმომადგენლის ჩასვლა თბილისში ალბათ ამერიკულ-ქართულ ურთიერთობებს არ შეცვლის და შევარდნაძე ნატოსთან ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს. ჯერჯერობით კი საქართველოს ჯარი, თურქების დახმარებით, სამხრეთატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან ადაპტირებას ცდილობს.

***იზვესტია***



# შევარდნაძემ რუსეთს 8 000 კმ² „მოაკბიჩა"

**ეს მოხდა 1990 წელს. სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მაშინ ლამაზად წავიდა თანამდებობიდან. კონსერვატორ კომუნისტებს თითი დაუქნია, ამერიკელები კი მოთაფლა და ბერინგის ზღვის რვა ათასზე(!) მეტი კვადრატული კილომეტრი უჩუქაუა. რუსეთის პარლამენტს ჯერაც არ მოუხდენია ამ „პაქტის" რატიფიცირება.**

1990 წელს სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს ეწვია და მაშინდელ სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს მოულოდნელად შესთავაზა ბერინგის ზღვის პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ (რა საოცარიც არ უნდა იყოს) ეს განზრახვა არავისთვის შეუთანხმებია, გორბაჩოვისთვისაც კი! ორი დიდი სახელმწიფოს საზღვაო სამფლობელოების გამყოფი მრუდის მაგივრად, ედუარდ ამბროსიევიჩმა ნავარინის კონცხიდან ალეუტის ღრმულამდე, რუკაზე ფანქრით სწორი ხაზი გაავლო. საზღვრის ასეთი „გასწორებით" შევარდნაძემ ამერიკელთა სასარგებლოდ, რუსეთის ტერიტორიას რვა ათასი კვადრატული კილომეტრი „მოაკბიჩა". რუსული (თუ ქართული) გულუხვობით გაშტერებულმა ამერიკის კონგრესმა კი ხელშეკრულება მაშინვე დაამტკიცა.

მას შემდეგ რუსეთი ყოველწლიურად კარგავს 150 ათას ტონა თევზს, ხოლო ამ 11 წლის საერთო დანაკლისი 2 მლნ ტონას შეადგენს და გაცხარებული ქვირითობის დროს, რუსული ხომალდები „ბეიკერ-შევარდნაძის ხაზს" (ასე უწოდა ხალხმა) „ეკვრიან" და ღმერთს ევედრებიან, თევზი მათკენ გადავიდეს.

ათ წელზე მეტია, მეთევზეები ეხვეწებიან მთავრობას რუსეთის კუთვნილი ტერიტორიის დაბრუნების შესახებ საკითხის აღძვრას, მაგრამ ეტყობა, რუსეთს ურთიერთობის გართულება არ სურს ამერიკასთან, რომელიც მისგან განსხვავებით, არავის ჩუქნის თავის ტერიტორიებს.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №16***

# რუსეთის მიზნები კავკასიაში

რუსეთი კვლავაც განაგრძობს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ორმაგ თამაშს. ერთი მხრივ, ტერორისტებად მიიჩნევს ჩეჩენ სეპარატისტებს და დასავლეთს დახმარებას სთხოვს ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ კი ეხმარება სეპარატისტებს მოლდოვაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში! აშშ-ის მეთაურობით მოქმედი ანტიტერორისტული საერთაშორისო კოალიცია რუსეთს უფლებას აძლევს, თავისი ურთიერთწინააღმდეგობრივი მიზნები განახორციელოს იმ მხარდაჭერის სანაცვლოდ, რომელიც დასავლეთმა ავღანეთის წინააღმდეგ ცენტრალური აზიიდან წარმოებულ ოპერაციაში რუსეთისგან მიიღო. მაგრამ პუტინის ეს დახმარება დასავლეთს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს... საქმე ის არის, რომ კავკასიის საკვანძო სახელმწიფო, საქართველო თავს დასავლეთისგან გარკვეულწილად მიტოვებულად გრძნობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა რუსეთ-ამერიკის ალიანსი ჩამოაყალიბა, თუმცა დასავლეთმა რუსეთი არც მაშინ დაგმო, როცა მან სტამბოლის ეუთოს სამიტის ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზების გატანა გააჭიანურა. რაც შეეხება ჩეჩნეთის ომს, პრეზიდენტ პუტინთან დასავლეთის დამოყვრებამ ჩააჩუმა ის კრიტიკა, რომელიც უწინ ხშირად გამოითქმებოდა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. ამ მიზნით, მოსკოვი ხშირად იყენებდა და იყენებს ჩეჩენი მეამბოხეების ნამდვილსა თუ გამოგონილ კავშირებს „ალ ქაიდასთან" და ოსამა ბინ ლადენთან, რითაც აშშ და მისი პარტნიორები თვალს ხუჭავენ რუსეთის იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოზე რუსეთის კონტროლის აღდგენას. რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა სწორედ ეს გახლავთ — საქართველოს დაბრუნება. მოსკოვში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით ჩეჩნეთში ომის მოსაგებად აუცილებელია რუსეთმა ჯერ თბილისზე აღიდგინოს უწინდელი გავლენა. ვლადიმირ პუტინი ამ მიმართულებით უკვე აღწევს წარმატებებს და თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, საქართველოს და მასთან ერთად აზერბაიჯანსაც, მტკიცედ მოიქცევს კლანჭებში. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანმა და რუსეთმა უკვე გააფორმეს შეთანხმება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ და ბაქომაც მოსკოვს 10 წლით დაუთმო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული უმძლავრესი რადიოლოკაციური სტრატეგიული სადგური, რითაც რუსეთს მიეცა შესაძლებლობა, გააკონტროლოს ინდოეთის ოკეანეში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან გაშვებული ნებისმიერი ბალისტიკური რაკეტის მოძრაობა და საერთოდ მთელი სამხრეთ ნახევარსფეროს საჰაერო სივრცე. ამასთან, თუ მოსკოვი შეძლებს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებასაც და აიძულებს სომხეთს. დაუთმოს აზერბაიჯანს და იმავეს შეძლებს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეს ქვეყნებიც (აზერბაიჯანი და საქართველო) კვლავაც ჩრდილოეთისკენ აიღებენ ორიენტაციას. შედეგად — რუსეთს ბოლო ათწლეულში ექნება ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური უკუგება, როგორც თავიდან იგეგმებოდა. საბოლოოდ, დასავლეთს ხელთ შეიძლება შერჩეს მხოლოდ და მხოლოდ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, მაშინ, როცა პოლიტიკურ-სტრატეგიულ გავლენას რეგიონზე მთლიანად მოსკოვი დაეპატრონება...

***ინტელიჯენს დაიჯესტი***


პეპონენი

გოგრის თესლის ზეთი

ბუნების ჯადოსნური ძალა - მამაკაცებს!

ანელებს წინამდებარე ჯირკვლის – პროსტატის ზრდას

- უკუაგდებს შარდვისას პროსტატიტთან დაკავშირებულ ტკივილის შეგრძნებას
- გეხმარებათ პროსტატის ადენომის მიზეზით ქირურგიული ჩარევისგან თავის აცილებაში
- ანელებს ათეროსკლეროზის პროცესებს
- აუმჯობესებს მამაკაცის სპერმის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობას, რაც ხელს უწყობს მამაკაცის ნაყოფიერების ზრდას
- შეიცავს „კარგ ცხიმებს" მონო- და პოლი-უჯრედებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება ქოლესტერინისაგან განთავისუფლებაში
- შეიცავს დიდი რაოდენობით რკინასა და თუთიას, ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს

პეპონენის კაფსულები შეიცავენ ეკოლოგიურად სუფთა პირობებში მოყვანილ გოგრის თესლის ზეთს




გადავარჩინოთ მამაკაცის "მეორე გული"!

იკითხეთ ქალაქის აფთიაქებში!

# „ქართული ხმების“ ყველაზე უმცროსი წევრი საოპერო ხელოვნებას მილანში ეუფლება

(„მილანში მითხრეს — ბერლუსკონის უფრო ადვილად შეხვდები, ვიდრე კახა კალაძესაო...“)

ოთახში საოცრად თბილა. ფანჯარაში შემოჭრილ მზის სხივებს თვალს ვერ გაუსწორებს კაცი. შეიძლება, ცოტა ხნით დაგავიწყდეს კიდეც, რომ გარეთ სუსხიანი ზამთარია. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ჩემი მასპინძელი იმათ რიცხვს განეკუთვნება, ვინც ისე საინტერესოდ და ლამაზად ჰყვება, რომ მსმენელი დროის შეგრძნებას კარგავს. ვისზე და რაზე არ მიამბობს — იტალიაზე, მილანზე, ლა სკალას ცნობილ თეატრზე, იქ მოღვაწე ქართველებზე, მოკლედ, ყველაფერზე, საკუთარი თავის გარდა... რამდენიმე დღეში ანსამბლ „ქართული ხმების“ ყველაზე უმცროსი წევრი **გივი ჭიჭინაძე** თბილისს დატოვებს და მეუღლესთან — პიანისტ მაკა სოხაძესთან და შვილთან — პატარა თამუკასთან ერთად მილანს დაუბრუნდება. მანამდე კი ცდილობს აქ, საკუთარ ქალაქში არავინ დარჩეს მოუკითხავი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო — დიდხანს უჩიჩინეს ახლობლებმა, გულშემატკივრებმა — ნაცნობებმა თუ უცნობებმა, რომ მიეხედა ხმისთვის, რომ უბრალოდ, დანაშაული იყო მისი შესაძლებლობების არგამოყენება. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ერთ მშვენიერ დღეს კეთილი ადამიანების დახმარებით მილანს გაემგზავრა. პირველივე ჩასვლაზე რამდენიმე სპეციალისტმა მოუსმინა და მათი პასუხი ერთნაირი იყო — გივი ჭიჭინაძემ აუცილებლად უნდა გააგრძელოს მეცადინეობა! სამწუხაროდ, ასაკი კონსერვატორიაში ან სპეციალურ სასწავლებელში ჩაბარების საშუალებას აღარ აძლევდა, ამიტომ გადაწყდა, რომ ვოკალის გაკვეთილები კერძოდ მიეღო რომელიმე ცნობილ პედაგოგთან.

— დიდხანს ვარჩევდით პედაგოგს, ბოლოს, ქართველი მუსიკოსის, ქალბატონ ნანა მიქაბერიძის რჩევა ვიღეთ ყურად და მივადექით ქალბატონ ევგენია ანველტის — მილანის კონსერვატორიის პროფესორს, ძალიან ძლიერ და ნიჭიერ მასწავლებელს. ქალბატონი ევგენია თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. მისი ნამდვილი გვარი — სოლოტკოა — ეროვნებით რუსი გახლავთ. თბილისის კონსერვატორია აქვს დამთავრებული. რამდენიმე წლის განმავლობაში აქ, ჩვენთან, საოპერო სტუდიაში მოღვაწეობდა, ცოტა ხანს ოპერაშიც მღეროდა. თავდაპირველად ესტონეთში გათხოვილა, თუმცა მალევე გაშორებია მეუღლეს. შემდეგ იტალიელი მხატვარი გაუცნია და მათი ურთიერთობა ქორწინებით დასრულებულა. ორი ქალიშვილი ჰყავთ. საკმაოდ კარგად ცხოვრობენ მილანში და მათ ოჯახს ცნობილ ოჯახად თვლიან. ჩემი პედაგოგი ისეთ არაჩვეულებრივ მომღერლებთან მეგობრობს, როგორებიც არიან პაატა ბურჭულაძე, ლარისა მაღლაფერიძე, რენატა ტებალტი, სანდერლენდი... ძალიან უყვარს საქართველო და ქართველები. ხშირად იხსენებდა აქ ცხოვრების წლებს. მამა ადრე გარდაეცვალა და დედა საოცარ გაჭირვებაში ზრდიდა შვილებს. თბილისში რამდენიმე წლის წინ ჩამოსულა და კონსერვატორიის დარბაზში ჩაუტარებია მასტერ-კლასი. ძალიან განიცდის აქ არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობას. მისი თბილისში ჩამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა მაღაზიებთან პურის ტალონებით ხელში უამრავი ხალხი იდგა რიგებში... სულ იმას ამბობს — არ მეგონა საუკუნის დასასრულს ჩემს მშობლიურ ქალაქს ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს თუ ვნახავდიო...

— **როგორ მომავალს გიწინასწარმეტყველებთ ქალბატონი ევგენია?**

— არ ვიცი. მითხრა, რომ არამც და არამც არ უნდა შევწყვიტო მეცადინეობა. მეც ახლობლების ამდენი ჩიჩინის შემდეგ დამაინტერესა, შევძლებდი თუ არა სიმღერას. ხმა ნამდვილად მაძლევს ამის საშუალებას, მაგრამ ძალიან ძნელი აღმოჩნდა სტილის შეცვლა. ქართული ხალხური სიმღერები სხვანაირად იმღერება, საოპერო — აბსოლუტურად სხვანაირად. უნდა ისწავლო სწორი სუნთქვა... ვნახოთ, რა გამოვა... თუ ყველა სირთულე დავძლიე, ალბათ თბილისის ოპერის სცენაზე ვიმღერებ.

— **ჩემსავით ალბათ ბევრი ფიქრობს — გივი ჭიჭინაძის ხმა შესამჩნევად დააკლდება „ქართულ ხმებს“...**

— „ქართულ ხმებში“ არაჩვეულებრივი მომღერლები მღერიან. არა მგონია, ჩემი არყოფნა ძალიან შეეტყოთ. მართალი გითხრათ, ანსამბლი ძველებურად, სისხლსავსე და აქტიური ცხოვრებით არ ცხოვრობს, ნაკლები კონცერტები გვაქვს, თუმცა უკვე დაგეგმილია რამდენიმე საგასტროლო მოგზაურობა. ამ დროს ბიჭებს მეც შევუერთდები. უმცროსი „ქართული ხმების“ წევრებიც



ლა სკალას წინ: მაკა, თამუკა და გივი ჭიჭინაძეები

უკვე გაიზარდნენ, დაღვინდნენ. ბოლომდე გადაწყვეტილი არ გვაქვს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ალბათ ასეც მოხდება — გზას ჩვენს მომავალ თაობას დავულოცავთ... ჩემი მეგობრები „ქართული ხმებიდან“ ჩემი დიდი გულშემატკივრები არიან.

— **მილანში თუ არიან ქართველი მომღერლები?**

— რა თქმა უნდა, არიან და ხშირად ვხვდებით კიდეც. პირველად ვნახე ნინო სურგულაძე, რომელიც ლა სკალას აკადემიაში სწავლობს, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ნინომ გამაცნო უნიჭიერესი ქართველი მომღერალი ლაშა ნიქაბაძე. იგი ქუთაისელია, ძალიან უყვართ და აფასებენ მილანში. ლაშაც გავიდა დომინგოს კონკურსის ფინალში, მაგრამ ავად გახდა და ბოლო კონცერტზე სიმღერა ველარ შეძლო. ამის მიუხედავად, ორი სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა. ჩვენ ძალიან დავახლოვდით. ერთად დავესწარით ლა სკალაში ვერდის „ოტელოს“, სადაც დომინგო მღეროდა. სწორედ ამ სპექტაკლზე დავინახე, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ლაშა საოპერო ელიტაში. ფარდის დახურვის შემდეგ კულისებისკენ წამიყვანა, რათა ერთად მიგველოცა დიდი მაესტროსთვის კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ კულისებში შესვლა აკრძალულია, ჩვენ არავის შევუჩერებივართ. მაესტრომ, რომ გაიგო, ლაშა ეწვია, მაშინვე გამოვიდა გასახდელიდან და ახალგაზრდა კოლეგას გადაეხვია. სწორედ მაშინ გავიცანი ლეგენდარული დომინგო... ლაშა მილანში მეუღლესთან და პატარა ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს...

— **დომინგოს კონკურსში ქართველებიდან მხოლოდ ლაშა მონაწილეობდა?**

— ამ კონკურსში მონაწილეობდა თბილისელი ქალბატონი მარტიროსიანი (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს), რომელმაც აგრეთვე სპეციალური პრიზი დაიმსახურა... მილანში შევხვდი ქართველ მომღერალს ირინა რატიანს, საოცრად შრომისმოყვარე და ნიჭიერ ქალბატონს. ირინა ცნობილი კონკურსის „ვერდის ხმების“ გამარჯვებულია. ის ამ საუკუნეში პირველი ქალია, რომელმაც ოტელოს არია შეასრულა როსინის „ოტელოში“. გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი მომღერალია, უკეთილშობილესი პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა. თუ რაიმე გვიჭირდა, მუდამ ჩვენ გვერდით იყო: მის ამაგს ვერაფრით გადავიხდით... ლა სკალაში დავესწარით ვერდის „მაკბეტს“. სამწუხაროდ, გვიან გავიგეთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლედი მაკბეტის არია ქართველ მომღერალს — იანო ალიბეგაშვილს შეუსრულებია. ქალბატონი იანო იტალიაშია გათხოვილი და ოზიმოში ცხოვრობს. მისი მეუღლე საკმაოდ ცნობილი ბარიტონია. ქალბატონი იანო ფსევდონიმით გამოდის სცენაზე. მას იცნობენ, როგორც „იანო-თამარს“... ჩვენი ლადო ათანელი და ბადრი მაისურაძე ევროპის ცნობილ საოპერო თეატრებში მღერიან...

— **გივი, თქვენ დაესწარით არაჩვეულებრივად სკანდალურ კონცერტს, რომელზეც პლასიდო დომინგოს ხმა ჩაუწყდა...**

— ეს მართლაც საოცარი სანახაობა იყო. 7 დეკემბერს მილანის მფარველი წმინდანის — ამბროსის ხსენების დღეა. ყოველთვის ამ დღეს ხსნის ლა სკალა სეზონს. წინა წელი ვერდის წელი გახლდათ. ეს სეზონიც ვერდის „ოტელოთი“ გაიხსნა. მე დავესწარი გენერალურ რეპეტიციას. 7-ში სეზონის გახსნაზე მოხვედრა თითქმის წარმოუდგენელია. ამ დღეს თეატრში იკრიბება მსოფლიოს ელიტა. რეპორტაჟი გადაიცემა პირდაპირი ეთერით. მომდევნო სპექტაკლი 11-ში ჩატარდა. ამ დღესაც დომინგო მღეროდა ოტელოს არიას... მეორე აქტში უცებ შეწყვიტა სიმღერა. სახეზე ხელები აიფარა და გამოაცხადა — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ცუდად ვარ, სპექტაკლს ველარ გავაგრძელებო და გავიდა სცენიდან. დარბაზი ცოტა ხანს გაისუსა. მერე ატყდა ერთი ამბავი. ხალხი მხარს უჭერდა საყვარელ მომღერალს — მერე რა, შენ მაინც დიდი ხარ; ჩვენ ძალიან გვიყვარხარ! — გაისმოდა შეძახილები. ამასობაში სასწრაფო დახმარების მანქანებიც მოვიდა. აღმოჩნდა, რომ მაესტროს 200-ზე მეტი ჰქონდა წნევა. ორმოც წუთში დომინგო სცენას დაუბრუნდა და და აქტში ბრწყინვალედ შეასრულა ოტელოს არია.

— **ახლა თუ მიდის სპექტაკლები ლა სკალაში?**

— სხვათა შორის, ლა სკალა 31 დეკემბერს სამი წლით დაიხურა რემონტის გამო. დასი ქალაქგარეთ უზარმაზარ დარბაზში გადავიდა დროებით. დახურვაზე ლაშა ნიქაბაძემაც იმღერა.

— **სხვა პროფესიის ქართველებს თუ ხვდებოდით?**

— სამწუხაროდ, არა. ძალიან მინდოდა კახა კალაძის ნახვა (მოგეხსენებათ, მილანში თამაშობს). გარდა იმისა, რომ ძალიან მიყვარს ფეხბურთი, დედა მყავს კალაძე და ორმაგად ვგულშემატკივრობ კახას. ის მილანში საოცარი ავტორიტეტით სარგებლობს. ფეხბურთელებს უმძიმესი რეჟიმი აქვთ, ძალიან უფრთხილდებიან მათ. ასე მითხრეს, ბერლუსკონის ნახვა უფრო ადვილია, ვიდრე კალაძისო...

— **ვიცი, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულეთ...**

— ეს მართლაც მშვენიერი დღე იყო — წავედით იტალიის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბარში, სადაც წმინდა ნიკოლოზის საფლავია. ეს საფლავი დომინიკანელთა ხელშია, მაგრამ იქვე, უზარმაზარ ტაძარში არსებობს მართლმადიდებლური კუთხე. საფლავთან ახლოს მისვლა არ შეიძლება. დომინიკანელთა წირვა ნახევარ საათს გაგრძელდა. დაველოდეთ, როდის დაცარიელდებოდა ტაძარი და მცველს ვთხოვეთ იმ ოთახის კარი გაეღო, სადაც წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილებია დაფლული. ღვთის ნებით მცველი დაგვთანხმდა და... დიდხანს ვილოცეთ... სურათის გადაღების ნებაც ვითხოვეთ. იმავე დღეს დავბრუნდით რომში და მოვინახულეთ წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს საფლავები (წმინდა პეტრეს საფლავი მისივე სახელობის ტაძარშია ვატიკანში, წმინდა პავლესი კი — რომში, უზარმაზარ ბაზილიკაში).

— **თქვენი მეუღლეც მუსიკოსია?**

— კი. პიანისტია, თემურ მათურელის მოსწავლე. იქ ყველა მომღერალს საკუთარი კონცერტმეისტერი ჰყავს. მაკა მე მიკეთებდა აკომპანიმენტს. სხვათა შორის, ძალიან ძვირად ღირებულია კონ-



ქალაქი ბარი — წმინდა ნიკოლოზის საფლავი

ცერტმეისტერის შრომა. არ ვიცი, ამის ბრალია თუ სხვა რამის, მომღერლების უმეტესობას პიანისტი მეუღლეები ჰყავთ... მოკლედ, მე, შედარებით იოლად გამოვედი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის გამო არ შევუღლებულვართ, მე და მაკა მანამ დავქორწინდით, სანამ სიმღერას დავიწყებდი...

— **რა გენატრებოდათ ყველაზე მეტად, თუ მონატრების დრო არ გქონდათ?**

— მონატრების დრო ყოველთვის არის. ერთ კვირაში უკვე ყველა და ყველაფერი გვენატრებოდა — თბილისი, სახლი, მეგობრები, ჰაერი, საჭმელი... ჩვენ იმ კატეგორიას განვეკუთვნებით, რომლებიც სხვაგან დიდხანს ვერ ძლებენ...

***ეკა მახარაშვილი***

# ინგლისური კალენდრიდან „გახსნილი“ ქართველი მანდილოსნის ისტორია...



ხათუნა საჯაია-დეი კალენდრის გარეკანზე

დაახლოებით ერთი თვის წინ, დიდ ბრიტანეთში მივლინებით მყოფმა მეგობარმა ტრადიციულად, სამახსოვრო საჩუქარი ჩამომიტანა. ეს იყო საკმაოდ კარგი ხარისხის, რესპექტაბელურად გამოცემული კალენდარი, რომელიც საქვეყნოდ განთქმულ, ბრუკლინის საავტომობილო მუზეუმს ეძღვნებოდა. კალენდარი კალენდრად — მასში XX ს-ის დასაწყისის, ელიტარულ-ანტიკვარული მოდელების ფოტოები იყო განთავსებული (სხვათა შორის, მათი უმეტესობა ერთადერთ ეგზემპლარად არსებობს და ხსენებულ მუზეუმშია დაცული. არათუ ავტომობილის, მათი ფოტოებიც კი დიდი იშვიათობაა...). უნდა გენახათ ჩემი გაოცება, როდესაც ამ ყველაფრის მიღმა, კალენდარში კორპორაცია MG-ს 1932 წლის ერთ უიშვიათეს მოდელში მჯდომი ქართველი მანდილოსნის, ხათუნა საჯაიას ფოტოსურათი აღმოვაჩინე. ბუნებრივია, ფოტოს წარმომავლობით დავინტერესდი და ერთ- თვიან „კვლევა-ძიების“ შემდეგ დიდ ბრიტანეთში ტელეფონის საშუალებით მასზე გამოსახულ ქალბატონსაც დავუკავშირდით.

— **დღეს ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ არის წასული ბედის საძიებლად. მაგრამ თქვენ დიდი წარმატებებისთვის მიგიღწევიათ...**

— ეს არც ისე იოლად მოხდა... თბილისის „უცხო ენების“ დამთავრების შემდეგ ცენტრალურ ამერიკაში, კოსტარიკაში გავემგზავრე, სადაც ერთდროულად ორ ინსტიტუტში ვმუშაობდი — ესპანურ მოსახლეობას ინგლისურ ენას ვასწავლიდი. იქვე, სან-ხოსეს უნივერსიტეტში დავეუფლე ფრანგულ ენას. მოგვიანებით კი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოში გავემგზავრე, რადგან ჩემი ოცნება იყო, ოქსფორდის უნივერსიტეტში მესწავლა. არავითარი ნაცნობი... ფულიც გამითავდა. შიმშილი, სიცივე, უმუშევრობა თუ უთვისტომობა — რომელი ერთი ჩამოვთვალო, რაც მე იმ პერიოდში გადავიტანე. მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია — ერთი უბრალო სამუშაო ვიშოვე და მაინც ვსწავლობდი. უსახსრობის გამო ბოლოს, იძულებული გავხდი, ოქსფორდიდან წამოვსულიყავი და სწავლა გავაგრძელე რედინგში, მომავლის ბიზნესის კოლეჯში, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტს ეკუთვნის.

— **თუმცა, ოქსფორდზე მაინც ფიქრობდით...**

— რედინგის დასრულების შემდეგ გავთხოვდი — ჩემი მეუღლე, რამინ დეი ყველანაირად მიწყობდა ხელს და ოცნებაც ავისრულე — ოქსფორდის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მისი დასრულების შემდეგ კი კომპიუტერულმა პროგრამირებამ გამიტაცა და პროგრამირების ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, რომელსაც ერთ წელიწადში დავასრულებ. ხშირად ვმოგზაურობ სხვადასხვა ქალაქში გასვლითი ლექციებით, წლის საუკეთესო ლექტორის წოდებაც მომანიჭეს...

— **ინგლისურ კალენდარში როგორ მოხვდით?**

— ჩემი მეუღლე პროფესიით ავტოინჟინერია. ბრიტანეთში მომხდარი დიდი წყალდიდობის გამო მთლიანად დაზიანდა ბრუკლინის ისტორიული მანქანების მუზეუმი, რომლის აღდგენითი სამუშაოები ჩემმა მეუღლემ შეასრულა. რაც შეეხება ფოტოს — მოგვიანებით კონკურსი გაიმართა, სადაც გარეგნობასა და 30-იანი წლების სტილში გრან-პრი მივიღე და შესაბამისად, აღნიშნულ კალენდარშიც მოვხვდი...

— **დღეს მოდური შეკითხვაა — თქვენი ჰობი?**

— პოეზია, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია. ვარ ინგლისის მწერალთა კავშირის და აშშ-ის მწერალთა საზოგადოების წევრი...

ქალბატონი ხათუნას მეშვეობით მისი შემოქმედების შესახებ ბევრი სხვა საინტერესო დეტალიც შევიტყვეთ, რაზე საუბარიც, როგორც ჩანს, თავმდაბლობის გამო, თავად რესპონდენტმა არ ისურვა.

ახლახან, ვაშინგტონში გამართულ ინტერნაციონალისტ მწერალთა ყრილობაზე ხათუნა (ქეთრინ) საჯაია-დეის პოეზიამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და ქართველი პოეტი სპეციალური მედლითაც დააჯილდოეს. მისი ლექსები სპეციალურ გამოშვებაში იქნა მოთავსებული, რომელსაც „საპატივცემულო პოეტები“ ეწოდება. ამჟამად იგი ბრიტანეთში, შარქშას საგრაფოში ცხოვრობს.

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

ბაღიდან დაბრუნებული **ბექა** აღშფოთებული ეუბნება დედას, — ნატო მასწავლებელმა თქვა, ყველანი დავწვეთო და თვითონ არ დაწვა...

***

**5 წლის არსენა ერქომაიშვილი** სტუმრად იყო ბებიის დასთან, რომლის ქმარსაც დევი ჰქვია. დევი შინ არ დახვდა. ბავშვმა იკითხა:

— ნინო ბებო, ის სად არის?

— ვინ ის? — ჩაეძია ნინო ბებო.

— აი, ის... ის, უჰ, დინოზავრი ბაბუა, — წამოიყვირა გახარებულმა ბავშვმა.

***

ჩაის სმის დროს **პატარა ბექას** ფინჯანი ხელიდან გაუვარდა და გატყდა. მივიდა დედასთან და უთხრა:

— დედიკო, შენს ფინჯანს ნაწილები დასცვივდა.

***

**3 წლის ლანა ცინცაძეს** ბაბუა შეჰპირდა, პატარა ხბოს გაჩვენებო.

ლანამ თავის თანატოლს, მარის მიახარა, — ბაბუას ძროხას ხბო გამოუჩეკია და შენც წაგიყვან სანახავადო.

***

სენაკელი **1 წლის და 7 თვის ინდირა ჭიჭინაძე** რომ ჩაისველებდა დედა ეუბნებოდა, — დებილი ხარო.

ერთხელ დედამ ინდირას უთხრა: — მამაშენი დებილიაო.

— რატომ, ჩაიფშა? — იკითხა ინდირამ.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ, ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ცნობილი ლექსის სტრიქონში გამოტოვებულ სიტყვას: „თებერვალი დადგაო, ხეში ... ჩადგაო“.




## იპოვე 14 განსხვავება





### დააკავშირე (დააწყვილე) საგნები

გაავლე ხაზი ისე, რომ ერთ მხარეს აღმოჩნდნენ შინაური ცხოველები, მეორეზე — გარეული. ამასთან ერთად, რომელ მათგანს მიესადაგება შემდეგი თვისებები: 1) მშიშარა, 2) ერთგული, 3) მატყუარა, 4) ჩხვლეტია, 5) ღორმუცელა.



მიიყვანე გოგონა კნუტთან





იპოვე ზედმეტი საგანი

გამოიცანი, რომელ ტორტს აკლია უფრო მეტი?



## I რებუსი





## ჭიავოხლი

ზედა რიგი: საწერი სითხე | კუთხე საქართველოში | რძის პროდუქტი | ყვავილი | მუსიკ. ნოტი | ჩანთოსანი დათვი

ქვედა რიგი: მატყუარა ცხოველი | ბიჭის სახელი | „შეძახილმა ... გაახმო“ | ის, რისგანაც ღმერთმა გამოძერწა კაცი | ბუს მსგავსი ღამის ფრინველი | ბატი ... (მულტფილმი) | ... პუგაჩოვა

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## შეურისმაძიებელი მოშე

ერთმა ჩემმა მეგობარმა თავისი უფროსის ბ-ნ თამაზ გ.-ის და ყოფილი თანამშრომლის, მოშე დ.-ის „პაექრობის“ კურიოზული ამბავი მომიყვა. ისინი თბილისის ერთ-ერთ სავაჭრო ორგანიზაციაში მუშაობდნენ წინა საუკუნის 80-იანი წლებში. მოშე და მისი უფროსი ერთმანეთთან ვერა და ვერ რიგდებოდნენ. იყო ერთი ჩხუბი და გაწევ-გამოწევა.



ერთ მშვენიერ დღეს მოშე უფროსთან მივიდა, ოღონდ ამჯერად საჩხუბრად კი არა, სათხოვნელად. მოშე ემიგრაციაში მიემგზავრებოდა ისრაელში და სხვა საბუთებთან ერთად დახასიათებაც სჭირდებოდა სამსახურიდან. ბ-ნმა თამაზმა, მაინცდამაინც კარგი დახასიათება არ მისცა თავის ხელქვეითს, რომელიც სულ ცდილობდა სხვების მოტყუების ხარჯზე პირადი მოგება ენახა... ამ არცთუ ისე კარგმა დახასიათებამ თავისი როლი ითამაშა და მოშე ლამის საქართველოში დატოვეს. მაგრამ მოშე რის მოშე იყო, საქმე რომ არ „ჩაეწყო“ და გაემგზავრა კიდევაც თავის აღთქმულ ქვეყანაში. თუმცა კი მიხვდა, რომ უფროსის დახასიათებამ საქმე გაუჯანჯლა და დაუქადნია, სამაგიეროს გადავუხდიო...

გავიდა ერთი თუ ორი წელი და მოშემ ძველ სამსახურში დარეკა ისრაელიდან. მოიკითხა ყველა თანამშრომელი და ბოლოს თავის ყოფილ უფროსთან, ბ-ნ თამაზთან ისურვა საუბარი.

მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ბატონო თამაზ, მე უკვე დიდი ხანია ისრაელში ვცხოვრობ და უკვე მაქვს საშუალება თქვენი შეკვეთა შევასრულო (კგბ, რა თქმა უნდა, უსმენს მათ სატელეფონო საუბარს).

— რა გთხოვე, გამახსენე ერთი!.

— ის, რაც თქვენ მთხოვეთ, ფოსტით არცთუ ისე ადვილი გამოსაგზავნია, ამიტომ ერთ სანდო პიროვნებას ვატან, რომელიც ამ დღეებში მოემგზავრება თბილისში...

გაოცებულმა ყოფილმა უფროსმა მადლობის თქმაც ვერ მოახერხა, თუმცა კი ვერაფრით ვერ გაიხსენა, რა უნდა შეეკვეთა თავისი ურჩი თანამშრომლისთვის.

სატელეფონო საუბრიდან მეორე დღეს ბ-ნ თამაზს კგბ-ში იბარებენ... დაკითხვას დაკითხვა მოჰყვა, არც მუქარა დაუკლიათ და არც თავდაყირა ფეხებით ჩამოკიდება, მაგრამ ეჭვმიტანილმა ვერც ვერაფერი გაიხსენა და მასთან არც არავინ მოსულა ისრაელიდან მოშეს გამოტანებული „ნობათით“.

მცირე ხნის შემდეგ ისევ განმეორდა ზარი ისრაელიდან.

— ბატონო თამაზ, მიიღეთ, რაც გამოგიგზავნეთ? — კმაყოფილი ხმა ჰქონდა მოშეს (პარალელურად ყურსასმენები ჰქონდათ მომარჯვებული კგბ-ს ოპერატიულ მუშაკებს).

— ჰოო, მივიღე, მოშე შენი გამოგზავნილი კგბ-ს მუჯლუგუნები, შენი დედა!.. გაგიხარდა, არა?

***ჯეკო, თბილისი***

## მაიტა, შავი იყოს!..



სიღნაღში ერთი უწყინარი, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი ცხოვრობს, ყველა იაშა პაპას ეძახის. იაშა პაპა ყმაწვილობიდანვე ენაბორძიკია, ზოგიერთი სიტყვის თქმა უჭირს.

ჯეელობისას თურმე თბილისში ყოფილა და მაღაზიაში მისულა თეთრი პურის საყიდლად... დიდი რიგი არ ყოფილა, მაგრამ მის შემდეგ კიდევ რამდენიმე კაცი იდგა თურმე.

— თე...თე...თე...თე... — დაიწყო და ვეღარ მოახერხა თეთრი პურის თქმა.

— დროზე, დროზე!.. ხალხი მელოდება! — მკაცრი ტონით მიმართა გამყიდველმა.

— მაიტა, შავი იყოს! — ხელი ჩაუქნევია იაშას და შავი პური უყიდია.

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***

## იმერული ზრდილობა



*„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის, ბატონ ვაჟა გავაშელის ნაამბობი:*

— რამდენიმე წლის წინ იმერეთში — სოფელ ბოსლევში მომიხდა ჩასვლა დაკრძალვაზე. მეგობართან ერთად ვიყავი. ბოსლევი საკმაოდ დიდი სოფელია, თანაც ორია — გაღმა და გამოღმა ბოსლევი, ისე რომ, ზოგიერთი თანასოფლელი ერთმანეთს არც კი იცნობს.

მოკლედ, შევედით „ერთ-ერთ“ ბოსლევში (არ მახსოვს, რომელში) და იმერულ ოდა-სახლთან დავიძახეთ:

— მასპინძელო!

გადმოდგა აივნიდან ნამდვილი ზემო იმერელი — „წელში გამოყვანილი“ და ზრდილობად დაღვრილი:

— მობრძანდით, ჩემო ბატონო! ამ წუთში, ჩემო ბატონო! — თუმცა ჩემს ხელში სამგლოვიარო გვირგვინი რომ დაინახა, ცოტა კი შეცბა.

— ბოდიში, ბატონო, დაკრძალვაზე ვართ ჩამოსულები — ჭუმბურიძის სახლს ხომ ვერ მიგვასწავლით?

— რომელი ჭუმბურიძეა ნეტავი? — თავისთვის ჩაილაპარაკა მასპინძელმა და ეზოში ფინიასთან მოთამაშე ბავშვს გადასძახა:

— ბიჭო, რა გვარია წყალგაღმა რომ მკვდარია ის?

— შარიქაძე! — ასძახა ბიჭმა.

კაცი ჩაფიქრდა, თუმცა უცებ რაღაც გაახსენდა და ისევ ჩასძახა:

— ის რა გვარია, იქით ბოსლევში რომ ყავთ კიდო ერთი?

— ჩაჩანიძე! — ისევ ფრიადოსან მოწაფესავით უპასუხა ბიჭმა.

შეწუხდა მასპინძელი „იმერულად“, აწრიალდა, კიბე წამში ჩამოირბინა, ღობესთან მოვიდა და დახმარების სურვილით შეპყრობილმა გვკითხა:

— მაინცდამაინც ჭუმბურიძის მკვდარი გინდათ, ბატონო, თქვენე?!

— ..., ...

***სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ფილთაქვა“ №1***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს საათი ხელის თითებზე ჰქონდა წამოცმული სამაჯურით. ჰკითხეს, რატომ გიკეთია თითებზეო და მანაც უპასუხა — ტელევიზორში გამოაცხადეს, საათი წინ გადასწიეთო.

***ზ.ნ., თბილისი***



მიხოს ბიჭი ჰყავდა პატიმარი, ზონაში იჯდა ქსანში. მამამ გაიგო, მობილური აქვსო. შვილი მაინც შვილია, ჯანდაბას, იქნებ დაველაპარაკოო და შაქროსთან გადავიდა, მეზობელთან, რომელსაც მობილური ჰქონდა. შაქრომ ნომერი აუკრიფა და მიხოს მიაწოდა ტელეფონი.

მიიდო ყურზე ტელეფონი და იქიდან ქალის ხმა ესმის: „აბონენტი გასულია ზონიდან!..“

— ვაა! — იყვირა მიხომ, — წამო, შაქრო, დავილოცოთ, ჯოო, ბიჭი ზონიდან გასულა, თავისუფალია!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



**გამოცანა:**

ძველი გურული ასე იტყოდა: „გავკუჭდი, ძამა, მარა რა გავკუჭდი. ხოდა, გავშპი ხიჭიჭურაზე, ავარდი წვერში, მოსკდა ბოლი და გავაყრიე ძნეყვა მიწაზე“.

ვინ გამოიცნობს, რას ამბობდა იგი?

**პასუხი:**

„გავბრაზდი, ძმაო, მაგრამ რა გავბრაზდი. ჰოდა, ავედი ხეჭეჭურზე (მსხლის ჯიშია), ავედი კენწეროში მოტყდა ტოტი და მოვადინე ბრაგვანი მიწაზე“.

***ზურაბ ნინუა, ოზურგეთის რაიონი, სოფელი შრომა***

## თუ ზემოდან მომაწვებიან...



**მამაჩემი, პლატონ ალანია, პედაგოგად მუშაობდა 40 წლის მანძილზე გალის რაიონში. ერთ-ერთ გაკვეთილზე, მშობელთა კრების წინა დღეს, მოსწავლეებზე განაწყენებულმა (დამრიგებელი იყო და მისმა კლასმა მაღალ მაჩვენებლებს ვერ მიაღწია პირველ მეოთხედში) დაქადნებით მიმართა მეათეკლასელებს:**

**— იცოდეთ, თუკი თქვენ გამო ზემოდან მომაწვებიან (მხედველობაში ჰქონდა რაიონის განათლების განყოფილება), მე იძულებული ვიქნები, თქვენს დედებს (მამები ხომ იშვიათად დადიოდნენ მშობელთა კრებაზე) მივაწვეო...**

***გია ალანია, გალის რაიონი, სოფელი წარჩე***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

### ჯანო ონიანს კონკურენტები გამოუჩნდნენ!



• • •

ნეობხოდიმოსტ — არ შემოუარო ხიდს
პეტუხ — პეტოს ყური
პისტოლეტ — სვი ასი წელი
როზნიცა — ნიცის ვარდები

***ისიდორე კიკნაველიძე, თბილისი***

• • •

დოლარი — ლარამდე
იასირ (არაფატი) — მე ყველი ვარ
მერაბ — მე მონა ვარ
ნესვი — არ დალიო
ნიჟარა — არ ცხელა
პოლიგონი — ნახევრად გონიერი (ცალტვინა)
ტახტი — ტახი შენ ხარ

***„სინდიოფა“, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# უბრალოდ — ფრაზა...



ტანზე პირსახოცშემოკრული გოგო — სარკის წინ, თეთრ სკამზე ჩამომჯდარი, სველი თმა ლამაზ ზურგზე ჩამოშლია და პირსახოცის ზედა ნაწილს ფარავს. მთელი ყურადღება საკუთარ ანარეკლზე აქვს გადატანილი, ყველაზე საყვარელი და მოხდენილი მდგომარეობა ქალისა. ამ სიტუაციაში კაცის მხრიდან ყოველგვარი სექსუალური გათამაშებები წინასწარვე კრახისთვისაა განწირული. არც მისთვის სცალიათ და არც თავისთვის ყველაზე მნიშვნელოვან „რაღაცისთვის“. განლაგებაც არასახარბიელოა, მხოლოდ გოგოს მხრებზე დაყრდნობით, წელში გადახრილი თუ ჩაუცურებ ხელს ყელის ჩაყოლებით მკერდის სიმრგვალეებისკენ, რომლის შხაპისაგან გაგრილებული, უნაოჭო თავები მჭიდროდ შემოკრულ პირსახოცს ებჯინება; იქ ჩაძრომა კი ერთობ რთული საქმეა. მტევნის ნაძალადევად უდიერ, დაუძაბავ მოძრაობას საკმაო ძალის მიხმარება სჭირდება, რაც უდარდელ ღიმილს ოდნავ დაჭიმულს და ნერვულს გიხდის. მაგრამ აქ, ისედაც მთავრდება შენი წვალება-მცდელობა-არშიყობა და ზრდილად (ეს უკეთეს შემთხვევაში) ნათქვამ: „მაცალე ცოტა ხანს“ შემდეგ, შენი უხერხულად გაქვავებული ხელი სასურველ ადგილებს ტოვებს, არ იმჩნევ მარცხს, იქვე, საწოლზე გორდები და უყურებ როგორ ივარცხნის თმას, როგორ ეცემა შერჩენილი წვეთები ხალიჩას. ათვალიერებ მის შიშველ ბარძაყებს, კოხტა მუხლებს, თხელ წვივებს და თეთრ პირსახოცში გამოკვეთილ თეძოების ოვალს. მშვენივრად იცი, რომ ეს „ცოტა ხანი“ საკმაოდ დიდ დროს მოიცავს. უკიდებ სიგარეტს, ოდნავ ღიზიანდები, „რა არის ხოლმე ეს ისტერიული გალამაზება იმის შემდეგ“ და გვერდით ოთახში გადიხარ, სადაც გოგოს მოტანილი ვისკი გაქვს შემორჩენილი. ეს ვისკი მამამისის კოლექციიდან წამოიღო. „საიდან იცოდა, რომ „ჩივასი“ გიყვარს ყველაზე უფრო?“ „უბრალოდ დაემთხვა“. ვისკის სქელ ჭიქაში ასხამ, ნელ-ნელა წრუპავ და ყოველ ყლუპს სიგარეტის ნაფაზს აყოლებ. შემდეგ ფანჯარასთან მიდიხარ. ამ დროს სულ წვიმს ხოლმე (შენს ფანჯარაში) და მოპირდაპირე სახლში მცხოვრები ზოგიერთი მობინადრე მოწყენით გამოჰყურებს ქუჩას. შენ გადაგიარა აღტკინებამ და „ცოტა ხნის“ მალე გავლის სურვილმა. წვიმა მატულობს. მსხვილი წვეთები ხმაურით ეცემიან მინას. კარგად გრძნობ თავს. „ისევე კარგად იქნებოდი, უკანა ოთახში სარკის წინ მჯდომი და შავი თმის ვარცხნით დაკავებული გოგო რომ არ იყოს?“ „ალბათ არა... რატომ მეკითხები, ან რას „მეიაზვები?“ ბრაზდები. კარგია, რომ უკანა ოთახში გოგო ზის სარკის წინ და გრძელი ხელების ლამაზი მოძრაობით კეფასთან მრგვალად იკრავს შავ თმას. აქა-იქ უსწორმასწოროდ ჩამოყრილებს პატარა ყურების უკან ისწორებს და კმაყოფილი, ეშმაკური ღიმილით აკვირდება საკუთარ თავს. მშვენიერია, რომ ვისკი „ჩივასია“ და უყინულოდაც ცივი. ყინული რომ დნება, ვისკი წყალდება და არომატს კარგავს. შეიგრძნობ ამ სიამოვნებებს. სიგარეტს ეწევი და მისი ნამწვავი ფანჯრის რაფაზე გივარდება, სადაც ცეტივით დაბორიალობს ჭიანჭველა. იგი ფერფლის გროვასთან ჩერდება, გარს უვლის. წინა ფეხებით, თუ ულვაშებით სინჯავს მის შემადგენლობას და შემდეგ, ინტერესდაკარგული ენერგიულად „გაზავს“ ფანჯრის დაბზარული ჩარჩოსკენ, რომლის ატკეჩილი საღებავების ნაწილებიც იქვე, რაფაზე გდია. ისინი უმოძრაო აისბერგებს ჰგვანან. ჭიანჭველა სწრაფად და მოხერხებულად უვლის გვერდს მათ და დასერილი ხის ჭრილებში იმალება.

მოპირდაპირე სახლის სადარბაზოში ვიღაც მელოტი, ჩასუქებული კაცი და მისი პუტკუნა შვილი აფარებენ თავს. ბავშვი მამის პიჯაკშია გახვეული და შორიდანაც ჩანს, აკანკალებული როგორ ეხუტება მშობლის მხარზე ჩამოდებულ ხელს. კაცი დროდადრო იხრება და გამამხნევებელი ღიმილით რაღაცეებს ეუბნება.

— რას უყურებ? — ზურგიდან გხვევს ხელებს წელზე უკვე შენს ხალათში გამოწყობილი გოგო და ნიკაპს გადებს მხარზე.

— არაფერს... გამიშტერდა თვალი.

— გინდა მე გითხრა, რას უყურებ? — გიცინის ყურთან.

— რას?

— მამა-შვილს, სადარბაზოში რომ დგანან, — ისევ იცინის და გული გიჩუყდება.

— რაზე?

— მათ იდილიაზე... მე შენ გიცნობ.

არ გსიამოვნებს, რომ გაგშიფრეს. „უბრალოდ გაარტყა, თორემ ეგ მართლა საიდან უნდა მიცნობდეს. სულ მეორედ ვხვდებით ინტიმურ პოლიგონზე“. „ვითომ, რატომ ვერ უნდა ამოეცანი, ამ მართალია ორ, მაგრამ მრავლისმთქმელ, ენერგიის გამცემ-მიმღებ ნაყოფიერ შეხვედრებში... თუმცა, შენ ხომ თვითონაც ვერ გარკვეულხარ“. „გადი, ახლა აქედან“. ბრაზდები. ისევ წვიმს. მამა-შვილს აღარ უყურებ, თითქოს რაღაც დაგიშავეს. გოგოსკენ ტრიალდები. ის სკამზე ზის, „უოქმენს“ უსმენს, ფეხებზე რიტმულად ირტყამს ხელებს და უცნაური სიტყვებით მღერის: კაიკი-კაიკი-კაიკი, ჰირი-ჰირი, ტუნა-ტუნა კაიკი... გახსენდება, როგორ დაინახე პირველად ღამის კლუბში. სცენაზე, 30-იანი წლების ამერიკელი განგსტერივით ჩაცმული. ძალით დაბოხებული ხმით მღეროდა და შლაპის ქვემოდან შენკენ იღიმებოდა. შენ იარაღი თან გქონდა — ზურგის მხარეს, თეძოსთან ჩადებული შავტარიანი „მაკაროვი“. სცენაზე გაშვებული ბოლი ჩიკაგოს ქარხნების გამონაბოლქვს მიამსგავსე. მაგიდების ირგვლივ, სიბნელეში მსხდომი ხალხი იმდროინდელ „ცუდ ბიჭებად“ წარმოიდგინე. მერე გასახდელთან დახვდი გოგოს და თავხედურად ჰკითხე: „ხომ არ გაგიკვირდა ჩემი მოსვლა?“ მას გაეცინა: „არა, შორიდან გიცნობ. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი“. მაშინაც გიცნობდა უკვე, შორიდან.

— მიხდება? — შენი შავი სათვალე გაიკეთა და ისევ ტამტამებივით გამოიყენა მუხლები.

უხდება. შენი ხალათიც უხდება. ის ბიჭური კოსტიუმიც უხდებოდა სცენაზე, ცოტათი დიდი რომ ჰქონდა. შეიძლება მართლა



ჰგავხართ ერთმანეთს. მაშინ რომ გკითხათ ბარმენმა ქალმა, და-ძმა ხომ არ ხართო, მას ეშმაკურად გაეღიმა და დახლთან მჯდომმა ქვემოდან ამოგხედა. ხდება ხოლმე, ხანდახან ჰგვანან ერთმანეთს უცხო ადამიანები. თან შენი ფერის თვალები და თმა აქვს.

— გახსოვს, პირველად რომ გნახე კლუბში? — „რატომ გაახსენდა?“ — ლამაზი და ოდნავ სასაცილო იყავი სცენიდან რომ გიყურებდი.

— „ლამაზს“ კიდევ არა უშავს... მაგრამ „ოდნავ სასაცილო?“

— ოცდაათიანი წლების განგსტერს ჰგავდი თავმომწონე ღიმილით.

„მაღადავებს“.

— ეტყობა, შენმა სიმღერამ იმოქმედა, — ვისკის ისხამ და ისეთი შეუვალი სახე გიხდება, რომ ისევ განგსტერს ემსგავსები.

— აი, ეხლაც ეგეთი სახე გაქვს.

— როგორი?

— განგსტერულ-შეუვალ-ტყვიაგაუმტარი.

„აშკარად მაღადავებს“.

— მერედა, შენ ხომ მოგწონს ჩემი ასეთი მრავლისმთქმელი გარეგნობა? — ზურგს აქცევ და ისევ ფანჯარასთან მიდიხარ.

— ასეთიც მომწონხარ და სხვანაირიც, — „რაღაც ზედმეტად თავდაჯერებულად იღიმება“.

შენ ხმას აღარ სცემ და მოპირდაპირე სადარბაზოსკენ იყურები, სადაც აღარ დგას მამა-შვილი.

— აღარ დგას მამა-შვილი? — გეკითხება სავარძელში წამოწოლილი.

— არა, — უკვე დაბნეულ-ირონიულად გეღიმება.

ისევ მუსიკას უსმენს და უცნაურად მღერის — თუქა-თუქა-თუქჩა, ტანიტა ბეთუქა...

— მოგეწონა, მაშინ რომ ვმღეროდი კლუბში? — იხსნის „უოქმენს“.

— კი.

— შენთვის ვმღეროდი.

— მივხვდი, ისე მიყურებდი.

გოგო სიგარეტს უკიდებს და უკანა ოთახში ბრუნდება. გარეთ ისევ წვიმს. შენ ცდილობ აღარ იფიქრო გოგოზე. შენი ტვინის ლაბირინთებში ეძებ სხვა მსუყე ნაჭრებს, რომლებიც თავიანთ დაბინდულ, სურნელოვან, მუქხალიჩებიან ოთახებში შეგიტყუებენ, სიმყუდროვეში მოგათავსებენ და უკმარისობის გრძნობას გაგიქრობენ. მაგრამ ხვდები ისევ იქ, სადაც გოგოს მკერდის გემოა, მისი სუსტი, ვნებიანი წამოკივლებები, ყურში ჩურჩულით ნათქვამი ალერსიანი სიტყვები და მისი ნახევრად მილულული თვალები, რომლებსაც თმისგან ათავისუფლებ და კოცნი...

ის წამოწოლილია და ეწევა. იცის, რომ შენ შეხვალ მასთან, გვერდით მიუწვები, სიგარეტს გამოართმევ, რამდენიმე ნაფაზს დაარტყამ და ძირზე ლუდშერჩენილ ბოთლში ჩააგდებ. სიგარეტი ფშუილით ჩაქრება და პატარა ღრუბელს ამოუშვებს წვრილი ყელიდან. შიშველ სხეულზე მოცმულ ხალათს გადაუხსნი და გადმოკოტრიალებით ზემოდან დაიწვენ. მისი ძუძუები, როგორც მან ადრე გითხრა, შენს „ზომიერად თმიან“ ტანს მიეკვრება, ქვედა ტუჩის კბილებს შორის წვალებით გაგიღიმებს და თავის აქნევით გადაიყრის თვალებზე ჩამოყრილ თმას...

ჩუმად წევხართ და კედელზე გაკრულ თევზებიან ლურჯ ფარდაგს უყურებთ. გოგოს შენნაირად უდევს გაშლილი მტევანი ნიკაპსა და ყელს შორის. თვალებს ხუჭავ: ფარდაგის თევზები შავ სივრცეში გადმოდიან და იქ დაცურავენ მწკრივად. ისინი ერთმანეთს ჰგვანან, ერთნაირად ირხევიან, ნელნელა ბუნდოვნდებიან და თეთრ მტვრად იფანტებიან. მერე უფორმო ლაქები და ძაფები დაფარფატებენ ზევით-ქვევით და შენ ამ დროს იწყებ ფიქრს, რათა განაცალკევო ისინი. შენგან დამოუკიდებლად ჩერდები გოგოზე. თქვენს მსგავსებაზე, რომელსაც უფრო და უფრო გრძნობ და ამჩნევ იმ მცირე, ბნელ ნაპრალზე, რომელიც გისხლტება ამ მსგავსებაში და ვერ აკონკრეტებ. იგი ღრმა არის, შენთვის არასასიამოვნო და შორი. მაგრამ თანდათან იჟღინთები მის მიერ, სხეულების შეხებისას ისინი შენი კანის უჯრედებში გადმოდის და არტერიებს უერთდება. თვალის თვალში გაყრისას ორბიტებს მიღმა გელვრება, მწველად ჩადის ყელში, მკერდთან იშლება, ილექება და გაუგებარი და ორგანული ხდება შენთვის.

გოგო ლოგინიდან დგება და ხის კარადას აღებს ჭრიალით.

— ამას მათხოვებ ცოტა ხნით? — შენს ლურჯ მაისურს იზომებდა შიშველ სხეულზე.

— გაჩუქებ.

— გმადლობთ. ახლა ახალი ნომერი მაქვს. იქ დამჭირდება, — თავის დიდ ჩანთას ავლებს ხელს, რომლითაც რეპეტიციებზე დადის და აბაზანისკენ მიდის — იწექი, არ ადგე, სიურპრიზი მაქვს შენთვის.

სიურპრიზის მოლოდინში წევხარ. მოთენთილი სხეულით ზანტად კოტრიალობ ლოგინის სხვადასხვა მხარეს და ბალიშში რგავ თავს, მას გოგოს სუნი აქვს. მომენტებში საკუთარ თავზე გეცინება, ასეთ რთულ სიღრმეებში რომ დაყვინთე ამ გოგოსთან ურთიერთობის გამო. ფანტაზიას აუწიე შლაგბაუმი და ერთგვარი ხიფათის, იღუმალების წარმოდგენით შეეცადე იმის მსგავსი სიამოვნება გეგრძნო, როგორიც პატარაობაში; ღამე, ტყეში, ცეცხლის გარშემო შეკრებილი ბავშვები საშიშ ამბებს რომ ჰყვებოდით და თან დაცული იყავით იმ „შავი ხელისგან“ თუ „თეთრი ქალისგან“, იმიტომ რომ ბევრნი იყავით და თან ბოლომდე არ გჯეროდათ საკუთარი მოგონილი გმირების რეალობისა.

აი, გამოვიდა აბაზანიდან შენი მშვენიერი კოშმარი. თავზე თეთრი ფერის პარიკი ახურავს და შავი სათვალე უკეთია. შენი მაისურის გარდა არაფერი აცვია, კოხტად მოძრაობს და ცეკვისას ეროტიკულად იხსნის ღილებს, ხელის შენელებული მოძრაობით იხსნის სათვალეს და შენკენ იხედება მტაცებლური მზერით. შემდეგ ხელებს და მხრებს ზემოთ სწევს და „ჩარლსტონის“ ცეკვას იწყებს. მრგვალი მკერდი შიგადაშიგ მაისურიდან უვარდება.

— ამ ფორმაში თუ გამოხვალ, დიდი წარმატება გექნება.

— რატომაც არა? — გიღიმის და ცეკვას განაგრძობს — ეჭვიანობ?

— არაა, — წელავ ბოლო ბგერებს, რომ ასეთი რამ აზრადაც არ მოგსვლია, რომ რა შენი საქმეა.

ცალ მხარეს იშიშვლებს, თავს უკან აგდებს და პროფილში ირხევა. უცბად ჩერდება, აუჩქარებლად მიდის სარკესთან და თეთრ სკამზე ჩამომჯდარი, უხალისოდ ისწორებს პარიკს. თვალებს ფართოდ აღებს, ხშირად ახამხამებს და ლინზებს საჩვენებელი თითით ისწორებს. ამის გამო თვალები უწყლიანდება და ცრემლები მოსდის. გაბუტული ბავშვივით წინ სწევს ქვედა ტუჩს, შუბლს იკრავს და ტირილს იწყებს, თან თვალს არ აშორებს საკუთარ სახეს სარკეში, დროდადრო შენ გამოგხედავს ხოლმე, თავს გადახრის, ჩაფიქრებული მიაცქერდება კედლის კუთხეს და სლუკუნს აგრძელებს. ათრთოლებული ხელებით იწმენდს ცრემლს და გადაწყვეტილებას იღებს. გამომეტყველება ეცვლება, შეუდრეკელი იერი ეხატება სახეზე. შენ გათიშული უყურებ გოგოს, რომელიც მოულოდნელად ხმამაღლა სიცილს ტეხს.

— როგორ გამომივიდა? — ლოგინზე გიჯდება და თმას გიჩეჩავს.

— ხოშიანად.

— მაგარი ვარ, — კმაყოფილი დგება და ჩაცმას იწყებს. იცვამს სწრაფად, შიგადაშიგ სარკისკენ იხედება და თეთრ პარიკს ისწორებს.

— აბა, მე გავიქცევი, რეპეტიცია მაქვს, — მოკლედ გკოცნის და თავის ტომარა-ჩანთას ზურგზე იგდებს — დაგირეკავ ამ დღეებში.

— არ დაიკარგო.

— ფანჯარასთან დგახარ, ვისკის სვამ და ყოველ ყლუპს სიგარეტის ნაფაზს აყოლებ. ქუჩაში მიდის გოგო. მას თეთრი თმა და ლურჯი თვალები აქვს და სახიფათოდ გგავს შენ.



## ცხელა

ცხელა, არაბული ასოებივით
გართხმულან ძაღლები,
შენ ჩემი გჯერა
და სიყვარულით გიცინის თვალები,
დუმილის ფარდას
არწევს გრძნობათა ნიავქარები,
მაისობს ახლა სხვათა ეზო და ბაღჩა.
მხოლოდ ნიავი მოიტანს
ვარდებით სავსე კალათას.
თუკი შეიძლო
მდუმარების მძიმე ფარდის გადახსნა.
მიყიდე ვარდი წითელი, თეთრი,
მაგრამ ყავლი გასვლია იმ ფულს,
შენ რომ გიჭირავს ხელში,
იღვრება ვარდების სურნელოვანი
თქეში
ამ მდუმარების ფარდების ქვეშით.
ცხელა, არაბული ასოებივით
გართხმულან ძაღლები,
ვკითხულობ ზაფხულის სცენარს —
ახლა ჯერ არს
მოქმედება დაიწყოს მეორე,
პირდაფჩენილ მაყურებელთა ტაშის
გრიალში,
გაისმის მდუმარების მძიმე ფარდის
ზანტი შრიალი,
გამოდის სიშიშვლე ქალის
ბერძნული ხიტონით
და ვარდებით შემკული თავით,
მონოლოგი — დაუგლეჯავს ბაქი,
დიალოგი ბაქქანალიით დაღლილი
ხალხის..
ფარდა ეშვება,
მოვიდა ცხელი წვიმის ორთქლი
სცენარი წაიშალა — კლასი ნახატი
ფორთხვით,
და ცხელ ზაფხულის ღამეში
ჩაეცხო მთვარის შოთი,
სცენა ვერ უცვნია,
ფარდა ვერ უგრძვნია,
ყოფილა თეატრში ლოთი.
ძაღლები ყმუიან, თვალებიც ტყუიან,
ტრიალებს ჰაერში წვიმის ორთქლი.
ნასროლმა ვარდებმა დაკაწრეს
მდუმარების დაშვებული ფარდა,
ცხელა, ძალიან ცხელა ახლა.

## სატრფიალო

გადამიმთიელდა გრძნობა,
ფიქრები გადიქცნენ ხროვად,
მოვალ, შამამხვდი ფონად,
მოვალ, ჩამავგავ მთვარეს ღამოვანს.
დამაცვდა ძაძა,
არ ხამს მიჩანდეს
თეთრი მხარი მთვარის.
შემიკერე პერანგი
წითელი, მოვის,
შუითგან საკინძე სხმული,
შვიდგან შეკრული,
მაგრამ არ შემიხუთო სული.
აისს ვემსგავსები მაისს
და სახით ხმაუძრავი ზარის
გპირდები ქვეყნიერების შეძვრას,
მჭირდება მხოლოდ ერთი ხელის
ხლება.
მაგრამ ნუ დამსხამ ბაბთებს,
ჭრელებს და ნაფლეთ-ნაფლეთს.
მაკლია სხივი,
სხივი განთიადის,
რომ ვიქცე მზედ.
მოვალ, შამამხვდი ფონად,
მოვალ, ჩამავგავ მთვარეს ღამოვანს.

## ცხოვრების დასასრული

ტყემლის ყვავილთა თეთრი რძიდან
დედდებოდა გაზაფხული,
და ქალაწოლა ამინდი იდგა.
აყვავებული ფიქრი
თვალებს მჭრიდა,
და გულის ფიცარს,
როგორც საშობად გამზადებული ყრმა,
გული ფეხებს ურტყამდა.
მოსულა ფური
რძით სავსე სული
და ამ ტრამალებში
მარტოობის ხორშაკებს უვლის.
დაკარგა ცხოვრებამ აზრი,
დღე როგორც ვაჭარი ბაზრის
ყიდის ყალბ თვლებს ყალბი ფასით.
და არ კარგავს მუშტარს...
მოდის შემოდგომა ქერისფერი,
და ხეებს სცვივათ თმები,
ქარის ქსულს არღვევს ქარი
და ჩიფჩიფებს როგორც მოხუცი ქალი,
არავისა აქვს გაგების თავი,
დღეს ეკიდება დღე,
როგორც ცრემლს ცრემლი,
მარილოვანი იქნება დასასრული
ცხოვრების ჩემის.



•••

ქუჩა-ქუჩა ქარი დაჰქრის,
დაჰქრის როგორც ულაყი.
სიტყვა ბანზე აგდებული,
ვერ გამოდგა გულადი.
დასერილა ფიქრის გორა,
შესევია ყივჩაღი,
ეშმაკს თვალი ჩარჩენია
ბედ-იღბალის სირჩაში.
თმა დალალი გაუშლიათ,
მღერიანო ბაიათს,
დღეს მიყვარხარ, ხვალ რა გითხრა,
რა ვიქნები გაისად.
დღეს მატარე ღრუბელ-ღრუბელ,
მონატრების იშტაზე,
ტრფობის ზღვაში მაცურავე,
სიყვარულის ჯინაზე.
დამაცალე გულზე მზერის
ტყვია, როგორც შარბათი,
არ დამინდო, დამათვერი
შენი ვნების ბადაგით.
მკერდგაშლილი ავაზა ხარ,
სიყვარულის მირონი,
თუ მომკლავდი შენს ბაგეზე,
ეს კი აღარ ვიცოდი.

•••

სულმა სული ამოიცნო, გულმა გული იტირა,
ერთმანეთის დაკარგვისას, ყველამ ერთად იკივლა.
აიკინძა ასაკინძი, სათქმელი თქვა დრომ,
გაცრუება დასაყრდენად, დაეძებდა ჯოხს.
მაწანწალა ტალახ-ტალახ დაეძებდა ღილს,
სხვისი ძუძუ არ ენდომა ატირებულ ჩვილს.
გიშერ-გიშერ აკინძული, მძივი ავთვალს აილებს,
გირაოში ეს ცხოვრება ჩემს სიყვარულს წაიღებს.
დაკარგულზე არ ნაღვლობენ, დასაკარგზე ფრთხილობენ,
ვისაც რა არ უნახია, სხვასთან იმას კვირობენ.
სასწორს დადო ბედმა პინა, ალაყ-მალაყს გადადის,
ოცნებითაც ვერ გავლიე, უსასრულო ტრამალი.
ვისთვის იოლ, ვისთვის ეულ, ვისთვის კიდევ მრისხანედ
აკინძავდა ყველა ღამე უთვალავჯერ მირაჟებს.
მიუყვება ქუჩას მთვრალი სიყვარული ბანცალით,
პაემანზე ელოდება ტვერის ბულვარს ამფაზი.
ბაგე — ბაგის, ბადაგ ტუჩებს გაუმეფდა განცხრომა,
ვნებას ძვირი დაუჯდება სიყვარულით დათრობა.
ფრიალებდა ფარჩა ქარში, გოგო ნებით რჩებოდა,
რაც იყო და რაც არ იყო, რიჟრაჟივით ქრებოდა.
სულმა სული ამოიცნო, გულმა გულით იცინა
და ორივემ ერთმანეთის სიყვარულთან იჩივლა.

# ზოოინჟინერი ტელეწამყვანი?


„მოამბის" წამყვანები ზაალ უდუმაშვილი და ეკა გაბაშვილი

*ადამიანი პროფესიას ირჩევს, უმაღლეს განათლებასაც იღებს და მერე სრულიად განსხვავებული სპეციალობით განაგრძობს საქმიანობას, თანაც ისე, რომ სწრაფად პოპულარულიც ხდება ახალ სფეროში. სამაგალითოდ ერთი ზოოინჟინერი ტელეწამყვანის მაგალითიც იკმარებს — ყოფილ მეორეარხელს და ამჟერად პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" ტელეწამყვან* **ზაალ უდუმაშვილს** *სახლში ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კურსდამთავრებულის დიპლომი უდევს და თუ ჩემნაირები დროდადრო არ შეახსენებენ, შესაძლოა, ზაალს საკუთარი პროფესია დაავიწყდეს კიდეც.*

**— ზაალ, სად ზოოინჟინერი და სად ტელევიზია, შენს ცხოვრებაში რაღაც გაუგებრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი?**

— ექიმობაზე ვოცნებობდი, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელს სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე მათემატიკა დაამატეს. ჩაჭრის შემეშინდა, არადა სტუდენტობა მინდოდა ძალიან, ამიტომაც გავწიე ზოოვეტისკენ და წარმატებითაც ჩავირიცხე. მაშინ გული კი დამწყდა, ექიმი რომ ვერ გავხდი, მაგრამ სამედიცინოზე რომ ჩამებარებინა, დღეს ტელევიზიაში არ ვიქნებოდი. ჩემი ადგილი აქ ვიპოვე. 1991 წლის 26 ივნისს გავედი პირველად ეთერში — ყველაფერი შემთხვევით, უცნაურად მოხდა, სინჯი გადამიღეს, ზაზა დარასელს აჩვენეს და მანაც მყისვე პირდაპირ ეთერში მიკრა თავი.

**— ზოოინჟინერი რომ ყოფილიყავი, რა უნდა გეკეთებინა?**

— ახალი ტიპის პირუტყვის გამოყვანაზე უნდა მეზრუნა. გამოვიყვანდი კამეჩის ჯიშის ძროხას და ა.შ. იქნებ მოხუცებულობაში სოფელში წავიდე და ფერმერობა დავიწყო, მაშინ გამომადგება ჩემი პროფესია. გახსოვთ ალბათ „უდიპლომო სასიძო", ვახტანგ ნინუას კინოგმირი ზოოტექნიკოსი, მუსიკის მეშვეობით რომ ცდილობს ღორების ახალი ჯიშის გამოყვანას. იმედოვნებდნენ, რომ ზოოინჟინერიაში რევოლუციას მოვახდენდი.

**— ხომ არ გიფიქრია, ტელევიზიაში საავტორო პროგრამის შექმნაზე?**

— ამ საკითხზე სერიოზულად ვფიქრობ და მინდა ზუსტი გათვლა გავაკეთო ანუ ჩემს გადაცემას მაყურებელიც ჰყავდეს და მათი იმედიც გავამართლო.

**— პოპულარობას თუ გრძნობ და ხომ არ გაწუხებს?**

— მე-2 არხის წყალობით, ოთხივე წამყვანი ეკრანზე გამოჩენისთანავე პოპულარულები გავხდით და ეს ძალიანაც მომწონდა და მომწონს. არ მესმის იმ ხალხის, ვინც ამბობს, რომ პოპულარობა ღლით. თავიდან, როცა მაკვირდებოდნენ, უხერხულად ვგრძნობდი თავს, ალარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი... მერე შევეჩვიე.

**— ალბათ, ძალიან დატვირთული ხარ სამსახურში, ზოგჯერ სახლში წასვლა ხომ არ გავიწყდება?**

— სახლში წასვლა არა, მაგრამ ერთხელ, ჯერ კიდევ „ალიონში" მუშაობისას, კურიოზი შემემთხვა — ისე გადავიღალე, დღე და ღამე ამერია ერთმანეთში. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ რომ დარეკა მაღვიძარამ, ავდექი, უშუქობის და უძილობის გამო, ბუზღუნით ჩავიცვი და პალსტუხს რომ ვიკრავდი, სწორედ მაშინ მკითხა მეუღლემ, სად მიდიხარ ამ დილაუთენიაო. სამსახურში-მეთქი. ზაალ, დღეს ხომ კვირააო — თანაგრძნობით შემახსენა. არ მახსოვდა რა დღე იყო. „ალიონიდან" წამოსულსაც კარგა ხანს 6 სთ-ზე მეღვიძებოდა.

**— შენს თავს გადახდენილ ამბებზე ანეკდოტებსაც ჰყვებიან.**

— ერთი მეც ვიცი და ნამდვილად მოხდა ასეთი რამ: 1993-1994 წლები იდგა, დაძაბული, მძიმე, უშუქო, უწყლო... უცნაური რამ ხდებოდა — ძალიან ბევრი მეხსიერებადაკარგული ადამიანი ქუჩაში იკარგებოდა, მე-2 არხი კი მპოვნელთა ბიუროსავით იყო, მოიყვანდნენ ამ „შინმიუსვლელებს" ჩვენთან, გამოვიყვანდით ეთერში და ასე ვაძებნინებდით ახლობლებს. ერთხელ მომიყვანეს მეტისმეტად სკლეროზიანი ბებია, რომელსაც არაფერი არ ახსოვდა, არც სახელი, არც გვარი, არც მისამართი, ვინმე თუ ჰყავდა და ა.შ. ბოლოს სასოწარკვეთილმა ვკითხე, ბებია, ნუთუ საერთოდ არაფერი გახსოვთ-მეთქი? კი შვილო, მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მე-9 ფიდერზე ვართ მიერთებულიო. სული ძლივს მოვითქვი სიცილით.

**— მაკიაჟს გიწუნებს მაყურებელი, ახლობლებსაც ხომ არ შეუნიშნავთ ამის შესახებ? ძალიან დასერიოზულდა, აღარ იღიმებაო — ამასაც ამბობენ.**

— ახლა ტელევიზიაში დიდი ძიება მიდის, ვის როგორი მაკიაჟი უნდა გაუკეთონ, ასე რომ, ეს პრობლემა ალბათ მალე გადაიჭრება, რაც შეეხება დასერიოზულებას, რა ვქნა? „მოამბეში" ანეკდოტებს ვერ მოვყვები. ისე კი „ალიონიდან" რომ მოვდიოდი, ბევრმა მითხრა, შენს იმიჯს გააფუჭებო. მე მგონი იმიჯი 100%-ით შევიცვალე, მაგრამ ვერ გეტყვით, ცუდია ეს თუ კარგი. შესაძლოა ისევ დავუბრუნდე ძველ ამპლუას.

**— ზაალ, გვართან დაკავშირებით გქონია რაღაც „პრობლემები", რას ერჩი? „უ" რომ ჩამოაშორო, ძალიან „მადის აღმძვრელი" გვარი გექნება.**

— ჩვენი გვარი პატარაა, კახეთიდან, სოფელ პატარძეულიდან მოდის. სრულებით არ ვიწუნებ, მაგრამ, არისტოკრატიული გვარებიც მომწონს. მე-2 არხზე გვყავდა ერთი ჩოლოყაშვილი. სულ ვეხუმრებოდი, გვარები გავცვალოთ, ზაალ ჩოლოყაშვილი კარგად გაიჟღერებს-მეთქი. ეს ჩვენს გენერალურ დირექტორსაც ვუთხარი ერთხელ, მანაც დაუძახა ჩოლოყაშვილს და სერიოზული სახით, მაგრამ ხუმრობით უთხრა — ახლავე წადით შენ და უდუმაშვილი და გვარები გადაცვალეთ ოფიციალურადო. გაგიჟდა კაცი, ამ ცხოვრებაში ერთი გვარი მაქვს დიდებული და იმასაც მართმევთო? აი. ასე დავრჩი უდუმაშვილად და ჩოლოყაშვილობას ვერ ველირსე (იცინის).

*ეკა ლომიძე*






ორშაბათი 4 თებერვალი

სამშაბათი 5 თებერვალი

ოთხშაბათი 6 თებერვალი

ხუთშაბათი 7 თებერვალი

პარასკევი 8 თებერვალი

შაბათი 9 თებერვალი

10 თებერვალი





*ჯერ არ მსმენია, რომ რომელიმე ჟურნალისტს საყვარელი საქმე მიეტოვებინოს და სიმღერა დაეწყოს. არა, იმას კი არ ვამბობ, რომ ჟურნალისტები არ მღერიან ან არ ღიღინებენ-მეთქი, უბრალოდ არ მინახავს შოუბიზნესის ორომტრიალში ჩართული ყოფილიყო ჟურნალისტი. 17 წლის მომხიბლავ მომღერალ* **ნეკა სეპისკვერაძეს** *კი ჟურნალისტობა გადაუწყვეტია და თქვენ წარმოიდგინეთ, „კვირის პალიტრაში" სამუშაოდ მოსვლითაც „გვემუქრება". რა გამოუვა, ვნახოთ, მანამდე კი მასთან ინტერვიუში გაიგებთ, რატომ გაუჩნდა ნეკას მომღერლისათვის ასე უჩვეულო სურვილი.*

— ბავშვობიდანვე მიყვარდა ჩანახატების, ნოველების, ლექსების წერა. მერე, ერთი პერიოდი, საბავშვო გადაცემა „აბდაუბდაშიც" ვთანამშრომლობდი, პრობლემატურ თემებზე ვაკეთებდი სიუჟეტებს. ჟურნალისტიკა დიდი ხანია მაინტერესებს და მინდა ჩემი პროფესიაც ეს იყოს. ძალიან მიყვარს „კვირის პალიტრა" და შეიძლება სამუშაოდაც გესტუმროთ. სამომავლოდ შევეცდები, სიმღერასაც და ჩემს პროფესიასაც თანაბარი დრო დავუთმო.

**— ოჯახს როცა შექმნი, ასე საქმიან ქალს, ალბათ, გაგიჭირდება დიასახლისის ამპლუის შეთავსებაც.**

— მიფიქრია მაგაზეც, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. თუმცა ამ ეტაპზე ამ სამი ამპლუიდან ვერც ერთს ვერ დავთმობ. მინდა ვიყო ნეკა-მომღერალი, ნეკა-ჟურნალისტი, ნეკა-დედა.

**— ნეკა, შეყვარებული არა ხარ?**

— ამჯერად არა. ძალიან რომანტიკული და სულ შეყვარებული კი ვარ, მაგრამ ახლა არავინ მიყვარს.

**— ეი. აეროპორტში წითელი ვარდებით არავინ გხვდება?**

— *(იცინის)* არა, არა. ბოლოს ერთი წლის წინ ჩამოვედი იაპონიიდან, მაგრამ აეროპორტში მხოლოდ ოჯახის წევრები და მეგობრები დამხვდნენ. აწი ვნახოთ.

**— როგორ გამოხატავენ ხოლმე შენ მიმართ თაყვანისცემას, ასფალტზე გიწერენ „ნეკა, მიყვარხარ" თუ?..**

— ლამაზი, ფაქიზი დამოკიდებულება თაყვანისმცემლებისგან ყოველთვის მსიამოვნებს, გადამეტებული კი არაფერი მხიბლავს, არ შემიძლია დავივიწყო ერთი შემთხვევა, სამხედრო პოლიგონზე ჯარისკაცებისათვის ჩავატარეთ კონცერტი. ერთმა ჯარისკაცმა მინდვრის ყვავილების ულამაზესი თაიგული გააკეთა იქვე და სიმღერის შემდეგ მომართვა. ძალიან ბედნიერი ვიყავი მაშინ. ასეთი ძვირფასი საჩუქარი არასოდეს მიმიღია.

**— როდის დაიწყე სიმღერა?**

— 6 წლისა ვიყავი. ვოკალის დასამუშავებლად დათო ტურიაშვილთან დავდიოდი ანსამბლ „ნანაში", მერე 6 თვის განმავლობაში ანსამბლ „ნერგებში" დასაკრავ ინსტრუმენტებზე ვუკრავდი. პედაგოგი არა მყავს და თავად ვაკეთებ ყველაფერს. 13 წლიდან ფილარმონიის სოლისტი გავხდი. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან მეხმარებიან. პირველად ეთერში მაია დათუნაშვილმა გამომიყვანა. მერე ფესტივალებზე მივიღე მონაწილეობა და მგონი რაღაც გამომივიდა.

**— როგორ გირჩევნია სიმღერა, სხვასთან ერთად თუ მარტო?**

— ალბათ უფრო მარტო. ამ დროს მეტ განცდას ვდებ სიმღერაში, მთელი პასუხისმგებლობა ჩემზეა. მაქსიმალურად შემიძლია გამოვხატო ჩემი შესაძლებლობები. თუმცა კვარტეტშიც მიმღერია. ახლახან იაპონიაში სწორედ სხვებთან ერთად გამოვედით სცენაზე.

**— იაპონიაში როგორ მოხვდი გასტროლებზე?**

— საერთაშორისო ფოლკლორული მუსიკის ფესტივალი ჩატარდა. მე, ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი და თაკო გაჩეჩილაძე გამოვდიოდით ერთად. 9 კონცერტი ჩავატარეთ. 42 სიმღერა გვქონდა ნალებული. ყველა აღფრთოვანებული იყო, დარბაზში ჩვენთან ერთად მღეროდნენ სულიკოს. ეს ჩემი პირველი გასტროლი იყო.

**— ნეკა, როგორც ჩანს, განსაკუთრებულად გაინტერესებს ფოლკლორი?..**

— საშინელებაა, როცა ქართველმა მომღერალმა თავისი ფოლკლორი არ იცის. არ არის აუცილებელი, საკუთარ რეპერტუარში ყველამ შეიტანოს ხალხური სიმღერა, მაგრამ ეს სკოლა ყველამ უთუოდ უნდა გაიაროს. ბოლოს და ბოლოს, სუფრასთან მაინც უნდა შეძლო ქართული ხალხური სიმღერის შესრულება. საახალწლოდ ანსამბლ „ლაშართან" ერთად ჩავწერე „ჩელა", რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა უცხოეთში. ჩემი კასეტები ისრაელში გავრცელდა და იქ „ჩელას" წარმატება ხვდა. არ ვაპირებ ფოლკლორის გარემიქსებას, მეშინია აუგად არ შევეხო ჩვენს სიმდიდრეს. ამ სფეროს დიდი სიფრთხილით უნდა მოპყრობა, შესწავლა, რათა შეძლო რაღაცა შენეული რიტმის ხალხურ სიმღერაზე დადება.

**— პირველად როდის იგრძენი, რომ მომღერალი ხარ?**

— ალბათ ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში, როცა ბორჯომში, სიმღერის საერთაშორისო ფესტივალ „ბროლის ნაძვზე" „მინუსზე" ცოცხლად უნდა მემღერა, შუქი ჩაქრა. ავდექი და უმუსიკოდ ავმღერდი. მოცეკვავეებიც ამყვნენ და მათაც მუსიკის გარეშე შეასრულეს ნომერი. მეშინოდა, ვაითუ ტაში არ დამიკრან-მეთქი, შევცდი. დიდი სითბო და ოვაცია დავიმსახურე. მერეც ხშირად ყოფილა მსგავსი შემთხვევა, მაგრამ უკვე აღარ ვიბნეოდი.

**— რას იტყვი, ქართული შოუბიზნესის ვარსკვლავების შესახებ? არსებობს ასეთი რამ საქართველოში?**

— ამგვარი რამ აქ არ არსებობს. აქაური „ვარსკვლავების" ცხოვრება სულაც ვერ ამართლებს ამ ტიტულს. არასოდეს მითქვამს, ვარსკვლავი ვარ-მეთქი. შეიძლება სხვების მსგავსად მეც ვოცნებობდე ამაზე, მაგრამ ვარსკვლავობა ძალიან დიდ პროფესიონალიზმს გულისხმობს.

*ეკა ლომიძე*




# „აბა, ჩემი გოჭი ქალი, დვიჟენია მიჩვენე და პოზა მომეცი...“

## (თელავში შევხვდი ლონდონის სამეფო თეატრის ელიტარულ მაყურებელს...)



ვანო იანტბელიძე

...სუფრას ჯინი ალ მამუნი თამადობდა. დიდი სულთანი, შაჰ-ქარი ჩვეულ ხასიათზე ვერ გახლდათ — ორიოდე დღის წინ ძმა დაეკრძალა და მოლხენას ერიდებოდა. სამაგიეროდ, მისი ჰარამხანის მმართველი, აზიზ ალ ლაქათ-ლუქუმი იყო მოლხენისა და ცეკვა-სიმღერის ხასიათზე — გიტარა ხელიდან არ გაუშვია, ხან ქალაქურებს უკრავდა, ხან აჭარულს და ხანაც უკრაინულ სატრფიალო რომანსებს.

— მიირთვით, თელავში ასხამენ. ამბობენ, კოკა-კოლას კონცენტრატიაო... — მორცხვად მითხრა სულთნის ასულმა, ბადურ ხათუნმა და ლიმონათის ბოთლზე მიმანიშნა. როდესაც თუთიყუშმა უნაზესი სიმღერა დაასრულა, მოლა თაჯ ალ მულუქმა უფლება ითხოვა და ქართველი მანდილოსნების სადღეგრძელო შესვა...

არც სიზმარს გიყვებით და არც მთვრალი გახლავართ. უბრალოდ, თელავის დრამატული თეატრის მიერ გამართული პრემიერის შემდეგ გაშლილი სუფრის შესახებ მოგითხრობთ. სპექტაკლი „ალადინის ლამპარი“ აღმოსავლურ თემატიკაზე იყო დადგმული და რადგან ყველა მსახიობს არ ვიცნობდი, სუფრის მსვლელობაც პერსონაჟების სახელებით გიამბეთ.

— ნამდვილი გამყინვარებაა... დარბაზშიც თუ ასე ეციება, ვერ წარმომიდგენია, სპექტაკლები როგორ უნდა გამართონ... — ჩამილაპარაკა ერთ-ერთმა თანამგზავრმა, როდესაც სამსაათიანი, დამღლელი მგზავრობის შემდეგ ჩვენი მანქანა თელავის თეატრს მიადგა. მცირე ხნის შემდეგ თეატრის დარბაზში შესულებს საკმაოდ უჩვეულო სანახაობა გველოდა — აქ ბევრად უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. პარტერში ხომ, გინდა-არ გინდა, ერთ ადგილას, უძრავად უნდა იჯდე. ვგრძნობდი, როგორ მეყინებოდა სახე და ხელები... მაგრამ დარბაზი თანდათან ივსებოდა. აქ ყველა თაობის თელაველს ნახავდით — ბავშვსაც, იმიჯით „ბირჟავიკსაც“ და ხელებდაკოჟრილ, ვენახს გადამკვდარ მოხუც გლეხსაც. ყველა მათგანი, მიუხედავად გამყინვარებისა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), ისე ღირსეულად იქცეოდა, ლონდონის სამეფო თეატრის ელიტარულ მაყურებელს რომ შეშურდება.

იყო ულამაზესი კოსტიუმები, არაჩვეულებრივი სცენური გაფორმება, მრავალფეროვანი და ზუსტად მისადაგებული მუსიკა... და რაც მთავარია, დადგმა. თეატრში ყველაზე ძალიან რაც მეზარება — ფილოსოფიური სენტენციები და რეჟისორის „ღრმად ფსიქოლოგიური“ წვდომები გახლავთ. ზის ხოლმე საწყალი მაყურებელი ასეთ სპექტაკლზე და მიდის ტვინის ჭყლეტა — „მსახიობისგან მარცხენა ხელით ყავის დალევა რეჟისორული ჩანაფიქრია თუ ის უბრალოდ ცაციააა... ნეტავ, რისი თქმა უნდოდა ამ ფსიქოლოგიური პასაჟით რეჟისორს“ და ა.შ. თელავის აღნიშნულ სპექტაკლში კი ყველაფერი გაცილებით უბრალო და, ამავე დროს, მრავლისმთქმელი იყო. როდესაც სპექტაკლი დასრულდა, დარბაზთან ერთად ფეხზე წამომდგარი, მქუხარე ტაშის დროს ვფიქრობდი — ეს მაყურებელი ხომ ნამდვილ გმირობას სჩადის, ორი საათი ამ ყინვაში რომ გაჩერდა, მაგრამ ვინ იცის, მსახიობებს ამ სიცივეში რამდენი ორი საათი გაუტარებიათ, სპექტაკლი რომ შემდგარიყო-მეთქი...

აღმოსავლური ზღაპრის თემატიკაზე დადგმული სპექტაკლი დიდსაც და პატარასაც ერთნაირად აინტერესებდა, რადგან ერთიცა და მეორეც თავისთვის საინტერესო აზრს ყოველგვარი გონების დაძაბვის გარეშე პოულობდა — აქ იყო ბაზრად გადაქცეული საქართველოს მწარე რეალობაც და „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდაც“; აქ იყო ზღაპრული სიბრძნე, სარკაზმიც და ალალი იუმორიც...

„ ...აბა, ჩემი გოჭი ქალი, დვიჟენია მაჩვენე და პოზა მომეცი...“ — ეს ზედმიწევნით შესრულებული, თანამედროვე ქართული „ელიტის“ წარმომადგენელი კუტიურეს სიტყვები კულმინაციად იქცა, როცა დარბაზს არც ყინვა ახსოვდა და არც ყოფითი პრობლემები — ყველა ერთად იცინოდა. თუმცა, არც რეჟისორის მინიშნება რჩებოდა ყურადღების მიღმა... ზემოთ სპექტაკლის უბრალოებასა და, ამავე დროს, მის მრავლისმეტყველებაზე მოგითხრობდით. კიდევ უფრო გავიოცეთ, როცა შევიტყვეთ, რომ წარმოდგენა არაპროფესიონალი რეჟისორის, თეატრალურ წრეებში კარგად ცნობილი კრიტიკოსის, **ფიქრია ყუშიტაშვილის** მიერ იყო დადგმული:

**— საინტერესოა, პროფესიონალმა თეატრმცოდნემ როგორ გაუძელით ცდუნებას და სპექტაკლი მძიმე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სენტენციებით არ დახუნძლეთ?**

— ჩემთვის ეს ცდუნება ნაკლებად საშიში იყო, რადგან უაზროდ დატვირთული სპექტაკლები ისევე არ მომწონს, როგორც ჩვეულებრივ მაყურებელს. ჩემი აზრით, სპექტაკლის წარმატებას ის განაპირობებს, რაც უფრო მეტ მაყურებელს მოეწონება და არა რამდენიმე „შორსმჭვრეტ“ და „ღრმადმწვდომ“ კრიტიკოსსა თუ რეჟისორს. როდესაც ამ პიესას ვდგამდით, გვსურდა, დიდსაც და პატარასაც ერთნაირად მოსწონებოდა, მასში ყველას ეპოვა თავისი სატკივარი თუ სიხარული... სხვათა შორის, დიდი ხნის მანძილზე ეს პირველი სპექტაკლი გახლავთ, რომელშიც ორივე თაობის დასმა ერთად მიიღო მონაწილეობა.

**— და თუ მაყურებლის რეაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს არცთუ ცუდად გამოუვიდათ...**

— გეთანხმებით. მიუხედავად ყოფითი გაჭირვებისა, თავი არავის დაუზოგავს. თელავის თეატრისთვის ამ სპექტაკლს ერთგვარი „შიდაიდეოლოგიური“ დატვირთვაც ჰქონდა. ამიტომ შევეცადეთ, მთელი დასი მაქსიმალურად დაგვეკავებინა. ის კი არა, ერთ-ერთ როლს თეატრის მეხანძრეც კი თამაშობს...

**— წარმოდგენა საკმაოდ მრავალფეროვნად არის გაფორმებული. ეს კი დედაქალაქის თეატრებსაც უჭირთ ხოლმე...**

— როდესაც ამ სპექტაკლს ვამზადებდით, მთელი ქალაქი გვეხმარებოდა. მაღაზიები ნისიად ან სულაც უფასოდ გვაძლევდნენ ქსოვილს კოსტიუმებისთვის, საღებავს სცენის გასაფორმებლად... რა გითხრათ... თუკი სპექტაკლმა რაიმე წარმატებას მიაღწია, ამაში ყველაზე ნაკლები წვლილი მე მიმიძღვის — მთელი დასი, დიდიან-პატარიანად ვშრომობდით და იმის გამო, რომ სინათლე ღამით მოდიოდა, რეპეტიციები ბევრჯერ ღამითაც გაგვიმართავს...

*ყველაზე უცნაური ჩემთვის ის იყო, რომ მძიმე ყოფაზე აქ არავინ წუწუნებდა. არა იმიტომ, რომ დალხენილი ცხოვრება ჰქონდათ — პირიქით, პროვინციულ ქალაქში ხომ ყოველთვის უფრო მეტია პრობლემა... მით უმეტეს, პროვინციული ქალაქის თეატრში. არადა თბილისში, ამ სფეროს ცნობილ მოღვაწეთაგან ხშირად გამიგია — რომ „ქართული თეატრი სულს ღაფავს...“ რომ „ასე გაგრძელება შეუძლებელია...“ რომ „თუ ასე გაგრძელდა, ქართულ თეატრს მსახიობი აღარ ეყოლება...“*

*თელავის თეატრის „საიდუმლოში“ გასარკვევად დასის ერთ-ერთ „უხუცეს“ წევრს, თემურ ხუნაშვილსაც გავესაუბრეთ და ახალგაზრდა მსახიობს, მაკა გრემელაშვილსაც.*

**თემურ ხუნაშვილი**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი: — როდესაც დღევანდელი თელავის თეატრისა და მისი მაყურებლის „გმირობა“ გიკვირთ, გავიწყდებათ, თუ რა ფესვებზე დგას ეს თეატრი... თელავში თეატრის ბილეთები ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ იყიდებოდა, ლაკონიური წარწერით — „შაური ორი — გაბრიელ მაიორი“. იგი თელავსა და თბილისში კომედიური ჟანრის წარმოდგენებს მართავდა ხოლმე. არ ვიცი, სხვა ერს თუ აქვს ასეთი მაგალითი — აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს ლაშქარს წინ იარაღასხმული მაჩაბელი მიუძღოდა, თავისი მებრძოლი-მსახიობებით და მთელი დასი იქ დარჩა, ბრძოლის ველზე. ზედ დააკვდა თავის ზარბაზანს გაბრიელ-მაიორიც... აბა, ამის მერე — სცენაზე ვერ გამოვალ, მცივა-მეთქი, კახელმა კაცმა რომ ვთქვა, სირცხვილი არ იქნება? რა ვქნათ, დღეს ვის არ უჭირს. დალხენილი ცხოვრება არც ჩვენ გვაქვს, მაგრამ რომ გავჩერდეთ, თელავის თეატრიც სავაჭრო დახლებით აივსება, ისევე, როგორც ბევრი რამ საქართველოში...

**მაკა გრემელაშვილი:** ყოველგვარი ფამილარობის გარეშე მინდა გითხრათ, რომ თელავის თეატრი ჩემთვის ყველაფერია... თავად განსაჯეთ — თეატრალურში ჩაბარების შემდეგ პრაქტიკას აქ გავდიოდი, ქანთარიას ჯგუფში. ჩემი ყველა როლი ამ თეატრში მაქვს ნათამაშები... ჩემი მეუღლეც მსახიობია და ისიც აქ, თელავის თეატრში გავიცანი. სხვათა შორის, როდესაც ფეხმძიმედ ვიყავი, ლამის ბოლო წუთამდე თეატრში ვიყავი — სამშობიაროში რეპეტიციიდან წამიყვანეს...

**— მესმის, რომ მაყურებლის ოვაციები მსახიობისთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ ამით ვერც გათბები და ვერც ოჯახს შეინახავ. შენ კი გაყინულ სცენაზე თავი არ დაგიზოგავს...**

— რა გითხრა... იქნებ, ვინმეს ამის გაგება გაუჭირდეს, მაგრამ სპექტაკლი რომ დასრულდება და სცენაზე გამოსულს, მაყურებელი ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით მეგებება, იმ დროს აღარაფერი მახსოვს — არც სიცივე და არც სხვა პრობლემები... ამ წუთებისთვის მზად ვარ ყველაფერი გავიღო... ან რომ ვიწუწუნო და ვიტირო, რამე შეიცვლება? პირიქით, უფრო გაუსაძლისი იქნება ეს ცხოვრება... თორემ პრობლემები, ჩვენ რომ გვაქვს, მტერს არ ვუსურვებ...

**— ხელფასი რამდენი გაქვს თეატრში?**

— დღევანდელ ყოფაში მიზერულია — 60-დან 80-ლარამდე, მაგრამ ჩვენი დირექტორი,



როცა სცენაზე „ალადინის ლამპარი“ ანთია, დარბაზში თბილი გამყინვარებაა...

ვანო იანტბელიძე ან ამას საიდან და როგორ გვაძლევს, ძალიან მიკვირს... ვნახოთ, კაცი იმედით ცოცხლობსო. რაღაც პერსპექტივები კი გამოჩნდა, ალბათ, გვეშველება რაღაც. მანამდე კი ისე ვიცხოვრებ, როგორც აქამდე მიცხოვრია — თეატრი ჩემთვის ყველაფერია...

**ვანო იანტბელიძე:** როდესაც თეატრის ბიუჯეტს გავეცანი, გამიხარდა — წელიწადში 100 ათასი ხუმრობა ხომ არ არის... მაგრამ ბუღალტერიამ კოვზი ნაცარში ჩამიგდო — ყოველგვარი გადასახდებისა და დაქვითვის შემდეგ თეატრს რეალურად მხოლოდ 68 ათასი რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ფარხმალს მაინც არ ვყრით. ვფიქრობ, დღევანდელი პრემიერაც ამის დამადასტურებელია. სხვათა შორის, ჩვენი გუბერნატორის, ბატონ ბიძინას მეშვეობით საკმაოდ სერიოზული კავშირები დავამყარეთ ფრანგ კოლეგებთან — თეატრის აღჭურვილობისა და გათბობის მოწესრიგების ამბავში დიდ დახმარებას გვპირდებიან. თებერვლის თვეში მივემგზავრებით, ვნახოთ, რა გამოვა...

**— თქვენი თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლიდან უჩვეულო ოპტიმიზმი წამომყვა... როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული — მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, მსახიობებიც გულიანად მსახიობობენ და მაყურებლებიც — „მაყურებლობენ“...**

— ღმერთმა დაგვიფაროს ყველაფრის დაკარგვისგან! იქნებ, ზედმეტად ოპტიმისტიც გამოვჩნდე, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ქართულ კულტურას გადაშენება არ უწერია. თავად დააკვირდით, თუნდაც, უახლეს წარსულში, სამიხუთი წლის წინ იყო ასეთი დაინტერესება ხალხური შემოქმედებით, ხალხური ცეკვითა და სიმღერით? მაგრამ არც თავის დამშვიდება გვარგებს — ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ — ისტორიულ და კულტურულ ფასეულობებს იდეოლოგიურად უნდა მივუდგეთ, თორემ ისე დავიკარგებით, ჩვენგან ნატამალი არ დარჩება...

**— მაგრამ ხომ არც მხოლოდ ისტორიის იმედად ყოფნა და მისი გაფეტიშება აგვაშენებს...**

— ის არ მიგულისხმია, რახან თამარ მეფის, გიორგი სააკაძის და ერეკლეს შთამომავლები, ან ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, მხარ-თეძოზე წამოვწვეთ და ყველაფერი თავისით მოგვარდება-მეთქი. წარსულმა უნდა მოგვცეს ძალა, რომლითაც მომავალს ავაშენებთ...

**დაჩი გრძელიშვილი**



# ღმერთმა ნუ ქნას, მიტოვებულმა ქალმა ცხოვრება შეწყვიტოს...

80-იან წლებში ანსამბლი „ივერია“ ერთ ლამაზ, სევდიან სიმღერას მღეროდა: „მერე ყველაფერი ნელდება, მერე ყველაფერი ძნელდება, ქრება, იფერფლება ლადარი, მერე არაფერი არ არის!..“

სწორედ ეს სიტყვები გაიხსენა ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა:

— მართლაც, ალბათ დრო ყველაფერს ანელებს და შლის, როგორც სევდას და სიხარულს, ასევე სიყვარულს. მეორედ მოსვლას უფრო ადვილად ვირწმუნებდი, ვიდრე ქმრის ღალატს.



ჩვენ ხომ უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი. საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ ტკბილად... ეჰ, წარმავალი აღმოჩნდა ეს სიტკბოებაც...

როცა იბადება ახალი სიყვარული, ძველი კვდება და მას ისე ივიწყებენ, თითქოს არც არსებულა არასოდეს...

— **მერე მოვალეობა?**

— თუ ძლიერია გრძნობა, მას ვერაფერი აკავებს. მეწყერივით მოვარდება, წაგლეკავს, მაგრამ „წალეკილი“ თავს ბედნიერად გრძნობს.

— **მგონი მეუღლეს თანაუგრძნობთ...**

— ასეცაა! თავდაპირველად, როცა მისი ღალატი შევიტყვე, თავი დავკარგე. არც შვილები, არც ახლობლები, არც საყვარელი საქმე. ბრაზით კედლებს ვაწყდებოდი. ეს იმით დამთავრდა, რომ დეპრესიამ საწოლს მიმაჯაჭვა... მერე და მერე, ახლობლების დახმარებით და შვილების თხოვნით თავს შევუძახე, ფეხზე დავდექი... გაგიკვირდებათ, ამდენი უბედურების შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, საჩუქრებით დახუნძლული მოვიდა და მომინახულა! ისეთი გასაცოდავებული ღიმილით მიყურებდა, რომ შემებრალა. ცდილობდა, თავისუფლად ელაპარაკა, მაგრამ არ გამოსდიოდა. იცით, რა მითხრა წასვლისას? შენ თუ არა, აბა, სხვამ ვინ უნდა გამიგოსო. ისიც მიყვარს და შენც მიყვარხარ, ვერც ერთს ვერ გელევით, ხან შენთან ვიქნები, ხან იმასთანო.

— **რა უპასუხეთ?**

— სიცილი ამივარდა. რომ წავიდა, კარგა ხანს კიდევ ვიცინოდი. ბოლოს, ისეთი გულამოსკვნილი ტირილი ამიტყდა, რომ ჩემს ახლობლებს სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდათ...

— **და ყოველივე ამის მერე, შეგიძლიათ კიდევ იფიქროთ შერიგებაზე?**

— ჩემო კარგო, რას ეძახით შერიგებას? თუ იმას გულისხმობთ, რომ შინ მაშინ მოდის, როცა უნდა და მე ამას არ ვეწინააღმდეგები, ჩათვალეთ, რომ კარგა ხანია „შერიგებული“ ვარ. რაც შეეხება ჩემს გულს, იგი დიდი ხანია მკვდარია. გაქრა სიყვარულიც, წყენაც, დარჩა მხოლოდ სიცარიელე.

— **როცა შინ ბრუნდება, ახსნა-განმარტებებს ხომ არ იწყებს?**

— არა, არც ის თვლის საჭიროდ ამას და მეც არ მინდა ეს. პირველი გულახდილი საუბარი ჩათვალა აუცილებლად... მივხვდი, რომ ის, რაც მაშინ მითხრა, სრული სიმართლე იყო... მას მართლაც არ შეუძლია არც მისი და არც ჩემი მიტოვება.

— **და ელოდებით, ბედის სასწორი საბოლოოდ რომელ მხარეს გადაიხრება?**

— უკვე გითხარით, ჩემში სიცარიელემ დაისადგურა-მეთქი, სიცარიელე კი თავისთავად გულისხმობს „სულერთია“ განწყობას. სხვანაირად ამას, „მკვდარ წერტილსაც“ ეძახიან.

— **ზოგიერთი ქალი ღალატს ღალატით პასუხობს. მიიჩნევს, რომ ქმარიც ისევე უნდა „გაამწაროს“, როგორც ოდესღაც მან გაამწარა, გუნებაში მაინც არ გაგივლიათ მსგავსი რამ?**

— გამოგიტყდებით, რომ ერთხელ გულში გავივლე ასეთი რამ, მაგრამ ვერ გადავდგი ეს ნაბიჯი, რადგან ერთი მხრივ, თუკი მხიბლავდა რქებდადგმული ქმრის წარმოსახვა, მეორე მხრივ, მაშინებდა შვილებთან ურთიერთობა — როგორ შემეხედა მათთვის თვალებში... თუმცა ჩემმა ქმარმა ამ ღალატზე უარესი მიიღო ჩემგან — მე მას აღარაფრად ვთვლი.

— **როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მან დიდ თანამდებობას მიაღწია. მატერიალურად ოჯახს არასოდეს უჭირდა. მისი მშობლები თავს მევლებოდნენ. სამი ბავშვი შეგვეძინა. განათლებით უცხო ენების სპეციალისტი ვარ, მაგრამ ერთი დღეც არ მიმუშავია. ფული წყალივით შემოდიოდა ოჯახში. სამწუხაროდ, ცოლების უმეტესობას არ აინტერესებს, საიდან მოაქვს ქმარს ამდენი ფული. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ დიდი ხელფასი ჰქონდა, თანაც მას, როგორც თანამდებობის პირს, პატივს სცემდნენ... ერთი სიტყვით, არც მე მიკითხავს, სად შოულობ ფულს-მეთქი. მერე შინ გვიან მოსვლას მოუხშირა. ვიღაცამ დამირეკა — თავის მდივანს ეკურკურებაო. მოენე ვითომ გულზე გავხეთქე — მდივნები იმისთვის ჰყავთ, რომ ეკურკურონ, რა ჩამორჩენილი ყოფილხართ, დღეს ხომ ნებისმიერი თანამდებობის პირს ერთი პირადი და ერთიც პრესმდივანი ჰყავს-მეთქი.

ეს კი ვუთხარი, მაგრამ მაინც ავფორიაქდი. შინ რომ დაბრუნდა, გულახდილად მოვუყევი სატელეფონო საუბრის შესახებ. გულიანად იცინა, მომეფერა კიდეც — ჭკვიანი ცოლი მყავსო. ამის მერე ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ჩემმა ახლობელმა მაცნობა: რაღა სხვისგან გაიგო, მირჩევნია, ჩემგან იცოდე — შენი ქმარი ერთ ცნობილ ქალს ჰყვარობს, ყველგან ერთად დადიან და იმ ქალბატონს არ რცხვენია, ისე აცხადებს ყველასთან — ძლივს ვეღირსე ნამდვილ მამაკაცს და სიყვარულსო. აყალმაყალი არ გვქონია, მაგრამ როცა ვთხოვე, თვითონ ეთქვა სიმართლე, შვილებს მიხედეო, — დამიბარა (გეგონება, ისინი მარტო ჩემები იყვნენ), ჩაილაგა ტანსაცმელი, სხვადასხვა ფერის ჰალსტუხებიც არ დაივიწყა და წავიდა. ერთ კვირაში დედა გარდამეცვალა და ამ დიდმა ტკივილმა სულ დამავიწყა მისი არსებობა. გლოვის დღეებში ჩემ გვერდით გაჩნდა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც „ღირსეულ“ სიძეს შეეფერება. მერე ისევ წავიდა, მერე კვლავ მობრუნდა და ის მითხრა, რაც უკვე გითხარით.

— **არასოდეს მოგნდომებიათ „იმ“ ქალთან დალაპარაკება? ბოლოს და ბოლოს, ის მაინც არ გაინტერესებთ გაიგოთ, რით მოხიბლა მან თქვენი მეუღლე?**

— (გაეღიმა) მეუღლეს ნუ ეძახით, რა! ის მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შვილების მამაა. როცა ამას წაიკითხავს, ერთხელ კიდევ (და საბოლოოდ) დარწმუნდება, რომ მე, როგორც ქალი, როგორც მეგობარი და მზრუნველი ადამიანი, სამუდამოდ დამკარგა. რაც შეეხება „იმ“ ქალთან შეხვედრას, არასოდეს მნდომებია. ისედაც კარგად ვიცი, ვისთან აქვს ჩემს ქმარყოფილს საქმე. ის ქალი სხვისი ქმრების „დათრევის“ დიდოსტატია და მე ერთი წუთითაც არ დავიმცირებ თავს მასთან ურთიერთობით.

— **და ცხოვრება მაინც გრძელდება!**

— რა თქმა უნდა! ღმერთმა არ ქნას, ქმრისგან მიტოვებულმა ქალებმა ცხოვრება შეწყვიტონ, ხელი ჩაიქნიონ. ამ ქვეყნიერებას ხომ ბევრი რამ ამშვენებს: სიკეთე, სილამაზე, მეგობრობა, მოყვასის სიყვარული. სამწუხაროდ, ერთი დასკვნა გამოვიტანე, უფრო სწორად, ეს დასკვნა დიდი ხანია სხვებმა გამოიტანეს, მე, უბრალოდ, ვადასტურებ და ვიმეორებ (ოღონდ, ნუ დამცინებთ!): კაცების უმეტესობას გრძნობიერება ქვედა ნაწილიდან ეწყებათ და კუჭამდე ადის, კუჭის ზემოთ იშვიათად ასცდება. გულს ნუ გაიტეხთ, ეს ყველას არ ეხება.

და ვისაც არ გეხებათ, გაგიმარჯოთ!

***მარინა ბაბუნაშვილი***

## სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

### მედეა ჯაფარიძე



მისი გამოჩენა ქართულ ეკრანზე ცის გახსნას ჰგავდა — მზეთუნახავმა ერთბაშად გაათბო სული...

მთელ საქართველოს „ქეთო და კოტე“ ეკერა პირზე. ყოველ მეორე გოგონას მედეას არქმევდნენ, ყველა ვაჟი ოცნებობდა ქეთო-მედეაზე...

ისინი ერთმანეთს რუსეთში შეხვდნენ — მომხიბლავი მედეა ჯაფარიძე და რევაზ თაბუკაშვილი.

მედეა ის-ის იყო, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დასში ჩარიცხეს, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტდამთავრებული რეზო კი სამუშაოდ საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა...

მედეას მოგონებიდან:

„რეზომ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე — ნამდვილი მზეჭაბუკი იყო. ვხვდებოდი, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდი გრძნობის წინაშე დამაყენებდა და ინსტინქტურად ვუფრთხოდი მას...“

მაგრამ რეზო შეუპოვარი აღმოჩნდა.

მან თარგმნა და მედეას მიუძღვნა შექსპირის სონეტების დიდი ნაწილი.

განშორების ჟამს წესად ჰქონდა მედეასთვის ყოველდღე მიეწერა წერილი.

მედეაც ასევე პასუხობდა.

რეზო: „რას არ მივცემდი, ერთი წუთით რომ შემახედა შენთვის, დამაკოცნია შენი პატარა ხელები...

რა ვქნა, ჩემო „ტაიტი“, ავადმყოფურად მყვარებიხარ თურმე...“

მედეა: „შენმა დეპეშამ დილის 7 საათზე გამაღვიძა და მთელი დღე ულამაზო ვიყავი. შენც ხომ ეს გინდოდა?!

შენ რომ წახვედი, დილით აღარ მენატრებოდი და შემეშინდა, — ვაითუ, აღარ მომენატროს-მეთქი, მაგრამ საღამოზე უკვე მენატრებოდი. რეზო, რეზო, რეზიკოო...“

მედეა თბილისში გამოიქცა...

რეზო მომდევნო რეისით დაედევნა...

საყვარელი ქალის გულისთვის მან უარი თქვა საზღვარგარეთ მუშაობაზე, საერთოდ დიპლომატის კარიერაზე და თბილისში დაბრუნდა.

მათი ურთიერთობა პოეტური შარავანდით იყო მოსილი. ეს გახლდათ ამაღლებული, უჩვეულო, უნატიფესი, უფაქიზესი ზღაპარი სიყვარულისა...

უილიამ შექსპირის 109-ე სონეტის ამ თარგმანს ხშირად უკითხავდა მედეას რეზო:

გემუდარები, ორგულობა
არ დამაბრალო,
არ დაიჯერო, განშორებამ
გრძნობა გასრისა,
არ დაივიწყო, რომ ოდესღაც
გული საბრალო
შენსავე მკერდში შევინახე
შენგან წასვლისას.
შენი მკერდია ჩემი გრძნობის
თავშესაფარი,
შინ დაბრუნება იცის თურმე
ჩემისთანამაც,
შენზე ოცნებით მოვიარე
ქვეყნად მთა-ბარი,
მაგრამ ცოდვების განსაბანად
წყალიც თანა მაქვს.
არ დაგიმალავ, მეც სხვებივით
ლხენას დავეძებ,
და ახლაც შენთან უცოდველი
როდი მოვედი,
მაგრამ არასდროს დაიჯერო —
ისე დავეცე,
გადავიწყვიტო შენი სულის
სვეტი ცხოველი.
შენს უკეთესი რა შემეძლო
ქვეყნად მენახა,
ამ უნაპირო სამყაროში
მხოლოდ შენა ხარ.

***მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

**P.S. ფოტო მოგვაწოდა ქ-ნმა დამანა მდივნიშვილმა**

## ტესტი

# ხაკუთარ თავზე შეყვარებული ხარ თუ დაკომპლექსებული ბრიყვი?

**1. შეყვარებული დაუპატიჟებლად გესტუმრა, შენ კი მოუწესრიგებელი ხარ, რას იზამ?**

ა) მიხარია, რომ მოვიდა, დანარჩენი სისულელეა (1 ქულა)

ბ) ცივად ვიწვევ ოთახში (0 ქულა)

გ) შეხვედრისათვის სხვა დროს ვთავაზობ (3 ქულა).

**2. ქუჩაში ნაცნობი გხვდება და თითქოს ვერ გხედავსო... რას იფიქრებ?**

ა) „აუ, რა წუნკალია!“ (3 ქულა)

ბ) ხომ არ მივესალმო? (2 ქულა)

გ) ნაწყენი ხომ არ არის ჩემზე? (0 ქულა)

**3. სარფიანი საქმე შემოგთავაზეს. გაუზიარებ სიხარულს მეგობარს?**

ა) არავითარ შემთხვევაში (0 ქულა)

ბ) აუცილებლად (3 ქულა)

გ) არ ვიცი (1 ქულა)

**4. მეგობარი თავის საქმროს გაცნობს, შენ...**

ა) მიხარია (1 ქულა)

ბ) ნაკლს ვუძებნი ყმაწვილს (3 ქულა)

გ) უბედურად ვგრძნობ თავს, რადგან ჩემი ბრიყვია (0 ქულა)

**5. როგორ გგონია, რამდენად ხარ** (შეაფასე შენი თვისებები 0-დან 3 ქულამდე)

ა) მომხიბვლელი

ბ) სექსუალური

გ) ჭკვიანი

დ) მხიარული

ე) გულუხვი

ვ) კდემამოსილი

**6. დაძრახავ ქალს, რომელმაც პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა?**

ა) დიახ (2 ქულა)

ბ) არა (0 ქულა)

გ) არ ვიცი (1 ქულა)

**7. ხშირად გერევა დეპრესია?**

ა) დიახ (3 ქულა)

ბ) არა (2 ქულა)

გ) არ ვიცი (1 ქულა)

**8. შენი სახელი თუ ვინმემ არასწორად წარმოთქვა, მაშინვე უსწორებ?**

ა) დიახ (3 ქულა)

ბ) არა (1 ქულა)

გ) გააჩნია ვითარებას (0 ქულა)



**9. გწყინს როცა ასაკს გეკითხებიან?**

ა) დიახ (3 ქულა)

ბ) არა (11 ქულა)

გ) ხანდახან (0 ქულა)

**10. შეგიძლია ასაკის დაკლება?**

ა) დიახ (3 ქულა)

ბ) არა (2 ქულა)

გ) გააჩნია ვითარებას (0 ქულა)

**11. შეგიძლია მამაკაცს მოსთხოვო საჩუქრის ხშირად მიძღვნა?**

ა) დიახ (3 ქულა)

ბ) არა (2 ქულა)

გ) ალბათ (0 ქულა)

**შეაჯამეთ ქულები**

**45 ქულაზე მეტი:**
ყველაზე კარგი გგონია თავი და ბრაზობ სხვებს რომ არ მიაჩნიათ ასე. ამგვარი ქმედებით ვერავის მოხიბლავ. იყავი ყურადღებიანი სხვის მიმართ და ყველაფერი კარგად იქნება;

**19-დან 45 ქულამდე:**
რეალისტი ხარ, შენ სუსტ მხარეს აღიარებ, მაგრამ დადებით მხარეებს არ აფიშირებ. შეიძლება ამიტომაც ხარ მიმტევებელი სხვის მიმართ. საზოგადოება გაფასებს, მხოლოდ საკუთარ თავს მეტი ყურადღება უნდა დაუთმო;

**19 ქულაზე ნაკლები:**
დაკომპლექსებული უსუსური არსება ხარ. საკუთარი თავი სულ არ გიყვარს და მიგაჩნია, რომ შენზე არაფერია დამოკიდებული. ისწავლე შენი თავის დაფასება.

## რჩევები

# ნაცრისფერი პროდუქტები ვარცხნილობისათვის

რატომღაც „ჯადოსნური საშუალებებისგან“ თმა ცვენას იწყებს. იქნებ ისევ ძველ რეცეპტებს მივუბრუნდეთ „თმის დასაყენებლად?“

საკმარისია **ლუდის ან უცხიმო რძის** მცირე რაოდენობა, რომ თქვენმა ვარცხნილობამ დიდხანს გაძლოს. ერთი კია — თმა მალე ჭუჭყიანდება.

**ჭვავის** (შავი) პური დაალბეთ მდუღარეში, გააჩერეთ 2-3 საათი, გაწურეთ და გადაივლეთ თმაზე.

**ლიმონის წვენი** (1/2 ლიმონი ერთ ჭიქა წყალზე) თქვენს თმას დაარბილებს, დამყოლს



და მბზვინვარეს გახდის.

**სელის** ნახარში ვარცხნილობას მშვენივრად უნარჩუნებს ფორმას (განსაკუთრებით მოკლე თმას).

**ტიმ როტი ჰოლივუდის ერთ-ერთი მოდური და მაყურებლის საყვარელი მსახიობია. ბოლო დროს თითქმის მხოლოდ არამზადებს თამაშობს. ახლახან ტიმმა ბოროტი ადამიანი განასახიერა ფილმში „მაიმუნების პლანეტა“. „მაიმუნების პლანეტის“ გადაღებები ძალიან დამღლელი იყო — მთავარი მაიმუნის, თეიდის როლისათვის ტიმს სამი საათის განმავლობაში უკეთებდნენ გრიმს, მაგრამ მაინც საინტერესო იყო მხეცის ტყავში, თუნდაც ეკრანზე ყოფნა.**

— ჩემი ნათამაშები როლებიდან ეს ყველაზე ბოროტი პერსონაჟია, — ამბობს ტიმი, — სიუჟეტის მიხედვით ის მაიმუნების პლანეტის არმიის გენერალია და ადამიანების განადგურება სურს, რადგან ფიქრობს, რომ მათ არა აქვთ დადებითი თვისებები. მას სურს კაცობრიობის მოსპობა სწავლული მაიმუნის ჰელენა ბოუმ კარტერის მეთაურობით. ძალიან ვამაყობ, რომ ფილმში ყველაზე აგრესიულ მაიმუნს ვთამაშობ (იცინის). ეს როლი ბავშვობას მაგონებს, შეიძლია თვითონ ავირჩიო ვინ ვითამაშო — კეთილი თუ ბოროტი. როცა პატარა ვიყავი, ორივეს თამაში მომწონდა, ახლა იმავეს ვაკეთებ როლების საშუალებით. როგორც კი სცენარი წავიკითხე, მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ მაიმუნის როლი მინდოდა და არა ადამიანის, რადგან მაიმუნი უფრო საინტერესო და მრავალმხრივი იყო.

**— მართალა სწავლობდით „მაიმუნების სკოლაში“?**

— რა თქმა უნდა, მე ხომ მაიმუნად არ დავბადებულვარ. ვიცოდი, რა პერსონაჟი იყო თეიდი, როგორ გამეხსნა მისი ხასიათი, მაგრამ ნამდვილი მაიმუნივით მოძრაობა მიჭირდა. სწორედ ეს მასწავლა „მაიმუნების სკოლამ“.

**— რა იყო ყველაზე საინტერესო გადაღების დროს?**

— ყველაფერი. მით უმეტეს, რომ სცენარს ყოველდღე ცვლიდნენ. ყოველდღე რაღაც ახალი ხდებოდა, წინასწარ არ ვიცოდი, მეორე დღეს რა მოხდებოდა. ეს კარგიც იყო, იმიტომ, რომ ჩემმა მაიმუნმა წინასწარ არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა. ასე რომ, მუშაობისთვის იდეალური ატმოსფერო გვქონდა. მე ვაკეთებდი იმას, რაც მსურდა, რა თქმა უნდა, ყველაფერს რეჟისორს ვუთანხმებდი. ჩემდა გასაოცრად, ის ყოველთვის მზად იყო საკამათოდ.

**— რატომ გასაოცრად?**

— იმიტომ, რომ ამ ფილმს უზარმაზარი ბიუჯეტი ჰქონდა და, ჩვეულებრივ, ასეთ ფილმებზე არ კამათობენ: დრო არ ითმენს, დრო კი საკმაოდ ძვირი ღირს.

ტიმ საიმონ როტი დაიბადა ლონდონში, 1961 წელს. მამა ჟურნალისტი იყო, დედა — მხატვარი პეიზაჟისტი. მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ, ტიმისთვის მშვენიერების აღქმა გაეღვიძებინათ, ამიტომ ხშირად დაჰყავდათ გამოფენებზე, თეატრში, ასწავლიდნენ მუსიკას. თავისუფალ დროს ტიმი მეგობარ პანკებთან ცხოვრობდა. ერთხელ 15 წლისამ ერთი ღამე ციხეშიც კი გაატარა „საშინელი საქციელისათვის“.

ტიმის პირველი როლი იყო დრაკულა, სკოლის მუსიკალურ სპექტაკლში. მაშინ ტიმი 16 წლისა იყო და ისე დაფრთხა, რომ შიშით ჩაიფსა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ტიმმა სწავლა განაგრძო სამხატვრო სასწავლებელში ქანდაკების განხრით. ოცნებობდა, გოგონებს მისთვის ყურადღება მიექციათ. ამისათვის კი საჭირო იყო გამხდარიყო სახელგანთქმული და მისი აზრით, ოცნების განხორციელება მხოლოდ კინოში შეეძლო. მამის რჩევით, ტიმმა თეატრალურ წრეში დაიწყო სიარული, თან სარეკლამო აგენტად მუშაობდა.



ერთხელ მას შესთავაზეს სინჯებში მიეღო მონაწილეობა ფილმისთვის „გაკეთებულია ბრიტანეთში“. ტიმმა სინჯები წარმატებით გაიარა და ეპიზოდურის ნაცვლად მთავარი როლი მიიღო. გადაღების შემდეგ რეჟისორმა მას ურჩია მეზობელ პავილიონში შეეხედა, სადაც იღებდნენ ფილმს „ამასთან ერთად“. საოცარია, მაგრამ იქაც მთავარ როლს გამოჰკრა ხელი.

იმ ხანებში ტიმს ამერიკელმა რეჟისორმა ჯეფ სტანლერმა დაურეკა და ჰოლივუდში ფილმზე მიიწვია. ამის შემდეგ ტიმმა ითამაშა კვენტინ ტარანტინოს სურათებში: „ცოფიანი ძაღლები“ და „კრიმინალური საკითხავი“. ტარანტინომ სცენარი, „დაბადებით მკვლელი“, საგანგებოდ ტიმისთვის დაწერა. მაგრამ როცა კვენტინი ეჩხუბა ტიმის მეგობარს ოლივერ სთოუნს, ტიმმაც როლზე უარი განაცხადა, რადგან მეგობრობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ტიმმა უამრავ ფილმში წარმატებით ითამაშა, მათ შორისაა: „წყვდიადის გული“, „სხეული, სიმშვიდე და მოძრაობა“, „ხულიგნები“, „მატყუარები“ და ა.შ. 1999 წელს ტიმმა თავად გადაიღო ფილმი „სამხედრო მოქმედებების ზონა“.

ტიმს სამი შვილი ჰყავს, ერთი ინგლისში, ორი კი ამერიკაში. მისი მეუღლეა დიზაინერი ნიკი ბატლერი. ტიმს სხეულზე რამდენიმე სვირინგი აქვს, რომელიც მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღებთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა, მისი სამი ვაჟის დაბადების დღეები.

ერთხელ, ბავშვობაში, ტიმი ამხანაგებთან ერთად თეატრში იყო. პატარები ისე ცელქობდნენ და ხულიგნობდნენ, რომ ერთ-ერთმა მსახიობმა შოუ გააჩერა და ყმაწვილები დარბაზიდან გააძევა. რამდენიმე წლის შემდეგ ფილმის, „მზარეული, მისი ცოლი და ცოლის საყვარელი“ გადაღების დროს, ტიმმა იცნო თავისი პარტნიორი — მსახიობი, რომელმაც დარბაზიდან გააგდო. ეს იყო ალან ჰოვარდი. ალანმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნო და არც ტიმმა შეახსენა ის შორეული ინციდენტი. „ფილმის სცენარის თანახმად, მე ალანი მოვკალი და ჩავთვალე, რომ ანგარიში გავუსწორე,“ — ამბობს ტიმი.

ტიმი საოცრად ენერგიულია და თავდადებით მუშაობს, რადგან აკეთებს იმას, რაც უყვარს. გადასაღებ მოედანზე მას თან მოაქვს „დამოუკიდებელი კინოს“ ხიბლი. მიუხედავად მძიმე შრომისა, ტიმი ყოველთვის ახერხებს პარტნიორებს სიხარული და ბედნიერება აჩუქოს.

***მკ ბულვარი №4***

# ბახის შთამომავალი — ქალების გულის მპყრობელი



**კაილ მაკლაჰლენი** ჰოლივუდში ერთ-ერთ ულამაზეს ყმაწვილკაცადაა ცნობილი. იგი კოლეგებისაგან განათლებით, დახვეწილი გემოვნებით, სტილის საოცარი შეგრძნებით გამოირჩევა. რაც თავი ახსოვს, სულ ვიღაცას აღმერთებდა. ჯერ ოჯახი და წინაპრები უჩუყებდა გულს — დედამისი იოჰან სებასტიან ბახის შთამომავალი იყო. განათლების ადგილობრივ დეპარტამენტში მუშაობდა, მამამისი იურისტი და პიანისტი გახლდათ. ბიჭი სპირტიან სასმელს არ ეკარებოდა და გულმოდგინედ სწავლობდა, მაგრამ იმ დღეს, როცა მშობლებმა გამოუცხადეს, უნდა გავიყაროთო, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაენგრა, როგორ მიღალატესო, გულზე სკდებოდა.

კაილს არასოდეს აკლდა ქალთა ყურადღება. ბავშვობიდანვე გოგონები ბუზებივით ეხვეოდნენ თავს. იგი მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს სასიამოვნოს და სასარგებლოს. როცა მანქანის სადგურის მეპატრონის ქალიშვილი შეუყვარდა, მანქანის შეკეთება ისწავლა, შემდეგ ლამაზი ორგანისტი მოუვიდა თვალში და სატრფოს არც თვითონ ჩამორჩა. ერთი სიტყვით, 18 წლისას უკვე ყველაფერი შეეძლო, შესანიშნავი მზარეულიც კი იყო, მაგრამ პროფესია ვერაფრით შეარჩია. რჩევა დედას ჰკითხა, — რა ხელობას მოვეკიდოო. იმდენი რამე იცი, იქნებ მსახიობობა გეცადაო, — გაეხუმრა დედა და კაილმაც დაუჯერა. სიეტლის უნივერსიტეტში შევიდა სამსახიობო ოსტატობის შესასწავლად.

მალე ახალი სიყვარული და კერპი გამოუჩნდა — გასტროლიორი თეატრის მსახიობი, იგი მასზე 15 წლით იყო უფროსი. მან აზიარა აღმოსავლურ ფილოსოფიას, მისტიკას, მედიტაციის ტექნიკას და რაც მთავარია, თავდავიწყებით შეაყვარა სცენა. კაილი მის ცოლად შერთვასაც კი აპირებდა, მაგრამ... თეატრმა გასტროლები დაამთავრა და ქალიც წავიდა... ეს მეორე ღალატი იყო! მერე უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით დაამთავრა და თეატრს მიაშურა.

მალე გაიცნო რეჟისორი დევიდ ლინჩი. რომელმაც სცენაზე ნახა კაილი და მოეწონა. ისინი მალე დამეგობრდნენ. ლინჩმა კაილს მთავარი როლი მისცა თავის ფილმში „დიუნა“. კაილი ისე იყო აღფრთოვანებული და მოხიბლული დევიდის ნიჭით, რომ ყველაფერში მას ბაძავდა, მისი ალი-კვალი შეიქმნა. უსიტყვოდ ხვდებოდა მის სურვილებს და ისე თამაშობდა, როგორც რეჟისორს უნდოდა. „დიუნას“ „ლურჯი ხავერდი“ და „ტვინ პიქსი“ მოჰყვა.

კაილი სხვა რეჟისორებს უარს ეუბნებოდა მიწვევაზე და მხოლოდ დევიდის მსახიობად რჩებოდა. ლინჩი კაილის პირად ცხოვრებასაც რეჟისორობდა. ერთხელ ლორა ტერნი გააცნო. ლორამ ზეპირად იცოდა მთელი შექსპირი. სულ წიგნი ეჭირა ხელში. ფილმის გადაღების შუალედში ან ხელოვნების ისტორიაში ჰქონდა ცხვირი ჩარგული, ანდა ფილოსოფიურ ტრაქტატებს კითხულობდა. „ლურჯი ხავერდის“ გადაღების დაწყებამდე კაილი და ლორა მარტო პარტნიორები კი არა, უკვე დანიშნულებიც იყვნენ, მაგრამ მალე დაშორდნენ, რადგან ლორა ფეთხუმი გამოდგა. შიმშილით რომ მომკვდარიყო, ხელს არ გაანძრევდა, მტვერში იჯდა და კითხულობდა.

კაილის პარტნიორი ლინჩის ახალ ფილმში „ტვინ პიქსი“ ლარა ფლინ ბოილი იყო. ჰოლივუდში ხუმრობდნენ — ლინჩი კაილს მარტო როლებს კი არა, საცოლეებსაც ურჩევსო. მართალიც იყო. დევიდი კვლავ მაჭანკლობას შეუდგა. მას მოსწონდა, კაილი მისი მარიონეტი რომ იყო, თანაც მსახიობის ახალი რომანი ფილმს ძალიან წაადგებოდა. ლარა არც დიდი კეთილშობილებით გამოირჩევოდა, არც განათლებით, მარიხუანასაც აბოლებდა, რესტორნებშიც ჩხუბობდა. კაილი დაშორდა მას.

კაილმა იმ ხანებში ფილმის გადაღების შუალედში მონაწილეობა მიიღო სარეკლამო სურათში. ეს რომ ლინჩმა გაიგო, პირიდან ცეცხლი აფრქვია და „ტვინ პიქსის“ ბოლო სერიებში როლი საგრძნობლად შეუმოკლა.

ერთ წვეულებაზე კაილმა შეუდარებელი ლინდა ევანგელისტა გაიცნო. წვეულების შემდეგ სასტუმროსკენ გასწიეს ღამის გასათევად.

ლინდამ მიატოვა ქმარი — „ელიტის“ პარიზული სააგენტოს დირექტორი ჯერალდ მასი. მალე გამოცხადდა ლინდასა და კაილის ნიშნობა. კაილი მიხვდა, რომ ხაფანგში ამოჰყო თავი — ქალი მისგან მორჩილებას ითხოვდა. ლინდას მუცელი მოეშალა, რის შემდეგაც კიდევ უფრო აუტანელი გახდა: ქმრის ჯიბეებსა და უჯრებში იქექებოდა, მის წერილებს კითხულობდა. ერთ მშვენიერ დღეს კაილის წამებას ბოლო მოეღო. ლინდა პარიზში იყო. მაკლაჰენს შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ჟურნალი, რომლის გარეკანიდან ერთმანეთს ჩახვეული ლინდა და ფრანგი ფეხბურთელი ფაბიენ ბარტეზი იღიმებოდნენ. ფოტოს ახლდა წარწერა — „ამ ზაფხულის ყველაზე მხურვალე წყვილი“.

მალე კაილმა მანუალური თერაპიის მისაღებში გაიცნო ჟურნალისტი დეზრი გრუბერი. მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ვიპოვე იდეალური ქალი, — ამბობს მსახიობი.

ისინი აპრილში აპირებენ ჯვრისწერას.

***ტვ პარკი №47***



ვანესა მეი სამი წლისა იყო, როცა პირველად მიუჯდა ფორტეპიანოს. ორი წლის შემდეგ ვიოლინოზე დაკვრა დაიწყო. 10 წლის გოგონას დებიუტი შედგა ლონდონის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად. სამეფო მუსიკალური კოლეჯის საჩვენებელი მოწაფე პირველად გაემგზავრა საერთაშორისო ტურნეში. კოლეჯის დირექტორმა მას „ვუნდერკინდი“ შეარქვა და მოცარტს და მენდელსონს შეადარა...

1997 წელს ვანესა მეი კლასიკური მუსიკის ნომერ პირველ შემსრულებლად აღიარეს და მაშინვე კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ. ბრიტანელმა კომპოზიტორმა ჯულიან ლოიდ ვებერმა თქვა, — არც ერთი საკონცერტო დარბაზი არ გაივსება, თუ იქ გამოვა ნახევრად შიშველი ქარაფშუტა ვიოლინოთი ხელშიო. მართალია, სახელი მეი არ იყო ნახსენები, მაგრამ სავსებით ნათელი იყო, ვისაც გულისხმობდა კომპოზიტორი. ვანესა ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია უფრო უხეში გამონათქვამებისთვისაც კი. ის მხოლოდ ამბობდა, — კრიტიკოსი ხდება ის, ვინც თავად არ იცის, როგორ შეასრულოს მუსიკა და თავის ოპონენტებს პრიმიტივებს უწოდებსო.

**— მას შემდეგ, რაც წარმატება გეწვიათ, თითქმის ყველა კლასიკური მუსიკის მიმდევარი თქვენს წინააღმდეგ აღდგა...**

— ჩემი ხელოვნებით მინდა დავეხმარო ხალხს, გაიგონ, რომ ვიოლინო არ უნდა დარჩეს წარსულში. ვცდილობ, ელექტროვიოლინოსთვის იგივე გავაკეთო, რაც თავის დროზე ჯიმი ჰენდრიქსმა ელექტროგიტარისთვის.

**— 10 წლის წინ ვუნდერკინდი გიწოდეს. რა შეიცვალა მას შემდეგ?**

— 23 წლის ვარ და უკვე დიდი ხანია აღარ მაქვს „ბავშვი-მოვლენას“ იმიჯი. ის, რომ მე ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებელი ვიყავი, რომელმაც ჩაიკოვსკი და ბეთჰოვენი ჩაწერა, ჩემი ბიოგრაფიის ნაწილი გახდა და ახლა არ მინდა გავხდე ის ადამიანი, რომელმაც არ გაამართლა იმედი.

**— ვუნდერკინდობამ ხომ არ დაგაკარგვინათ ბავშვობაში მნიშვნელოვანი რამ?**

— რა თქმა უნდა. მე არ მყავდა თანატოლი მეგობრები. გარს მარტო მცველები მეხვია. მაშინ არ ვაქცევდი ამას ყურადღებას. ახლა ვგრძნობ, რომ ეს საშინელება იყო. არ მყავდა ნამდვილი მეგობარი გოგონები, ვისთვისაც გულის გადაშლა შემეძლო.

**— სამაგიეროდ, ახლა თქვენ ურთიერთობა გაქვთ მსოფლიოს ცნობილ ადამიანებთან.**

— სულაც არა. მე მათ ტელეფონით ან ელექტროფოსტით ვეხმიანები.

**— თქვენ ვარსკვლავი ბრძანდებით და იძულებული ხართ, თვალყური ადევნოთ თქვენს იმიჯს. რას აკეთებთ ამისთვის?**

— ხალხმა ერთადერთი მიზეზის გამო შემამჩნია — მე დავარღვიე კანონები და ახლებურად დავიწყე ვიოლინოზე დაკვრა. როცა 15 წლის ვიყავი, ჩემზე ალაპარაკდნენ, სექს-სიმბოლოაო. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მახინჯი არ ვარ. სინამდვილეში არ გამოვიყურები, როგორც კლასიკური სექს-სიმბოლო. თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა ვინმე ჩემს გარეგნობას გამოიყენებს მუსიკის გასაყიდად.

**— ალბათ თითოეული ქალი ოცნებობს, რომ მას სექს-სიმბოლო უწოდონ.**

— მე მომიწია პროფესიონალ სექს-სიმბოლოებთან მუშაობა. ჟან-პოლ გოტიემ თავისი ახალი კოლექციის ჩვენებაზე მიმიწვია. მაგრამ, იცით, გრძელფეხება ულამაზესი გოგონების ფონზე, თანაც ჩემი ინსტრუმენტის გარეშე, აბსოლუტურად შიშველი მეგონა თავი. ამიტომ მომდევნო გამოსვლისას — საპატარძლო კაბით, ვიოლინო გავიტანე პოდიუმზე და საქორწინო მარში დავუკარი.

**— ბევრი თაყვანისმცემლები გყავთ, ვინ არიან ისინი?**

— არ ვიცი, ჩემს კონცერტებზე ბევრი ბავშვია. მაშინ ვფიქრობ: აი ამათთვის ღირს მუშაობა-მეთქი!..

***პარი მატჩი***

# ნაჯახიანი „ახალი ბრიტანელები“

ყასბები ყველა დროში კარგად ცხოვრობდნენ, მაგრამ ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდათ საკუთარი ხელობა. მართლაც, საზოგადოებაში ხმამაღლა გამოცხადება, ყასაბი ვარო, კარგ ტონად ნამდვილად არ ჩაითვლებოდა. მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა — ახლა ყასბობა პრესტიჟულიცაა.

21-ე საუკუნის დასაწყისი დიდ ბრიტანეთში ახალი ფენის წარმოშობას დაემთხვა. ახალი ბრიტანელები საუცხოო სახლებში ცხოვრობენ, მაღალ საზოგადოებაშიც ტრიალებენ, ზოგი სამეფო სახლთანაც კია დაახლოებული. წელიწადში საშუალოდ 100.000 გირვანქა სტერლინგი აქვთ შემოსავლად. ამ „ახალ ბრიტანელებში“ სწორედ ზემოხსენებულ ყასბებს ვგულისხმობთ.

ის დრო, როდესაც ამ „სისხლიანი“ პროფესიის წარმომადგენლებს შავ მუშებს უთანაბრებდნენ, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ლონდონის ყასაბთა საერთაშორისო სკოლის ხელმძღვანელი აივოს სპენსერი ირწმუნება, რომ მსოფლიოში მის მოსწავლეებზე დიდი მოთხოვნილებაა. დამწყები ყასაბი კარიერას მოკრძალებული ხელფასით — წელიწადში 25.000 გირვანქა სტერლინგით იწყებს, განსაკუთრებით „ნიჭიერს“ კი 55.000 გირვანქაც აქვს წელიწადში. თუმცა ორივე შემთხვევაში, მალე იორმაგებენ ხელფასს.

ინგლისელ ყასბებს ძალზე აფასებენ აშშ-ში, სიანგაში, საუდის არაბეთსა და ევროპის ქვეყნებში — ინგლისელი ყასაბი საქმის ნამდვილი ვირტუოზია — ხორცს მარჯვედ ახარისხებს. სამშობლოში სპენსერის სკოლის კურსდამთავრებულები სამსახურს ან მაღალი კლასის სასტუმროებში იწყებენ ან ცისფერსისხლიანთათვის ახარისხებენ ხორცს. მათი კლიენტია დედოფლის შუათანა ვაჟიც, იორკის ჰერცოგი.

„ნაჯახის ოსტატებს“ აქვთ საკუთარი სახლები, პრაქტიკულად არ იხდიან გადასახადებს (მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისამებრ, მათი შრომა განსაკუთრებით საჭირო საქმიანობად ითვლება), ამიტომაც ყველაზე წარმატებულ ყასაბთა შემოსავალი ორჯერ აღემატება ხელფასის ნორმალურ თანხას. აქედან გამომდინარე, სტატუსით ადმინისტრირებული მუშაკები არიან. სპენსერის სკოლაში მომავალი ყასბები პროფესიულ საიდუმლოს ეცნობიან. ერთ-ერთია უფროსისთვის საშობაო საჩუქრის მირთმევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა საჩუქრის ღირებულება, არამედ თავად ჟესტი. მეპატრონე, როგორც წესი, სიკეთეს სიკეთით პასუხობს და შესაძლოა ყასაბი საახალწლოდ უფასო ავიაბილეთითაც დასაჩუქრდეს.

***ეხო პლანეტი №2-3***

# ჩინგიზ-ყაენის სამარხი უამრავ საიდუმლოებას ახდის ფარდას!



## სავარაუდო ოქროს ურდო?

ბოლო დროს ერთობ საინტერესო ცნობები ვრცელდება მონღოლეთიდან — ქვეყნიდან, რომელიც ჩვენს ეპოქაში იშვიათად თუ იპყრობს ხოლმე საყოველთაო ყურადღებას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო და მონღოლთა ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა აზიასა და ევროპას. ბოლოდროინდელი ცნობებიც მონღოლთა წარსულს ეხება. როგორც მონღოლი და ამერიკელი არქეოლოგები იუწყებიან, შესაძლოა უკვე მიაგნეს ადგილს, სადაც „ოქროს ურდოს“ სახელით ცნობილი მონღოლეთის იმპერიის დამაარსებელი და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი ჩინგიზ-ყაენია დასაფლავებული. ეს ვარაუდი უაღრესად საინტერესო და საიმედო ისტორიულ ფაქტებსა და წყაროებზეა დაფუძნებული!

## მაგრამ სად?

1227 წელს, როცა ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა, მონღოლებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მთელი ციმბირი, რუსეთი, ჩინეთი, შუა აზია, სპარსეთი და კავკასიისა და უკრაინის გავლით, აღმოსავლეთ ევროპაში აპირებდნენ შეჭრას. მათ კავკასიის მაშინდელი უძლიერესი სახელმწიფო საქართველო 1235 წლამდე არ დაუპყრიათ, მიუხედავად იმისა, რომ 1220-1221 წლებში სამჯერ დალაშქრეს, ვოლგისპირეთში გადავიდნენ და იქიდან აპირებდნენ დასავლეთისკენ ლაშქრობის გაგრძელებას. ამის შესახებ 1227 წელს ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების შესახებ ცნობებშიცაა მოცემული. ყაენის ვაჟიშვილებმა და სხვა მხედართმთავრებმა ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალებისთანავე შეწყვიტეს ლაშქრობა და უკან დაბრუნდნენ ახალი ყაენის საკურთხევლად და ცხადია, როცა მონღოლეთს ჩააღწიეს, ჩინგიზ-ყაენი უკვე დასაფლავებული დახვდათ, მაგრამ სად?

## იდუმალი სავანე

საფლავის მოძიებას ხელს უშლის წერილობითი წყაროების სიმწირე, თუმცა ყველაზე საიმედო წყაროდ რჩება მონღოლთა საიდუმლო ისტორია, რომლის თანახმად, ჩინგიზ-ყაენი დედაქალაქიდან ჩრდილოეთისკენ წაასვენეს. სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებს გზად შემხვედრი არც ერთი სულიერი ცოცხალი არ დაუტოვებიათ. ჩინგიზხანის დაკრძალვა 50 მეომარს დაევალა. დაკრძალვისთანავე ეს მესაფლავენი სხვა 50-მა მეომარმა დახოცა, შემდეგ კი ესენიც სხვებმა აჩეხეს. არქეოლოგთა თქმით, სწორედ იმ ადგილს, რომელსაც ახლა იკვლევენ, უხსოვარი დროიდან 100 მეომრის საფლავს უწოდებენ. ეს ადგილი მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 300 კმ-შია და მრავალი ასპექტით იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ჯერ ერთი, ახლოს მდებარეობს ჩინგი-ყაენის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პუნქტებთან და მეორეც: საქმე ეხება ბორცვს, რომელიც 3 მ სიმაღლის მძლავრი ქვითკირის კედლითაა გარშემორტყმული და ყველანაირად მიანიშნებს, რომ ერთი ან რამდენიმე დიდგვაროვნის სამარხი უნდა იყოს.

არის კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: ჩინგიზ-ყაენის მიერ ნაალაფარი ძვირფასეულობა და ხელოვნების ნიმუშები არსად გამოჩენილა მსოფლიოს რომელიმე მუზეუმში და მოსალოდნელია, ეს საარაკო რაოდენობის უძვირფასესი ნივთები ჩინგიზ-ყაენს საფლავში ჩააყოლეს.

მოკლედ, მსოფლიოს სამეცნიერო სამყარო მოუთმენლად ელის ამ ვარაუდების ფაქტებად ქცევას, რადგან ჩინგიზ-ყაენის სამარხის აღმოჩენა უდიდესი მოვლენა იქნება არა მარტო მონღოლებისთვის, არამედ მრავალი ქვეყნისა და ხალხისთვის, რამეთუ სამარხმა ამ ქვეყნებთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციასა და ექსპონატს უნდა მოჰფინოს ნათელი, ფარდა აეხდება შუა საუკუნეების არაერთ საიდუმლოს.

***დასავლეთის პრესის მიხედვით***


# მოსწავლეთა მიღება

## ამერიკული აკადემია თბილისში

**აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მეცხრე კლასში 2002-2003 სასწავლო წლისათვის.**

მისაღები გამოცდა ჩატარდება ინგლისურ ენასა და მათემატიკაში. სწავლის ღირებულება წელიწადში შეადგენს 3000 დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ფინანსურ გასაჭირში მყოფ რამდენიმე წარჩინებულ მოსწავლეს დაენიშნება სტიპენდია. ღია კარის დღეები ჩატარდება: 20 თებერვალს, 13 მარტს, 3 აპრილს, 24 აპრილს და 15 მაისს, 5 საათზე. ანკეტებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის გამზ. 37ა. ტელ: 22-74-41; 22-78-89


# ალექსანდრ ლუკაშენკოს ძალიან უყვარს ქალები



ამბობენ, რომ ბელორუსის თავკაცის სიფიცხის ერთ-ერთი მიზეზი ბოშური სისხლიც არისო. მისი ცოლი წუწუნებდა თურმე, იმდენად ჭირვეულია, რომ დიდხანს არსად აჩერებენო და ამიტომაც თქვა უარი სოფლიდან მინსკში გადასვლაზე, როცა ახალგაზრდა ლუკაშენკო დედაქალაქში გადაიყვანეს სამუშაოდ.

თუმცა ალექსანდრ ლუკაშენკომ მშვენივრად იცის, როდის და სად იჭირვეულოს. ვიდრე ელცინი — ელცინობდა, ლუკაშენკო სულ ეფიცებოდა, — ჩემი უფროსი ძმა ხარო და გაუთავებლად ეხვეოდა. როგორც კი „ბატკამ“ იგრძნო, რომ რუსეთის „ლომს“ კლანჭები დააცვდა, მის ოპონენტებთან დაიწყო ცუნცული. ვლადიმირ პუტინთან, ჯერჯერობით, თავშეკავებულად იქცევა, „თქვენობით“ მიმართავს, თუმცა ერთი სული აქვს, ძმაბიჭურად მოუთათუნოს მხარზე ხელი. შიგადაშიგ, რუსეთის მთავრობას ვითომ ლანძღავს კიდეც — ხელს უშლიან რუსეთ-ბელორუსის კავშირის შექმნასო. მაგრამ მერე ვითომც არაფერი, ჩადის მოსკოვში და აცხადებს — თქვენს იქით გზა არა მაქვსო. გავა ერთი კვირა და წამოაყრანტალებს — თაღლითებთან, მათ შორის რუსეთთან, რა საქმე მაქვსო. ალექსანდრ გრიგორიევიჩი სულ იმის მცდელობაშია, როგორ დასცინცლოს ფული მოსკოვს ბელორუსის ეკონომიკისათვის, მაგრამ რესპუბლიკაში რუსული ბიზნესის შეშვება არ სურს. რუსეთი თვალს ხუჭავს მის უცნაურობებზე, რადგან ასეა თუ ისე, ლუკაშენკო მაინც რუსეთისკენ იწევს.

ვინც რა უნდა თქვას, ბელორუსებს უყვართ თავიანთი „ბატკა“, განსაკუთრებით, ქალებს. პრეზიდენტს ცოლი სადღაც სოფელში ჰყავს „გადამალული“, ქორწინების ბეჭედიც კი არ უკეთია. ამბობენ, ცოლს შეუთვალა — გავიყაროთო, მაგრამ უარი მიიღო. მის სასიყვარულო თავგადასავლებზე ხომ გაუთავებლად ჭორაობენ — ლამაზ ქალს გულგრილად ვერ ჩაუვლისო. თუმცა ეს ყველაფერი ლუკაშენკოს პოპულარობას მატებს.

დასავლეთი მაინცდამაინც არ წყალობს ბელორუსის პრეზიდენტს და რუსეთი ცხრაპირ ტყავში ძვრება, რომ როგორმე შეარბილოს ევროსაბჭოს დამოკიდებულება ბელორუსის მიმართ.

***არგუმენტი ი ფაკტი №1***

# ცოცხალი ქალღმერთი



ეს პატარა გოგონა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ქალღმერთია. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ ესტუმროთ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუს, სადაც დგას სამსართულიანი სასახლე-ტაძარი კუმარი გჰარი — ცოცხალი ქალღმერთის კუმარის საცხოვრებელი.

თუ ბუდისტი არა ხართ, ტაძარში არ შეგიშვებენ, მაგრამ თუ რამდენიმე რუპიას შესწირავთ, მაშინ პატარა ეზოში მოხვდებით და ხმამაღლა უნდა თქვათ ნეპალურად: „ო, ჩემო ქალღმერთო!“ როგორც კი ამ მოწოდებას გაიგონებს, კუმარი სარკმლიდან გამოიხედავს, მაგრამ მისი ფოტოგრაფირება არ შეიძლება, ეს შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ერთხელ, სექტემბერში, ინდრა ჯატრას დღესასწაულის დროს, როცა მორთულ-მოკაზმული ეტლით კუმარს ქალაქის ქუჩებში დაასეირნებენ.

...ნეპალში, ლეგენდის თანახმად, დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ღმერთები ადამიანებს შორის ცხოვრობდნენ, ერთი ქალღმერთი მეფესთან ხშირად მიდიოდა სასაუბროდ და გასართობად. მეფეს შეუყვარდა ქალღმერთი, თავს ვეღარ მოერია და მის საალერსოდ გაიწია. შეურაცხყოფილმა ქალღმერთმა ადამიანები მიატოვა, მაგრამ შემდეგ გული მოულბა, აპატია მეფეს ეს თავხედობა, თუმცა ამის შემდეგ მათ მხოლოდ პატარა, უმანკო გოგონას სახით ესაუბრებოდა. სწორედ ეს გოგონა გახლავთ კუმარი და ასეთად რჩება იმ დრომდე, სანამ მისი სხეულიდან ერთი წვეთი სისხლიც მაინც არ გამოვა. შეიძლება ეს იყოს უბრალო განაკაწრი, ანდა ბუნებრივი ფიზიოლოგიური პროცესი.. როგორც კი მოსახდენი მოხდება, კუმარი კარგავს ქალმერთის სტატუსს და ჩვეულებრივ მოკვდავ ქალიშვილად გადაიქცევა. მის ადგილს კი ახალი ქალღმერთი იკავებს.

შერჩევა ძალიან მკაცრია. გოგონა უნდა იყოს 2-5 წლისა, აუცილებლად შაკის ნაკარის კლანის წამომადგენელი, სავსებით ჯანმრთელი, უხინჯო, მუქთვალებიანი, შავთმიანი და ლამაზ კბილებჩაწიკწიკებული.

მომავალმა ქალღმერთმა მძიმე გამოცდას უნდა გაუძლოს. მას რამდენიმე დღით კეტავენ ბნელ ოთახში, სადაც დგას საშინელ ურჩხულთა ქანდაკებები, ისმის საზარელი ხმები, რამდენიმე დღის შემდეგ კი შემოცვივდებიან ნიღბოსნები და იწყებენ როკვას.

ასეთ მდგომარეობას ასაკოვანი მამაკაცებიც კი ვერ უძლებენ, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე გოგონა, რომელიც იმარჯვებს, მას კუმარად ირჩევენ და მთელი ნეპალის სამეფოს მფარველი ხდება.

მასთან განუწყვეტლივ მოედინებიან მომლოცველები, ეთაყვანებიან უბრალო ადამიანებიც და მეფეც თავისი გარემოცვით.

კუმარს უსიხარულო ბავშვობა აქვს. ის სასახლეში ცხოვრობს. მასთან ხანდახან კი მოდიან თანატოლები, მაგრამ მხოლოდ უწყინარი სათამაშოებით ერთობიან. გოგონა თითქმის ყოველთვის სევდიანია. კუმარის მშობლები არანაირი უპირატესობით არ სარგებლობენ.

ადრე თუ გვიან კუმარი ოჯახში ბრუნდება და მას საკმაოდ პროზაული ამოცანის გადაჭრა უწევს — გათხოვება. ეს კი საკმაოდ რთულია, რადგან ხალხში არსებული რწმენის თანახმად, ის, ვინც კუმარს შეირთავს ცოლად, მალე მოკვდება. ამიტომ ყოფილ ქალღმერთთა უმეტესობა გაუთხოვარი რჩება.

***ვერსია №38***



# როგორ გაჩნდა შამპანურის ბოკალი

ლეგენდის თანახმად, შამპანურის კლასიკური ბოკალი, რომელიც ბევრს სანაყინე ლარნაკი ჰგონია, შექმნილია საფრანგეთის დედოფლის მარია-ანტუანეტას მკერდის ფორმის მიხედვით.

ეს ქალბატონი საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა. მან მიატოვა სამშობლო და მამა, ავსტრიის იმპერატორი ფრანცი, რათა ცოლად გაჰყოლოდა ლუდოვიკო XV-ს. მარია-ანტუანეტა მშვიდი ხასიათით არ გამოირჩეოდა და სამეფო კარის ტრადიციების თანახმად, ინტრიგებს ხლართავდა, არც მიჯნურებს იკლებდა. იგი განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა საფრანგეთის რევოლუციის დაწყების შემდეგ. სწორედ მარია-ანტუანეტა გახდა კონტრრევოლუციური შეთქმულებისა და ინტერვენციის სულისჩამდგმელი, რის გამოც საკადრისი მიეზღო. 1793 წელს 38 წლის დედოფალმა სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა.

ჩვენამდე მოაღწია მარია-ანტუანეტას ცხოვრების არაერთმა ფაქტმა. ზუსტადაა ცნობილი, რომ მარია გასართობად საარაკო თანხებს ხარჯავდა, საფრანგეთის ბიუჯეტს წყალი შეუყენა, რის გამოც მას „ქალბატონი დეფიციტი“ შეარქვეს. ხოლო მინისტრებმა — ტრიუგომ და ნეკერმა, რომლებმაც მოინდომეს ანცი დედოფლის შეჩერება და ფინანსური რეფორმების გატარება, კინაღამ ადგილები და თავები დაკარგეს.

სამაგიეროდ, დედოფლის შემწეობით ქვეყანაში აღორძინდა მეღვინეობა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შედარებით ახალი ცქრიალა ღვინო — შამპანური, რომელიც ლხინში მდინარესავით მოედინებოდა.

ერთ-ერთი ასეთი თავშეუკავებელი ლხინის შემდეგ ვიღაცამ მოისაზრა — შეექმნათ შამპანურისათვის საგანგებო სასმისი. ახალი სასმისის საფუძვლად გამოიყენეს დედოფლის მკერდი, რომლისგანაც ზედმიწევნით ზუსტი ასლი გადაიღეს და ნატიფი ფეხიც დაუმატეს.

იმ დღიდან შამპანურის სმა ახალი, ორიგინალური სასმისით დაიწყეს.

***ლიზა №3***

## ყოველი კალორია ანგარიშზე...



თუ გსურთ ებრძოლოთ სიმსუქნეს, ისწავლეთ კალორიების დათვლა — გვირჩევენ დიეტოლოგები. როგორც წესი, ჩვენი ორგანიზმი მუდმივად ხარჯავს ენერგიას: მოძრაობაზე, სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, გონებრივი მუშაობისა და ძილისთვისაც. ენერგიას კი იძენს მხოლოდ და მხოლოდ საკვებით. ჩვეულებრივ, ვსუქდებით იმ შემთხვევაში, როდესაც ვხარჯავთ ნაკლებ ენერგიას. დიეტოლოგებმა განსაზღვრეს, რომ იმ ქალების ყოველდღიური რაციონი, რომლებიც სპორტს არ მისდევენ, უნდა შეიცავდეს 1100-1500 კკალორიას. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მუშაობის სახე, სიმაღლე და სხვა სუბიექტური მაჩვენებელი.

საკვების კალორიულობაზე კონტროლი არ ნიშნავს, რომ მუდმივად ვითვალოთ კალკულატორზე ყოველი კერძის კალორია; სრულიად საკმარისია, მივყვეთ სპეციალისტების რჩევებს. საჭიროა პირველ რიგში შევამციროთ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ „მძიმეწონიანი" პროდუქტების მიღება. მაიონეზი (75 კკალ), შებოლილი ძეხვი (520 კკალ), შოკოლადი (543 კკალ), ქონი (895 კკალ). უპირატესობა მიანიჭეთ „მსუბუქ" ბოსტნეულს, მჭლე ხორცსა და უცხიმო რძის პროდუქტებს.

**ოტდოხნი! №3**

## მელანომა: „მტერი არც ისე საშიშია, როცა ცნობილია მისი „ნიშნები"



მელანომა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ავთვისებიან წარმონაქმნად. სასურველია, ამ დაავადების ადრეულ სტადიაში აღმოჩენა, რადგან დაგვიანებული დიაგნოზი, როგორც წესი, ავადმყოფისთვის ტრაგედიით მთავრდება.

მელანომა არის კანის სიმსივნე, რომელიც მის ზედაპირზე ჩნდება. ალბათ ურიგო არ იქნება, ყველაფერი ვიცოდეთ მის შესახებ. სწორედ ფართომასშტაბიანმა საგანმანათლებლო აქციამ ბევრ ქვეყანაში შეამცირა ამ დაავადებით სიკვდილიანობის რიცხვი.

რა უნდა ვიცოდეთ ამ ვერაგი დაავადების შესახებ?

მელანომა ძირითადად ვითარდება ხალებისგან, მაგრამ შეიძლება წარმოიქმნას სუფთა კანზეც. კეთილთვისებიანი ხალები თანაბარი და გლუვია, ბრტყელი ან ოდნავ ამობურცული და არ იზრდება. ხალის გარეგნული სახის ნებისმიერი ცვლილება, ქავილი, სისხლდენა, ტკივილი მიანიშნებს მის გადაგვარებაზე.

განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყვნენ ისინი, რომელთაც კანზე ბევრი თანდაყოლილი ხალი აქვთ (განსაკუთრებით დიდი). ძირითადად ესენი არიან თეთრი ფერის კანის მქონე, ქერათმიანები, ცისფერთვალება და ჭორფლიანი ადამიანები, რომელთაც ძალიან სწრაფად ეწვებათ კანი მზისგან, მაგრამ არ ირუჯებიან. მათ კატეგორიულად ეკრძალებათ არა მარტო პლაჟზე, არამედ ხელოვნურ სოლარიუმებში ულტრაიისფერი დასხივება. სახიფათოა მზით დამწვრობა 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ანალოგიური დაავადებანი სისხლით ნათესავებში — ზრდის მელანომის განვითარების რისკს.

ექიმები გვირჩევენ, რომ არ გამოგვეპაროს მელანომის განვითარების პირველი ნიშნები, რეგულარულად გაისინჯოს კანზე ყველა სახის ხალი, არა მარტო სამედიცინო დაწესებულებაში, არამედ შინ.

**ლიზა №4**

## ზამთრის ცივ დღეებში...



ყველამ კარგად ვიცით, თუ რა „ხარბია" ზამთარი. გარდა იმისა, რომ თავს გვაბეზრებს სიცივით, ჩვენი ორგანიზმისთვისაც გვკარნახობს თავის „კანონებს". როგორც წესი, სიცივეში ძარღვები იკუმშება, რის შედეგადაც უარესდება კანის კვება, მცირდება მისი დამცველი ფუნქციები. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ყინვა, ქარი, ამინდის ცვლილება ერთიანი ძალებით და „მეგობრულად" აშრობენ და აბერებენ კანს.

უპირველესად, ზამთრის თვეებში უარი უნდა თქვათ დამატენიანებელ კრემებზე. უმჯობესია დილით, სიცივეში გასვლამდე 30-40 წუთით ადრე სახეზე წაისვათ ცხიმიანი ან დამცველი კრემი.

მათაც კი, ვისაც მაინცდამაინც არ უყვართ დეკორატიული კოსმეტიკა, ვურჩევთ ზამთარში იხმარონ ტონალური კრემი, იგი წაისვით დღის კრემის ზემოდან, შემდეგ კი — პუდრი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ტუჩები: „შეიყვარეთ" ჰიგიენური პომადა, ბალზამი და მალამოები. უარი თქვით სიცივესა და ყინვაში ტუჩების მოლოკვაზე და სხვადასხვა პომადაზე, ის აშრობს კანს.

ზამთარში ატარეთ ხელთათმანები, სახე და ხელები გულუხვად „გამოკვებეთ" მკვებავებითა და ნიღბებით.

გაწითლებული და ძალიან გამშრალი, აქერცლილი ხელები ძილის წინ ჩააწყვეთ თბილ აბაზანაში, შეიზილეთ ლიმონის წვენი, ამის შემდეგ კი, მკვებავი კრემი ან ხელების ნიღაბი. ჩაიცვით ბამბის ხელთათმანები და დილამდე არ მოიშოროთ.

დასასრულ კიდევ ერთი რჩევა: ზამთარში აბაზანა 10-15 წუთზე მეტხანს (და ისიც კვირაში 2-ჯერ) არ გაიკეთოთ. თბილ წყალს დაამატეთ არომატული ზეთები — (ფორთოხლის ან გარგარის), აბაზანის შემდეგ კანზე წაისვით დამატენიანებელი რძე, კრემი ან ნატურალური ცხიმი.

**მკ ბულვარი №5**

## მთის არნიკა — ბრწყინვალე მკურნალი



მცენარეებს, რომელთა სამკურნალო ძალამაც გაუძლო დროის გამოცდას, თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ არნიკაც. XI ს-დან მას ფართოდ იყენებდა მედიცინაში დასავლეთ ევროპა და თანდათან გავრცელდა მსოფლიოს ყველა კუთხეში. თანამედროვე ფიტოთერაპევტები ძირითადად სამკურნალოდ იყენებენ მთის არნიკას, რომელსაც მეორენაირად ზიზილას უწოდებენ. ის ყვავილობის დროს ძალიან ლამაზია. მისი ყვავილებიდან დამზადებულ პრეპარატებს ნერვული სისტემის მოწესრიგების უნარი გააჩნიათ. მცირე დოზა აღაგზნებს, დიდი დოზა კი — ამშვიდებს ნერვებს. გარდა ამისა, ეს პრეპარატები აფართოებენ ტვინის ძარღვებს, ამიტომაც უნიშნავენ მას ინსულტის შემდგომ პერიოდში. ყვავილების ნაყენს ოდითგანვე იყენებდნენ, როგორც სისხლის შემაჩერებელ საშუალებად სამეანო პრაქტიკასა და გინეკოლოგიაში.

არნიკას ფესვები შეიცავს ისეთ ნივთიერებას, როგორიცაა ანიფოლინი, რომელსაც ახასიათებს კარდიოტროპული ეფექტი. მისი მიღების დროს ძლიერდება სისხლის მიმოქცევა, უმჯობესდება გულის კუნთების კვება, დაბლა იწევს არტერიული წნევა.

არნიკას ფესვით დამზადებულ პრეპარატებს იღებენ კორონარული ათეროსკლეროზის, მიოკარდიტისა და ანგიოსპაზმების დროს. როგორც არნიკას ნახარში, ნაყენი და მალამო გამოიყენება დამწვრობისას, ჭრილობების მოსაბანად და ყელში გამოსავლებად, ასევე კუნთების დაჭიმულობისა და ტრავმების დროს. ამ მიზნით რეკომენდებულია შეიზილოთ მალამო ან ნაყენი მტკივნეულ ადგილზე 2-3-ჯერ დღეში.

**ლიზა №5**

## [illegible]



გრიპის ეპიდემია ყოველ წელიწადს მოსახლეობის 15%-ს აავადებს. საზღვარგარეთ გრიპთან საბრძოლველად, ვაქცინაციასთან ერთად, სხვადასხვა საშუალებას ხმარობენ. გირჩევთ, გრიპით დაავადებულებში არ გაერიოთ. იმ შემთხვევაში, თუ მაინც დასნებოვნდით, წამლებს მაინცდამაინც ნუ მიეძალებით, რადგან პრეპარატები, რომლებშიც პარაცეტამოლი, ანალგინი და ასპირინი შედის, მხოლოდ ასუსტებს ავადმყოფობის სიმპტომებს, მაგრამ არ კურნავს.

სიცხის აწევა ნიშნავს ორგანიზმის ბრძოლას ვირუსთან, თანაც მაღალი ტემპერატურა სხვა მავნე ბაქტერიებსაც წვავს, ბაქტერიებს, რომლის არსებობა ყოველთვის არ არის ცნობილი. მიკრობების და ვირუსების უმრავლესობა მრავლდება 36,5°C-ზე, ხოლო 38,5°C-ის დროს უკვე უვნებელნი არიან. ტემპერატურა მათ აქტივობასა და ტოქსიკურობას ადაბლებს და ხელს უწყობს ანტისხეულების — დამცველის გამომუშავებას. ამიტომ გამოსაჯანმრთელებლად, მიკრობებს კი არ უნდა შევუწყოთ ხელი, არამედ საკუთარ იმუნურ სისტემას. ამისათვის იდეალურია ორთქლის აბანო (საუნა). შხაპი და აბაზანა კი ჩამობანს სხეულიდან ყველაფერს, რასაც ოფლი გამოიტანს ვირუსთან ბრძოლის შედეგად. ეპიდემიის დროს უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით ბალახეულის ჩაი თაფლით, რომელსაც გამოაქვს ტოქსინები. საუკეთესოა ცაცხვის ყვავილისა და ძახველის ნახარში. მიირთვით შავი ბოლოკის სალათა თაფლით. შავი ბოლოკი, ძირტკბილას ნახარში ეფექტური საშუალებაა ბრონქიტის წინააღმდეგ. ჭარხალს, სტაფილოს, ხახვს, ნიორს უმად აქვს ძალა. სხვათა შორის, კარგი იქნება სამზარეულოში თუ ხახვისა და ნივრის გალებს ჩამოკიდებთ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ზამთრის ყველაზე სასარგებლო პროდუქტი მაწონი იქნებოდა. უშაქრო მაწონი ებრძვის გაცივების გამომწვევ ბაქტერიებს.

გრიპის საწყის სტადიაზე ჯანმრთელი გულის პატრონებმა სპორტკლუბს უნდა მიაშურონ, თან თერმოსით წაიყოლონ ბალახეულის ჩაი თაფლითა და ლიმონით. დალიეთ ჩაი, შედით საუნაში 5-10 წუთით, მერე 10 წუთი ირბინეთ, მერე ისევ თავიდან: ჩაი — საუნა — სირბილი. ასე მოიქეცით რამდენიმეჯერ. მერე გრილი შხაპი მიიღეთ და ისე იგრძნობთ თავს, თითქოს სიცოცხლეში ფრჩხილი არ წამოგტკენოდეთ.

თურმე, ნიკოლ ქიდმანი როგორც კი იგრძნობს, რომ ავადმყოფობა ერევა, საღამოს ცხელ აბაზანას იღებს, თან ჟოლოს ჩაის მიირთმევს, მერე სხეულს თბილი არყით იზელს, იცვამს პიჟამას, ბამბის პერანგს და მდოგვიან შალის წინდას, ლოგინში წვება და რამდენიმე საბანს იხურავს. წევს, ოფლს იდენს, წარამარა იცვლის პერანგებს და დილას ჩიტივით არის.

კლაუდია შიფერი გაცივების საწინააღმდეგოდ უებარ საშუალებად თვლის იმუნიტეტის გაძლიერებას — სპორტს, სწორ კვებას, მწვანე ჩაის.

ამ ბოლო დროს დასავლეთში ძალიან მოდაშია ჟანგბადის ბარები, სადაც ლუდის მაგივრად მილებით ჟანგბადს „მიირთმევენ". მედიცინა დიდი ხანია ჟანგბადს იყენებს გრიპის სამკურნალოდ. ჟანგბადის თერაპია დაბერების პროცესსაც აფერხებს.

გაცივებისთანავე გაიკეთეთ მდოგვიანი წყლის ფეხის აბაზანა, ოფლის მოსადენად დალიეთ ჟოლოს ჩაი, თაფლის და ლიმონის გარდა, გაცივებისას კარგია ძახველი, ქაცვი, კრაზანა, ევკალიპტი და ალოე.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხველების შეჩერება არ შეიძლება — სწორედ ის წმენდს ბრონქებს. ამიტომ პროფილაქტიკისა და სწრაფი გამოჯანმრთელებისათვის საჭიროა ევკალიპტის ან გვირილისა და კალენდულის ინჰალაცია.

ავიტამინოზი არის ზამთრის ყველა დაავადების წყარო, ამიტომ მასთან ბრძოლაა საჭირო. სიცივეში ორგანიზმი მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე სითბოში, არ არის საჭირო მისი გადატვირთვა მძიმე, ცხიმიანი და ცხარე საჭმლით. ზამთარში არ შეიძლება ბევრი ჭამა, რადგან ორგანიზმი დასუსტდება და უბრალო გაცივებასაც ვერ მოერევა. დიეტოლოგები გვირჩევენ ზამთრის რაციონის შევსებას არა ეგზოტიკური ბანანითა და მანდარინით, არამედ ვიტამინებით სავსე საკვებით. ასკილი არ დაგავიწყდეთ, იქ ხომ ვიტამინების მთელი კომპლექსია — B, C, D, E უძლიერესი საშუალება გაცივების თავიდან ასაცილებლად. კომბოსტოს მწნილიც მშვენიერი მულტივიტამინური საშუალებაა, თანაც კუჭის მოქმედებასაც აწესრიგებს.

**7 დღე №4**

## შეკითხვა ექიმს



***მაქვს კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა, მაწუხებს გულძმარვა, მეგობარმა მირჩია მიმეღო „ბორჯომის" მინერალური წყალი. მართლაც დავიწყე მისი სმა ყოველი ჭამის დროს, მაგრამ, რატომღაც გულძმარვა უფრო მომემატა. „ბორჯომი" ხომ კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ გამოიყენება? რატომ არ მომცა შედეგი მისმა დალევამ?***

***დავით კაციტაძე, თბილისი***

„ბორჯომი" ჰიდროკარბონატულ წყალთა რიცხვს განეკუთვნება და იგი მართლაც საკმაოდ ეფექტურია. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა სამკურნალოდ, მაგრამ არის ერთი აუცილებელი ნიუანსი, რომლის გათვალისწინების გარეშე, შესაძლოა, მინერალურმა წყალმა უკუეფექტი მოგვცეს (რასაც თქვენს შემთხვევაში ჰქონდა ადგილი). ეს ნიუანსი მინერალური წყლის მიღების წესი გახლავთ. „ბორჯომის" დანიშვნის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კუჭის სეკრეციული (წვენის გამომყოფი) ფუნქციის მდგომარეობა, კუჭის წვენის მჟავიანობა.

კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის შემთხვევაში მინერალური წყალი უნდა მიიღოთ ჭამამდე 1-1/2 საათით ადრე, შემთბარი 35-40 გრადუსამდე. ასეთი წყალი სწრაფად გადადის ნაწლავებში, ნაკლებად აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ამცირებს კუჭის წვენის გამოყოფას.

კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს ავადმყოფს მინერალური წყალი უნდა მიეცეს ჭამის წინ 10-15 წუთით ადრე ან საჭმელთან ერთად. წყალი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, გაზიანი. ავადმყოფი მას უნდა სვამდეს ნელა, მცირე ულუფებად.

თუ კუჭის წვენის მჟავიანობა ნორმის ფარგლებშია, მინერალური წყალი ინიშნება 30-40 წუთით ადრე ჭამის წინ, შემთბარი ან ოთახის ტემპერატურის.

თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ თქვენ დაარღვიეთ მინერალური წყლის მიღების წესი და ნაცვლად ჭამამდე 1-1,5 სთ-ით ადრე მიღებისა (რადგანაც გაქვთ მაღალი მჟავიანობა), იღებდით მას ჭამის დროს. ეს კი იწვევდა კუჭის სეკრეციის გაძლიერებას და შედეგად მიიღეთ უარყოფითი ეფექტი — გაგიძლიერდათ გულძმარვა.

***ორი კვირის წინ წავიქეცი და თეძოს არეში მივიღე ტრავმა. ძლიერმა ტკივილმა შემაშინა და მოტეხილობის გამორიცხვის მიზნით, მივედი ექიმთან. მან დამისვა „დაჟეჟილობის" დიაგნოზი და მირჩია ცხელი საფენების გაკეთება დაჟეჟილ არეზე.***

***მე კი მსმენია, რომ ასეთ დროს ცივი საფენებია საჭირო.***

***რამდენად სწორი რჩევა მომცა ექიმმა?***

***ლამარა ჯავახიშვილი***

დაჟეჟილობა რბილი ქსოვილებისა და ორგანოების დაზიანებაა კანის საფარვლის დარღვევის გარეშე. ამ დროს სისხლძარღვების ლიმფური სადინარების გაგლეჯის გამო რბილ ქსოვილებში სისხლი იღვრება და ადგილობრივი ანთება, შესივება და დეფორმაცია ვითარდება. დაზიანების არეში ტკივილს იწვევს ნერვული ელემენტების ტრავმირება ან მათზე ანთებითი ქსოვილების ზეწოლა. დაჟეჟილობის მკურნალობა მიზნად ისახავს სისხლის ჩაქცევის შეწყვეტას და შემდგომ მის გაწოვას. სისხლის ჩაღვრის შესაწყვეტად დაჟეჟილ ადგილზე აფენენ ცივ წყალში დასველებულ საფენებს და ადებენ ყინულს. მაგრამ უკვე 2-3 დღის შემდეგ ჩაღვრილი სისხლის განსრუტვის მიზნით მკურნალობა საჭიროა სათბური კომპრესებით ან თბილი აბაზანებით, რაც აჩქარებს სისხლის განსრუტვას და ქსოვილთა ფუნქციის აღდგენას.

როგორც ჩანს, თქვენ ექიმს მიმართეთ ტრავმის მიღებიდან 2-3 დღის შემდეგ და არა მაშინვე. ამდენად მის მიერ შერჩეული მკურნალობის ტაქტიკა სავსებით მართებული იყო.

***თამარ მამაცაშვილი***

# ციტრამთასიქითური ხილი კარგად გარეცხეთ!

წავიდა ის დრო, როდესაც მხოლოდ სეზონურ ხილს ვჭამდით. დღეს, საბედნიეროდ, თავზე საყრელად გვაქვს ეგზოტიკური ხილი და მთელი წლის განმავლობაში შეგვიძლია მივიღოთ ახალი ვიტამინები და აქტიური ნივთიერებები. თუმცა, ამ ხილმა რომ დიდხანს შეინარჩუნოს პირვანდელი სახე, მას ამუშავებენ სპეციალური ნივთიერებებით — ანტისეპტიკებით, რომელიც საიმედოდ იცავს ნაყოფს ბაქტერიებისა და გაფუჭებისაგან, მაგრამ ეს ქიმიკატები ძალიან მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ნაყიდი ბანანი, ვაშლი, ანანასი, მსხალი თუ ციტრუსი გულმოდგინედ (მარტო წყალი კი არ გადაავლოთ), გარეცხეთ საპნითა და რბილი ჯაგრისით. კივი ჭამის წინ გარეცხეთ და გაათალეთ კანი, ყურძენი კი, ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით გარეცხეთ.

როცა ციტრუსები შორეული ქვეყნებიდან მოაქვთ, ჩვეულებრივ კრეფენ უმწიფარს, გზაში რომ არ გაფუჭდეს. ხოლო რომ არ დალპეს, ნაყოფს ფარავენ ქიმიკატებიანი პარაფინით. „პარაფინიანი" ფორთოხლის და ლიმონის გარჩევა ძალიან ადვილია, მისი კანი მომხიბვლელად ბრწყინავს. მომხმარებელს, რომელმაც არ იცის რა საშიშია ეს სილამაზე ჯანმრთელობისათვის, ნაყოფის შესახედაობა მოსწონს.

სანამ ასეთ ხილს დავჭრით, აუცილებლად უნდა გავრეცხოთ ცხელი წყლით, კიდევ უკეთესი იქნება, თუ გავწმენდთ ხაოიანი ღრუბლით, მაშინაც კი, თუ კანი უნდა გადავყაროთ. ასე რომ, წვენებისა და ცედრისათვის ნუ გამოიყენებთ უცხოურ ციტრუსს, გირჩევთ, მიირთვათ ქართული ლიმონი და ფორთოხალი.

*მედიცინა №2*


ვმკურნალობთ
**ქრონიკულ პროსტატიტს**
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**


სისხლში შაქრის საზომი აპარატები
კომპლექტი 95ლ
ავტომატური საჩხვლეტი
50 ც. ნემსით 14ლ
შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ჰომეოპათიური მკურნალობა
ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი
თორნიკე ალაშვილი
აწარმოებს მიღებას
წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)
ალ. ჭავჭავაძის ქ.№2
№13 პოლიკლინიკა
სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

ჩინური მედიცინა რეფლექსოთერაპია
დაქვეითებული მხედველობის აღდგენა ელექტროპუნქტურით 80-90%-ის გარანტიით, 5-6 პროცედურა.
ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი, სიელამე, მხედველობის სიმახვილის დაქვეითება.
მხოლოდ საწყიდი ფორმები: კატარაქტა, გლაუკომა, დიაკტუინი, რეტინოპათია, თვალში სისხლჩაქცევები, ცრემლდენა.
100%-იანი გარანტიით განკურნება კიდურებზე სოკოვანი დაავადებების.
სხვა დაავადებების მკურნალობა ნემსთერაპიით.
მის: რუსთაველის 28, №13 პოლიკლინიკა
☎ 93-26-35; 99-81-85; 899-54-72-81 ექ. თ. მიქაბერიძე

მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.

**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკრობენი"
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# როგორ ვუმკურნალოთ ქრონიკულ ბრონქიტს

ქრონიკული ბრონქიტი ბრონქების ლორწოვანის ქრონიკული ანთება — სასუნთქი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება.

მეცნიერთა ნაწილი მას ინფექციურად მიიჩნევს, რადგანაც ხშირად ქრონიკული ბრონქიტი მწვავე ბრონქიტის გაგრძელებაა. მსოფლიოს უმეტესი პულმონოლოგები (ფილტვების პათოლოგიის მკურნალი ექიმი) ქრონიკული ბრონქიტის მიზეზად თამბაქოს მოწევას თვლიან.

რა მიზეზებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, ბრონქებში მიმდინარე ანთებით პროცესებს თან ახლავს ეპითელიუმის სტრუქტურისა და ფუნქციის დარღვევა, ლორწოს წარმოქმნის შეფერხება. შედეგად გამოიყოფა ჭარბი ლორწო, ბრონქების ეპითელიუმი „კარგავს" წამწამებს, რასაც გამოყოფილი ჭარბი, წებოვანი ლორწოც ემატება და ირღვევა წამწამების მოძრაობა, მისი დამცველობითი ფუნქცია აღარ სრულდება. ლორწო ბრონქების სანათურში გროვდება, აღიზიანებს ე.წ. ხველის გამომწვევ რეცეპტორებს, ვითარდება ხველა — პირველი სიგნალი სასუნთქ გზებში არსებული უსიამოვნებებისა. ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულ ადამიანთა 5-10%-ს ხველა არ აქვს. თუკი ადამიანს დაეწყო ხველა და არ მიმართავს ექიმს, სასუნთქ გზებში მოხვედრილ დაავადების გამომწვევ მიკრობებს გამრავლებისთვის სასურველი ნიადაგი ექმნებათ. ლორწო ხდება ჩირქოვანი და ამოხველებისას მოყვითალო-მომწვანო ფერია, შეიძლება აღინიშნოს უსიამოვნო სუნი, რომელიც ლორწოვან-ჩირქოვანი ბრონქიტის განვითარებაზე მიუთითებს. ამასთან, ანთებითი პროცესი გადადის ბრონქების უფრო ღრმა შრეებზე, ანუ ცდება ლორწოვანი გარსის ფარგლებს!

ლორწოვან-ჩირქოვანი ბრონქიტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმის იმუნური სისტემის ცვლილებებიც, რაც შესაძლოა გადატანილი ბაქტერიული თუ ვირუსული (ანგინა, გრიპი) ინფექციის, ვიტამინების დეფიციტის, შიმშილობის შედეგიც იყოს.

მსუქან, ნაკლებად მოძრავ ადამიანებს აღენიშნებათ დიაფრაგმის მაღალი დგომა, რაც ართულებს ფილტვის ვენტილაციას.

ბრონქების წებოვანი ლორწოთი დახშობას კი, იქამდე მივყავართ, რომ ფილტვებში ჟანგბადის მიწოდება ფერხდება, ვითარდება ქოშინი.

დროთა განმავლობაში ირღვევა ბრონქების გამავლობა, განსაკუთრებით ამოსუნთქვისას. იმის გამო, რომ გაძნელებულია ამოსუნთქვა. ალვეოლები (ფილტვების შემადგენელი უმცირესი ელემენტები) იბერება, ვითარდება ფილტვის ემფიზემა. ამ დროს ირღვევა ფილტვის კაპილარებში სისხლის მიმოქცევა, გულის მარჯვენა პარკუჭს უხდება დიდი დატვირთვით მუშაობა და ვითარდება გულის მძიმე უკმარისობა, ქოშინი, ტაქიკარდია, ციანოზის (მოლურჯო კანის საფარველი), შეშუპებები, დიდდება ღვიძლი, იბერება და ფეთქავს კისრის ვენები, ირღვევა ბევრი ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირება. ასეთი ადამიანების მკურნალობა, რაღა თქმა უნდა, რთულია.



ეცადეთ, მოახერხოთ, რომ ნახველი რაც შეიძლება მარტივად გამოიყოს. ამისთვის საჭიროა მისი გათხევადება — მიიღეთ ამოსახველებელი საშუალებები, ალთეს ფესვების ნახარში ან ნაყენი, თერმოფსისი, ვირისტერფა, ფიჭვის გირჩები, ბეგქონდარა. ნაყენის ან ნახარშის მიღება მიზანშეწონილია 0,5 ჭ დილაობით, გაღვიძებისთანავე და 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 15 წთ-ით ადრე.

ნახველს ათხევადებს ორთქლის ინჰალაციებიც (1 ჭ მდუღარე წყალზე — 1ჩ/კ მარილი და 1/4ჩ/კ საჭმლის სოდა ან 1 აბი ვალიდოლი). თუკი ნახველი ძალიან წებოვანია, ჩირქიანია, საჭიროა სამკურნალო პრეპარატების ჩართვაც, რომელიც ექიმის დანიშნულებით მიიღება.

თუკი ადამიანს ბრონქების გაფართოება აღენიშნება, კარგია პოზიციური დრენაჟი. უნდა მოძებნოთ პოზიცია, რომლის დროსაც კარგად იდევნება ნახველი — მარცხენა მხარზე ან მარჯვენა მხარზე წოლა, საწოლიდან თავით „გადაკიდება" და დახველებით მისი ამოღება. ასეთი დრენაჟის გაკეთება სასურველია დღეში 2-ჯერ, დილით, 5-10 წუთის მერე, რაც მიღებული გაქვთ ამოსახველებელი საშუალება და ძილის წინ.

სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშიც დღეში 4-5-ჯერ.

რადგანაც ნებისმიერ მწვავე რესპირატორულ ინფექციას, მათ შორის გრიპს მივყავართ ქრონიკული ბრონქიტის გამწვავებამდე, უნდა მოერიდოთ დაავადებულთან კონტაქტს.

ინფექციისგან დაცვა უფრო მარტივია გაკაჟებული ადამიანისთვის. თუკი ქრონიკული ბრონქიტი უკვე გაქვთ, გაკაჟების დაწყებას ზაფხულში გირჩევთ. დაიწყეთ ყოველდღიური დილის ვარჯიშებით. ის არა მარტო გაკაჟებას უწყობს ხელს, არამედ ავარჯიშებს სასუნთქ კუნთებს, აუმჯობესებს სასუნთქი სისტემის დრენაჟულ ფუნქციას. ვარჯიშები ღია ან კარგად განიავებულ შენობაში უნდა შესრულდეს. ვარჯიშის მერე ტანი მშრალი, ხორკლიანი პირსახოცით დაიზილეთ მანამ, სანამ სითბოს არ შეიგრძნობთ. 10 დღის შემდეგ დილის ვარჯიში სველი დაზელვით უნდა დამთავრდეს. ვარჯიშის დასრულების შემდეგ დაასველეთ პირსახოცი ღამენათევ წყალში, კარგად გაწურეთ და სწრაფად დაიზილეთ სხეული. ამის შემდეგ კი დაიზილეთ მშრალი პირსახოცით.

4-5 კვირის შემდეგ შესაძლებელია ვარჯიშის დასასრულს შხაპის მიღებაზეც იფიქროთ. შხაპის წყლის ტემპერატურა თანდათანობით უნდა შემცირდეს 32 და 20-12 გრადუსამდე. ასეთი წყლით გაკაჟება მთელი ცხოვრება უნდა გააგრძელოთ. თუკი გაცივდით ან სხვა რაიმე მიზეზის გამო სხეულის მომატებული ტემპერატურა აღგენიშნებათ, გაკაჟებას და შხაპს უნდა მოერიდოთ. 2-კვირიანი პაუზის შემდეგ კი გაკაჟება კვლავ თავიდან უნდა დაიწყოთ. ქრონიკული ბრონქიტით დაავადებული ადამიანების რაციონი ვიტამინებით მდიდარი უნდა იყოს. სასარგებლოა უმი ბოსტნეული, ხახვი, ნიორი, ხილი. ეცადეთ არ გასუქდეთ, მოერიდეთ ტკბილეულის. მეტი იარეთ ფეხით, სუფთა ჰაერზე.

***მაია მუხიგული***


სიახლე
ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრში
კენჭების დაშლა
ყველაზე მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებით
ნაღვლის ბუშტის, თირკმელის, შარდსაწვეთის, შარდის ბუშტის მცირე და დიდი ზომის კენჭების დაშლა ქირურგიული ჩარევისა და ტკივილის გარეშე.
ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი
მის: ვაჟა-ფშაველას 29, რესპუბლიკური საავადმყოფოს VII სართ.
☎ 39-52-05 პროფესორი თემურ ტაბუცაძე


MEDI მედი
უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე
ალ. ყაზბეგის გამზ. №1 25-02-02 93-89-75

# გერმანული სამოთხე ტვ-6-სთვის

ბერეზოვსკისა და გუსინსკის კვალდაკვალ შესაძლოა ემიგრაციაში წავიდნენ ყოფილი ტვ-6-ის ჟურნალისტებიც. როგორც ამბობენ, ოლიგარქები გერმანიის ტერიტორიიდან დაიწყებენ მაუწყებლობას.

ორი გაძევებული მედიამაგნატი ცდილობს, როგორმე შეინარჩუნოს გავლენა რუსულენოვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. მათ კარგად ესმით, რომ დღევანდელ პირობებში რუსეთის ტერიტორიაზე საკუთარი ტელეარხის შენარჩუნება გაუჭირდებათ. გუსინსკისა და ბერეზოვსკის ჩანაფიქრით, ტვ-6-ის წამყვან ჟურნალისტთა ჯგუფმა გერმანიიდან უნდა დაიწყოს მაუწყებლობა რუსულენოვანი მსოფლიო აუდიტორიისათვის. თანამშრომელთა ერთი ჯგუფი რუსეთში მოამზადებს გადაცემებს. როგორც ცნობილია, თავისი მედიაიმპერიის რუსული ნაწილის დაკარგვის შემდეგ გუსინსკის საზღვარგარეთ დარჩა საკუთრება. ამერიკის, ევროპისა და ისრაელის რუსულენოვან მაყურებელს აქვს საშუალება, უყურონ მის არხს „ინტერ ტვ“. ტელევარსკვლავების ჯგუფის ემიგრაცია უარყოფითად იმოქმედებს დასავლეთისა და თავად რუსეთში კრემლის იმიჯზე.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №21***



# ბერეზოვსკის ხელს აძლევს ტვ-6-ის სიკვდილი

„არ მეცოდება ტვ-6-ის ჟურნალისტები, ისინი საკუთარ სნობიზმს ემსხვერპლნენ.

ვფიქრობ, რომ გუნდის დიდი ნაწილი ნტვ-ში დაბრუნდება. სოროკინაც დაბრუნდება — მოქნილი, თოქ-შოუს დროს მამაკაცებთან მოკეკლუცე. ეგებ თავად კისელიოვიც დაბრუნდეს. დორენკო ხომ გაგონდებათ, ბერეზოვსკი მისი საშუალებით გაუსწორდა პრიმაკოვს და ლუჟკოვს, მაგრამ ვის ახსოვს დღეს დორენკო! ის იმავე საფლავში წევს, სადაც ნევზოროვი განისვენებს. ეს ბერეზოვსკის ნეკროპოლია. ის ანტიკური ქალღმერთივით ნიჭიერ ჟურნალისტებს გვამებად აქცევს. ვშიშობ, რომ კისელიოვსაც იგივე ბედი ელის“.

***მწერალი ალ. პროხანოვი***
***არგუმენტი ი ფაკტი №5***

## მოკლედ

**შვედეთში** 94 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საბავშვო მწერალი ქალი, „კარლსონის“, „პეპი გრძელიწინდას“ და სხვა მრავალი ნაწარმოების ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი ასტრიდ ლინდგრენი.

**ჩრდილოეთ ოსეთის** პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად.

**ყაზახეთის** შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფი მზად არის ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისთვის. შესაძლოა, ყაზახეთი დსთ-ის პირველი ქვეყანა გახდეს, რომელიც ჯარს შეიყვანს ავღანეთში.

თალიბებისგან **ქაბულის** განთავისუფლების შემდეგ ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოებამ ფული შეაგროვა ავღანეთის დედაქალაქის ზოოპარკის ერთადერთი გადარჩენილი ბინადრის, ლომ მარიანის გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერი უშველეს — ლომი მოკვდა.

**ევროპას** თავს დაატყდა საშინელი გრიგალი. ინგლისში დაიღუპა 7 ადამიანი, პოლონეთში 4, გერმანიაში 2. ქარიშხალმა, რომელიც დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე დაიწყო, ათასობით სახლს სახურავი დაუზიანა.

**ბრიუსელში** გაიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია, რომელსაც, სურვილის მიუხედავად, არ დაასწრეს იასირ არაფატი — მას რამალიდან გასვლის ნებას არ აძლევენ.

**ეკვადორის** ხელისუფლება აგრძელებს კიტოს ავიაკომპანიის თვითმფრინავის „ბოინგ-727“-ის ძებნას. ავიალაინერი, რომელშიც 92 მგზავრი იჯდა, რამდენიმე დღის წინ გაქრა კოლუმბიის საზღვრის მახლობლად, მაღალმთიანი რაიონის თავზე.

# მეორეხარისხოვანი მოკავშირე




აშშ-მა უარი თქვა უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვისთვის ორი წლით უფლებამოსილების გასაგრძელებლად დანიშნულ რეფერენდუმზე დამკვირვებლის გაგზავნაზე. „წინა საპრეზინდენტო არჩევნები უზბეკეთში არც თავისუფალი იყო და არც მიუკერძოებელი. ვშიშობთ, რომ არც ამ პირობებში არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების გასაგრძელებლად დანიშნული რეფერენდუმი იქნება სამართლიანი“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. ბაუჩერმა. ეს მაშინ ითქვა, როცა ტაშკენტში ჩაფრინდა ამერიკელი გენერალი ტომ ფრენქსი. მაგრამ სამხედრო პირმა დიპლომატისგან განსხვავებით, პრეზიდენტ ქარიმოვს და მის მთავრობას მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში მხარდაჭერისთვის. როგორც ირკვევა, ის მოელაპარაკა კიდეც პრეზიდენტს უზბეკეთის ბაზების გრძელვადიანი იჯარით აღებაზე. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ პრეზიდენტ ქარიმოვს არ უნდა ეგონოს, რაკი თავის ტერიტორიაზე შეუშვა ამერიკის ჯარი, იგი მისი სრულფასოვანი სტრატეგიული მოკავშირე გახდა, არც იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მას სანიმუშო დემოკრატად მიიჩნევენ. ახლახან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ასევე გადაასხა ცივი წყალი მოსკოვსაც. ოთხთვიანი შესვენების შემდეგ კრემლი კვლავ გააკრიტიკეს ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევისათვის.

***იზვესტია №15***

# უნგრელებს დაუბრუნეს ის, რაც მილოშევიჩმა წაართვა

სერბეთის პარლამენტმა ავტონომია დაუბრუნა ვოევოდინას — რესპუბლიკის სამხრეთით მდებარე ისტორიულ ოლქს. 1988 წლამდე ვოევოდინა, ისევე როგორც კოსოვო, ავტონომიური ოლქი იყო, მაგრამ დიდი სერბეთის შექმნის იდეით შეპყრობილმა სლობოდან მილოშევიჩმა ორივე პროვინციას ეს პრივილეგია ჩამოართვა. ახლა კი დემოკრატები „ისტორიული უსამართლობის“ აღდგენას ცდილობენ, თუმცა მხოლოდ ვოევოდინაში, რადგან იუგოსლაველთა მაგივრად კოსოვოში ეს ნატოს ქვეყნებმა გააკეთეს. კოსოვოსაგან განსხვავებით, ვოევოდინაში არასოდეს შექმნილა სეპარატიზმის საფრთხე, აქ უნგრელები უკვე აღარ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. მათთან ერთად ცხოვრობენ უკრაინელები, რუმინელები, ჩეხები, სლოვაკები (რომლებიც სხვა ეროვნებებზე მეტნი არიან). ისინი ცხადია, არასოდეს იბრძოლებენ ბელგრადიდან გამოსაყოფად. ამიტომაც ახალი იუგოსლავიის ხელისუფლებას თამამად შეუძლია „უნგრულ პროვინციას“ ავტონომიის სტატუსი დაუბრუნოს. ვოევოდინა პირველ რიგში ავტონომიური იქნება კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ ოლქის ხელმძღვანელები ბელგრადს სამ რამეს სთხოვენ — საკუთარ ბანკს, პოლიციას და სერბეთისგან დამოუკიდებელ ტელევიზიას.

***ნოვაია გაზეტა №3***

# დანიის მთავრობას თავი მოაბეზრეს უცხოელებმა



დანიის მთავრობამ დაამუშავა კანონპროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად გაურთულებს უცხოელებს ქვეყანაში შესვლას. ამ სიახლემ არა მარტო დანიის საზოგადოებრიობის გაღიზიანება გამოიწვია, არამედ მეზობლების მძაფრი კრიტიკაც.

ახალი კანონის თანახმად, დანიის მოქალაქეს უცხოელი ქმრის ან უცხოელი ცოლის მოწვევა მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როცა თითოეული მათგანი 24 წლის გახდება. გარდა ამისა, შერეული წყვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გარკვეულ როლს ითამაშებს ეროვნული ფაქტორი. თუ, მაგალითად, ეროვნებით თურქი დანიის მოქალაქე გადაწყვეტს, ცოლად შეირთოს თურქეთის მოქალაქე და ახალი კანონის თანახმად დადგინდება, რომ ამ წყვილს უფრო მეტი კავშირი აქვს თურქეთთან, ვიდრე დანიასთან, ამ შემთხვევაში თურქ ქალბატონს დანიაში შესვლის უფლება არ მიეცემა.

ახალი კანონი 60 წელს გადაცილებულ უცხოელებს უკრძალავს დანიაში ემიგრაციას, თუნდაც დანიის მოქალაქე ნათესავების მიწვევით. ლტოლვილებსა და ემიგრანტებს კი, რომლებიც დახმარებას იღებენ, საერთოდ ეკრძალებათ დანიაში მუდმივ საცხოვრებლად ნათესავების მიწვევა.

ემიგრანტებმა ბინადრობის ნებართვის მისაღებად ამიერიდან ქვეყანაში 3 წლის ნაცვლად 7 წელი უნდა იცხოვრონ. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ მიეცემათ სხვადასხვა სახის, მათ შორის უმუშევრობის დახმარება. გარდა ამისა, დანიის ხელისუფლება ლტოლვილებს მყისვე შინ დააბრუნებს, როგორც კი გაივლის საფრთხე, რომელსაც ისინი გამოექცნენ.

ახალი კანონი დანიელმა სოციალისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს. პარლამენტის ერთ-ერთმა უცხოელი წარმოშობის დეპუტატმა, ქამალი ქურუმმა განაცხადა, — ჩვენი მთავრობა კატეგორიულად უკრძალავს ახალგაზრდებს საზღვარგარეთ ვინმეს შეყვარებას, რაც დიდი საშინელებააო.

***ნიუზუიქი***

# ნავთობი და პოლიტპატიმრები



ამ ამბავში ერთმანეთშია გადახლართული სახელმწიფოს ინტერესები, ნავთობკომპანიების იდუმალი იმედები, სტრატეგიული ნავთობსადენის მარშრუტები, დაზვერვის რადიოლოკაციური სადგური და რამდენიმე პოლიტპატიმრის ბედი; ამ ამბავთან კავშირი აქვს მოსკოვში ჰეიდარ ალიევის ვიზიტსაც და სტრასბურგში ევროპარლამენტარების დისკუსიასაც. რუსეთის დედაქალაქში პუტინმა და ალიევმა წერტილი დაუსვეს გაბალას რადიოლოკაციურ სადგურთან დაკავშირებულ მრავალწლიან დებატებს. იმავე დღეს კი სტრასბურგში წყდებოდა 11 აზერბაიჯანელი პოლიტპატიმრის ბედი.

1994 წელს აზერბაიჯანის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ლაზიევი და თვითაღიარებული თალიშ-მუღანის რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი გუმბათოვი ეროვნული უშიშროების კომიტეტის იზოლატორიდან გაქცევის შემდეგ სხვა პატიმრებთან ერთად გაბალაში, რუსეთის სამხედრო ნაწილში, აღმოჩნდნენ. მაშინ ამ გაქცევას რუსეთის სპეცსამსახურების წარმატებული ოპერაცია უწოდეს — გაქცეულები რუსეთში წაიყვანეს სამხედრო თვითმფრინავით. თუმცა ორ წელიწადში ისევ საკნებში დააბრუნეს — რუსმა „პარტნიორებმა“ ისინი აზერბაიჯანს გადასცეს. რუსეთს სურდა კასპიის ნავთობის ძირითადი ნაკადი ნოვოროსიისკენ რუსეთის მარშრუტის გავლით წასულიყო და ბაქოს მხარდაჭერა სჭირდებოდა, ამიტომაც ჰეიდარ ალიევს ერთმანეთის მიყოლებით „გადასცა“ ყველა, ვინც მანამდე მოქმედ აგენტთა სიაში ჰყავდა. მაგრამ რუსეთის ყოფილ აგენტებს ევროსაბჭოს პარლამენტი გამოესარჩლა. საქმე ის არის, რომ როცა აზერბაიჯანი ევროსაბჭოში შედიოდა, ივალდებულა, პოლიტპატიმრებს გავათავისუფლებო. სტრასბურგში ახლახან გამართულ ასამბლეაზე რუსეთის დეპუტატმა დმიტრი როგოზინმა განაცხადა, — რუსეთის ექსპერტები მათ პოლიტპატიმრებად არ მიიჩნევენო... ისე რომ, რუსეთი მეორედ განუდგა იმათ, ვინც ოდესღაც აზერბაიჯანში მის პოლიტიკას ატარებდა.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №4.***

# არგენტინელებმა ქვაბებს დასცხეს...

„ქვაბების ამბოხი“ არგენტინის ყველა კუთხეში თითქმის ერთდროულად დაიწყო. უმუშევრობისა და საბანკო ანგარიშების გაყინვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ქვაბებ და ტაფებმომარჯვებული ათასობით არგენტინელი მოედო ქუჩებსა და მოედნებს. მასშტაბურ გამოსვლებს მემარცხენე პოლიტიკოსები თავკაცობენ.

თავიდან „ქვაბების ამბოხს“ მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა — არგენტინელები ქუჩებში ბავშვებთან ერთად გამოდიოდნენ. ყველაზე მასშტაბური აქცია ბუენოს-აირესის ცენტრალურ მოედანზე, პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა. თავიდან პოლიციელები და სპეცრაზმელები მხოლოდ თვალს ადევნებდნენ დემონსტრანტებს, მაგრამ მერე ცრემლმდენი გაზით და რეზინის ტყვიებით მოინდომეს მათი დაშლა. მართალია, ამჟამინდელი შეტაკება ისე ტრაგიკულად არ დასრულებულა, როგორც დეკემბრის დამლევს, როცა 27 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ პრეზიდენტმა ედუარდო დუალდემ საჭიროდ



მიიჩნია ხალხისთვის მიემართა. მან არგენტინელებს მოთმინებისაკენ მოუწოდა და გაახსენა, — ერთი თვეც არ არის, რაც ქვეყნის ლიდერი გავხდი და ჯერ ძალიან ადრეა ეკონომიკის სტაბილიზებაზე ლაპარაკიო.

გამოსვლის დასასრულს პრეზიდენტი დუალდე არგენტინელებს დაჰპირდა, — უახლოეს დღეებში წარვადგენ ახალ ეკონომიკურ გეგმას, რომელსაც ჩემი მთავრობა მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებთან ერთად ამუშავებსო.

***კომერსანტი №14***

# ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა

იერუსალიმში ამას წინათ მომხდარი ტერაქტის შემდეგ, როცა ტერორისტმა ქალაქის ცენტრში დაცხრილა გამვლელები, ადგილობრივმა პოლიციამ თითქოსდა უსაფრთხოების ყველა ზომას მიმართა. ქუჩები სავსე იყო შინაგანი ჯარების ჯარისკაცებით, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებით. ეძებდნენ შესაძლო დამნაშავეს. ამასობაში კი, ახალი ტერაქტი ჩაიდინა ფანატიკოსმა მუსლიმანმა ქალმა, ქალაქ ნაბლუსის უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტმა შინაზ ამურიმ. იგი ლიბანის შიიტური ორგანიზაცია „ჰეზბოლაჰის“ წევრი იყო. ქალს ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი ქამარი წელზე ჰქონდა შემორტყმული და ააფეთქა ზუსტად შუადღის 12 საათზე, როცა თელ-ავივის გარეუბნის ქუჩა ხალხით იყო სავსე. დაიღუპა ერთი ადამიანი, 181 — დაიჭრა. ამ შემთხვევამდე მხოლოდ ერთი, 23 წლის არაბი ქალი შეეცადა თავის აფეთქებას თელ-ავივის ავტოსადგურში, მაგრამ პოლიციამ დროულად გააუვნებელყო. ყველა დანარჩენი ტერაქტი მამაკაცების მოწყობილია.

***კომსომოლსკაია პრავდა №14***

სიეტლში გადაასვენეს ავღანეთის მთებში თოთხმეტი წლის ბიჭის მიერ ნასროლი ტყვიით დაღუპული სპეცდანიშნულების რაზმის წევრი ნათან ჩეპმენი. ოფიციალური ინფორმაციით, ავღანეთის კამპანიის განმავლობაში ათეულობით ამერიკელი სამხედრო პირი დაიღუპა. ჩეპმენი პირველია, ვისი ნეშტიც სამშობლოში გადაასვენეს.

***შტერნი***



# ვინ იქნება შემდეგი?

## ამ კითხვაზე პასუხი ქართველმა ბიზნესმენებმა არა, მაგრამ ქართველმა ჩინოვნიკებმა ნამდვილად იციან

ჩვენს ქვეყანაში ქართულ წარმოებას და, საერთოდ, ქართულ ბიზნესს კარგი დღე რომ არ უდგას, ამას თითოეული ჩვენგანი უკვე კარგად ხედავს. ვხედავთ, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს ჩვენს ბაზრებსა და ბაზრობებზე კონტრაბანდული, შესაბამისად, იაფი პროდუქცია. რაც მთავარია, კონტრაბანდა დიდ, გავლენიან კომპანიებს უკვე საკუთარი თამაშის წესებს კარნახობს — „თუ გინდა, რომ გადარჩე, შენც ნუ იტყვი კონტრაბანდაზე უარს“.

**კონტრაბანდა დიდ, გავლენიან კომპანიებს უკვე საკუთარი თამაშის წესებს კარნახობს — „თუ გინდა, რომ გადარჩე, შენც ნუ იტყვი კონტრაბანდზე უარს“.**

ასეა, ბრძოლა არსებობისთვის დღეს სულაც აღარ ნიშნავს საუკეთესოს გადარჩენას. ვხედავთ იმასაც, თვიდან თვემდე როგორ ვერ სრულდება ქვეყნის ბიუჯეტი და მის ერთადერთ „მხსნელად“ რომ მხოლოდ ე.წ. სეკვესტრი გვევლინება. აქედან გამომდინარე, არ არის ხელფასი, პენსია...

ბიზნესმენები კი გარბიან, თანაც აქვე, მეზობელ ქვეყნებში და იქ აგებენ საწარმოებს, ასაქმებენ ხალხს და ბიუჯეტსაც (რა თქმა უნდა, არა ჩვენი ქვეყნის) სოლიდური შენატანებით ავსებენ.

— საქართველოში საბაზრო ეკონომიკის არსებობის ათწლიანი ისტორიის მანძილზე, უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. საქართველოს თამბაქოს წარმოების, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს, არც მეტი და არც ნაკლები, 27 მილიონი ლარით ავსებდა (ასე იყო გასულ წელს), მესვეურებმა საწარმოს ბოქლომი დაადეს. წარმოება, სადაც ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული, გაჩერდა. ბევრ ჩინოვნიკს ეს ფაქტი სასაცილოდაც არ ეყო. არადა, სასაცილოდ რომ აღარ გვაქვს საქმე, ეს უკვე ფაქტი კი არა, მწარე რეალობაა. გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე **ნიკო ლეკიშვილი** სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, რომ საქართველოს თამბაქოს ბედს სულ მალე გაიზიარებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა „ალდაგი“, „კოკა-კოლა“, „ჯი-ვი-ესი“ და კიდევ ბევრი სხვა. „თითოეული ბიზნესმენი თუ ერთმანეთის გვერდით არ დადგა, თითოეულმა ჩვენგანმა ერთმანეთის პრობლემა თუ არ გაითავისა, მაშინ სულ მალე ქვეყანას აღარ ექნება არა მარტო მრეწველობა, არამედ, საერთოდ, აღარ იარსებებს ქართული ბიზნესი.


აკაკი ზოიძე

ბიზნესმენი, რომელიც იხდის გადასახადს, ასაქმებს ათასობით ადამიანს და, ფაქტობრივად, იგი არის წარმმართველი იმ ძირითადი ბერკეტის, რომლითაც სახელმწიფო არსებობს, არ შეიძლება იმავე სახელმწიფო მოხელემ წნეხის ქვეშ მოაქციოს და როგორც მოესურვება, ისე მართოს. დღეს კი სწორედ ასეთი იდეოლოგიაა. არადა, თუნდაც ერთი საათით რომ გაჩერდეს საწარმოები, ბანკებმა შეაჩერონ საბანკო ოპერაციები, მაღაზიები, ბაზრობები, სუპერმარკეტები, არ მოემსახურონ მომხმარებელს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება. გეკითხებით, სად არის სახელმწიფოს მხარდაჭერა? ალბათ, გახსოვთ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი „კოკა-კოლას“ ბოთლით ხელში როგორ დადიოდა მთელ მოსკოვში. ასე უჭერს მხარს სახელმწიფო კერძო კომპანიებს“. ამ პათოსს დღეს ბიზნესმენთა დიდი ნაწილი იზიარებს და ეთანხმება. 2002 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №310 ბრძანება, ანუ დადგინდა თამბაქოს ნაწარმში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის ზღვრული დასაშვები დონეები. თუკი კანონის მიღებამდე თამბაქოს ნაწარმში ნიკოტინი 1.3-ით იყო განსაზღვრული, ხოლო კუპრი 15.0-ით, ახლა უკვე ნიკოტინის შემცველობის ზღვარი 1.2მგ.-ზე გაივლო, ხოლო კუპრის მოცულობა 12.0-მდე შემცირდა. კანონს ხელს აწერს ჯანმრთელობის დაცვის მაშინდელი მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ხოლო კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის მოადგილეს აკაკი ზოიძეს. ბატონი აკაკი, რომელიც დღეს ისევ გახლავთ ბატონი ავთანდილის მოადგილე და გასაგები მიზეზების გამო ამჟამად სამოქმედოდ უფრო დიდი ასპარეზი აქვს, როგორც ჩანს, ამ თემით კვლავინდებურად არის დაინტერესებული. ბიზნესმენებიც საკითხის მოგვარებას ისევ მისგან მოითხოვენ. ჩვენთან შეხვედრისას ბატონმა **აკაკი ზოიძემ** შემდეგი განაცხადა: „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ გაჩერება საერთოდ არ უკავშირდება აღნიშნულ ბრძანებას. ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პარამეტრებს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ მიერ დამზადებული სიგარეტების სხვადასხვა სახეობიდან, მხოლოდ სიგარეტი „პირველი“ არ შეესაბამებოდა. წარმოების ხელმძღვანელის, ავთო წერეთლის ეს ნაბიჯი, სხვა არაფერია, თუ არა ზეწოლა სახელმწიფოზე“, — ასეთია ბატონი აკაკის პოზიცია, თუმცა ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ალბათ უახლოეს დღეებში მოხდება ამ ყბადაღებული №310 ბრძანების ამოქმედების ვადის გადაწევა და მეწარმეებს საშუალება ექნებათ, მოემზადონ სიგარეტის ახალი ნორმებით გამოშვებისთვის.

**დავით სამადაძე,** პარლამენტარი, „ახალი მემარჯვენეები“: — თქვენ რა, ფიქრობთ, რომ ავთო წერეთელს გაუჭირდებოდა ამ პრობლემის მოგვარება? ალია-ბალია, ათასი დოლარი დაუჯდებოდა ყველაფერი იმის გაფორმება, რათა იმავე ჩინოვნიკს უკვე ოფიციალურად დაედასტურებინა, რომ სიგარეტ „პირველში“ კუპრის შემცველობა 12.0 კი არა, თუნდაც 9.0-ია. ეს ავთომ არ გააკეთა. აქ საკითხი პრინციპულად დგას. დღეს კანონებს წერენ და, შესაბამისად, აკანონებენ ის ჩინოვნიკები, რომლებსაც ორკაციანი საწარმოც კი არ ჰქონიათ. არ იციან, რა არის მენეჯმენტი... არ შეიძლება მიიღო ამგვარი კანონი ისე, რომ მეწარმეს საერთოდ არაფერი ჰკითხო. არ შეიძლება კანონი ძალაში შევიდეს ისე, რომ ამის შესახებ მეწარმემ არაფერი იცოდეს. ავიღოთ ჩვენი მეზობელი ქვეყანა — რუსეთი. ხელისუფლება და მეწარმეები შეთანხმდნენ, რომ ისეთი სიგარეტის წარმოება, სადაც კუპრის დასაშვები მოცულობა 14.0 იქნება, დაიწყება მხოლოდ 2003 წელს. ეს იმიტომ, რომ საწარმოებს ჰქონოდათ საშუალება მშვიდად, წყნარად გადასულიყვნენ მუშაობის ახალ სისტემაზე.

**ლევან გაჩეჩილაძე,** პარლამენტის წევრი: — ჩვენ სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ხელისუფლებას ჩვენი რეალური ძალა ვაჩვენოთ. ერთადერთი, რისიც ეშინია ჩინოვნიკს, ეს იმ თბილი და რბილი სკამის დაკარგვაა, რომლის შერყევაც მრავალათასიან აქციას შეუძლია. ჩვენ, მეწარმეებს, არ გაგვიჭირდება ათიათასკაციანი აქციის მოწყობა. არადა, ხვალ იმავე სიტუაციაში შეიძლება ჩემი კომპანია აღმოჩნდეს და ასეთი ტენდენციები სულ უფრო მკვეთრი ხდება.

**თემურ ჭყონია,** „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი: — „აქ დგას ორი საკითხი. პირველი — თამბაქოს აქციზზე გადასახადი არის ძალიან მაღალი. ეს კი ნოყიერ ნიადაგს უქმნის იმავე კონტრაბანდას, შესაბამისად, ცოცხლად ჭამს წარმოებას. საქართველოს თამბაქოს წარმოება აქედანვე არის განწირული. მეორე — თამბაქოში ნიკოტინისა და კუპრის დასაშვები დონეების დადგენა.


მამუკა ხაზარაძე

გეკითხებით, რა დროს კუპრზეა საუბარი, როცა ბაზრები წალეკა უხარისხო, ჯანმრთელობისთვის გაცილებით მავნე პროდუქციამ, როცა ქალაქში აუტანელი სიბინძურეა. სხვათა შორის, სტალინი თურმე ისეთ თუთუნს ეწეოდა, სადაც კუპრის შემცველობა 25.0 ყოფილა — ეს ისე, სიტყვას მოჰყვა.

სახელმწიფოში მკვიდრდება ასეთი იდეოლოგია და მე ამაში უკვე დამარწმუნეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა შეავსოს ნავთობპროდუქტებიდან და სიგარეტიდან შემოსულმა გადასახადებმა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება იმის დანგრევა, საიდანაც ფულს ელოდები?

გეტყვით იმასაც, რომ თუ საჭირო გახდა, ჩემს წარმოებასაც გავაჩერებ და ასე დავაფიქსირებ პროტესტს იმ პოლიტიკის მიმართ, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ტარდება. ყოველივე ამას, ბოლოს და ბოლოს, წერტილი ხომ უნდა დაესვას?

**მამუკა ხაზარაძე,** „თი-ბი-სი ჯგუფი“: — ჩვენ და სახელმწიფო უკვე კარგა ხანია, რაც სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, არადა, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო ათასჯერ თქმული ჭეშმარიტება — ჩვენ ვართ ის ხალხი, ვისაც ბიუჯეტში თანხები შეაქვს. უფრო მეტიც, არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა თვეში ორჯერ შეგვიტანია ბიუჯეტში თანხა. დაურეკავთ, უთხოვიათ და ჩვენც შეგვისრულებია. ყველაფერ ამას გაუძლებ, აიტან, მაგრამ ის, რაც ხდება დღეს კომპანიების, ფირმების წინააღმდეგ, ნამდვილად ძნელი ასატანია. პარლამენტში ორი დღე მიდიოდა მსჯელობა მარტო იმაზე, თუ როგორ მოეხდინათ კონკრეტულად „ბორჯომის“ დაბეგვრა. ეს სხვა არაფერია, თუ არა მიზანმიმართული კამპანია, რათა მოხდეს კომპანიების გაპოლიტიზირება და მასში ვიღაც-ვიღაცების ინტერესების ჩადება. ჩვენ არავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ კორპორაციული ღირსება შეილახოს. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს თამბაქოს წარმოების პრობლემა მარტო ავთო წერეთლის პრობლემაა — ესაა ჩემი, თემურ ჭყონიას, ანტონ ინგოროყვას და სხვათა პრობლემა.

**ანტონ ინგოროყვა**, გაერთიანებული ქართული ბანკის გენერალური დირექტორი: — დღეს მთელი პარლამენტი ფეხზე უნდა დადგეს და უნდა იმსჯელონ, თუ რატომ გაჩერდა თამბაქოს წარმოება. ყველამ უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ შეუწყონ ხელი მეწარმეს, თორემ რის ვაი-ვაგლახით რომ ააწყობ ბიზნესს და მერე, კვამლი ამოვა თუ არა საწარმოდან, თავს დაესხმები და იქაურობას ისე გააცამტვერებ, რომ ქვას ქვაზე არ დატოვებ — ეს არ არის ქვეყნის აშენება. ჩვენთან, კაცი თუ გადაჯექი „ვოლგიდან“ „მერსედესში“ — დაღუპული ხარ. ასე გვინდა ჩვენ საქმის გაკეთება?! რასაც მე ერთი წლის მანძილზე ვშოულობ, იმას სახელმწიფო ჩინოვნიკი ერთ საათში „აკეთებს“. კარ-


ლევან გაჩეჩილაძე


ავთო წერეთელი

გია, არა?! აბა, ვინ დათმობს ასეთ ცხოვრებას?!. „ქართულ ეკონომიკაში დღეს დენთის სუნი ტრიალებს, **ავთო წერეთელი** უკან დახევას არ აპირებს: — „ჯანდაცვის სამინისტროს უკან კონტრაბანდისტები დგანან. სამინისტრო იმ ჯგუფებს ლობირებს, ვინც ქვეყნის ბაზრები და ბაზრობები კონტრაბანდული საქონლით აავსო. მე მარტო ის მეფიქრება, რა ვუთხრა ჩემს პარტნიორებს, რომლებმაც საწარმოში მთელი 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადეს.“

**P.S. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ავთო წერეთელი სულ მალე ახალი ქარხნის გახსნას აპირებს, მაგრამ არა საქართველოში. თამბაქოს წარმოება ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზშია დაგეგმილი.**

*ლელა წითლანაძე*

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

***ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.***

***მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.***

***ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...***



# ქალმა ხელსაქმე უნდა იცოდეს

კომუნისტები გვიმტკიცებდნენ, ადამიანი მაიმუნისაგან შეიქმნაო. მადლობა ღმერთს, ეს ამბავი დიდად არავის დაუჯერებია. კაცობრიობა ღვთისგან შექმნილი ადამ და ევას შთამომავალია. სამწუხაროდ, ჩვენმა უპირველესმა წინაპრებმა სამოთხე ვერ შეიფერეს, მაგრამ ყოვლადმოწყალე უფალმა მათ მაინც მისცა სარჩო-საბადებლად მთელი ქვეყნიერება, მის გამოსაყენებლად კი — ძალა და გონება. იქიდან მოყოლებული, ვისაც ხელი და თავი გაუნძრევია, შიმშილით არავინ მომკვდარა. არც ჩვენ დავიხოცებით, თუ ასე მოვიქცევით. ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დამიდასტურა ერთმა ძველმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა, რომელიც ამას წინათ შემხვდა. რას საქმიანობ-მეთქი რომ ვკითხე, ასეთი რამ მიამბო: ქვეყანა რომ აირია და პურის ფული აღარ დამრჩა, სიყვარულით შერთული ცოლი და შვილები რომ ამიტირდნენ, ელიავას ბაზრობასთან ჩავედი და ვახუშტის ხიდის ქვეშ, სამუშაო ბირჟაზე დავდექი... იქ იმდენი ხალხი დგას (თანაც დიდი პროფესიონალიც არ ვარ), რომ თვეში 100-120 ლარის მეტს ვერ ვშოულობდი. ეს თანხა მარტო პურის ფულისთვის მყოფნიდა, მაგრამ მაინც ღვთის მადლობელი ვიყავი, რადგან მათხოვრად არ ვიჯექი. ამასობაში ზამთარი დადგა, აცივდა. ერთხელ, შინ დაბრუნებულს, ცოლი თვალცრემლიანი დამხვდა... წინ სკოლის დროინდელი რვეული და ჟურნალი ედო, სადაც სხვადასხვა ხელსაქმის შესახებ ეწერა. „ჩემი ბავშვობის წლები გამახსენდაო“ — თქვა. მივხვდი ტირილის ნამდვილი მიზეზი რომ დამიმალა და ვცადე, ლაპარაკი სხვა თემაზე გადამეტანა: როგორ, ქსოვა იცი-მეთქი — ვკითხე... სკოლის სტენდზე გამოფენილი ჩემი ნამუშევრები ყველაზე უკეთესი იყოო — მიპასუხა... თუ ასეა, კაშნე მომიქსოვე-მეთქი — გავეხუმრე. სულ არ ველოდი, დილით ისეთი ლამაზი კაშნე დამახვედრა, სიმართლე გითხრა, სიხარულით მოვიხვიე.

ბირჟაზე დაინტერესდნენ სად იყიდე, რა მიეციო. მეც ვიხუმრე — ამ დილით 5-ლარად ვიყიდე-მეთქი. ერთმა 5-ლარიანი გამომიწოდა: თუ კაცი ხარ, მაგის საყიდლად ნუ მარბენინებ, დამითმე და შენ ახალი იყიდეო... იმდენი მეხვეწა, ფული გამოვართვი და შინ წავიღე. ასე გაიყიდა ჩემი ცოლის პირველი ნამუშევარი. მას კი იმდენად გაეხარდა, იმ ღამესვე ამოქქა გადანახული 6 კგ ნართი და 2 დღეში 3 ცალი 2-მეტრიანი კაშნე მოქსოვა. ეს მშვენიერი ნახელავი სულ 5 ლარად მისცა გადამყიდველებს. მათ კი, როგორც გავიგეთ, 20 ლარად გაუყიდიათ. ამის შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ თავად დავიწყეთ მათი რეალიზაცია... თანდათან გავერკვიე ამ ბიზნესში — თურმე თითო გრძელ კაშნეს 9 ლარის ღირებულების 300 გ ძაფი სჭირდება, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო — ჩემი მეუღლე 2 დღეში 3 კაშნეს ქსოვს და თითოს 18 ლარად ყიდის. ასე რომ, ყოველდღე 13-14 ლარი გვრჩება. ეს ჩვენი ოჯახისთვის მთელი სიმდიდრეა. ასე ვირჩენთ თავს — თავის გაჩენილს ღმერთი არ გაწირავს. ზაფხულში სხვა სახის ნაქსოვი ტანსაცმელი იქნება საჭირო... ისე, ჩვენი წინაპრები რომ ამბობდნენ, ქალმა ხელსაქმე უნდა იცოდესო, მართლები ყოფილან..

*ნიკო გორგი*

**ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ, ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**


საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

გრადირნიები
ყველა ტიპის
☎ 899 537778
810 375222281026


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1970 |
| გერმანული მარკა | 0,9636 |
| ინგლ. ფუნტი | 3,0914 |
| ევრო | 1,8846 |
| რუსული რუბლი | 0,0715 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0168 |



## თარაზულად:

5



ცხენზე დასაჯდომი მოწყობილობა



6

გატაცებული ტილოს („შესვენება ეგვიპტის გზაზე") ავტორი

9



მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა




10

ფერადი ლითონი



11

ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან



14

ჰაერის ტალღისებრი რხევა, რომელსაც ყური აღიქვამს



15

პოპულარული შვედური ავტომობილი



17

ნატიფად, მოდურად ჩაცმული მამაკაცი



18

მამაკაცის საზეიმო კოსტიუმის ატრიბუტი



19

ბოლის ჩაყლაპვა და ამოშვება



23

ჯადოქრობა, მისნობა

24

ედუარდ IV, ედუარდ V, რიჩარდ III (გვარი)



25

ქვეყნის შეიარაღებული ძალები



28

ქართული სახელწოდება



30

რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა



31

ცხენების გუნდი

32

უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი



33

პატარა, ჭრელი მგალობელი ჩიტი

## შვეულად:



1

მუსიკალური ხელოვნების ჟანრი



2

ჯილდოს მასალა




3

ნაბეჭდტექსტიანი ფურცლების შეკვრა



4

ჭურჭელი

5



შემსწავლელი მეცნიერი



7

ცნობილი ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი



8

წამლის სათავსი

12

ჟანგბადით გამდიდრებული სისხლძარღვი



13

ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო



15

ცეკვა



16

ძვ. ქვა, ავგაროზი მერწყულის ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის (ნეპალელთა აზრით)



20

„სიცილის მეფე"



21

აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის მოდელიერი

22

ძლიერი, „ლაზათიანი" ცემა



26

ჰაერით გაბერილი აპკი

27



სპორტული ნაგებობა

29

დაბალი ერთწლიანი პარკოსანი მცენარე, ბერმონაზონთა ძირითადი საკვები წინათ

31



ზღაპრული ქმნილება

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა" №4 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ქიმიკოსი; 6. ზოოპარკი; 9. ემბარგო; 10. ვასაძე; 11. ილუზია; 15. მონორელსი; 17. გნომი; 18. ტიბრი; 19. რეცეპტი; 20. ვარშავა; 24. ცაცია; 25. ქმარი; 26. ფიტონციდი; 29. ომლეტი; 32. ჯუნგლი; 33. კარლოფი; 34. იუსტიცია; 35. არსენალი.

**შვეულად:** 1. ნინიძე; 2. ასხმა; 3. ქოლგა; 4. მატყლი; 5. ქარავანი; 7. იუპიტერი; 8. გალერეა; 12. „მონოპოლია"; 13. ასტეროიდი; 14. იმპერია; 16. ვიგვამი; 21. კაშემირი; 22. შანდალი; 23. კრეოლინი; 27. სტარტი; 28. კულონი; 30. პაწია; 31. სფერო.

## მილოცვა

**ია და ვაჟა მაკალათიებს!**
გილოცავთ მეორე ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო, სამაყო ვაჟკაცი. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*თამუნა და გიორგი შავშიშვილები*



**ომრიკო ცაბაძეს!**
გილოცავთ დაბადების დღეს – 9 წლის შესრულებას. გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას ცხოვრებაში.

*და მარიამი; მამიდაშვილები ნუკრი, გიორგი, მარიამ ცხოვრებაძეები*

**გვანცა ცხოვრებაძეს!**
გილოცავთ დაბადების დღეს – 8 წლის შესრულებას. დაესწარი მრავალს! გისურვებთ ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი.

*ძმა საბა; ბიძაშვილები თეონა, ნუკრი, დიტო, გიორგი, მარიამ ცხოვრებაძეები; დეიდაშვილი ბექა ჩიტიაშვილი*





**გვანცა და ნატო ხინთიბიძეებს!**
გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს. იყავით ჯანმრთელები და ბედნიერები. გქონოდეთ ულრუბლო ზეცა, მთელი ცხოვრების მანძილზე.

*თქვენი მშობლები, მამიდა, ბებია, ბაბუა*

**ქეთინო მაისურაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს!
*დეიდა მზია*

## მადლობა

**„კვირის პალიტრის" მთავარ რედაქტორს!**
მე, როგორც თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი, გთხოვთ, ნება დამრთოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მე-4 კლინიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების მაღალკვალიფიციურ და გულისხმიერ კოლექტივს, ჩემი გამოჯანმრთელებისათვის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მკურნალი ექიმის, **მარინე დოლიაშვილისა** და განყოფილების ხელმძღვანელის, დოცენტ **დავით კირკიტაძის** ღვაწლი.

*ჯუმბერ სულავა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი*

რამდენიმე დღის წინ ნელი ნებიერიძე მენინგიტის დიაგნოზით უგონოდ მოვიყვანეთ ქალაქის ინფექციურ საავადმყოფოში. ნეიროქირურგიული განყოფილების გამგის **გია დეისაძის,** ნევროპათოლოგ **დალი ფოცხიშვილის**, ექიმ **მაია ზალდასტანიშვილის**, პროფესორ **ეთერ ბოჭვაძისა** და მთელი სამედიცინო პერსონალის ძალისხმევითა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, ავადმყოფს სიცოცხლე დაუბრუნდა. დიდი მადლობა მათ. ღმერთმა სიხარული და სიკეთე არ მოგაკლოთ, ლირსეული ადამიანები!

*ნელი ნებიერიძის ოჯახი*

პოლიგრაფიული სასწავლებლის დირექტორს – **თამაზ ინწკირველს**, მოადგილეს – **გოგი კალაძეს**, პედაგოგებს – **გულიადა ბესელიას, ლია ნოზაძეს, გულიკო მამინაშვილს, ნათელა სეთურიძეს და ნაზი ციქუბაძეს** მრავალი ნიჭიერი თაობის აღზრდას ვუსურვებთ! გმადლობთ, ჩვენი შვილების სწავლის საქმეში გაწეული უანგარო ღვაწლისათვის.

*ჯილდა გორდაძე*

## ბინები

იტალიურ ეზოში, სუფთა, იზოლირებული, 3 ოთახიანი ბინა, 2 სართულიანი სახლის I სართულზე, ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით, დიდი ეზოთი. ფასი $ 16.000. მის: ჩუღურეთის რ-ნი, ჯაკახიშვილის ქ. №30. ტ: 96-71-53

3 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ლოჯიით, ტელეფონით. მის: მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, მე-12 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა №45. ფასი $8.000 (შეთანხმებით). ტელ: 76-09-66

სასწრაფოდ! 3 ოთახიან, გარემონტებულ ბინას, მე-2 სართულზე (საერთო ფართი – 100 კვმ; ჭერი – 2,80), დიდი სამზარეულოთი, რკინის კარით, მუდმივი დენით, ბ/აირით, სარდაფით და მანქანის სადგომით, ნუცუბიძის მილიციასთან. ტელ: 32-72-16

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

ბაკურიანში მიწის ნაკვეთი, ძველი „უტც"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ტატრაპომასთან" ახლოს. ტელ: 899 91-51-47

## ქირავდება

1 და 3 ოთახიანი ბინები, კომფორტულად მოწყობილი; ასევე, 1 ოთახი, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – როგორც კერძო სასტუმრო, რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასი: 1 დღე-ღამე, 1 კაცი – $10, $15, $20 და $50, ოთახების შესაბამისად. ტელ: 22-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

ორგანიზაცია სთავაზობს 18-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში 1 წლით ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით (ჯიბის ფული), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გაიხსნა ახალი ოფისი. გვჭირდება განათლებული, რუსულის ენის მცოდნე თანამშრომლები. ვმუშაობთ მსოფლიოს ყველა კუთხეში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ გამგზავრებისა (კომპანიის ხარჯებით). მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „რუსთაველი", ბელინსკის ქ. №2, IV სართ. ოთახი №422. ტელ: 93-18-84. ელეონორა; 79-38-90. მახო

გაიხსნა ახალი ოფისი. არის 5 ვაკანსია. მჭირდება 17-დან 38 წლამდე განათლებული თანამშრომლები. გამომუშავება ძალიან მაღალია – დღეში $30. მიმდინარეობს გასაუბრება-შერჩევა. ტელ: 93-18-84. ბ-ნი რობერტი; 67-95-46. ქ-ნი ელისო; 899 50-68-25. ქ-ნი ნუნუ

## მომსახურება

გეპატიჟებით ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

ავიწყობთ და დავაკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტებს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

კომპიუტერული მომსახურება პროფესიონალურ დონეზე, გამოძახებით! კომპიუტერების აწყობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ვებ-გვერდების დამზადება (განთავსება); სავიზიტო ბარათები, ფოტომონტაჟი, ინტერნეტში მასალების მოძიება და სხვ. ტელ: 79-83-17; 95-87-33

კომფორტული დასვენება შეღავათიან ფასად, ბაკურიანის და გუდაურის სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროსა და კერძო სექტორში, კვებით და კვების გარეშე, გამგზავრების ორგანიზებით. ნომრის დაჯავშნა წინასწარ. ტელ: 38-41-73; 899 54-00-79; E-mail: dilaplus@ramber.ru

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვამზადებ ყველანაირ ავეჯს, ლამინირებულ ДСП-სა და მასიური ხისგან, უმაღლესი ხარისხით და შედარებით შეღავათიან ფასად. ტელ: 60-75-20 (22 სთ-ის მერე); 899 16-92-51. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

„ცხრაკლიტული"! საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; კარზე ტყავის გადაკვრა; ხის კარის რკინებით ისე გამაგრება, რომ რკინისას არ ჩამოუვარდება. მომსახურება დაუყოვნებლივ! ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

გთავაზობთ ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, გაღიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით, – 1 სთ – 5 ლარი; თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით! მის: მ „300 არაგველი". ტელ: 77-50-32. გულიკო

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა. თმის მოდელური შეჭრა – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. ასევე არსებობს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. ტ: 94-01-82; 95-83-18; 899 90-67-52

გსურთ, უფრო კარგად გამოიყურებოდეთ? ნუ იდარდებთ! ფირმა „დერმაჯეტიქსის" დახმარებით დაიკლებთ (ან მოიმატებთ) წონაში; მოგეხსნებათ სახის კანის პრობლემები, გაახალგაზრდავდებით; დაგეშლებათ ცელულიტი, მოიშორებთ ნაწიბურებს; შეგიწყდებათ თმის ცვენა. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 22-26-91. კონსულტანტი ნანა

მცენარეული პრეპარატებით ორგანიზმის გაწმენდა, წლების განმავლობაში საკვების გადამუშავების შემდეგ დარჩენილი წიდებისაგან. უკუჩვენება არა აქვს. ტელ: 68-75-25 (17 სთ-ის შემდეგ). ქალბატონი მარინა. კონსულტაცია უფასოა

## მკურნალობა

მუშაობას იწყებს არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ევგენია ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო პიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევგენია ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეირხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46 (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტ: 37-42-17; 53-60-06

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშეილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, რომელსაც აქვს ხანგრძლივი გამოცდილება, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს, ენაბორძიკობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზებს, ხერინვას, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. ტ: 899 55-05-75

მწვანე მცენარეებით ვმკურნალობთ ბუასილის შემდეგ სახეობებს: პოლიპები, სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი, სწორი ნაწლავის მოდუნება. გართულებული სიტუაციის შემთხვევაშიც – შედეგი 5 დღეში. მის: რუსთავი, XVI მ/რ, კორპ 5, ბინა №33. ლალი გოგოლაძე (ვაგზლის მოედნიდან – სამარშრუტო ტაქსი. ბოლო გაჩერება რუსთავში).

სამედიცინო ცენტრის „დელფინის" ბაზაზე იხსნება კერძო ბაგა-ბაღი. დღის განმავლობაში, ბავშვები იქნებიან მაღალკვალიფიციური პედიატრის, ნევროპათოლოგის, ორთოპედის, ლოგოპედის, მასაჟისტის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩაუტარდებათ შესაბამისი მასაჟები, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები, წყალში სამკურნალო ვარჯიშები. მსურველები დაგვიკავშირდით: ცოტნე დადიანის ქ. №134, III სართ. ფირმა „დელფინი" (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოვამზადებ ინგლისურში აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

დავეხმარები სკოლის მოსწავლეებს მათემატიკისა და სხვა საგნების მომზადებაში, ბინაზე მისვლით. მაქვს ბავშვებთან მუშაობის 15 წლის გამოცდილება. ტელ: 76-27-12

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი, გაწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული მულტიმედიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფმემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: პარნავაზის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ინდივიდუალური სწავლების მსურველებს გიწვევთ: 1) კომპიუტერთან მუშაობის სწრაფად და საფუძვლიანად შესასწავლად. სათვისე პროგრამები: ვინდოუსი, ვორდი 2000, ექსელი 2000, ეფელი, ინტერნეტი. გაიცემა სერტიფიკატი. 2) გიტარაზე დაკვრის ხელოვნების დასაუფლებლად: პოპ. ქლასიკური – ტრიოს სიმღერები, კლასიკა, ესპანური, ფლამენკო, სიმღერების აკომპანირება. ტელ: 96-22-33 (საღამოს)

## იყიდება

ა/მ „ოპელ-ომეგა", 1992 წლის გამოშვება, შავი მეტალიკი. ძრავი – 2,0, ავტომატიკა, CD ბრილიანტი. ტელ: 30-16-25; 877 73-44-72

უნივერსალური ფაზო კონტრასტული ბინოკულარული მიკროსკოპი ბიოლამ „ი", სრული კომპლექტით. გამოიყენება ლაბორატორიული კვლევებისა და საკვლევი ობიექტის ფოტოგადაღებისათვის. ფასი $500. ანგარიშსწორება, როგორც ნაღდზე, ისე გადარიცხვით. ტელ: 36-38-89 (საღამოს); 899 50-50-76. თაზო

შავი პოლიმერული ფხვნილი-საღებავი პ-პე-11304 1 ტონა; შესაღები აპარატი აზპ-2 და საშრობი ღუმელი პაპ-4მ, 25000. ტელ: 29-01-20

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

გაიხსნა ავტოსაკომისიო მაღაზია ხელსაყრელ ადგილას, სანაპიროზე. დაცული ტერიტორია, სოლიდური კლიენტურა. მის: დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, „კრაისლერის" ცენტრის ტერიტორიაზე. ტელ: 34-60-03; 34-16-50; 899 51-30-49

სიახლე საქართველოში! ძვირფასო მეგობრებო, 4 თებერვლიდან იკითხეთ ყველგან, სასიყვარულო პრესის ლიდერი, გაზეთი „სიყვარულის სამყარო" და მისი დამატება, სუპერ-ეროტიკული გაზეთი „სისხლიანი სიყვარული". ფასი 50 თეთრი. რეკლამის განცხადების მსურველნი დაგვიკავშირდით: 899 56-32-59

თუ გსურთ, შექმნათ ბედნიერი ოჯახი, გაიცნოთ გულითადი მეგობარი, თავი დააღწიოთ მარტოობას და ცხოვრება გაიხალისოთ, მობრძანდით „გაცნობისა და დაოჯახების კლუბში". ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ანონიმურობა გარანტირებულია. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59


**უფასო განცხადებების გაზეთი**
**სიტყვა და საქმე**
33-10-03 33-10-05 36-30-04
**40 გვერდზე**
ფასიანი განცხადება ჩარჩოში – ტელ: 822-009-003



ყოველ ნომერში: 7000-მდე განცხადება,
დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი



### ნინო ჩერქეზიშვილის მონატრება

შენი მშვიდი და თბილი ბუნება, შენდამი ყველას [illegible] განწყობა. [illegible] შენი გარდაცვალება [illegible]. ძნელია უშენობა. დაგვრჩა [illegible] და უზომო მონატრება. გვენატრება შენი სიყვარული.

შენს ყველას ვილოცავთ შენი სულის განათლებისათვის.

*შენი მეგობრები*

### ამირან აკაკის ძე ბერიშვილის ხსოვნას!



2 თებერვალს 47 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო საყვარელო [illegible] მამაო. ძალიან ნაადრევად დაგვტოვე და დაგვიტოვე მოუშუშებელი იარა. შენგან დატოვებულ სიცარიელეს ხომ ვერავერ შეავსებს. [illegible] შენი სახელის უკვდავსაყოფად.

ნათელში დაიმკვიდროს შენს სულს, ჩვენო სასიქადულო და საყვარელო მამიკო.

*შენი თავო, აკაკი, თეკლე ბერიშვილები*

### მარინა ჯობინაშვილის ხსოვნას!



რა გონება და ლაღარი ყოფილა თურმე სიკვდილს. [illegible]

[illegible] სევდას. ცრემლგამშრალი და გამეხებულია შენი დაიკოც. უჭირთ უშენობა, შენ ხომ მათი სულისთქმა იყავი.

მარი! თურმე, ხშირად ნატრობდი ჩემთან საუბარს – იმ ნატვრას აზრი ჰქონდა... ახლა მე მენატრები, ჩემო ვარდისფერო... მაპატიე! მე ხშირად ვივლი შენს საფლავზე.

*თინიკო*

### გია კუჭაშვილს!

მესამე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, პირველ თებერვალს.



38 წელი შეგისრულდებოდა. ძალიან გვიჭირს უშენობა, ამაზე ძნელი და მძიმე ჩვენთვის არაფერია და არც იქნება. მიუხედავად ამისა, ცხოვრება გრძელდება. მუდამ ცოცხლობ და იცოცხლებ შენი ახლობლების გულში. ეს სიყვარული შენ სიცოცხლეშივე დაიმსახურე. ვცდილობთ, ჩვენო დიდო სატკივარო, რომ შენი კეთილი გზა და ჩანაფიქრი კეთილადვე გავაგრძელოთ. მუდამ ჩვენ გვერდით ხარ და იქნები.

*შენი ოჯახი*

### ზურიკო ჯოხაძის გახსენება!

ჩემო საყვარელო ძამიკო! უკვე ორი წელი სრულდება, რაც ჩემთან აღარ ხარ და შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. ვერაფრით ვეგუები უშენობას. შენი სიძლიერე მომაკლდა, ჩემო ვაჟკაცო. უშენოდ ვუმკლავდები ამ არეულ წუთისოფელს.



ამ ხნის მანძილზე ცრემლი და ლოცვა არ მომკლებია, ჩემო ანგელოზო. ყოველდღე შენს მოლოდინში ვარ, ჩემო სიცოცხლევ, რადგან მწამს სულის უკვდავებისა. ჩვენი გამწარებული მშობლებიც ლოცვაში პოულობენ ნუგეშს. შენს ელენეს არასოდეს ავიწყდები, რომელსაც ისეთი სიყვარული დაუტოვე, მიუხედავად პატარა ასაკისა, ყოველთვის ემახსოვრები.

უძლურია სიტყვები შენს მონატრებაზე, ჩემო ზურიკო. უსაზღვროდ შემიძლია საუბარი შენზე, რადგან სიკეთის განსახიერება იყავი ყოველთვის. გაუსაძლისი, მარადიული სევდა დამიტოვე... უზომოდ მიყვარხარ და მენატრები...

ღმერთს შევთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*დიდი სიყვარულით, შენი დაიკო*

### მზია ნებიერიძის ხსოვნას!

წელიწადი სრულდება, რაც უკურნებელმა სენმა ნაადრევად წაგვართვა შენი თავი. შენმა წასვლამ ჩვენს კოლექტივს დიდი ტკივილი მოგვაყენა. ყველას გვიჭირს უშენობა. დღე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ. ძალიან გვენატრები.



შენ ხომ საბავშვო ბაღის ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობდი. დღეს კი, მხოლოდ სურათებიდან შემოგვყურებს შენი მოღიმარი სახე.

დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. შენი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

*126-ე საბავშვო ბაღის თანამშრომლები*



### ვაჟა ჯიქიას ხსოვნას!

5 თებერვალს შესრულდება ორი წელი, რაც ჩვენთან არ ხარ. 5 მარტს უშენოდ შევხვდებით მეორედ, შენს დაბადების დღეს. ძალიან გვაკლიხარ. გვიჭირს უშენობა, ძლიერ გვენატრები. დღემდე, ყველა, ვისაც კი ჰქონია შენთან ადამიანური და სამსახურებრივი ურთიერთობა, გიგონებს, როგორც უაღრესად კაცთმოყვარე და შრომისმოყვარე ადამიანს. ყველაზე მეტად მაკლია შენი ყურადღება, მზრუნველობა და სითბო მე. სანამ ვარ, ვილოცებ შენს სულზე და აგინთებ წმინდა სანთლებს. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს, ჩვენი სათაყვანებელი მეუღლის, მამის, ბაბუის ზეცად ამაღლებული სული.

*მეუღლე შურა*

### დათუნა ლაზარიას გახსენება



უსაზღვროდ მენატრები, ჩემო ერთადერთო და საყვარელო ძმაო დათო. საბედისწეროდ გათენდა შენთვის 18 მაისის დილა. ტრაგიკულმა შემთხვევამ სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს. აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე. დედ-მამას სანუგეშოდ მე დავრჩი. ძალიან მიმძიმს უშენოდ, ჩემო დათუნა, ჩვენ ხომ უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი. 8 თებერვალს, დავითობას, ამოვალ შენს წმინდა საფლავთან, დაგინთებ სანთლებს და ვილოცებ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი დაიკო სოფიკო ლაზარია*

### დალი მექანარიშვილი-გორგაძის ხსოვნას!



შვილო დალიკო, ჩვენო ტრაგიკულად დაღუპულო გოგონავ, დედის სიცოცხლევ და სიამაყევ, უზომოდ მენატრები, სად ხარ?!

4 თებერვალი შენი დაბადების დღეა, რომელიც მეორედ უნდა აღვნიშნოთ უშენოდ, შენს საფლავთან. დღეგრძელობისა და დღემხიარულობის ნაცვლად, უნდა გისურვოთ, რომ მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ძლევისქედის მიწა, რომელმაც უშურველად ჩაგიკრა გულში.

ჩემო ბედშავო გოგონავ, შვილების დაბადებით მაინც გაგეხარა, დედი. ისინიც რომ არ გვანდე – ამოიფარე კალთის ქვეშ და ანგელოზებით ხელდამშვენებული ეახლე მარადიულ სასუფეველს.

იძინე მშვიდად, ჩემო ფერიავ, შენს შვილებთან ერთად. ვნატრობ შენთან მოსვლას და შენს გულში ჩაკვრას. უფალს ვევედრები, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული, პატარა ანგელოზებთან ერთად.

*შენით დამწუხრებული მშობლები*

### ანიკო ტუღუშის ხსოვნას

შვიდი წელია, უშენოდ ვხვდებით 3 თებერვალს, ანაობას. ძალიან გვაკლიხარ. ბიჭები დღესაც შენს სულს იფიცებენ.

*გივი, ია, კახა, დათო*



### მურმან ხაინდრავას გახსენება

მურმან, უკვე წელიწადი გავიდა უშენოდ... ძალიან გვენატრები მე და შენს საფიცარ პატარა სალომეს, ყველა შენიანს. ახლახან შენი დაბადების დღეც გადავიხადეთ, ოღონდ უშენოდ. ენატრები ჩვენს შვილს, ყველგან დაგეძებს...

ნათელში იყოს შენი სული, ილოცე ჩვენთვის და შენი ცრემლგამშრალი დედისთვის, მურმან...

*შენი ნინო*

### ჯუმბერ ჩახოიანცის ხსოვნას!

ძვირფასო მეგობარო, როგორ გამოგვეცალე ხელიდან, როგორ უეცრად წახვედი... ძალიან დაგვწყვიტე გული, დაგვიობლე კლასი... აღარასოდეს დაგვავიწყდება შენი თბილი ღიმილი, კეთილი შემოხედვა, მუდამ მხარში დასადგომად, დასახმარებლად ყოფნა... გვაპატიე, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილეთ, მაგრამ მუდამ ვილოცებთ შენი სულისათვის.

*თანაკლასელები*

### ჩემო საყვარელო ძმაო ვალიკო!

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. გული მკვდარი მაქვს, ძმაო. ყველაზე მეტად მე დამაკლდი. უზომოდ მენატრები.

*შენი და ქეთევანი*

სამძიმარს ვუცხადებთ ჟურნალისტ *ნინო შევარდნაძეს*, სიძის

**მერაბ კარლო ძე მამულაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

*„კვირის პალიტრის" რედაქცია*



ზურა, ირმა, ნატო, დათო, ტატო ხოსრუაშვილები სამძიმარს უცხადებენ *დიმა გოგიჩაიშვილს* საყვარელი მამის გარდაცვალების გამო.

მიშა, ციცო, ნია, სოფიკო ხუციშვილები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ *დიმა გოგიჩაიშვილს* საყვარელი მამის

**მიხეილ გოგიჩაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „მერანის" თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამომცემლობის ყოფილი მთავარი ბუღალტერი, ღვაწლმოსილი მუშაკი

**ნინა ოთარაშვილი**

გამომცემლობა თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

*გამომცემლობა „მერანის" თანამშრომლები*

## ქვეყანას ერთი მეხოტბე მოაკლდა...



„...მე კი ისევ ვუზივარ საწერანით და საწიგნობელით მძიმედ დატვირთულ მაგიდას. მარჯვნივ „ვეფხისტყაოსანი" მისვენია, მარცხნივ „ქართლის ცხოვრება", გარშემო ქართველი ხალხის თავგადასავლის მაუწყებელი წიგნები, ხელნაწერები, მატიანეები, უწყებანი, ოპუსები და ფოლიანტები: ძველი ქართული მწერლობის უსაჩინოესი ძეგლები, ანტიკური (ელინისტური, რომაულ-ლათინური) და ბიზანტიური წყაროები, ევროპელ და აზიელ ავტორთა ცნობები, ახალი დროის მეცნიერული მიკვლევანი. პირდაპირ კედელზე დაღლილად დაშვებული საქართველოს რუკა, ივანე ჯავახიშვილის კურთხეული ხელით გამართული და გაწაფული.

ჩემო კეთილო მკითხველო, მოდით, ერთხელ კიდევ დავაკვირდეთ ამ რუკას..."

ასე იწყებდა ლევან სანიკიძე „უქარქაშო ხმლებს", საქართველოს ახლებურად შექმნილ მატიანეს, რომლითაც ცნობილმა მწერალმა და ისტორიკოსმა კიდევ ერთხელ შეძლო ქართული გენის უკვდავყოფა.

ლევან სანიკიძის ერთ არანაკლებ ცნობილ ორტომეულს „დედაისტორია" ჰქვია. ამ წიგნებში თითქოს ყველა კითხვაზეა პასუხი გაცემული, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულთ რომ გაუჩნდებათ. ქვეყნის მატიანე ხელისგულივით მოჩანს ლევან სანიკიძის ათეულობით სქელტანიან ნაშრომში, მრავალტომეულებში, საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ ნარკვევებში, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო ბოლო ათწლეულებში ქართული პერიოდიკა.

ლევან სანიკიძემ მეტად მძიმე ხვედრი იტვირთა, ხვედრი ქართველი მწერლისა და ისტორიკოსისა. იგი ისე წერდა თავისი გმირების შესახებ, რომ მკითხველი გრძნობდა არა მარტო ავტორის განსწავლულობასა და მაღალნიჭიერებას, არამედ იმ დიდ სიფრთხილეს, რომელსაც მწერალი იჩენდა თითოეული პერსონაჟისადმი, თუნდაც იგი უარყოფითი ყოფილიყო.

ლევან სანიკიძის კალმით გაცოცხლებული აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე თუ ვახტანგ მეექვსე ახალი შტრიხებით შემოდიოდა ჩვენს ცნობიერებაში...

### მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეები

1. ხორციელის შაბათი — 24 თებერვალი (9 მარტი);
2. დიდი მარხვის მე–2 შაბათი — 17 (30) მარტი;
3. დიდი მარხვის მე–3 შაბათი — 24 მარტი (6 აპრილი);
4. დიდი მარხვის მე–4 შაბათი — 31 მარტი (13 აპრილი);
5. თომას კვირის სამშაბათი — 1 (14) მაისი;
6. სულთმოფენობის წინა, სულის შაბათი — 9 (22) ივნისი;
7. დიმიტრის შაბათი — 20 ოქტომბერი (2 ნოემბერი).

წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა და მხევლისა შენისასა (სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

### მამუკა გვილავას!

1998 წლის 8 თებერვალს ამ ქვეყნიდან წახვედი. მას შემდეგ ჩვენთან აღარ ხარ. თვალსაწიერი ვერ აღგიქვამს შვილო, თორემ ჩვენი აზროვნების სივრცეში შენ ისევ შენს ადგილზე იმყოფები...



იზრდება შენი დათიკა, ჩვენც გვემატება წლები... ღვთის შეწევნით გვიმტკიცდება რწმენა, აფორიაქებული სული სიმშვიდის აბლაბუდაში ეხვევა და ნავსაყუდელს პოულობს...

ნავსაყუდელი კი ჭეშმარიტი რწმენაა, რწმენა იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს უფალი ჩვენს ცოდვილ სულებსაც მიიბარებს და ისევ ერთ სამყაროში აღმოვჩნდებით.

წმინდათანა განუსვენე ქრისტე სულსა, მიცვალებულისა მონისა ამის შენსასა, სადა იგი არ არს ჭირი მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

ნეტარ არიან მორწმუნენი... ამინ.

*დედა, მამა*



### კარლო ბაბილოძის ხსოვნას!

ორმოცი მძიმე, ცრემლიანი და ტკივილიანი დღე გავიდა. წახვედი მოულოდნელად, ჩუმად და დაუმშვიდობებლად. იყავი სიკეთისა და პატიოსნების განსახიერება. შენი წასვლით გამოწვეულ დანაკლისს ვერავინ შეუვსებს შენს ოჯახს. შენმა გიორგიმ ცრემლიანი თვალებით გაგაცილა და დღესაც ცრემლიანი თვალებით დადის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*დარეჯანი, მზია, გიორგი*

### თამაზ ახვლედიანის ხსოვნას



სამი წელი გახდა, რაც აღარ ხარ, თვალცრემლიანი გიგონებთ, ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო ადამიანო. გვტკივა უშენობა, ვერ მოვერიეთ, ვერ ამოვავსეთ სიცარიელე. შენს სულთან საბაასო ბევრი მაქვს. ილოცე შენს ოჯახზე, თამაზ. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*მადლენა*

### ზურაბ ჭელიძის გახსენება

აფხაზეთში შეწყდა შენი მოუსვენარი სიცოცხლე — ძალიან ადრე და სრულიად წარმოუდგენლად... ვერავინ მოიფიქრებდა, რომ ასეთი ადამიანების მოყვარული, ხალისიანი და ყოველთვის სიურპრიზების შემქმნელი, ხელში თოფს აიღებდი და საომრად წახვიდოდი... მაგრამ წახვედი და როგორც შენი ნაწილის გადარჩენილი მეომრები ამბობენ, თურმე მაშინვე შეაყვარე თავი ყველას... აქ ახალგაზრდა ცოლი და პატარა გოგონა დატოვე და მოხუცი დედა, რომელიც მალე გამოჰყვა შენს გზას... შენს გოგონას უკვე სამი წელი შეუსრულდა და ისე გახსენებს, — მამიკო, თითქოს ახსოვდე, თითქოს გვერდით ჰყავდე... ვინ იცის, იქნებ გვერდითაც ჰყავხარ და უხილავად მფარველობ კიდეც... როცა დრო გავა, ეს ქვეყანა დალაგდება და დაწყნარდება, იგი სიამაყით გაიხსენებს, რომ მამამისი აფხაზეთისთვის მეომართა გვერდით იბრძოდა...

შენ კი საქართველოს მადლიანი მიწა გფარავდეს...

### ზაურ დოლიძის გახსენება

შენი ოჯახისთვის ძალიან ახალგაზრდა წახვედი... წახვედი შენს გარდაცვლილ შვილთან, მარადისობას შეუერთდი... ოჯახს დააკლდა მამა, კარგი ბაბუა, კარგი მეუღლე... მოხუც დედას — შვილი, შენი ხუმრობა, ოხუნჯობა, შემახილი და გაძლების უნარი...

სიცარიელეა იმ სახლში, სადაც ცოტა ხნის წინ შენი ხმა ისმოდა. სიჩუმეა და გუშინდლამდე, დღე და ღამე იწვოდა სანთელი... გუშინ შენი გარდაცვალებიდან 40 დღე გახდა... ამბობენ, 40 დღის შემდეგ იმ ქვეყნის მარადიულობას ეზიარებიანო.

უფალი შეგეწიოს და გიშველოს იმქვეყნიურ გზაზე

### ჩვენი თანაკურსელების ხსოვნას!

თებერვლის ამ ქარიან დღეს რატომღაც ყველანი ერთად გაგვახსენდით — ისინი, ვინც ჩვენთან ერთად ახალისებდით უნივერსიტეტში გატარებულ ლამაზ სიყმაწვილის დღეებს. პირველი ტკივილი გივი ზანდუკელმა მოგვაყენა, როცა გაოგნებულნი შევჩერებოდით ერთმანეთს და აღარ ვიცოდით, რა გვექნა. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ ახლაც, მის მშობლიურ მცხეთაში ჩასულებს, პირველ რიგში გივი გვახსენდება. მერე კი მიჰყვნენ ერთმანეთს მხიარული თავყრილობების სულისჩამდგმელი მაყვალა ჯმუხაძე, პოეტი ავთო გურგენიძე, რომლის სტრიქონებით — „შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან, ალბათ ამიტომ დაპატარავდი", ვამაყობდით. გურული იუმორი რუსლან გოგიჩაიშვილმა შემოიტანა ჩვენში, ამიტომ ვიყრიდით თავს მის სიახლოვეს და ვლაღობდით... შემდეგ თითქოსდა ყმაწვილობიდანვე დაბრძენებული ზაურ კალაძეც გამოგვაკლდა, ჩუმი და ღრმა ჯუმბერ ტიკარაძეც... ჩვენი უსაყვარლესი ბესო ჯორბენაძე ხომ მარტო ჩვენი არ იყო, იგი მთელმა უნივერსიტეტმა, ქართულმა მეცნიერებამ მოისაკლისა... დღეს, ერთად შეკრებილები, ღიმილნარევი სევდით გიხსენებთ, ვინც ჩვენ გვერდით უნდა მდგარიყავით. ნათელი თქვენს ხსოვნას.

*თქვენი „კვირის პალიტრელები"*

### მივიწყებული სახეები

მინდა მოგითხროთ ჩემი ღირსეული წინაპრის – არტემ ღვამბერიას შესახებ, რომელიც სენაკელებს დღესაც ახსოვთ, როგორც ინტელიგენტობისა და კეთილშობილების განსახიერება. არტემ ღვამბერია ერთი პატარა სკოლის დირექტორი იყო სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში და მისი აღზრდილები (უკვე შუახანს მიტანებულნი) ახლაც სიყვარულით იხსენებენ. ამ სკოლაში განუმეორებელი ქალბატონიც ასწავლიდა – ვერა გახოკიძე, რომელიც წუთისოფლიდან ისე წავიდა, საკუთარი შვილი არ დარჩენია, თუმცა კი სენაკელებს არ



დავიწყებიათ ამ ტკბილმოქართულე ლამაზი მასწავლებლის უჩვეულო გაკვეთილები. ქალბატონი ვერა ფრანგულსაც თავისუფლად ფლობდა, რუსულსაც. მას საქართველოს ისტორიის უცნობი წყაროების შესახებაც საათობით შეეძლო ესაუბრა და რაც მთავარია, თბილ, ადამიანურ ურთიერთობებს გვასწავლიდა. მინდა მკითხველს წარვუდგინო ერთი ძველი ფოტო, რომელზედაც ვერა გახოკიძე და არტემ ღვამბერია არიან თავიანთ აღსაზრდელებთან ერთად. ამ ფოტოზე ძველებური „პოზირებაც" იმდენად ბუნებრივია, რომ უნებლიეთ ძველი სკივრებისკენ მიგვაბრუნებს, სადაც ჩვენი წინაპრების მივიწყებული ფოტოები გვეგულება.

*სენაკელები*

# „შეუვარებული“ თუთიყუშის ახდენილი წინათგრძნობა...

კეშა (ასე ერქვა თუთიყუშს) ქეთის მეგობრებმა დაბადების დღეზე აჩუქეს — იმ დღეს ოცი წელი შეუსრულდა გოგონას.

საჩუქარი იმდენად მოეწონა, წუთითაც არ იშორებდა გვერდიდან. ღამით საწოლთან იდგამდა გალიას და დაძინებამდე „ელაპარაკებოდა“ თუთიყუშს, ცდილობდა, ისიც აელაპარაკებინა.

ლაპარაკის დაწყებამდე კეშამ სიხარულის გამოხატვა ისწავლა. ვიდრე ქეთი შინ არ იყო, თვალმილულული იჯდა თავისთვის. როგორც კი დაინახავდა ოთახში შემოსულს, ჭყიპინითა და



ჟღურტულით იქაურობას იკლებდა, გალიის კედლებს აწყდებოდა და ყურადღებით უსმენდა ქეთის ხმას, რომელიც ყველაზე ხშირად ასე მიმართავდა: „კეშა, მიყვარხარ... მიყ-ვარ-ხარ!“ და სასწაულიც მოხდა. „ნაცნობობის“ მეშვიდე თვეს კეშამ ქეთის სწორედ ეს სიტყვა დაუმარცვლა „მიყ-ვარ-ხარ!..“ ქეთიმ მთელი ოჯახი შეყარა კეშას გალიასთან, მაგრამ „დარცხვენილ“ ფრინველს სიტყვაც ვერ ათქმევინეს.

დილით კი ქეთი კეშას ხმამ გააღიძა, რომელიც გაუთავებლად იმეორებდა: „მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ!..“

მეორე სიტყვა, რომელიც კეშამ თქვა, იყო „ქეთი“ და მთელი დღე ისმოდა თუთიყუშის ჭახჭახი — „ქეთი, მიყვარხარ, მიყ-ვარ-ხარ!..

ქეთის სატრფო გაუჩნდაო... ვინ აღარ მოდიოდა მის სანახავად და მოსასმენად — გვაჩვენეთ, სად არის ჩვენი მიჯნურიო.

კეშა კი მართლაც ერთგული შეყვარებული გამოდგა. საკმარისი იყო, ქეთი რამდენიმე საათი არ ენახა, რომ არც საჭმელს აკარებდა პირს და არც არავის ნახვა უნდოდა! ერთხელ ქეთი მეგობარმა ერთი კვირით სოფელში დაპატიჟა. კეშა იჯდა გაბუტული და სევდიანად იმეორებდა — „ქეთი... ქეთი! მიყვარხარ, ქეთი!..“ რომ დაინახა, ერთი წამოიძახა, — ქეთიო და ორი დღე ისე დამუნჯდა, ხმა ველარ ამოაღებინეს.

კეშას დედალი თუთიყუში მოუყვანეს, მაგრამ... ზედაც არ შეხედა „პატარძალს“. მდედრის ინიციატივა კი უბედურებით დამთავრდა — კეშამ ნისკარტი ჩასცხო და თავი გაუჩეჩქვა. ქეთიმ კეშა დატუქსა — ცუდი ბიჭი ხარო, რაზეც თუთიყუშმა საოცარი რამ ჩაიდინა: ჯერ დაუსტვინა და მერე ჩუმად „ჩაილაპარაკა“: „ქეთი, მიყვარხარ... ქეთი, მოდი ჩემთან!..“

2000 წლის 23 აგვისტოს ქეთი რაიონში მიემგზავრებოდა მეგობრის ქორწილში. გამოპრანჭული კეშას ცხვირწინ დატრიალდა და ჰკითხა — ხომ ლამაზი გოგო ვარო. მერე თუთიყუშს თავზე ხელი გადაუსვა და დაჰპირდა, — ორ დღეში ჩამოვალო.

ამასობაში, ეზოდან ქეთის მეგობრების მანქანის სიგნალი მოისმა. თუთიყუში ლამის გაგიჟდა, — გალიის კედლებს მიაწყდა და აყვირდა: „დარჩი, ქეთი!“ ეს სიტყვა ახალი იყო კეშას ლექსიკონში. ქეთიმ ფრინველს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა — ჭკვიანად იყავიო და წავიდა...

— თუთიყუშმა ღამით არ დაგვაძინა, — ჰყვება ქეთის დედა, — არ დამიჯერებთ და, მისმა საცოდაობამ ისე შემძრა, ქეთის მობილურ ტელეფონზე დავურეკე და მიკროფონში კეშას მისი ხმა გავაგონე. ქეთის ხმის გაგონებაზე წამით ჩაწყნარდა და ტელეფონს ჩასძახა: „ქეთი, მიყვარხარ, მოდი ჩემთან“. ამაფორიაქა თუთიყუშის საქციელმა, შვილს შევეხვეწე: „ჭკვიანად იყავი და რაც შეიძლება მალე დაბრუნდი, რაღაც კარგად ვერა ვარ-მეთქი!..“ გული მაწუხებს და ზოგჯერ მართლა ცუდად ვხდები... ნეტავი არ მეთქვა შვილისთვის — ცუდად ვარ-მეთქი! ველარ მოისვენა თურმე და როგორც გათენებულა, შეხვეწნია მეგობარს — შინ წამიყვანე, დედაჩემის დარდი მაქვს, ეტყობა, მართლა ცუდად იყო, თორემ არ დამირეკავდაო... მთელი ღამის უძინარნი წამოსულან ქორწილიდან.

დილის ათი საათი იქნებოდა, კეშამ რომ ტირილი დაიწყო. თითქოს მოთქმით იმეორებდა: „ქეთი... ქეთი... ქე-თი!..“ არ მესიამოვნა და ვუყვირე, — თუ არ გაჩუმდები, შინიდან გაგაგდებ-მეთქი!..

დაკვირვებით შემომხედა. ისეთი ჭკვიანი და დარდიანი თვალები ჰქონდა, შიშმა ამიტანა.

არ ვიცი, რამ მათქმევინა — ვაიმე, შვილო-მეთქი!.. ქეთის მობილურის ნომერი ავკრიფე. არ მიპასუხა. ყოველ ათ წუთში ვრეკავდი. კეშა თვალს არ მაშორებდა.

უცებ მისი ხმა ჩამესმა: „ქეთი, მიყვარხარ... კეშა!“ — და ჩამოვარდა ქანდარიდან... ავიყვანე ხელში — მკვდარი იყო. ავმა წინათგრძნობამ შემიპყრო, რატომღაც საათს გავხედე — ზუსტად თორმეტის ნახევარი იყო. გული წამივიდა! თურმე ამ დროს მოხდა ავარია, რომელმაც ჩემი ქეთის და მისი ორი მეგობრის სიცოცხლე შეიწირა... თუთიყუშმა ეს უბედურება იგრძნო და ამიტომ არ უნდოდა ქეთის „გაშვება“ — ავარიის მომენტში კი გულიც გაუსკდა!..

***ინგა ჯაყელი***

## ტესტი

## ლიტერატურული ნუთშესვენება

**ახლანდელ დაძაბულ ყოველდღიურობაში, წუთიერი გონებრივი განტვირთვა სულიერ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ და მეხსიერებასაც გაგივარჯიშებთ...**

**მართალია, დროთა სვლას ლიტერატურულ გმირთა ახალი სახეები მოჰყვა, მაგრამ არც ძველ, ნაცნობ პერსონაჟებს დაუკარგავთ ძველებური ხიბლი, გნებავთ, აქტუალურობა.**

**ამჟამად შემოგთავაზებთ პოპულარულ ქართულ ლიტერატურულ გმირთა სახელებს. მათი გვარების გახსენებაში კი უკვე ნაცნობი მარცვალვორდი დაგეხმარებათ, სადაც ლიტერატურულ გმირთა გვარები წარმოდგენილია ალფაბეტური თანამიმდევრობით განლაგებული მარცვლების სახით.**

**აქ, მაგალითად: ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული გმირის ილიკოს გვარს („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) იპოვით მარცვალსაძიებელში, მარცვლების სახით: ჩი-გო-გი-ძე.**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კვაჭი | „------------“ |
| 2. | ლუარსაბ | „------------“ |
| 3. | ყვარყვარე | „------------“ |
| 4. | დათა | „------------“ |
| 5. | გვადი | „------------“ |
| 6. | არსენა | „------------“ |
| 7. | აშოტ | „------------“ |
| 8. | შორენა | „------------“ |
| 9. | გრიგოლ | „------------“ |
| 10. | სოლომონ | „------------“ |
| 11. | თორნიკე | „------------“ |
| 12. | აბო | „------------“ |
| 13. | კაკო | „------------“ |
| 14. | სოლომონ ისაკიჩ | „------------“ |
| 15. | ზურიკელა | „------------“ |
| 16. | მუშნი | „------------“ |
| 17. | ილარიონ | „------------“ |
| 18. | გოგი (კუკარაჩა) | „------------“ |

**მარცვალ-მარცვალ საძიებელი ალფაბეტის მიხედვით:**

**ა — ა — აშ — აშ — ბე — ბე — ბიგ — ბლა — დი — დნა — ე — ვა — ვა — ვარ — ვი — ვი — ვი — ვი — ვი — ზა — თა — თა — თაშ — თათ — თბი — თუ — თუ — თუ — კე — კვა — კო — კუ — ლა — ლა — ლაშ — ლე — ლი — ლი — ლი — ლი — ლი — ლი — ლი — ლო — ლონ — მეჯ — მი — მორ — ნუ — ო — პა — რა — რან — რაშ — რი — რი — რის — რო — ტი — ტი — ქა — ღა — შა — შე — შუ — ძე — ძე — ძე — ძე — ძე — ძე — ძე — ძთე — ჭან — ჭი — ხან — ხი.**

## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
თებერვალი რომ დადგება, შაშვი იწყებს გალობასო.

II. წყალი.

## შურისძიება იმ ქვეყნიდან



არტურ კონან დოილი თავის დეტექტივებს აგდებულად უყურებდა და მის ნამდვილ მოწოდებად ფანტასტიკური მოთხრობები მიაჩნდა. მწერალს აქვს ერთი მოთხრობა იმის შესახებ, თუ ეგვიპტიდან ჩამოტანილი უძველესი ქურუმის მუმია ღამღამობით როგორ ნადირობდა ადამიანებზე. თავად კონან დოილი ამტკიცებდა, რომ მიუხედავად ფანტასტიკურობისა, ამ მოთხრობებს ნამდვილი ამბავი ედო საფუძვლად.

ძალიან ბევრი დაიწერა საიქიოდან დაბრუნებული აფრიკელი ზომბების შესახებ, მაგრამ მეცნიერების აზრით, ზომბები ნამდვილი მიცვალებულები არ არიან. უბრალოდ, საგანგებო შხამების საშუალებით ჯადოქრები ადამიანს რამდენიმე დღით ღრმა კატალეფსიაში ამყოფებენ. გონს მოსვლის შემდეგ მისი ტვინის განსაზღვრული მონაკვეთები ბლოკირებული რჩება, ნებისყოფა — დათრგუნვილი და მას შეუძლია მხოლოდ პრიმიტიული ფუნქციების შესრულება. სხვათა შორის ლეგენდის თანახმად, ზომბის სიცოცხლისკენ შემობრუნება შეიძლება, თუკი მას მარილს აჭმევენ.

ცნობილია, რომ ნამდვილი მიცვალებულებიც სულეთიდან თავის მტრებს მოსვენებას უკარგავენ.

პოლინეზიის ერთ-ერთ კუნძულზე ერთ დილას, ზღვის ღმერთის ტაროს ტაძარში იპოვეს მეორე ნაპირიდან მოცურებული მკვდარი აბორიგენი. მიცვალებულს ზევიდან აწვა ბელადის მუმია, რომლის სამარხი ტაძრის გვერდით იყო. მუმიის გამხმარი თითები უბედურ მსხვერპლს ყელზე ჰქონდა შემოჭდობილი.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მისიონერ ჯონ ფრეიზერს აუხსნეს, მიცვალებული ტაძრის გასაძარცვად მოცურდა. სხეულზე უამრავი ავგაროზი ეკიდა, მაგრამ ამან ვერ უშველა. მუმია საფლავიდან წამოდგა და ტაძრის შემბღალავი დასაჯაო.

რა თქმა უნდა, მისიონერმა ეს ამბავი არ დაიჯერა, იფიქრა, კუნძულელებმა თვითონ დაიჭირეს ქურდი, დაახრჩვეს, მუმია კი შესაშინებლად დაადეს გულზეო. აბორიგენებმა ურწმუნო ფრეიზერი მიიყვანეს ბელადის სამარხთან. საფლავის ორტონიანი ქვა განზე იყო გაწეული, არადა ფრეიზერს ახსოვდა, რომ წინა დღეს ქვა თავის ადგილას იდო. მამაცი მუმია ისევ ჩააწვინეს აკლდამაში.

ამერიკელმა ანთროპოლოგმა ენდი დომინიკემ მრავალი წელი გაატარა აფრიკაში, სწავლობდა ადგილობრივი ტომების ცხოვრებასა და წესჩვეულებებს. ნადირობის დროს მასაის ტომის ბელადი დაიღუპა. მიცვალებულის სხეულზე აღმოაჩინეს ღრმა ჭრილობები, რომელიც ლომის ბრჭყალების ნაკვალევს ჰგავდა. ტომის ქურუმს ეჭვი შეეპარა, — ბელადი ნადირის მოკლული არ იქნება, შესაძლოა, თანატომელებმა მოკლესო.

გადაწყდა საგანგებო ცერემონიის ჩატარება. სოფლის ცენტრში მთელმა ტომმა მოიყარა თავი. მიცვალებული ბელადის ნეშტი დაასვენეს ფიცარნაგზე, რომელზეც კიბე ადიოდა.

ტომის ყველა მამაკაცი რიგრიგობით უნდა ასულიყო კიბით ფიცარნაგზე და მიცვალებულისთვის ხელი შეეხო.

ქურუმმა სარიტუალო კოცონი დაანთო, შიგ სურნელოვანი ბალახები ჩაყარა და შელოცვა დაიწყო. მამაკაცებმაც დაიწყეს კიბეზე ასვლა. დომინიკეს უკვირდა, როგორ შეძლებდნენ მკვლელის პოვნას. ამ ფიქრში იყო, როცა შემზარავი ყვირილი გაისმა. ერთ-ერთი მამაკაცი შეშინებული ღრიალებდა და კიბეზე ფართხალებდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მას ვიღაც იჭერდა და გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. როგორც იქნა, მამაკაცი კიბიდან ჩამოგორდა და მიწაზე დაენარცხა. მას მაჯებზე ხელბორკილების მსგავსად შემოსალტვოდა მიცვალებული ბელადის სხეულს მოგლეჯილი ხელები.

რუსეთის ერთ სოფელში შეძლებული კაცი ცხოვრობდა. სიკვდილის წინ, ცოტა ხნით ადრე უძვირფასესი ალმასი იყიდა და ანდერძში დაიბარა — ალმასი კუბოში ჩამატანეთო. მემკვიდრეებმა ცოტა ჭოჭმანის შემდეგ ანდერძი მაინც შეასრულეს.

დაკრძალვის ღამესვე მიცვალებულის ძმისშვილი სასაფლაოზე შეიპარა ალმასის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მისთვის სოფლის მჭედელს დაესწრო და კუბოს უკვე თავს ხდიდა.

როცა მჭედელმა მემკვიდრე დაინახა, ისე ძლიერად ლეწა სახეში, რომ ის მიწაზე უგონოდ გაიშხლართა. მჭედელმა კუბოს სახურავი ახადა და ცხედარზე დაიხარა ალმასის ამოსაღებად... რომ იმავე წამს მას მიცვალებულის ხელები ყელში წვდა.

გონს მოსულმა გარდაცვლილის ძმისშვილმა ეს რომ დაინახა, შიშისაგან გულგახეთქილმა იქიდან მოუსვა და სოფლიდანაც გაიქცა.

***ნიუ-იორკ თაიმსი***

## ფარაონთა „წყევლა“ ბრუნდება...

ლეგენდა ფარაონთა წყევლის თაობაზე ბევრს დაუჯერებლად მიაჩნია. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აკლდამათა მკვლევარების სიკვდილი მიკრობებითა და ბაქტერიებით არის გამოწვეული... თუმცა ყველა მსხვერპლი არ დაღუპულა „უცნობი დაავადებით“.

ახლახან გიზაში აღმოჩნდა ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონისა და მისი მეუღლის სამარხი. აკლდამის კარზე იყო წარწერა: „დიდი ქალღმერთი იზიდა სამგზის წყევლას უთვლის ყველას, ვინც შეურაცხყოფს ამ განსასვენებელს“. მიუხედავად ამისა, იტალიელმა არქეოლოგებმა აკლდამიდან ამოიღეს ყველაფერი, მათ შორის ორი მუმია. რაც შემდეგ მოხდა, შეიძლება ტრაგიკული შემთხვევითობით აიხსნას, მაგრამ ფაქტი ერთია — გაბედული არქეოლოგებიდან შინ ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. ექსპედიციის ხელმძღვანელი მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა კაიროში, ორი დღის შემდეგ მისი მოადგილე შხამიანმა გველმა დაკბინა... დანარჩენებმა მოახერხეს მშვიდობიანად ჩამსხდარიყვნენ მატარებელში, მაგრამ გზაზე საშინელი კატასტროფა მოხდა: მატარებელი რელსებს ასცდა და ყველა მგზავრი დაიღუპა, განძი კი, რომელიც არქეოლოგებს მიჰქონდათ, უკვალოდ გაქრა. იგი ან მაროდიორებმა ჩაიგდეს ხელთ, ან შესაძლოა, ავარია ბოროტმოქმედებმა მოაწყვეს. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ქვეყნიდან განძის გატანას წინ აღუდგა რომელიმე სექტა, რომელიც წინააღმდეგი იყო ეროვნული საუნჯის საზღვარგარეთ წაღებისა და მიაჩნდა, რომ იგი მუზეუმში უნდა ყოფილიყო დაცული.



ეს პირველი შემთხვევა როდია ფარაონთა წყევლის ახდენისა.

ცნობილია ტუტანხამონის აკლდამის გახსნასთან დაკავშირებულ ადამიანთა საშინელი ხვედრი.

ტუტანხამონის აკლდამიდან წამოღებული რამდენიმე ოქროს რელიკვია მემკვიდრეობით ერგება მილიარდერ ონასისის შვილიშვილს ათინა რუსელს. მასაც უნდა ეშინოდეს ფარაონთა წყევლისა, — იუწყება საზღვარგარეთის პრესა.

***მირ ნოვოსტეი №3***



## გასაღები თილისმაა

გასაღები ძველთაგან მიჩნეულია სიბრძნისა და ჯადოსგან დაცვის, მამაკაცური საწყისის სიმბოლოდ.

— ერთი ცალი გასაღები მოგანიჭებთ სიბრძნეს, ხოლო თუ ერთდროულად სამს ატარებთ, — ჯანმრთელობა და სიყვარული არასოდეს მიგატოვებთ.

— წელზე შებმული გასაღები მოგიხსნით თავის ტკივილს, დაგიცავთ შეცდომებისა და იმედგაცრუებისაგან.

— ვერცხლის გასაღები 7 დღე გეკიდოთ მაჯაზე. ეს დაგეხმარებათ, გაიგოთ მნიშვნელოვანი საიდუმლო.

— ოქროს გასაღები (გულქანდის მსგავსად) დაგიცავთ ავი თვალისაგან.

— ლეიბის ქვეშ დადებული მრგვალთავიანი გასაღები აძლიერებს ვნებას და პოტენციას.

— საწოლთან დაკიდებული ნებისმიერი გასაღები განაგდებს კოშმარს და მოგანიჭებთ მშვიდობიან ძილს.

— ლურჯი ბაფთით შეკრული შვიდი წლის უხმარი შვიდი გასაღები დაგიცავთ ქურდებისაგან.

***მეგაპოლის-ექსპრესი №3***

# კოლოსკოვს ქართველების არ ეშინია

## კენჭისყრით ქართველები მეტოქეებზე მეტად იხეირებენ


ვიაჩესლავ კოლოსკოვი

ვნებები დაცხრა, ემოციებმაც გადაიარა და მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს პორტუში არცთუ ძალიან ძლიერი მეტოქეები შეხვდა. თუმცა, ამჯერად ერთი კვირის წინანდელ საკითხებს არ შევეხებით. ფაქტია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურად ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საქმე ის არის, რომ სატელევიზიო კონტრაქტი თითოეულ საფეხბურთო ორგანიზაციას აძლევს საშუალებას გამოთვალონ, რა თანხებს მიიღებენ ამა თუ იმ ქვეყანასთან შეხვედრის შედეგად. ამ თვალსაზრისით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან ღარიბი ქვეყნები.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ცხრილს, თუ რომელ ქვეყანასთან შეხვედრით რა თანხას მიიღებს ჩვენი ფედერაცია:

**ირლანდია — 150.000 გერ. მარკა**
**რუსეთი — 100.000 მარკა**
**შვეიცარია — 250.000 მარკა**
**ალბანეთი — 50.000 მარკა**

თუმცა, შემოსავლების სრული ზღვარი ეს თანხებიც ვერ იქნება, თუკი შემდეგ გარემოებასაც გავითვალისწინებთ: „ტელესპორტი“ (ჩვენი ფედერაციის პარტნიორია — რედ.) თითოეული შეხვედრის შემდეგ თბილისური შეხვედრის დროს მიღებული სარეკლამო შემოსავლებიდან მინიმუმ 10%-ს ჩარიცხავს ფედერაციის ანგარიშზე. წინასწარ კი ამ თანხის დასახელება არავის შეუძლია. მიზეზი მარტივია — რაც უფრო პრინციპულია შეხვედრა, მით უფრო მეტია რეკლამის განთავსების მსურველთა რიცხვი. სტადიონზე ტელეკამერების არეში დაახლოებით 20 ფირმისა თუ ორგანიზაციის ლოგოს განთავსებაა შესაძლებელი. სარეკლამო დაფის ფასი კი, მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1.500-დან 20.000 დოლარამდე მერყეობს. სარეკლამო პრემიალურიც თამაშის შემდეგ გაითვლება.

წინასწარ მხოლოდ იმის თქმა და ვარაუდი შეგვიძლია, რომ საქართველო-რუსეთის მატჩის წინ რუსული (და არა მარტო) კომპანიები, რეკლამის განთავსების მიმართ დიდ ინტერესს გამოიჩენენ, რაც მატჩის მნიშვნელობით აიხსნება. თუკი რუსეთ-შვეიცარიის მატჩს 25 მილიონი უყურებს, საქართველოს ნაკრებთან მატჩს გაცილებით მეტი მაყურებელი ეყოლება. ასეთი აუდიტორია კი რეკლამასაც კარგად „აითვისებს“.

ვცადეთ, დავკავშირებოდით რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს, ვიაჩესლავ კოლოსკოვს და ბედმაც გაგვიღიმა. ასე „გამოცხვა“ ჩვენი მცირედი ინტერვიუ მომავალი მეტოქის შეფთან.

**— ბატონო ვიაჩესლავ, რას იტყოდით...**

— *(მაწყვეტინებს)* კენჭისყრაზე კომენტარი ხომ გავაკეთე?

**— ეს ვიცით და წავიკითხეთ. სხვა რამ გვაინტერესებს. თქვენი ოპტიმიზმი რას ეყრდნობა?**

— ჩვენი ნაკრების რეალურ ძალას.

**— თითქმის ყველა „რუსულ“ კომენტარში ჩანს შეშფოთება საქართველოსთან მომავალი შეხვედრის გამო. თქვენი აზრით, მიზეზი პოლიტიკაშია საძებარი თუ ჩვენი ნაკრების ძალაში?**

— ჩვენი პრესა ათას რამეს წერს. ვის რისი შიში აქვს და ვის — რისი. მე პირადად ეს შეშფოთება უსაფუძვლოდ მიმაჩნია. 1998 წელს რუსეთის ნაკრების სტუმრობის წინაც ასეთივე საუბარი იყო, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მსგავსი მასპინძლობა ჩვენი გუნდისთვის ბევრ ქვეყანაში არც გაუწევიათ. პოლიტიკოსები თავის საქმეს აკეთებენ, სპორტსმენები კი მაინც არ ივიწყებენ ძველ მეგობრობას.

რაც შეეხება მატჩის სპორტულ მნიშვნელობას, შეშფოთების საფუძველი ამ თვალსაზრისით ნამდვილად გაგვაჩნია. საქართველოს ნაკრები უხერხული მეტოქეა.

**— თქვენი პროგნოზი?**

— *(იცინის)* ჩემი პროგნოზით ორივე ნაკრები პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

**— რომანცევთან კონფლიქტმა ხელი თუ არ შეგიშალათ...**

— კონფლიქტი ზოგიერთი ჟურნალისტის მოგონილია. სინამდვილეში ჩვენ ერთი ქვეყნის საქმეს ვემსახურებით და ამდენად, რომანცევთან საერთო მეტი მაქვს, ვიდრე გასაყოფი.

**— ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ჩატარება რუსეთში კი გსურთ, მაგრამ ამ გზაზე დაბრკოლებად მიიჩნიეთ უეფას გენერალური მდივანი, აიგნერი — მას რუსეთში ომის დროს მამა დაეღუპა და ჩვენი ქვეყანა სძულსო.**

— ვერ ვიტყვი, რომ სძულს, მაგრამ ფაქტია, ფაშისტური გერმანიის შემოსევისას მამამისი ნამდვილად რუსეთში დაიღუპა... რას ვიზამთ, ადამიანები ვართ და ვერც ადამიანურ ტკივილს გავექცევით...

**— აიგნერს რომ შევეშვათ, იუჰანსონიც შოტლანდიის კანდიდატურას ემხრობა.**

— არა მგონია, რუსეთი ასე განწირული იყოს. ბოლოს და ბოლოს, უეფას წევრია თერთმეტივე პოსტსაბჭოური ქვეყანა... იმ დროისთვის ყაზახეთიც უეფაში გაწევრდება... უეჭველად ჩვენ ამოგვიდგება მხარში.

**— თანადგომას პუტინიც გპირდებათ?**

— ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ ეჭვი არ მეპარება მის თანადგომაში.

**— „G14“-ისა და „ატლანტიკური ლიგის“ დაარსების მცდელობამ თქვენც ხომ არ დაგაფიქრათ მსგავსი რეგიონული გაერთიანების, ანუ ექსსაბჭოელთა ერთ ლიგად გაერთიანების თაობაზე?**

— ჯერ ერთი, მე ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ვარ და ასეთ სეპარატისტულ იდეებს ვერ მივემხრობი. ახლა მეორე მიზეზსაც გეტყვით: საერთაშორისო კალენდარი ისეთი გადატვირთულია, ამაზე ფიქრი არარეალურად მიმაჩნია.

## გასწორება

### მკვლელი კი არ დაუნახავს...

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებია: რუსთაველზე ჩხუბი ათმა კაცმა რომ ნახოს, ათივე თავისებურად აღწერს მომხდარსო. სამწუხაროდ, მკითხველიც არაერთგვაროვნად აღიქვამს ნაწერს. ასე მოხდა „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიის — „ვინ მოკლა დადიანი?“ შემთხვევაშიც.

მასალაში ეწერა, რომ კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მკვლელობას უშუალოდ არავინ შესწრებია. არასწორი ინტერპრეტაციის გამო საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, კობა ჟორჟიკაშვილი ეჭვის ობიექტად იქცა. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებთ, რომ ბატონი კობა მკვლელის დაკავების მიზნით შენობიდან კი გამოვარდა, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე გაქცეული იყო და ჟორჟიკაშვილმაც ვერ დაინახა...

*ლაშა დუმბაძე*



# მიშა ქორქია:

## პოლიტიკოსის რანგში უფრო მივხედავ სპორტს

მიხეილ ქორქია, ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში, საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ დამფუძნებელი და ბიზნესმენი ქართული სპორტის განვითარებაზე ბევრს ფიქრობს და წუხს. თუმცა, ნუგზარ ჯულელის თქმისა არ იყოს, გინდა ახტი, გინდა დახტი, ტკაჩენკო მაინც ტკაჩენკოა. მიხეილ ქორქიასა და ნებისმიერი ჩვენგანის „ტკაჩენკო“, ანუ გადაულახავი ბარიერი მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყანაა, რომელიც ქორქიასნაირ ენთუზიასტებს გულს უკლავს. ამიტომაც გადადგა ქართული და მსოფლიო სპორტის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა არაორდინარული ნაბიჯი — გადაწყვიტა პოლიტიკოსობა. თუმცა, საინტერესოა, დღეს რას საქმიანობს **მიხეილ ქორქია**: — მე დღემდე ვარ „ტორპედოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამ კლუბში დიდი საქმეები გაკეთდა, ჩემპიონები და თასის მფლობელები გავხდით. მართალია, თანამეგობრობის თასზე ვარსკვლავები ვერ მოვწყვიტეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მაინც გამოჩნდა — „ტორპედო“ შარშანდელთან შედარებით გაძლიერდა. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მომავალში კლუბი კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგანაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ხმები იმის თაობაზე, თითქოს „ტორპედო“ მეპატრონის გარეშე დარჩება. სასაცილოა ეს ხმები. გუნდი ძლივს გაძლიერდა და რატომ უნდა მივატოვოთ, ვერ ვხვდები.

**— „დინამოს“ გაძლიერების ფონზე „ტორპედოს“ მომავალს საფრთხე არ დაემუქრება?**

— არავითარ შემთხვევაში. იმედაძე და აშვეთია წავიდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს „ტორპედოს“ დაშლას. საფრთხეს ჩვენ „დინამოს“ გაძლიერება კი არა, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გვიქმნის. როდესაც უცხოეთში ვთამაშობთ, ახალგაზრდა ბიჭებს 50 ათასი მაყურებლის ზეწოლის გაძლება უჭირს, რადგანაც მათ საქართველოში 2-3 ათასი კაცი თუ უყურებს და დაძაბულობას შეუჩვევლები არიან. რაც შეეხება „დინამოს“ გაძლიერებას, ეს ქართული ფეხბურთისთვის უკეთესიც იქნება. თუმცა მისი მეპატრონის შესაძლებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა, საქართველოს პირველობაზე კონკურენცია მოისპოს. ასევე მოხდება კალათბურთშიც. ნახავთ, მცირე ხანში ამ სახეობაში როგორი დადებითი ძვრები მოხდება.

**— მერედა, განა კონკურენციის არარსებობამ არ მოკლა ქართული ფეხბურთი და საერთოდ სპორტი?**

— არ გვიჯობს ერთი კარგი გუნდი მაინც გვყავდეს, ვიდრე ყველა უპრეტენზიო? თუ ძლიერი ჩემპიონატი გვსურს, ქველმოქმედებაზე კანონია მისაღები. მანამდე ბიზნესმენები მოერიდებიან მასობრივად ფულის დაბანდებას. როდესაც დავინახე, რომ ამ საქმეს არ დაადგა საშველი, ამიტომაც წავედი პოლიტიკაში. იქნებ ახლა მაინც შეისმინონ სპორტული საზოგადოების გულისტკივილი. სპორტული დონიდან პრობლემას ველარ ვერევით.

**— ამ პრობლემების შესახებ თუ იცოდით, რისი იმედით გსურდათ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევა?**

— მე და ჩემმა მეგობრებმა „ტორპედოშიც“ მოვახერხეთ ფულის დაბანდება და მოზიდვა. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაც არ მსურდა უსაფუძვლოდ. მეგობარი ბანკირები ფინანსურ დახმარებას მპირდებოდნენ.

**— მერედა ბანკირებს ქართული კალათბურთიდან რა მოგება ექნებოდათ, როდესაც ევროპული კალათბურთიც წამგებიანად არის მიჩნეული?**

— პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემთხვევაში, ჩამოყალიბდებოდა ფონდი, რომელშიც ბანკირები გაერთიანდებოდნენ.

**— რა თანხის ჩადებაზე იყო საუბარი?**

— მისვლისთანავე ფედერაციის ანგარიშზე 800 ათასი დოლარი ჯდებოდა. თუკი საჭიროება მოითხოვდა, დაფინანსებას ყოველწლიურად 20-25%-ით გაგვიზრდიდნენ. თქვენი აზრით, ყოველ წელს 800.000 დოლარი ჩვენს კალათბურთს აწყენდა? წარსულია და ბევრი ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ გაჩეჩილაძისგან განსხვავებით, ჩემებმა არ ისურვეს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა, მათ არ სჭირდებოდათ ეს. თუმცა, პრეზიდენტად არჩეული ბესო ლიპარტელიანი ჩემი მეგობარია და ღმერთმა ქნას, რომ საქმეააწყოს. ისე კი, კალათბურთისთვის სჯობდა, ორივე ერთად ვყოფილიყავით.

**— კი მაგრამ, ლიპარტელიანმა გაპრეზიდენტების შემდეგ თანამშრომლობა ხომ შემოგთავაზათ?**

— ჩემებს პრეზიდენტად ქორქია სურდათ და არა ლიპარტელიანი, ამიტომაც ჩემს მისვლას ფედერაციაში აზრი აღარც აქვს. ლიპარტელიანი ძალიან კარგი ბიჭია და მართლა დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ახლა ფინანსებით ველარ დავეხმარები. ბანკირთა წრე მე მენდობა. რა თქმა უნდა, უნდობლობით არ უყურებენ ლიპარტელიანს, მაგრამ მეგობარი და სხვა ვინმე, ერთმანეთისგან განსხვავდება.

**— კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ სპორტის განვითარება?**

— სასურველი იქნება, გაერთიანდეს სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტები და მან საკუთარ თავზე აიღოს ლატარიის გათამაშებებისა და ტოტალიზატორების ორგანიზება, აქედან მიღებული შემოსავლები კი მოხმარდეს სპორტს. აბა, დღეს რაც ხდება, ტრაგედიის გარდა რა ეთქმის? სომხეთში სპორტისთვის 10 მილიონ დოლარს იმეტებენ, აზერბაიჯანში — 12-ს, საქართველოში კი, ჰგონიათ, მილიონი დოლარიც გვეყოფა. ჯანო ბაგრატიონმა პარლამენტარებს უთხრა, ამ თანხას მაინც ვერ გავანაწილებთ და თქვენთვის დაიტოვეთო. ადრე მილანში, მიუნხენსა თუ ლონდონში ამაყად დავდიოდი, მაგრამ ახლა ქართველობის გამო, წამგებიანი მენტალიტეტი, არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩნდა. დიეგო მენეგინი ჩემთან სახლში ჭიქას მიჭახუნებდა, ბედნიერი ვარ, რომ არ გიჭირსო, შემრცხვა, გავწითლდი, არ მინდა ვინმეს ვეცოდებოდე, გესმით ჩემი? ამ დროს სპორტისადმი ასეთ ცინიკურ მიდგომას ვხედავ, აღარ მინდა მხოლოდ სპორტში დარჩენა. ამ სფეროს პოლიტიკოსის რანგით უფრო მივხედავთ მეც და ნებისმიერი სხვა სახელიანი ადამიანიც.

*მოამზადა ლაშა დუმბაძემ*


# ბუასილი—უსისხლოდ დაძლეული პრობლემა

ტკივილი და დისკომფორტი ბუასილის დროს ბევრისათვის არის ნაცნობი. ყოველი მე-9 ადამიანი ამ დაავადების მსხვერპლი ხდება. უახლესი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუასილის წარმოშობის ძირითად მიზეზს სისხლის მიმოქცევისა და შორისის კუნთების ფუნქციის დარღვევა წარმოადგენს.

ასეთი სახის დარღვევები უმეტესწილად ვითარდება ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორიც არის მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, სპორტსმენები (სიმძიმეების აწევა), ე. წ. „მჯდომარე” პროფესიის მქონე პირები. ასევე, მშობიარობა და ხშირი შეკრულობები ბუასილის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ბუასილისათვის, ტრადიციულად, დამახასიათებელია ორი ძირითადი სიმპტომი: სისხლდენა (51%) და კვანძების გამოვარდნა (37%). აგრეთვე აღინიშნება დისკომფორტი, ტკივილი, ქავილი და ლორწოვანი გამონადენი.

ბუასილს შეიძლება ჰქონდეს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ბუასილის დროს აუცილებელია კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებაში და „გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის“–კოლიტის მკურნალობაში, რომელიც აღენიშნება დაავადებულთა ნახევარზე მეტს.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი” დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტულ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სწორი და მსხვილი ნაწლავის ფლორაზე და პერისტალტიკაზე, ჰიდროფილურ კოლოიდებს და სხვა, ვინაიდან, ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის რეგულაცია და მისი ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში, წარმოადგენს ბუასილის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელ წინაპირობას.

კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ლაზერომაგნიტური და კვანტური თერაპია, სისხლის სტიმულაცია ლაზერით. გარდა ამისა „ექიმი გილი” გთავაზობთ ბუნებრივი და მცენარეული პრეპარატების ფართო არჩევანს, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მიღწეულ იქნას მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი.

კონსერვატიული მკურნალობა ნაჩვენებია ბუასილის ქრონიკული მიმდინარეობის დაწყებით სტადიაში და მწვავე მიმდინარეობის დროს. მკურნალობა მოიცავს საერთო და ადგილობრივ თერაპიას. ადგილობრივი თერაპია მოიცავს ტკივილითი სინდრომის ლიკვიდაციას, ჰემოროიდალური კვანძების თრომბოზის, ანთების და სისხლდენის მკურნალობას.

ზოგადი თერაპია ითვალისწინებს ფლებოტროფული პრეპარატების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ამაღლებს ვენების ტონუსს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიკროცირკულაციას კავერნოზულ სხეულებში.

ბოლო წლებში, მედიცინაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი პრეპარატების შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში ტიპური ოპერაცია ბუასილის დროს,უტარდება პაციენტთა მხოლოდ 17%–20%-ს; უმეტესწილად გამოიყენება ე. წ. ნაკლებინვაზიური (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდები.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი” აღჭურვილია თანამედროვე, უნიკალური აპარატურით, ზემოთ აღნიშნული უსისხლო „ოპერაციების” ჩასატარებლად ამბულატორიულ პირობებში. ასეთი მეთოდიკა თავიდან აცილებს პაციენტს ნარკოზს, საავადმყოფოში ყოფნას და რაც მთავარია, მტანჯველ ტკივილებს, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი ოპერაციის შემდგომ პერიოდს. მათ, ვისთვისაც ბუასილი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და მოუცილებელ ჭირად ქცეულა, დღეს ეძლევათ უნიკალური საშუალება უკან მოიტოვონ დისკომფორტითა და ტკივილით გატანჯული დღეები. ნუ იტყვით უარს ჯანმრთელ და აქტიურ ცხოვრებაზე.

**სამედიცინო ცენტრი**
**”ექიმი გილი”**
**ტ: 29-05-25 25-27-09**
**ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5**

# ქინქლაძის კლუბს ახალი მწვრთნელი ჰყავს

გიორგი ქინქლაძის გუნდის, ინგლისური „დერბი ქაუნთის“ ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი ჯონ გრეგორი, რომელიც აქამდე „ასტონ ვილას“ ედგა სათავეში. ბირმინგემული კლუბიდან გრეგორი რამდენიმე დღის წინ წამოვიდა „ასტონ ვილას“ პრეზიდენტთან დუგ ელისომთან უთანხმოების გამო. შეგახსენებთ, რომ „დერბი“ ამჟამად პრემიერლიგის აუტსაიდერთა შორის იმყოფება და უმაღლესი ინგლისური დივიზიონის დატოვების რეალური კანდიდატია. ასე რომ, „ცხვრების“ ახალ მწვრთნელს მისთვის ცოტა არ იყოს უჩვეულო ამპლუაში — პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის მოუწევს ბრძოლა. ***(სხვათა შორის, გრეგორის თავკაცობით პირველი მატჩი „დერბიმ“ შაბათს 1:0 მოიგო შინ „ტოტენჰემთან“).***

# ლინენი მიდის, დაუმი მოდის?



უმწვრთნელოდ დარჩა კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერის — არჩილ არველაძის კლუბიც — გერმანიის „კიოლნი“. არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გუნდიდან დაითხოვეს ევალდ ლინენი, რომელმაც სამიოდე წლის წინ „კიოლნი“ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადმოიყვანა. „დერბი ქაუნთისა“ არ იყოს, არც „კიოლნია“ კარგ დღეში და ბუნდესლიგის დატოვება ემუქრება. კლუბი ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის გარეშე ვარჯიშობს. გერმანიაში უკვე საუბრობენ, რომ არჩილ არველაძის კლუბს უახლოეს მომავალში სკანდალურად ცნობილი გერმანელი სპეციალისტი, კოკაინის დიდი მოყვარული კრისტოფ დაუმი ჩაიბარებს. დაუმი ამჯერად თურქულ „ბეშიქთაშში“ მუშაობს, თუმცა მისი თურქული კარიერა არც ისე წარმატებულად წარიმართა, როგორც თურქები ელოდნენ. „ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელობა გერმანელი მწვრთნელის გათავისუფლებას აპირებს. ასე რომ, მისი სამშობლოში დაბრუნება სავსებით რეალურია.

# მენდიეტა სამშობლოში ბრუნდება?

ესპანური გაზეთის, „მარკას“ ცნობით, ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გაისკა მენდიეტა უახლოეს დღეებში იტალიიდან სამშობლოში დაბრუნდება. მენდიეტა, რომელიც სეზონის წინ „ვალენსიადან“ 48.000.000 ევროს საფასურად „ლაციოში“ გადავიდა, რომაული კლუბის ყველაზე ძვირი შენაძენი გახლდათ. მიუხედავად ამისა, მან „ლაციოში“ თავი ვერაფრით გამოიჩინა და ესპანეთში დაბრუნება გადაწყვიტა, წინააღმდეგი არც რომაული კლუბის ხელმძღვანელობაა. სავარაუდოა, რომ მენდიეტა, კარიერას არა „ვალენსიაში“, არამედ ბილბაოს „ატლეტიკში“ გააგრძელებს, რომელიც ამჟამად პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ლიდერია. შეგახსენებთ, რომ მენდიეტა ეროვნებით ბასკია, „ატლეტიკში“ კი მხოლოდ და მხოლოდ ბასკები თამაშობენ.

# იუჰანსონს კონკურენტები არ ჰყავს

მიუხედავად იმისა, რომ უეფას ამჟამინდელ პრეზიდენტს, შვედ ლენარტ იუჰანსონს არაერთხელ უთქვამს, რომ პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში კენჭს არ იყრიდა, უკვე გადაწყვეტილია, რომ იუჰანსონი მინიმუმ კიდევ ოთხი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს ევროპულ ფეხბურთს. საქმე ის გახლავთ, რომ მომავალ არჩევნებში, რომელიც 25 აპრილს უნდა გაიმართოს სტოკჰოლმში, შვედს კონკურენტი საერთოდ არ ჰყავს. იუჰანსონის პოსტის დაკავების მსურველთ 25 იანვრამდე უნდა წარედგინათ საკუთარი კანდიდატურა. უეფას პრეზიდენტობის სურვილი კი არავის გამოუთქვამს. ასე რომ, 25 აპრილის არჩევნები უკვე ფორმალობად იქცა.

# ბა კვლავ «მილანშია»

კახი კალაძის „მილანში“ კრიზისი გრძელდება. გუნდს, რომელიც სეზონის წინ ჩემპიონობას გეგმავდა, პირველ ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც სანატრელი გაუხდა. კრიზისს ისიც დაერთო, რომ ველარც ანდრეი შევჩენკო თამაშობს ძველებურად, ტრავმირებულია ფილიპო ინძაგიც. ამ ორი ფეხბურთელის გარეშე კი მილანის თავდასხმა კაპიკის ფასია. კლუბის ხელმძღვანელობამ შეტევის ხაზის გასაძლიერებლად გადაწყვიტა, მარსელის „ოლიმპიკიდან“ დაიბრუნოს იბრაჰიმ ბა, რომელიც იტალიურმა გრანდმა მარსელში ორი წლის წინ გაანათხოვრა. „ბედნიერი ვარ, რომ კვლავ „მილანში“ ვითამაშებ, იმედი მაქვს, კლუბის მომავალ წარმატებებში ჩემს წვლილს შევიტან“ — განაცხადა გახარებულმა ბამ.



# „პროსტმა“ არსებობა შეწყვიტა

არსებობა შეწყვიტა „ფორმულა 1“-ის საკმაოდ ცნობილმა გუნდმა, რომელიც სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სახელს — „პროსტს“ ატარებდა. ვერსალის საარბიტრაჟო სასამართლომ „პროსტის“ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება გასულ კვირაში მიიღო. გუნდის შეფმა — ლეგენდარულმა ავტომრბოლელმა ალენ პროსტმა, რომელიც ფორმულა 1-ის სამყაროში „პროფესორის“ სახელით არის ცნობილი, ვერსად გამოძებნა $28 მილიონი ვალების დასაფარავად. „პროსტის“ ლიკვიდაცია მხოლოდ ზემოთ ნახსენები თანხის უქონლობას არ გამოუწვევია. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდს ხელფასებისათვის, საგზაო ხარჯებისათვის, ბოლიდების დამზადებისათვის და ა.შ. მინიმუმ $60 მილიონი სჭირდება. იყო საუბარი, თითქოს რომელიღაც იტალიური კომპანია თავის თავზე იღებდა ვალების დაფარვას და შემდგომში „პროსტის“ სპონსორობას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ყველაფერი ალენ პროსტის საწინააღმდეგოდ გადაწყდა.

# «ფერარი» დაითარსა?



„ფორმულა 1“-ის მსოფლიო ჩემპიონი — „ფერარის“ გუნდი, ამჟამად ბარსელონაში იმყოფება და ახალი სეზონისათვის ემზადება. გასულ სამშაბათს გუნდის ლიდერმა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა ტესტ-გარბენი გამართა და საუკეთესო დროც აჩვენა. ოთხშაბათს კი „ფერარის“ მრავალრიცხოვანი ფანი გვარიანად ანერვიულა. ბარსელონას ტრასის ერთ-ერთ მოსახვევში „შუმიმ“ საჭე ვერ დაიმორჩილა და დიდი სიჩქარით შეასკდა საბურავებიან დამცავ კედელს. მანქანა საკმაოდ მნიშვნელოვნად დაზიანდა, მაგრამ თავად შუმახერი უვნებლად გადარჩა. იმავე დღეს, ავარიაში მოჰყვა „ფერარის“ მეორე პილოტიც — ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოც. ტრავმა არც ბარიკელოს მიუღია, მაგრამ შუმახერის მანქანის მსგავსად, მისი ბოლიდიც მნიშვნელოვნად დაზიანდა.

# „დინამო“ სერიოზულად ემზადება

კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნებული საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ შაბათს იტალიაში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში სულ 16 კლუბი ითამაშებს. „დინამო“ B ჯგუფში მოხვდა, სადაც თბილისელებთან ერთად იტალიური „უმბრო“, ლვოვის „კარპატი“ და იუგოსლავიის „ჩიკარიჩკი“ გამოვა. პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი მეოთხედფინალიდან გააგრძელებს ბრძოლას. ტურნირი იმით არის საინტერესო, რომ სწორედ იტალიაში შედგება ხორვატი ივო შუშაკის დებიუტი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში. რაც შეეხება 7 ბრაზილიელს, რომელიც „დინამოში“ ისინჯებოდა, სავარაუდოა, რომ ქართულ კლუბთან კონტრაქტს არც ერთი მათგანი არ გააფორმებს, ყოველ შემთხვევაში, არადამაკმაყოფილებელი მომზადების გამო, ოთხი მათგანი უკვე გაისტუმრეს შინ. „დინამომ“ შევსება მაინც მიიღო. თბილისის „ლოკომოტივიდან“ კლუბმა 50.000 დოლარად შეიძინა 29 წლის გიორგი ანჩაბაძე, რომელიც 1992-97 წლებშიც იცავდა საქართველოს საუკეთესო გუნდის ღირსებას, შემდეგ კი ისრაელს მიაშურა. „დინამოს“ ხელმძღვანელობას $150.000 დაუჯდა „ვიტ ჯორჯიადან“ 24 წლის ალეკო გოგობერიშვილის გადმოყვანა. საუბარია მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ზაზა ჯანაშიას გადმოყვანაზეც და როგორც ამბობენ, არც ჯანაშია ყოფილა უარს. გადამწყვეტი სიტყვა „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობაზეა. თუ მხარეები მორიგდნენ, მომავალ სეზონს ზაზა ჯანაშია „დინამოს“ რიგებში დაიწყებს.

# რობერტო ბაჯოს კარიერა დასრულდა?




ბედი არ სწყალობს იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავს რობერტო ბაჯოს და როგორც ჩანს, არც მის ოცნებას უწერია ასრულება — მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საქმეს ასეთი პირი უჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ „ბრეშასა“ და „პარმას“ სათასო შეხვედრაში ბაჯომ მძიმე ტრავმა მიიღო — მოულოდნელად ჩაიკეცა, თანაც ისე, რომ მას არავინ შეხებია. ანალოგიური ტრავმა მიიღო ადრე რონალდომაც და მოგეხსენებათ, წელიწადნახევარი მკურნალობდა. სავსებით შესაძლებელია, რომ რონალდოსთან შედარებით გაცილებით ასაკოვანი იტალიელისათვის ეს ტრავმა საბედისწერო და კარიერის დასრულების მომასწავებელიც იყოს. საბოლოო პასუხს ექიმები უახლოეს დღეებში გამოაცხადებენ.

# მოღალატე

პრემიერლიგის „ლივერპულსა“ და „ევერტონს“ ისეთივე „თბილი ურთიერთობა“ აქვთ, როგორც ესპანეთში „რეალსა“ და „ბარსელონას“, იტალიაში „მილანსა“ და „ინტერს“, გერმანიაში „ბაიერნსა“ და „მიუნხენ 1860“-ს. „ლივერპულისა“ და „ევერტონის“ ფანები დასანახავადაც ვერ იტანენ ერთმანეთს. ამ ორი გუნდის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ოთხად ოთხი შემთხვევა მომხდარა ისეთი, რომელიმე ფეხბურთელი „ლივერპულიდან“ „ევერტონში“ ან პირიქით — „ევერტონიდან“ „ლივერპულში“ გადასულიყო. პორტუგალიელმა მცველმა აბელ შავიერმა „ევერტონი“ დატოვა და მოსისხლე ბანაკში გადაბარგდა, მისი თანამემამულის ლუიშ ფიგუს მსგავსად, რომელმაც ორიოდე წლის წინ „ბარსელონას“ მაისური „სამეფო კლუბისაზე“ გაცვალა. აბელ შავიერმა სახელი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე გაითქვა, ფრანგებთან ნახევარფინალური მატჩი პორტუგალიის ნაკრებმა სწორედ შავიერის მიერ „აკიდებული“ პენალტის გამო დათმო.



# აგასი მწვრთნელს განუდგა

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, ამერიკელი ანდრე აგასი თავის მწვრთნელს, ბრედ ჯილბერტს დასცილდა, რომელთან ერთადაც უკანასკნელი რვა წლის მანძილზე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში, აგასიმ „დიდი მუზარადის“ ექვსი ტურნირი მოიგო, თითქმის მუდმივად იმყოფებოდა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ხუთეულში, 1999 წელს კი სათავეში ედგა რეიტინგს. „ჯილბერტი უნიჭიერესი მწვრთნელია, მასთან ერთობლივი მუშაობის წლებში მიღწეული წარმატებები სწორედ ჯილბერტის დამსახურებაა“ — ამაგი დაუფასა აგასიმ მწვრთნელს. არც ჯილბერტს დაუშურებია შეგირდისათვის კეთილი სიტყვები: „ანდრე აგასი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელია. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ამდენი წელიწადი ვიმუშავე, მიუხედავად იმისა, რომ მისი მწვრთნელი აღარ ვარ, ჩვენი მეგობრობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება“.

# ტაისონს განაჩენი გამოუტანეს



„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ მაიკ ტაისონმა ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე მუშტი-კრივი გაუმართა ლენოქს ლუიქსსა და მის ამალას, რის გამოც თანამედროვეობის ორი უდიდესი მოკრივის ბრძოლის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ტაისონის ამ საქციელზე გასულ სამშაბათს იმსჯელა სპეციალურმა კომისიამ, შედეგად „რკინის მაიკს“ სამუდამოდ აეკრძალა ნევადის შტატში ბრძოლის გამართვა. ტაისონისა და ლუისის ჩხუბი, რომელიც 6 აპრილს ლას-ვეგასში უნდა გამართულიყო, ავტომატურად გამოირიცხა. მსჯელობამ თითქმის სამ საათს გასტანა, ტაისონის ინტერესების დამცველის დიდი მცდელობის მიუხედავად, კომისიის ხუთი წევრიდან ოთხმა ტაისონი დამნაშავედ ცნო. თავად მაიკი კი, მიხვდა, რომ საქმე მის სასიკეთოდ არ გადაწყდებოდა და ნაადრევად დატოვა დარბაზი; ხოლო მანამდე ლენოქს ლუისს ლაჩარი და მშიშარა უწოდა — აქაოდა ჩხუბის პროვოცირება ლუისმა მოაწყო და მეც ანკესს წამოვეგეო. მოკლედ, ტაისონს არავინ დაუჯერა და შტატების ტერიტორიაზე მისი კრივი ფაქტობრივად გამოირიცხა. საკრივო სამყარო უმალ ალაპარაკდა „საუკუნის ბრძოლის“ გამართვაზე ბრიტანეთში, ან დანიაში. ჭორებს უმალ გამოეხმაურა ლენოქს ლუისი და განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ლას-ვეგასში „დაუნაყავს“ ცხვირ-პირს ტაისონს, თუ კოპენჰაგენში. ასე რომ, სიტყვა კვლავ ბრძოლის ორგანიზატორებზეა. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ტაისონისა და ლუისის ჰონორარი, რომელიც ჩხუბის ლას-ვეგასში გამართვის შემთხვევაში, $150 მილიონს შეადგენდა, ამერიკულმა ტელეკომპანიებმა უნდა გაიღონ. მოისურვებენ კი ისინი ამხელა თანხის გადახდას ბრძოლის ევროპაში გამართვის შემთხვევაში?

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეb2-b3!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს [illegible] სვლაში.



## უმწეო ძლიერი სქესი

მექსიკის პოლიციაში ახლახან განიხილეს განცხადება, რომელიც დაზარალებულმა შეიტანა. განხილვისას თურმე პოლიციელები ღიმილს ძლივს იკავებდნენ...

ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა ზორბა მამაკაცმა უჩივლა საკუთარ ცოლს. საბრალო ირწმუნებოდა, სხვა გზა, გარდა ძალოვანი სტრუქტურებისა, აღარ დამრჩა ჩემი ცოლის მოსათვინიერებლადო. განცხადებაში დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი, რომ მისი ძვირფასი მეორე ნახევარი თურმე შესაშური გულმოდგინებით სრულყოფდა კარატეს ილეთებს მასზე, უშვერი პირით ლანძღავდა და მერე კი ნაცემს ცოლქმრული მოვალეობის ხარისხიან და დაუყოვნებლივ შესრულებას სთხოვდა. პოლიციელებმა „მებრძოლ“ ქალბატონს პროფილაქტიკური საუბარი ჩაუტარეს, მაგრამ დარწმუნებულნი არ არიან, რომ ეს შედეგს გამოიღებს.

ოჯახური ძალადობა მექსიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა — უმეტესად მისი მსხვერპლნი ქალები იყვნენ ხოლმე. ახლა სტატისტიკური მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ როლები შეიცვალა — ქალები თავიანთ ინტერესებს სხვადასხვა ხერხით — ტაფებით, ჩაქუჩებითა და სპორტის სხვადასხვა სახეობის გამოყენებით იცავენ.

***ეხო პლანეტი №3***

## ქალბატონი გენერალი



თალიბებმა იგი სამსახურიდან დაითხოვეს. ქაბულში საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, როცა განუცხადეს „მსოფლიოში ყველაზე სუფთა ისლამურ სახელმწიფოში“ ქალები არ უნდა მუშაობდნენო. გავიდა რამდენიმე თვე და ისევ იხმეს სამხედრო ჰოსპიტალში — სოჰეილა სიდიკი ავღანეთში ერთ-ერთი საუკეთესო ქირურგია. თალიბთა რეჟიმის დამხობის შემდეგ, ავღანეთის გარდამავალ მთავრობაში 60 წლის ტაჯიკ ქალბატონს ჯანმრთელობის მინისტრის პოსტი შესთავაზეს. 80-იან წლებში, როცა ავღანეთში ქალებს ჯერ კიდევ ნიშნავდნენ მაღალ თანამდებობებზე, სამხედრო ექიმს სიდიკის სამედიცინო სამსახურის გენერლის წოდება მიანიჭეს. ბევრი ახლაც ასე მიმართავს — გენერალი.

1992 წლის შემდეგ, როცა ავღანეთი სამოქალაქო ომის ქაოსში ჩაიძირა, სოჰეილა სამშობლოში დარჩა.

ახლა კი გენერალ სოჰეილა სიდიკიმ ფეხზე უნდა დააყენოს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რაც 20-წლიანმა ომმა სრულიად გაანადგურა. სოჰეილა სიდიკი თურმე ძალზე წუხს — მინისტრის პოსტმა საყვარელი პროფესიისთვის დრო აღარ დაუტოვა.

***ეხო პლანეტი №1***

## პავაროტი სცენას ტოვებს?



ლონდონის კოვენტ-გარდენის თეატრში, პუჩინის ოპერა „ტოსკას“ ოთხ წარმოდგენაზე თვალის დახამხამებაში გაიყიდა ბილეთები. კლასიკური მუსიკის მოყვარულები არც იმან შეაფერხა, რომ ბილეთების ფასი 400 დოლარს აღწევდა.

აჟიოტაჟი გამოიწვია გავრცელებულმა ხმებმა, თითქოს ამ სპექტაკლში უკანასკნელად იმღერებდა იტალიელი ტენორი ლუჩანო პავაროტი.

68 წლის მომღერალმა ამას წინათ დედა დაკარგა — ყველაზე დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი, ახლა იგი სულ უფრო ხშირად ფიქრობს სცენიდან წასვლაზე. პავაროტი ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება მის ხმაზე: იგი არ არის დარწმუნებული, რომ კიდევ დიდხანს შეძლებს ასეთი მაღალი ნოტების აღებას. ამიტომ საჭოჭმანო გახდა, ჩაატარებს თუ არა იმ 25 კონცერტს, რომელიც უახლოეს ექვს თვეში აქვს დაგეგმილი.

პავაროტის ოცნებაა საკუთარი თეატრი გახსნას მშობლიურ მოდენაში. პენსიაზე გასვლის შემდეგ სწორედ მის მშენებლობას დაიწყებს მსოფლიოს უდიდესი ტენორი.

***კომსომოლსკაია პრავდა №4***

## ფრთაშესხმული ოცნება



— შენზე მდიდარი ჩინელებიც არიანო, მეუბნებიან, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი ვინმე არ შემხვედრია, — იღიმება ლი კენ ფუ. იგი ჯერ 40 წლისაც არ არის. დაიბადა შანხაის პატარა სოფლის ღარიბ ოჯახში. 1982 წელს უბრალო ელექტრომექანიკოსმა ნამდვილი ინდუსტრიული რევოლუცია მოახდინა სულ რაღაც 5000-ოდე იუანით! იყიდა პატარა გაკოტრებული საფეიქრო საწარმო და მუშაობას შეუდგა. გენიალური იდეების წყალობით და კომუნისტური წყობის ხელშეწყობით, მალე იმდენ ფულს მოუყარა თავი, რომ იაპონიაში საბეჭდი დაზგა შეიძინა და დაიწყო სხვადასხვა პროდუქციის გამოცემა. მოკლე ხანში ქვეყნის უპირველეს გამომცემლად იქცა და მილიარდერიც გახდა.

ლი კენ ფუს მეუღლე, რომელიც ადრე მუშათა ბრიგადირი იყო, ახლა ქმრის ერთ-ერთი საწარმოს შეფია. ცოლ-ქმარს ორი შვილი ჰყავს.

ლი კენ ფუ ოცნებობდა, ვაშინგტონის კაპიტოლიუმის პატრონი გამხდარიყო... ჩინეთში. მილიარდერმა ნატვრა აისრულა. მშობლიურ სოფელში, ტბის პირას აიშენა „თეთრი სახლი“, რომელიც ორიგინალზე ოდნავ პატარაა, ოღონდ თომას კროუფორდის ქანდაკების ნაცვლად პატრონის ექვსმეტრიანი სკულპტურა ადგას თავს.

***პარი მატჩი №27/46***

## ნორვეგიის პრინცესამ წოდებაზე უარი თქვა



ნორვეგიის მეფის ჰარალდის უფროს ასულს, 30 წლის მარტა-ლუიზას აღარ სურს ქვეყნის დედოფლობა, რადგან ბიზნესისთვის აპირებს ხელის მოკიდებას.

1 თებერვლიდან პრინცესა წოდებასთან ერთად დაკარგავს ყველა პრივილეგიას, სამემკვიდრეო ქონებას და ჩვეულებრივი მოქალაქე გახდება.

ისე, პრინცესას ეს გამოხდომები ნორვეგიელებს არ გაჰკვირვებიათ, ისინი მიჩვეულნი არიან მარტა-ლუიზასგან სიურპრიზებს. დეკემბერში იგი დაინიშნა სკანდალურად ცნობილ მწერალ არი ბენზე.

რა საქმიანობას აპირებს ქალი, რომელმაც უარი თქვა დედოფლობაზე? პირველ ხელფასს მეამბოხე პრინცესა აიღებს ნორვეგიის სახელმწიფო ტელევიზიის საბავშვო გადაცემაში მონაწილეობისთვის. მომავალში კი დაგეგმილი აქვს საკუთარი კომპანიის შექმნა. ამასთან ერთად, საცხენოსნო სპორტით არის დაინტერესებული და ფიზიოთერაპიის შესწავლასაც აპირებს.

***აფენპოსტენი №2***

## ხულიგანი რაბინი

ლონდონის სასამართლოში ერთი რაბინის, ვინმე ჰარი გოლდსტაინის საქმის მოსმენა მიმდინარეობს.

სწორედ იმ დროს, როცა ბრიტანეთში ციმბირის წყლულთან დაკავშირებული პანიკა იყო, 38 წლის რაბინი თავის მეგობარ ბიზნესმენს „გაეხუმრა“ — ჩვეულებრივი კონვერტით ერთი ჩაის კოვზი სუფრის მარილი გაუგზავნა. გაურკვეველი წარმოშობის „თეთრმა ფხვნილმა“, რომელიც წერილების დახარისხების დროს აღმოაჩინეს, საფოსტო განყოფილების მუშაობა ჩაშალა.

პოლიციამ ხუმარა რაბინი „გარემოების გარკვევამდე“ საკანში გამოამწყვდია, თუმცა იგი თავგადაკლული ირწმუნებოდა — ვიხუმრეო.

***ოტდოხნი! №4***

## ჩიტის მოტანილი ამბები

**მოკვდა დედალი.** ერთ გერმანელ ფერმერს როზალინა ვაიგელტს უცნაური დედალი ჰყავდა, შავი, პრიალა ბუმბულით შემოსილი და დიდი ბიბილოთი დამშვენებული. მაგრამ მთავარი ქათმის სილამაზე კი არ იყო, არამედ მისი უცნაური თვისება — თანამოძმეთაგან განსხვავებით, დედალი ბერტა-ერიკა ბილიარდის ბურთებივით მრგვალ კოკროჭინა კვერცხებს დებდა!. ორი წლის მანძილზე 148 კვერცხი დადო. ფრაუ ვაიგელტი უშურველად ურიგებდა კვერცხებს კოლექციონერებს. მერე მათი გაყიდვა დაიწყო და კაი მოგებაც ნახა. ამას წინათ დედალმა სული განუტევა. დამწუხრებულმა პატრონმა ბერტა-ერიკა ბაღში, ვარდის ბუჩქის ქვეშ დაკრძალა და ზედ წარწერიანი ქვაც დაადო: „აქ განისვენებს მსოფლიოში ერთადერთი ქათამი, რომელიც ბურთისებრ კვერცხებს დებდა“.

დედლის საფლავი სოფლის ღირსშესანიშნაობად იქცა. ფრაუ ვაიგელტმა გადაწყვიტა, რაც არ უნდა დაუჯდეს, თავისი ბერტა-ერიკა გინესის წიგნში მოახვედროს.

**მაღალი მოდა იღლიიდან მოდის.** ევროპელმა დიზაინერებმა ადამიანის თმისგან დამზადებული ტანსაცმლის კოლექცია წარმოადგინეს. ეს სამოსი განსაკუთრებულია — იქსოვება მხოლოდ და მხოლოდ იღლიის ბალნით! იტალიელი დიზაინერის, პაოლო ფრანჩესკოს აზრით, ასეთი ტანსაცმელი რბილი და ხავერდოვანია, ტოლს არ უდებს ძვირფას შალს. სასიამოვნოა ხელის შეხებისას, ინახავს სითბოს და აქვს სამკურნალო თვისებები. ამბობენ, ამგვარი კოსტიუმები მოდაში იქნება 2002 წლის გაზაფხულზე, თუმცა, მისი მასობრივი წარმოება ჯერ არ ხერხდება ნედლეულის უქონლობის გამო. თანაც საზოგადოებრივი აზრი არ ცნობს ამგვარ სიახლეებს.

**ორიგინალური საჩუქარი.** შეძლებულ ინგლისელთა წრეში მეტად საგულისხმო საჩუქრადაა მიჩნეული სერტიფიკატი პლასტიკური ოპერაციებისთვის, მაგალითად, ცხვირის და ყურების გასასწორებელი, მკერდის ან დუნდულების გასადიდებელი, ზედმეტი ცხიმის მოსაშორებელი. მჩუქებელი, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ დაფარავს ოპერაციის ღირებულებას, რომელიც ათასობით გირვანქა სტერლინგი ჯდება, ამიტომ ყიდულობენ 75-100 გირვანქიან სერტიფიკატებს. 10-15 მეგობრისგან მიღებული ძღვენი ფარავს ოპერაციის ღირებულების ძირითად ნაწილს.

**ძაღლების საროსკიპო** ფულის საშოვნელად და ხალხის გასართობად რას არ იგონებენ ადამიანები! — ძაღლების სასახლეები, სასტუმროები, პანსიონები თუ სასაფლაოები ხომ დააარსეს, ახლა საროსკიპოც მოინდომეს.

ერთმა ბრაზილიელმა ზოომაღაზიის მფლობელმა რიკარდო ბრიტომ უკვე შენობაც შეიძინა, დაიწყო მისი გადაკეთება-გარემონტება. უკვე შერჩეული ჰყავს სხვადასხვა ჯიშის როსკიპებიც. ძუკნებს თავ-თავისი სამყოფელი ექნებათ, მათ მოემსახურება პარიკმახერი, რომელიც შეღებავს, გაკრეჭს და გაალამაზებს მარადიულ პატარძლებს.



რიკარდოს განზრახული აქვს, კურტიზანებმა წელიწადში იმუშაონ ორჯერ, ორ-ორი კვირა და თითოეულმა დღეში მხოლოდ სამი კლიენტი მიიღოს.

***უცხოური პრესის მიხედვით***

## საშინაო დავალება ბრიტანულად

დეივონის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე, მასწავლებელმა დავალება მისცა მოსწავლეებს: შემდეგი გაკვეთილისთვის მოიფიქრეთ ან მოიტანეთ ისეთი რამ, რაზეც ვიმსჯელებთო...

მეორე დღეს სკოლაში განგაში ატყდა — გაკვეთილები შეწყვიტეს, მოსწავლეები დაუყოვნებლივ გაიყვანეს სკოლიდან და საერთოდ, მიმდებარე ტერიტორიიდან, გამნაღმველების ჯგუფი კი ბუნებისმეტყველების კაბინეტში ფრთხილად შევიდა. როგორც გაირკვა, ერთი მოსწავლე მეტად შემოქმედებითად მისდგომია დავალების შესრულებას და სკოლაში მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბი მიუტანია თვალსაჩინოებისთვის. საბედნიეროდ, „ჯოჯოხეთის მანქანა“ ძველი და დანესტიანებული გამოდგა, ყოჩაღ ბიჭს იგი თავის ეზოში უპოვია და შინ ინახავდა. ერთი სული ჰქონდა, ამხანაგებისთვის ეჩვენებინა და შესაფერი დროც დაუდგა — საშინაო დავალებას შესრულება ხომ უნდოდა?!

***ჟენსკიე დელა***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გალაკტიონ ტაბიძის გამონათქვამს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | მ | ო | ი | წ | ე | რ | ე | თ | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | ლ | ე | ლ | ი | ა | ზ | ი | ქ | ი | ე | ლ | ნ | ტ | ნ | თ | ა | ნ | ი | ა | ი | რ | ა |

**გ.** თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი; **ა.** მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **მ.** ისტორიკოსი ლეონტი ....; **ო.** რა ჰქვია არდილესს — არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ვეტერანს; **ი.** ქალაქი ინგლისში; **წ.** თევზის ჯიში; **ე.** ქრისტიანული წესით ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი; **რ.** ძველი ესპანური ვერცხლის ფული; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **თ.** მდინარე საქართველოში; **კ.** გერმანიის ყოფილი იმპერატორების ტიტული; **ვ.** შუა საუკუნეების ფეოდალი დასავლეთ ევროპაში, რომელიც დამოკიდებული იყო თავისზე მსხვილ ფეოდალზე; **ი.** არგონავტების წინამძღოლი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** მოსკოვის დინამოს ლეგენდარული მეკარე; **ს.** ნაზი, ნებიერი, აზიზი; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** ყელის ანთება; **ლ.** სპარტელთა ლეგენდარული მეფე, რომელიც თერმოპილეს ხეობაში სამასი მეომრით აკავებდა სპარსელთა 600 000-იან ლაშქარს; **ი.** უმცროსი მატროსი; **ტ.** ველოსპორტისათვის განკუთვნილი ნაგებობა; **რ.** რა ერქვა კაპიტან გრანტის ვაჟს; **ა.** მძარცველი, ყაჩაღი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კოჟრი; **ვ.** ვიაგრა; **ი.** იამბიკო; **რ.** რეისი; **ი.** ინჩასი; **ს.** სკეტჩი; **პ.** პომპეი; **ა.** აკიმი; **ლ.** ლიახვი; **ი.** იადონი; **ტ.** ტრაპი; **რ.** რეჟიმი; **ა.** არარატი; **თ.** თემქა; **ქ.** ქვირითი; **ვ.** ვესპუჩი; **ე.** ეტაჟერი; **ნ.** ნამგალი; **ი.** იკებანა; **მ.** მეველე; **ე.** ელარჯი; **გ.** გორგონა; **ზ.** ზვიგენი; **უ.** უემბლი; **რ.** რვეული; **ი.** ინდოეთი; **ა.** ატილა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი.**

## №4 (278) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 705 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 256-მა ქალმა და 439-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი „არაპოლიტიკოსი“ პოლიტიკოსის მიმართ ხართ ყველაზე კეთილ-განწყობილი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობის კეთილგანწყობას ვახტანგ ბოჭორიშვილი იმსახურებს. რესპონდენტთა 50-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა. **7,65** საშუალო ქულით „საქართველოს პარლამენტის კოლორიტის“ ტიტულის მფლობელი ბოჭორიშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე მუხრან მაჭავარიანია, საშუალო ქულაა 6,51. უნდა აღინიშნოს, რომ მან სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამოიტოვა ზურაბ ქაფიანიძე, თუმცა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით პირიქითაა — ქაფიანიძე მკითხველთა 19-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით, მუხრან მაჭავარიანი კი — 16-მა.

როგორც ვხედავთ, პირველი ხუთი ადგილი აღორძინების ბლოკის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, მკითხველი აშკარა კეთილგანწყობას ამჟღავნებს ამ ბლოკის მართლაც ღირსეული წევრების მიმართ.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (27) ჯანსუღ ჩარკვიანს ხვდა წილად, ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულების მფლობელი კი ლანა ღოღობერიძეა (1,44).

აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა მიმართ ქალი რესპონდენტების კეთილგანწყობა შემდეგნაირად განაწილდა: 1. ვახტანგ ბოჭორიშვილი, 2. ზურაბ ქაფიანიძე, 3. მუხრან მაჭავარიანი. მათთან ელდარ შენგელაია წინ უსწრებს ელიზბარ ჯაველიძეს. ბოლო ადგილზე კი, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ჯანსუღ ჩარკვიანია.

მამაკაცებთან განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათთან დიმა ჯაიანი მეექვსე ადგილზეა, ელდარ შენგელაია კი — მეშვიდეზე.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 72 წლის ქუთაისელი **ჯუანშერ კახიანი.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 6 თებერვალს, 17 საათზე.

## №5 (279) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლექსიკონში.*

**№5 (279) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 6 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №5 (279) — მე დავბრუნდები**

**ყველაზე მეტად ვის უწინასწარმეტყველებთ კვლავ აქტიურ მოღვაწეობას ქართულ პოლიტიკაში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№5(279) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კახა თარგამაძე | |
| 2 | მიხეილ მაჭავარიანი | |
| 3 | ვანო ჩხარტიშვილი | |
| 4 | ვახტანგ ქუთათელაძე | |
| 5 | გია არსენიშვილი | |
| 6 | ზურაბ ჟვანია | |
| 7 | სოსო ალავიძე | |
| 8 | გია მეფარიშვილი | |
| 9 | იგორ გიორგაძე | |

**მკითხველის ლექსიკონი**

**დაასახელეთ თქვენი საყვარელი თანამედროვე მსახიობი მსოფლიოში**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის ლექსიკონის შედეგები

**კითხვა: პირველ რიგში რა სიტყვასთან ასოცირდება თქვენთვის ცნება „ჩინოვნიკი“?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კორუფცია, მექრთამე | 40,4% |
| 2. | ბიუროკრატი | 9,1% |
| 3. | სახელმწიფო მოხელე | 8,9% |
| 4. | თანამდებობის პირი, მინისტრი | 7,0% |
| 5. | გამომძალველი, მომხვეჭელი, მძარცველი | 3,8% |
| 6. | ფული | 3,4% |
| 7. | ჩინი | 2,3% |
| 8-10. | სავარძელი | 1,4% |
| 8-10. | უმოქმედობა, უსაქმური | 1,4% |
| 8-10. | ძალაუფლება | 1,4% |

**მკითხველებისთვის „ჩინოვნიკი“ ასევე ასოცირდება სიტყვებთან: უკანონობა, უსამართლობა, დაუსჯელნი, რობოტი, მარიონეტი, ოფიციალური რეკეტი, ქაღალდი, ღიპიანი კაცი, უძღები, თაღლითი, კანცელარიის ვირთხა, ნომენკლატურა...**

*მკითხველის რეიტინგში 514-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი

— რას შვრები, ვანო, ვისზე იწევ?
— არავისზე, ძმაო, გამიშვი, კუჭი ამეშალა!
— ჰოო! მაშინ, ბიუჯეტის კანონპროექტი გაიყოლე, გამოგადგება...

***სანდო, თბილისი***

**ვ.მ.** — გამიშვი, მოვკლა უნდა!
— არ გინდა, გადავვდგებიო.
**ვ.მ.** — რაც ცოცხალია, სულ გადადგომას გაიძახის.

***გივი კაციტაძე, თბილისი***

**ვ.მ.** — ჩუმად მაინც მითხარი, სად გაიზარდე მაგოდენა მუტრუკი.
**უცნობი** — აქა, პარლამენტში. სხვაგან სად არის კვება.

***მარიამ მთიულიშვილი, გორი***

**ვ.მ.** — რომ მეჯგიმები რა, ტყუილი ინტერვიუ მივეცი პრეზიდენტზე საზღვარგარეთ?!!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**უცნობი** — რა მოხდა ვანო, რამ დაგაბრმავა?
**ვ.მ.** — რამ ძმაო და ყოველდღე თვალებში ნაცრის შეყრამ.

***ანზორ ჩიჩუა, თბილისი***



**ვანო მერაბიშვილი...**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 120 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**გამვლელი** — ძმაო ვანო, შენ რომ ასე არ ლოთობდე, სპიკერი ან მინისტრი გახდებოდი.
**ვ.მ.** — გაიარე რა... როცა დავლევ, თავი პრეზიდენტი მგონია.

***დურმიშხან ყიფიანი, თბილისი***

**ვ.მ.** — ხალხო, მიშველეთ! ნარკოტიკს მიდებენ ჯიბეში!..
**შემსრულებელი** — ახლა ტყუილად ღრიალებ, ვერავინ გიშველის. ჯობდა ადრე დაგეჭირა კბილები ენისთვის.

***„ვინჩენცო“, ქუთაისი***

**ვ.მ.** — ცოტა კიდევ ჩამოიწიე რა აქეთ, ედიკა მოდის და არ დამინახოს, მაგარ „პახმელიაზე“ ვარ. არა მაქვს მაგასთან ლაილაის თავი.

***მკითხველი, თბილისი***

**ვ.მ.** — ახლა ვნანობ, თავის დროზე სპორტთან მწყრალად რომ ვიყავი. მაგარი მუშტის გარეშე დღეს პარლამენტარიც ისევე უძლურია, როგორც თევზი უწყლოდ.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**ვ.მ.** — გამიშვი, ძმაო, მთავრობას ჯიბის ბილიარდი ჰქონია მაგრა დამხეცებული, უნდა შევეჯიბრო.

***„უცნობი“, თბილისი***

**ვ.მ.** — დამისხით, დამალევინეთ,
ეს ღვინო ოხერ-ტიალი,
იქნება წალმად მეჩვენოს
ქვეყნის უკუღმა ტრიალი!

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

## ფოტო განწყობისთვის



— თებერვალი დადგა...

## წინა სკანვორდის პასუხები



10/II უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია: 4 და 7 თებერვალი




# ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე —* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტასა და დედოფლისწყაროში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ქინვალსა და დუშეთში* ***— თვის III კვირის ოთშაბათს.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (5) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№5 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.


**„ალიგატორ სერვის“**

ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.



**გარანტიით**

**20% ფასდაკლება**

მის: ვაჟა-ფშაველას №37

☎899 50-31-52

**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




— კოლეგა, როგორაა თქვენი პაციენტი ახირებული რომ ჰქონდა, მოსაკლავად დამდევენო?

— მკურნალობის კურსი კი ჩავათავეთ, მაგრამ ვიღაც ქილერმა მოკლა...

* * *

საკონდიტროში მამაკაცი ეუბნება გამყიდველს:

— 5 ცალი სკლეროზი ჩამიყარე კოლოფში.

— ასეთი ნამცხვარი არ გვაქვს.

— როგორ არა გაქვთ, გუშინ ხომ ვიყიდე?!

— გაიხსენეთ რა ნამცხვარი გინდათ.

— როგორ გავიხსენო, გაქანებული ეკლერი მაქვს...




გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“©**

**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი